

მზა



1334(79)
13/VIII-19 VII
ფანი 1 ლაპა

**„მეზინ — არა და ახლა
მართლა შეყვარებული ვარ“...**

**ვინ შეყვარს ნიკა
გილაურის სიზავთიას**



**„ჩემს გმირს, პრემიერ-
მინისტრს უღლიბიკური
თანაგებრძოლები ქლავან“...**



**„ერთმანეთით
აღფრთოვანების
პროცესი დღემდე
არ გაგვენელებია“...**



**მარკო
მგრალიძე:**

**„უმიკლავა, კლიარვა
ბრჭოვამ კარიარაზას
უარი მათგვენიეს“...**



**„ჩვევები
სოსხლავი
ყოფილიყვანა
დაკრამდანივა
„სრქს“ კიდე
მეწინსდიდი“...**



**ველონი ვადით
მოვლილი,
13 ანურელი
გამის მიერ
დაარსებული
მონასტრავი**



**იოსებ ნენეშვილი —
უგმივენი ხვედრის
მქონე კახთმოყვარე
პოეტი**

„გაუიშვლებული“ ფრონები და „სეარბნიკავის“ სანიღუმლო სავსოვარესივაი





დაიბრუნე ძველში ჩართვის საფასური!

ჩვერთვით მაგთი ფიქსის ძველში და ერთი წლის განმავლობაში, ყოველთვე თქვენ მიერ მითითებულ მაგთის ან ბალის ნომერზე დაირიცხება 15 წუთი საჩუქრად.

რატომ მაგთი ფიქსი?

- ყველაზე დაბალი ტარიფი მთელ საქართველოში;
- არავითარი სააბონენტო;
- ინტერნეტი უფასო ჩართვით: **უღირშიტო, თვეში 15 ლარად** ან 1 წუთი 1 თეთრად;
- აქცია „ჩემი ოჯახი და მეგობრები“, უფასოდ ჩამრთვებით აქციაში, აირჩევთ მაგთისა და ბალის 5 ნომერს, მათ დაუკავშირდებით 5 თეთრად და **ისინი 5 თეთრად დაგირეკავენ**; ასევე შესაძლებელია მაგთის და ბალის ნებისმიერ აბონენტთან საუბარი მხოლოდ **5 თეთრად** (ნაცვლად სტანდარტული 15 თეთრისა), თუ წინასწარ შეიძენთ 200 წუთს 10 ლარად;
- მაგთი ფიქსიდან მაგთი ფიქსზე საუბარი – 2 თეთრი წუთში – საქართველოს ნებისმიერ წერტილში;
- ყველაზე იაფი საერთაშორისო ტარიფები: ღსთ – **წუთი 10 თეთრიდან**, მეროპა, აზია, ამერიკა – **15 თეთრიდან**;
- SMS – **3 თეთრი**;
- ანგარიშის შევსება მარტივად – მონო-გარათით ან გადარიცხვით;

მომსახურების პირობებში სიახლეა!

- გასაკვალის ზარი არ გაგეთიშებათ გოლო გადახდიდან 1 წლის განმავლობაში, თანხის ამოწურვამდე! ასევე, 1 წლის განმავლობაში გარანტირებული გექმებათ შემოგაკვალის ზარი.



ძველში ჩართვის ღირებულებაა 60 ლარი, აქედან 10 ლარი დაგირიცხებათ ანგარიშზე.

დაინტერესდით?

მოგზაობებით მაგთიფიქსის მომსახურების ნებისმიერ ოფისში ან

დაგვიკავშირდით 890 500 500-ზე

და მაგთი ფიქსის ტელეფონს აღვიღებთ მოგართმევთ!



■ ზიზი	
მადინი სხეუარ-მასინიქლი	
„ნიქლი დღისასნაული“...	32
■ მოზიქი	34
■ ჯანმრთელობა	
✓ ნითელი ქარსლის „ნიქილა“	36
✓ ნილის ნენი ქილის მინაქარს ანაღმუქებს	37
■ ქურნელი ქურნელი	
✓ სსოქრება	39
✓ გზანნიღები	55
■ შთამოქაქვლობა	
ოღლობაში გარდელი პოქტი	71
■ რომანი	
ვაქა გიგაქვილი. ერთი ვინეა ყაფლანიქვილი (გაბრქაღება)	74
■ გიგ-ქუტი	78
■ სიქითსიქი ქალბისთისი	
✓ ვარქიქვი სელულიტის ნინაღმეგ	80
✓ რომორ მოქნიღლოთ მამაქასი	81
■ სანიქვარლო რომანი	
სვაქა ქვარსნელი. ნითელი შხსსმელი (გაბრქაღება)	82
■ გიგრქაქვოს!	
ქექსვილიანი მოქანი მქვიღე	
პაქარის მოლოღინი	86
■ ვარსქვლქვი	
უქირფასისი სქორნინო გქღების გოქათული	88
■ ტრქაღი	
„ნევები სოქსლბი ყოფილიქვენე და რამღინეა „სროქს“ ქიღე მოქნიღლი“	90
■ თინეიქვარული პონევი	
ქართველი მატრისს მირ დამქაღებული შარღი „გომეგინ“ და სანქარი, რომელმას რომქარი პატირა	92
■ ოსტატი	
„გული მქიქვა, ღვთისნიერ სქქვს გულგრილად რომ ექსროქინე“	96
■ გელადი	
შენქვარები სტალინთან	98
■ ტაქარი	
ნარონის მირ ღვნილი ქრისტიანები, გქქიქრქვული ექლსიქა და ქატაქომეგეში აღსრულქვული მსანქარქები	100
■ ნემღვილი ამბავი	
ქაღის გქავი...	102
■ ავტო	103
■ სქანოქრი	104
■ ასტროლოქი	105

გარექანეა: ირმა ღვიარტალინის ქოღაქი

საქოგაღოქმრქმ-ქოღიტიქქერი შურნელი „გზა“ გამოღის ქქირაქი მრთქქლ, სუთქაბათოქტი გარქტი „ქქირის პაღიტირის“ ღამაქქვა

შურნელი ხელმღქვანელობს თავისუფალი პრქსის პრინციქებით. რეღქქის აჭრი შესაღლო არ ეთიქველღეს მასალის აუტიორის აჭრს. მთავარი რეღქქორი: ზურაბ აბაშიქე

მთ. რეღქქორის მოღვიღეები: ღალი ფქვა, ღიქა ქქვავიქ მენქქევი: მთე ქვიღაქე

მისამართი: თბიღისი, იოსებტიქის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რექლამი „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

გარქო გგალიქის სიქვრქიტი აღგოტიგანეგული იტალიელი




„ჩემი გული თავისუფალია! რატომღაც, ვერავინ შევიქვარე. ერთხელ გქქსის მბლოღმა მისაქვეღურა: რატომ ხარ გქუთხოვარი?! ეგქობა, უქარება ხარო, მერე ქი რჩევექ არ ღაიბარა, – თქახი აუქციღებლად შექქენიო.“

22

გარქიქები ნელულიტის ნინაღმეგ

ღაქექით ხალინაბე. მურგი სწო-რად გექქიროთ, ხეღები ქი იღაქვებ-ში მოხარეთ. იმოქრავეთ ღუნღ-უღების სამუღლებით – ხან წინ, ხან უქან, ხან ერთ, ხან მეორე მქარეს (10-10 მოქრახობა ორივე მიმართულე-ბით). გაიღეორეთ სამქერ.



80


ოღოტბაში გგრღილი პოქტი



„ქართვეღის ბუნება-ში არის ასეთი თვისება – ყვეღაფერში პირვეღები უნღა ვიყოთ... მე მამჩემე შექქეთეს ღექსს ვერ ღავწ-ერ და მეორე პღანღე ყოფნა არ მიწღა“...

71

- საღ მივღივართ?
- სასგუმრო „გოღღ სტარში“, ნომერი უქვე ღაქ-ჯაღმენე.
- შეწთან არ ჯობღა?
- არა, მიწღა უქსო, თან მღღღრულ გარემოში შეგი-გრინო. იყოღე ამბღამ ძიღი არ გიწერიქა და აქეღანე შეეგუე ამას.



ნითელი ფხისსქაღი

ნიას ბეღნიერების ღიმიღმა გადურბინა სახემე. რა კარგია; ასეთ აღვიღას აღრე არასღროს ყოფიღა. არც ისე ცული ყოფიღა მღღღარი კაცის საყ-ვარლობა თურმე...

82



სულელების ჯვარი



შსსავლის ნაცვლად ქვეყანა აირია, ამ ერთი კვირის განმავლობაში იმდენი უმნიშვნელო სისულელე მოხდა, შაყირის ხალისიც არ მაქვს. თვითონ განსაჯეთ: Саакашвили хотел довести танки до Москвы!; Саакашвили хотел идти на Москву!; Грузины хотели взять Москву... — და ა.შ. ეს რუსული პრესის სათაურებია. ჩვენმა ჩრდილოელმა კოლეგებმა სისარულით გადაბეჭდეს „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული, ჩვენი „ოპოზიციის დედოფლის“ ინტერვიუ, ზოგმა საკუთარი ინტერპრეტაციაც დაურთო და გამოვიდა ის, რაც გამოვიდა: ბურჯანაძე ამბობს, რომ ომისწინა დღეებში, საათ-ნახევრის განმავლობაში ეხვეწებოდა სააკაშვილს, ომი არ დაენყო, მაგრამ ვინ დაუჯერა?! ეგ კი არა, მოსკოვის აღებასაც აპირებდა, რომ არა „დობლესტნაია“ 58-ე არმიით!

რისი... „თავი“ ჰქონდა ჩვენს არმიას და მის მთავარსარდალს, ამაზე არც რესპონდენტი და არც ჟურნალისტები ხმას არ იღებენ; ანეკდოტებს ბოლოს ვყოლებ ხოლმე, მაგრამ ერთი ახლაც უნდა ვთქვა — ამ „მოსკოვის აღებს“ ჰგავს:



ორი ქუთაისელი ხვდება ერთმანეთს: — გეიგე, სიმონ? ჩვენმა „ტორპედომ“ „მილანს“ მოუგო! — არ იქნება მაგი მართალი...

— კია ტყუილი, მარა ხო მაგრად ასწორებს, სიმონ!!! ჰოდა, ასეთი გრძნობა გამიჩნდა მეც, მოსკოვს ვერ ავიღებდით, მაგრამ ისე, „მაგრად გაასწორებდა“...

შარშანდელი ომის წლისთავის აღნიშვნა ჩვენმა ხელისუფლებამ, როგორც სჩვევია, „ზეიმიით“(!!!) გადაწყვიტა! საერთოდ, ესენი ისეთ რამეებს ზეიმობენ ხოლმე, ბავშვობაში წაკითხული ერთი წიგნი მახსენდება — რომელიღაც გერმანელი გეოგრაფი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ველურ ტომებში თავისი მოგზაურობის ამბავს აღწერს და ამბობს, — არაფერი ისე არ უხარიათ, როგორც ახლობლის სიკვდილი, რადგან დარწმუნებული არიან, უკეთეს სამყაროში მიდისო! არის თურმე შარაფი და ცეკვა-თამაში!

ოღონდ ის ველურები იმით გვჯობნიან(!), რომ მართლა სჯერათ — საზეიმოდ აქვთ საქმე; ჩვენი მთავრობის „შეკვეთილი ღონისძიებიდან“ კი ის გამოვიდა, რომ სამ საათზე არავითარი „დუმილის წუთი“ არ დაფიქსირებულა, ყოველ შემთხვევაში, დედაქალაქში ერთი „მარშრუტაც“ კი არ შეჩერებულა და ჩემი თვალით ვნახე, ოთხის ნახევარზე „საზოგადოებრივი არხის“ შესასვლელის წინ ხელიხელჩაკიდებულ თანამშრომლებს რომ უღებდნენ დადგმულ სცენას, რომელიც საღამოს „მოამბეში“ ნახა მთელმა ქვეყანამ...

სწორედ ამაზე ამბობს ჩვენი ცნობილი პოეტი: „ვაი, ჩვენს პატრონს!!!“

ვერ გამოდის მხიარული „პროვოკაცია“, მაგრამ უნდა მახატოის ჩემმა მკითხველმა, „პროვოკატორი“ — კი, მაგრამ სულელი ხომ არ ვარ — რა გვემხიარულებს?!

როგორც დასაწყისში აღვნიშნე — კიდევ ერთი „უმნიშვნელო სისულელე“: მთელი ოპოზიცია რუსების აგენტები რომ არიან, ეს ხომ უკვე დამტკიცა ხელისუფლებამ, ახლა ადგა და ამ ოპოზიცი-

ის ნაწილს უშიშროების საბჭოში მუშაობა შესთავაზა! იმ ნაწილის ერთი ნაწილიც, ადგა და — დათანხმდა!!! ახლა, იქ რა და როგორ იქნება, მაგას ვერ გეტყვით, მაგრამ სავარაუდოდ, ვინც დათანხმდა, იმათ დაიჭერენ! აბა, რატომ დათანხმდნენ? ე.ი. უშიშროების საბჭოდან ინფორმაციის გამოტანა და რუსებისთვის გადაცემა უნდათ! არ მითხრათ ახლა, სისულელეაო, — მეც მაგას არ ვამბობ?! ყოველ შემთხვევაში, ამ ფაქტის სხვანაირ ახსნას თუ ვინმე მოძებნის, შემატყობინოს.



ჰო, მედვედევი რო „ქურდულს მიანვა“, ამის არაღნიშვნაც არ შეიძლება, გასული კვირის სისულელების ჩამოთვლისას: შავი ზღვის ფონზე, შავ პერანგსა და შავ პიჯაკში გამოწყობილმა „შავი მესიჯი“ გაუგზავნა უკრაინას... ჩვენში დარჩეს და, ეგ მგონი, ვერ უნდა იყოს მთლად ყოჩაღად, რა-

ღაც, უცნაურად იყურება ხოლმე (ეს რომ რუსებმა წაკითხონ, ხომ მეტყვიან, — ყველამ თავის ბოზ მამიდას მიხედოსო)...

ზემოთ, გერმანელი მოგზაური რომ ვახსენე, იმაზე გამახსენდა: გასულ კვირაში ანგელა მერკელიც არ ჩამორჩა სხვებს სისულელებში: სექტემბერში გერმანიაში არჩევნებია და საარჩევნო პლაკატზე ქალბატონი კანცლერი ვილაც, მასავით „ლაამაზ“ და „ახალგაზრდა“ თანაპარტიელ ქალბატონთან ერთად გამოჩნდა! მერე რა და, ის, რომ ძუძუები უჩანს ორივეს! წარმოიდგინეთ მერკელი და ის ქალი — კიდევ უარესი!



პუტინსაც ამ კვირაში დაემართა სისულელე, მსოფლიოს დასანახავად რომ ცურავდა ციმბირის რომელიღაც ტბაში — ვეღარ აუდის თურმე, მთელი მსოფლიოდან მოსული პედე-რასტების წერილების კითხვას... ნეტავ, ვინმე მოეწონოს და ჩვენ თავი დაგვანებოს...

P.S. რუსეთის და ამერიკის პრეზიდენტები თვითმფრინავში, პილოტი — კახელი. ამერიკელი ამბობს: — ახლა, ამერიკის ნებისმიერ ადგილას რომ დავეშვათ, ხალხს ისე ვუყვარვარ, სულ ხელეებს დამიკონცინა. — ჰმ, ხელეებს... შუა ციმბირშიც რომ დავეშვათ, ხალხი მოვა და ფეხებს ამილოკავს! ამ დროს ისმის კახელის ხმა დინამიკში: — აეხლა, ოთხივე მატორ გამაფრთავ და ორივენი თუ იქ არ მემთხვევით, საცა მე გეტყვით... ერთი პარაშუტი მაქ, ისიც — ჩემთვისა!

P.P.S. ოცნებას კაცი არ მოუკლავს...

პროვოკატორი

ქობულეთში აგვისტოს ომს პერ ივიწყებენ

„საქართველოს ხსენა სწორედ უწმინდას ვაუქლია!“

ამჯერად, რუბრიკა „ფაქტი და კომენტარი“ მომზადებამ ქობულეთში მომინია. ვფიქრობდი, იქ მცხოვრებთათვის კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა აგვისტოსთვის შეუფერებელი ცივი ამინდები, უჩვეულოდ აბოზოქრებული ზღვა და უკანმოუხედავად გაქცეული დამსვენებელი იქნებოდა, მაგრამ მათთვის საკურორტო სეზონის ჩავარდნაზე მნიშვნელოვანი, ქვეყანაში მიმდინარე სხვა პოლიტიკურ პროცესებთან ერთად, აგვისტოს ომის წლისთავი აღმოჩნდა.

ხათუნა ბახტურიძე

ბალონა გოგიტიძე, პედაგოგი:

— ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, ჩვენ ძალიან მძიმე ემოციებში ვიყავით, გამუდმებით აგვისტოს ომზე ვფიქრობდით და ვლაპარაკობდით. იმ ომში ჩემი ყოფილი მოწაფე და ძალიან კარგი ახალგაზრდა, ლევან ანანიძე დაიღუპა. სულ რაღაც, 20 წლის იყო... ჩემს სახლთან ახლოს სამხედრო ბაზა განთავსებული და ვხედავდი, თუ როგორ მიდიოდნენ ომში ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა, სიცოცხლეს მონ-

ზას ბათუმური ვიზიტით დამამახსოვრდა. არ ვიცი, ჩვენ, ხალხი ამ კაცისაგან რითი ვართ ასე დავალბულნი, მაგრამ ერთი კი ნამდვილად მჯერა, ამერიკიდან იმისთვის არავინ ჩამოდის, რომ არიქა, ჯემალ მეგრელიძეს რაღაცა უჭირს და დავესმართო... ეს არაფერი, პოლიტიკა რომ კარგა ხანია, არეულია, არახალია, მაგრამ ამ ბუნებას რაღა დამართა, ვერ ვხვდები — შუა აგვისტოა და ლამის, გავიყინოთ!.. ამ კვირის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ბათუმში პაბლო პიკასოს „სტუმრობას“ ჩავთვლი. ჩვენ მოგვეცა არაჩვეულებრივი შანსი იმისა, რომ საკუთარი თვლით ვიხილოთ ამ გენიოსის შედეგები. აუცილებლად დავათვალიერებ მისი სურათების გამოფენას, ახლობლებთან ერთად.

ქატი თყონია, ჟურნალისტი:
— ამ კვირის განმავლობაში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პატრიარქის მიმართვა გახლდათ, რომელშიც უწმინდესმა აღწერა, თუ რა მოჰყვება აფხაზებისა და ოსების საქართველოსთან დამორებას. ჩემი აზრით, დღეს საქართველოს ხსენა სწორედ უწმინდესს შეუძლია!

სალომე არჩვაძე, მზარეული:
— მეგონა, აგვისტოში რუსეთი ჩვენ მიმართ კიდევ ერთ აგრესიას განახორციელებდა, მაგრამ მგონი, გადავრჩით და ეს ფაქტი ძალიან მახარებს. ასევე მნიშვნელოვანია ისიც,

რომ მაღალჩინოსანი უცხოელები ხშირად გვსტუმრობენ. მათ მიერ გაკეთებული განცხადებები იმედს მძლევს, რომ რუსეთი ჩვენს დაჩაგვრას ვეღარ გაბედავს.

ლონდა ჯალიაშვილი, მუსიკოსი:

— ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ქვეყანაში ომი არ დაიწყოს. გასულ წელს, როდესაც რუსები თავს დავგესხნენ, ჩემს მცირეწლოვან შვილთან ერთად, ზღვის სანაპიროზე ვნებივრობდი. შეშინებულმა იქაურობა სასწრაფოდ დავტოვე და ხაშურში, მშობლების სახლში გავიქეცი. გზაში საშინელების გადატანა მომიხდა — ჩემი თვალით ვხედავდი, როგორ მოსდევდნენ უიარაღო ქართველ ჯარისკაცებს მძიმე ტექნიკით შეიარაღებული რუსები და სასტიკად უსწორდებოდნენ. ისინი სამოქალაქო პირებს გვეუბნებოდნენ, — თქვენ არაფერს გერჩითო, მაგრამ ქუჩაში გამვლელ სამარშრუტო ტაქსებსა და ავტომობილებს ხელყუმბარებს ესროდნენ, ჰაერიდან კი ავიაცია გვბომბავდა...

ვიპი მაისურაძე, სტუდენტი:

— კვირის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად პატრიარქის მიმართვის მივიჩნევ. მან ერთ განცხადებაში ძალიან ბევრი სიბრძნე თქვა. უწმინდესი რომ არ გვეყვდეს, რა გვეშველებოდა?! ალბათ, სააკაშვილი თავისი არასერიოზული განცხადებებითა და ქმედებებით საბოლოოდ დაასამარებდა ქართულ სახელმწიფოებრიობას.

ლიანა საბინაშვილი, პროგრამისტი:

— ძალიან გამაღიზიანა იმ ამბის გაგება, რომ აგვისტოს ომში დაღუპული რუსი ჯარისკაცების მშობლები, ახლობლები და გარკვეული რუსული ორგანიზაციის წარმომადგენლები, ოსი ხალხისთვის თანაგრძნობის გამოსახატავად, ცხინვალში ჩავიდნენ. მე დედა მყავს ოსი, ამ ხალხზე გული ძალიან შემტკივა და რუსების კეთილი ნების არ მჯერა. საერთოდაც, ქართველებსა და ოსებს რუსები თავს თუ დაგვანებებენ და ჩვენს საქმეში ცხვირს აღარ ჩაყოფენ, თანაგრძნობის



პირველი ტყვეების გამოსხნა კათოლიკოს-პატრიარქის წყალობით მოხდა (2008 წლის აგვისტო)

ყოფილი ბიჭები. სამწუხაროდ, იმ ავბედით დღეებში ბევრი ვაჟკაცი დავეკარგეთ...

ჯეიმალ ვიგარელიძე, გაზეთ „ჩემი ქობულეთის“ რედაქტორი:

— მოვლენათა ცვალებადობა მარტის ამინდით, ხშირ-ხშირად იცვლება... ბოლო პერიოდი და განსაკუთრებით, ეს კვირა მეთიუ ბრაი-

ანებისა და ოსების საქართველოსთან დამორებას. ჩემი აზრით, დღეს საქართველოს ხსენა სწორედ უწმინდესს შეუძლია!

სალომე არჩვაძე, მზარეული:

— მეგონა, აგვისტოში რუსეთი ჩვენ მიმართ კიდევ ერთ აგრესიას განახორციელებდა, მაგრამ მგონი, გადავრჩით და ეს ფაქტი ძალიან მახარებს. ასევე მნიშვნელოვანია ისიც,

განახლებული „გზა“

20 აგვისტოდან

ობიექტები აღარ ვიქნებით, მშვენივრად მოვაგვარებთ ერთმანეთთან ურთიერთობას.

ეთარ ჩხაიძე, ჟურნალისტი:

— ყველაზე მნიშვნელოვანი ის ღონისძიება იყო, რომელიც გასული წლის 7 აგვისტოს მიეძღვნა. არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ ღონისძიებით აღფრთოვანებული დავრჩი. პირიქით, მე ვხედავდი თვალცრემლიან, შვილმკვდარ დედებს, რომელთა შვილები



შუა აგვისტოა და ლამის, გავიყინოთ!..

ბი სააკაშვილისა და მედვედევ-პუტინის ბინძურ პოლიტიკურ ხრიკებს შეეწინააღმდეგებ...

ოლგა ვაგდალიანოვა, სამხედრო კომისარიატის თანამშრომელი:

— რამდენიმე დღეა, თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ. პირადად მე გავაფორმე სამხედრო კონტრაქტები იმ ბიჭებთან, რომლებიც აგვისტოს ომში წავიდნენ. საუბედუროდ, ბევრი მათგანი უკან აღარ დაბრუნდა. მე არ მაინტერესებს პოლიტიკა, არც ომის მიზეზები, მხოლოდ ერთი რამ ვციცი — ომს ძალიან ბევრი ლამაზი ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა და ეს ჩემთვის მოუწონებელი ტკივილია.

აკა მარაჩიძე, პედაგოგი:

— ამ კვირის განმავლობაში, ყველაზე მეტად აღმაშფოთა და გამაღიზიანა სოხუმში პუტინის სტუმრობამ. ძალიან მაინტერესებს, როდემდე უნდა ვითმინოთ რუსი ოკუპანტების გამოხადობები?..

ლია მუხარამია, დიასახლისი:

— ყველაზე მეტად, წვიმიანი და ცივი ამინდები მაშფოთებს. ნეტავ, რა ხდება, საქართველოში კლიმატური პირობები ხომ არ იცვლება?..

მაიკო ცირაქიაძე, მოცეკვავე:

— ვფიქრობ, ეს კვირა მნიშვნელოვანი მოვლენებით დატვირთული იყო. ქართველმა ერმა აგვისტოს ომში დაღუპული გმირები კიდევ ერთხელ გავისხენეთ და პატივი მივაგეთ. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ აჭარას მეთიუ ბრაიზა ეწვია. როგორც ჩანს, მალე ამ რეგიონს უფრო მეტი ყურადღება მიექცევა.

„განწმენდისა და მონანიების ოთხშაბათი“

თუ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაწყებული ურთიერთობის ახალი ეტაპი

„ტესტი ოპოზიციისთვის“, „შეხვედრა შეხვედრისთვის“, „განწმენდისა და მონანიების ოთხშაბათი“ — ამ და სხვა შინაარსის ეპოტეტები თუ შეფასებები კეთდებოდა ოპოზიციისა და ძალოვანი მინისტრების შეხვედრამდე, თუმცა შედარებით ოპტიმისტურ მოსაზრებებსაც გამოთქვამდნენ... 12 აგვისტოს საპარლამენტო უმცირესობის თითქმის ყველა წევრმა და არასაპარლამენტო ოპოზიციის რამდენიმე ლიდერმა, ხელისუფლების წინაშე, პოლიტიკური დევნის შეჩერების საკითხი დააყენა და პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ადამიანების სიაც წარუდგინა. მართალია, შედეგს ერთი კვირის შემდეგ შევიტყობთ, მაგრამ მანამდე ცნობილი გახდა, რომ მხარეებმა ორ საკითხზე მიაღწიეს შეთანხმებას.

ლალი კაკასკირი

ოპოზიციური სუბტრისის მსგავსად, ორად გაიყო პოლიტიკურ ექსპერტთა აზრიც; პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილს ეს შეხვედრა ქართულ იგავს აგონებს; მისგან განსხვავებული პოზიცია აქვს ანდრო ბარნოვს, რომელიც საშინაო პოლიტიკის გარდა, ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემას, რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ ურთიერთობებსაც შეეხო... კვირის ყველაზე მნიშვნელოვან შეხვედრაზე საუბარი ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერთან დავიწყო.

ირაკლი ალასანიძე, „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერი:

— ოპოზიციის წარმომადგენლებმა პირადად შს მინისტრისგან მივიღეთ პირო-

ბა, რომ მისი უწყება პოლიტპატიმრების საქმეს გამოიძიებს... ეს იყო ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ურთიერთობის დარეგულირების მიმართულებით გადგმული, პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ჩვენ მათ გადავეციით დაკავებულების სია და კონკრეტული მონაცემები; მხარეებს შორის, ორი შეთანხმება მიღწეული: ერთ კვირაში შს მინისტრი დაკავებულთა საქმეებს შეისწავლის და თითოეულ საქმეზე კონკრეტულ პასუხს გაგვცემს; მეორე შეთანხმების თანახმად კი, იმ შემთხვევაში, თუ დაჭრები კვლავ გაგრძელდება, შს სამინისტრო და ოპოზიცია ურთიერთთანამშრომლობის 24-საათიან რეჟიმზე გადავლენ. ვნახოთ, ეს ერთი კვირა არის გამოცდა ორივე მხარისთვის და შემდეგ შეიძლე-



ბა ვისაუბროთ იმაზე, თუ ვისთვის იყო ეს ტესტი.

— ხელისუფლების მხრიდან ვინ ესწრაფება შეხვედრას?

— წინასწარი ინფორმაცია გვექონდა, რომ შეხვედრას იუსტიციის მინისტრი, გენერალური პროკურორი და სასჯელაღსრულების მინისტრი დაესწრებოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. ხელისუფლების მხრიდან შეხვედრას შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი, სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი შოთა უტიანიშვილი და თბილისის მთავარი პროკურორი მამუკა გვარამია ესწრებოდნენ... შეხვედრა პესნიშვილის საფუძველს არ მადლეს და მიმართა, რომ ჩვენი მონაწილეობა შედეგს გამოიღებს.

შეხვედრამდე იმედიანად იყო განწყობილი „მრეწველთა პარტია“ ლიდერი **ზურაბ ტყეშელაშვილი**. მისი აზრით, ოპოზიციის წარმომადგენლები ძალოვან მინისტრებთან შეთანხმებას გარკვეულ საკითხებზე მაინც შეძლებდნენ.

— ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მიმართ ზეწოლისა და ტერორის ფაქტებს განვიხილავთ. სურვილი და, რაც მთავარია, იმედი გვაქვს, რომ კომპრომისის მივალწვეთ და მსგავსი ფაქტები შეწყდება.

— მაგრამ ზოგი გამოთქვამს ეჭვს, რომ ეს იქნება შეხვედრა შეხვედრისთვის...

— ჩვენ ვალდებული ვართ, რომ ჩვენსას ვეცადოთ, რადგან ჩვენი თანამოაზრეები გაუსაძლის მდგომარეობაში იმყოფებიან; ბევრი მათგანი საპატიმროებშია და ვცდილობთ, მათ როგორმე შევუშსუბუქოთ მდგომარეობა, შედეგს მივიღებთ თუ არა, ამას დროს გვიჩვენებს... თუმცა არ მჯერა იმის, რომ ჩვენს სიაში შეყვანილ ადამიანებს იმავე დღეს გაათავისუფლებენ... იმედია, ყველა ჩვენს მოთხოვნას თუ არა, ნაწილს მაინც დააკმაყოფილებენ.

— ოპოზიციის ის ნაწილი, ვინც ამ შეხვედრაში არ მონაწილეობს, აცხადებს, რომ ხელისუფლებას ამ ნაბიჯით, დასავლეთის თვალში ქულების დანერგა სურს...

— არა მგონია, ხელისუფლებისგან ეს ნაბიჯი „დემოკრატიზაციას“ თამაში იყოს, მაგრამ ასეც რომ იყოს, რეალობა გვაიძულებს, ხელისუფლების ნებისმიერ მსგავს ინიციატივას ავყვეთ და შედეგისთვის ვიბრძოლოთ.

პოლიტოლოგი **სოსო ცისკარიშვილი** მიიჩნევს, რომ „მიხეილ სააკაშვილს სალაპარაკო მიეცა და მთელი ორი კვირის განმავლობაში მის გამოსვლებში ეს თემა იტრიალებს“...

— დარწმუნებული ვარ, 12 აგვისტოს შემდეგ, სახელისუფლებო ტელეარხებზე სულ სააკაშვილის თავდაჯერებული სახე იქნება, შემდეგი სიტყვებით — „შეხვედრა შედგა — აი, ეს არის დემოკრატია!“ პრობლემები, რომელთა გამოც ეს შეხვედრა დაიგეგმა, ძალოვანი სტრუქტურების თვალში სულაც არ ჩანს ტრაგიკული და საგან-

გამო. მართალი გითხრათ, ეს ყველაფერი ბატონისა და ყმის ამბავს მაგონებს: ბატონის მიერ დაჩაგრულ ყმას ეკითხებიან, სად მიდიხარო? — ბატონმა დამჩაგრა და უნდა ვუჩივდეთ... ვისთანო? — ისევ ბატონთანო... მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრას არ დავსწრებივარ, დარწმუნებული ვარ, ხელისუფლების წარმომადგენლები ძალოვან ფაქტებსა და ნებისმიერ პოლიტიკურ ტერორზე უარს იტყობდნენ ან სინაწულით გააქნევდნენ თავს და იმ ფრაზებს გაიმეორებდნენ, რომლებიც ტელეკრანებიდან არაერთხელ მოგვისმენია... ძალიან გამიკვირდება, თუ ეს იქნება „ოთხშაბათი განწმენდისა და მონაწილებისა“, თუმცა ძალიან მინდა, ვცადებოდე.

პოლიტიკური ექსპერტი **ანდრო ბარნოიძე** მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის ინიციატივა, მხარეებს შორის ურთიერთობის მოგვარების ერთადერთი გზაა...

— ვერ გეტყვით, რომ ამ შეხვედრას რამდენიმე დღეში მოჰყვება შედეგი, მაგრამ ეს არის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კონტაქტის აღდგენის დანაშაულის პროცესი; როცა ქვეყანაში ასეთი პოლიტიკური კრიზისია, ურთიერთობის ნორმალისების ინიციატივა ვიღაცამ უნდა გამოიჩინოს. ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოში ურთიერთობის ასეთი ფორმა საჭიროა. ყველამ დავინახეთ, რომ „გაბუჭების“ პოლიტიკამ სიკვით არ მოგვითქვანა და ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა. შეხვედრები უნდა შედგეს და ასეთი ურთიერთობის გაგრძელება ღირს თუ არა, მის შედეგზე იქნება დამოკიდებული. მთავარია, პოლიტიკურმა მხარეებმა ერთმანეთს გაავტანონ, რომ ერთმანეთის მოსისხლე მტრები არ არიან და მათ შორის დიალოგი შესაძლებელია.

— მაგრამ ზოგი ამას, ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ პარისთვის გადადგმულ ნაბიჯად აფასებს...

— ძალიან მიკვირს ამ ხალხის. უბრალოდ, არ შეიძლება, ყველა ინიციატივასა და მოვლენაზე თქვა — პიარიო. ხელისუფლების ადვოკატობას სულაც არ ვაპირებ, მაგრამ საზოგადოება დაიღალა ცარიელი, უარგუმენტო ბრალდებებითა და ემოციებზე აგებული განცხადებებით... შეხვედრას შედეგი მოჰყვება თუ არა, ეს დროთა განმავლობაში გაირკვევა. თუ ხელისუფლებამ ოპოზიციის მოთხოვნა — პოლიტიკური ნიშნით დევნილებთან დაკავშირებით — საერთოდ არ გაითვალისწინა, ეს თავად ხელისუფლებას მიუბრუნდება ცუდად; მით უმეტეს, თუ შეხვედრა მართლა, მხოლოდ დასავლეთისთვის თვალის ასახვევად მოაწყვეს, ამის დანახვა არც იქ გაუჭირდებათ.

— ბატონო ანდრო, სხვა საკითხებსაც შევხებით. ოპოზიციის ხელისუფლებას სწორად ადაწნაშაულებს იმაში, რომ ომის წლისთავზე, რუსეთთან ურთიერთობის ახალი ფორმა არა აქვს შემუშავებული და სააკაშვილის გამოსვლები კვლავაც სამხედრო რიტორიკით გამოირჩევა...

— ამას ვერ დავეთანხმები, აღარ არის

სამხედრო რიტორიკა. გასულ კვირას პრეზიდენტმა გორში გამოსვლისას განაცხადა, — იარაღის შესყიდვა-შემოტანას არ ვაპირებთ, რადგან დაკარგულ ტერიტორიებს ძალით ვეღარ დავიბრუნებთ, ამიტომაც, ჩვენთვის პრიორიტეტული — მშვიდობა და ეკონომიკის განვითარება არისო...

— თუმცა რუსეთი კვლავ ისე მოიხსენია, როგორც ომამდე და ომის შემდეგ...

— მაგრამ ეს არ არის სამხედრო რიტორიკა: რუსეთი რომ ჩვენი მტერია, ახალი არ არის... გასაგებია, გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს ასეთი შინაარსის გამოსვლები არ მოსწონთ, მაგრამ კარგი იქნება, თუ ვინმე ჩამოყალიბებულ ხედვას წარმოგვიდგენს — თუ როგორი ურთიერთობა უნდა გვექონდეს რუსეთთან, რათა ეს ქვეყანა საქართველოსთვის საფრთხეს არ წარმოადგენდეს. მით უმეტეს, როცა ოპოზიციის ხელისუფლებას ამ ბრალდებას უყენებს, საბასუხოდ უნდა დადოს გეგმა-პროექტი — მაშ, როგორი პოლიტიკა უნდა ვანარმოოთ რუსეთთან, რომ მისგან წამოსული საფრთხეები შემცირდეს; ეჭვი მაქვს, რომ მსგავსი გეგმა არც მათ აქვთ... არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ხელისუფლება ბევრ რამეში ტყუის, მაგრამ ომის წლისთავზე ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა რომ არ შეცვლილია, ეს ქართული მხარის ბრალი არ არის. რუსეთში ჩვენს ტერიტორიაზე სამხედრო შენაერთები შემოიყვანა, ქართული რეგიონების ოკუპაცია მოახდინა და წართმეული მიწებიდან საერთაშორისო საზოგადოების ჩარევის შემდეგაც არ გადის. ამ ფონზე, ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობის შეცვლას ერთი კი არა, რამდენიმე წელი არ ეყოფა. რუსეთს ერთადერთ შემთხვევაში შემოვირიგებთ: თუ მას მუხლებში ჩავეუარდებით; დანარჩენი, რასაც რუსი თუ ადგილობრივი ის პოლიტიკოსები ამბობენ, უკაცრავად და, უაზრო ენის ტარტალია... 12 აგვისტოს მედვედოვი მის მიერვე აღიარებულ, ქართულ სეპარატისტულ რეგიონში ჩავიდა — ამით, იმის დემონსტრირება მოახდინა, რომ აფხაზეთისა და ენ. სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე ოპოზიციის შეცვლას არ აპირებს. მანამდე კი არაერთხელ განაცხადა: სანამ საქართველოს, სააკაშვილის ხელისუფლება ჰყავს, ამ ქვეყნის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება არ შეიცვლებაო. მაგრამ არც შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს გვექონდა კეთილშეობითი ურთიერთობა... თუმცა კიდევ ერთხელ ვიტყვი: თუ ომამდე პერიოდს გადავხედავთ, რუსეთის აგრესიის თავიდან ასაცილებლად, ჩვენს ხელისუფლებას უფრო ეფექტური პოლიტიკის განხორციელება შეეძლო და სეპარატისტებთან დაახლოების მეტი შანსი გვექონდა, მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, რუსეთი ომის დასაწყებად მიზეზს მაინც იპოვიდა. მასთან დაპირისპირების თავიდან აცილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებდით, თუ საქართველო ნატოში შესვლასა და ნავთობისა და გაზსადენების გატარებაზე იტყობდა უარს...

„გაბაზრებულნი“

თბილისის კოლორიტები

„განათლებული“ მოზარდი, ცაცია ყასაბი და ოპროსიდალოსანი „აღბინოსი“



ყველა ქალაქს სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა სფეროში ჰყოლია კოლორიტული სახეები და ამ მხრივ გამონაკლისი არც ბაზარი გახლდათ, ახლა კი, როცა ლამის მთელი ქვეყანა „გაბაზრებულნი“ და ვაჭრობასა და ალემბიცემობაში ძალა ყველამ — ნასწავლმა თუ უსწავლელმაც მოსინჯა, მით უმეტეს, იქ კოლორიტების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივიან. მართალია, თბილისის მცხოვრებთ უკვე ვერც პროფესორი ტაქსისტებთან და ვერც ხარისხდაცული ვაჭრებით გააკვირვებს ვინმე, მაგრამ ყველა უბანს მაინც ჰყავს თითო-ოროლა ისეთი „სახე“, ადგილობრვები სხვებისგან რომ გამოარჩევენ...

ლალი პაპასკირი

ვისაც ვაკის ბაზრობაზე გავლა ხშირად უნევს, აუცილებლად შეამჩნევდა 13-14 წლის, შავგვრემან, ენაკვიმატ მოზარდს, რომელიც „კოლეგებისგან“ ასაკითა და მოსწრებული სიტყვა-პასუხით გამოირჩევა. მყიდველი თუ გამყიდველი მას ათამდე სახელითა და გვარით იცნობს. სხვათა შორის, მეც ასე გამეცნო: ალექო ცუტქირიძე, გურამ შევარდნაძე, იონა

ლენოვან შტატად გადაიქცეს, ნუ გახდებით კუჭის მონები და ცოტა მეტი დრო დაუთმეთ წიგნის კითხვას, რამეთუ სიტყვა „განათლება“ სიტყვა „ნათელისგან“ იშვა და გონების ნათელი არის კითხვის შედეგი...“ რა თქმა უნდა, ამ ნაადრევად დაბრძენებული მოზარდის „გამოსვლის ტექსტს“ სრულად ვერ დავიმახსოვრებდი და ამიტომაც, ხმის ჩამწერი დიქციონერი ჩავრთე.

ფლებო მონას ემსგავსება. განათლებაში ჩადებული ინვესტიცია ყველაზე მომგებიანია, დამიჯერეთ...“ ამ პატარა „ორატორის“ ნიჭმა უამრავი ადამიანი გააოცა და შედეგმაც არ დააყოვნა — მოზარდმა ფუტკარავით შემოსულ მყიდველს გადაავლო თვალი, მერე კი მომიბოდიშა და კმაყოფილი სახით დაინყო სკოლის სახელმძღვანელოების, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის გაყიდვა. ვილაცამ გააბრაზა კიდეც, მაგრამ არაფერი შეიმჩნია: „რატომ ბრაზობთ ასეთი ლამაზი ქალბატონი? არაფრის დიდებით არ შემიძლია ფასის დაკლება, თორემ მაგაზე განყენებით? აი, ბაბუაჩემის მოწვეული კვახი რომ იყოს, სულ გაჩუქებდით, მაგრამ იმ ოხერმა ფაბრიკამ, ამ წიგნებს ფასიც კი მიაკრა და რა ჩემი ბრალია?!“

როგორც მივხვდი, საკმაოდ მძიმე სამუშაო დღე ჰქონდა. კლიენტები უკვე ცნობდნენ, მაგრამ სხვადასხვა სახელით მიმართავდნენ, რაზეც ბიჭს რეაქცია არ ჰქონდა, ყველას თავზიანად უღიმოდა და გონებაში სწრაფად გადაანგარიშებულ ხურდასაც ზუსტად უბრუნებდა. ბავშვი ღიმილით ემსახურებოდა კლიენტებს და მათ ზრდილობიანად მიმართავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის კიდევ ერთმა ქალბატონმა გააბრაზა და ბიჭმაც უსაყვედურა: „მაიცათ, ქალბატონო, რას იქაჩებით, ხურდას დაუბრუნებ და მოგცემთ წიგნს, საჭაპური ხომ არ არის, გაცივდეს“. ქალს გაელიმა და უსიტყვოდ დააბრუნა პრიალაყდიანი წიგნი, ბიჭმა კი მადლობის ნიშნად, თავზიანად გაუღიმა... როცა ხალხი შემოეცალა, შვებით ამოისუნთქა:

— „მორიგმა შემოსევამ“ მშვიდობიანად ჩაიარა... გაცდევინე, მაგრამ მთლად ჩემი ბრალიც არაა. ხომ იცი,

„მე თბილისის ყველა ქუჩა ვიცი“ და ისიც კარგად მომეხსენება, წიგნის ფასი რომელ უბანში იციან ან სად „მარიაჟობენ“ ჩხურის ბროლით

ცირამუა, გიორგი მაისურაძე... — და ეშმაკური ღიმილით დასძინა: — დანარჩენს მერე გეტყვი; იცოდე, ფართო საზოგადოებას ჩემს ნამდვილ სახელსა და გვარს მაშინ გაუთმეულ, როცა მიშა გადადგებო... ეს ბევრსახელიანი ბიჭი „დელისზე“, „ვაჟასა“ და ვაკის ბაზრობაზე სასკოლო ინვენტარს ყიდის. დიდი ტყვადობის გამჭვირვალე პარკში წიგნები, რვეულები, სახატავი ფურცლები და სხვადასხვა წვრილმანი უწყევია. ის გამვლელებს ორიგინალური ტექსტით მიმართავს: „ადამიანებო, ჩემო თანატოლებო, უფროსებო და უმცროსებო! XXI საუკუნეში, აზიისა და ევროპის გზის გასაყარზე, ქვეყანაში, სადაც 200 წელი რუსის ჩეჟმა „ბატონობდა“ და მაინც, მშობლიურ ენაზე ლაპარაკი არ შეწყვეტილა, სახელმწიფოში, რომელიც შესაძლოა, ამერიკის ერთ-ერთ ქართუ-

„ქუჩის პატარა ბრძენი“ — ასე უწოდებენ მას უფროსი „კოლეგები“. როლში შესული „განმანათლებლის“ გამოსვლას გამვლელები ღიმილით უსმენენ, მაგრამ ზოგიერთები უბრაზდებიან კიდეც. „მეუბნებიან, — თუ სწავლაზე ასე გიჟდები, ნადი და გაკვეთილებს დაესწარი, გამომივიდა აქ წერა-კითხვის გამავრცელებელი... ჩემი მშობლები „ენეოლითის ხანის“ ადამიანები არიან. მათთვის მთავარია ფული, სხვა დანარჩენი კი უმნიშვნელოა. პატივცემულო საზოგადოება, ნუ დამსგავსებით მათ, რამეთუ ამ შემთხვევაში, თქვენს შვილებს ჩემი ბედის გაზიარება მოუწევთ. ქუჩაში მდგარი და სხვისი ხელის შემყურე ადამიანი ცოდოა, რადგან მას საკუთარი სიამაყის, თავმოყვარეობის, პრინციპებისა და სხვა ადამიანური თვისებების მოთოკვა უნევს და უუ-

დრო ფულია... ალბათ, 6-7 წლის ვიქნებოდი, როცა ბაზარში პირველად გამოვედი. ჩემს სადარბაზოში ერთი მარტოხელა პროფესორი ცხოვრობდა, რომელსაც ისე გაუჭირდა, რომ ერთ დროს სხვადასხვა ქვეყნიდან ლამის დანაშაულის ფასად ჩამოტანილ წიგნებს „კაპიკებში“ ყიდდა. ცოლი მოუკვდა, ქალიშვილი კი ინგლისელზე გათხოვდა და როცა ქართველ რძალს ქმრის ოჯახში მოხუცი მამის პატრონობის საკითხი დაუყენებია, პრაგმატიკოს მუხლეს მისთვის აუღელვებლად უთქვამს: კი, ბატონო, ჩამოიყვანე, მე კი მანამდე მოხუცთა თავმჯდომარის ხელმძღვანელობას მოველაპარაკებო... მოკლედ, ის კაცი ლონდონში არ წავიდა, — იქ თავშესაფა-

ით, წიგნებს ისეთი ოჯახებისგან ვყიდულობდი, რომელთაც ლამის, ჩემზე მეტად უჭირდათ. ტრანსპორტის ფული, რა თქმა უნდა, არ მქონდა და ამიტომაც, გზადაგზა ვისვენებდი — ხან ბაღში, ხანაც — პარკში. თან, წიგნებს იქვე ვყიდდი. იმ ცნობილი სიმღერისა არ იყოს, „მე თბილისის ყველა ქუჩა ვიცი“ და ისიც კარგად მომეხსენება, წიგნის ფასი რომელ უბანში იცინა ან სად „მარიაჟობენ“ ჩესური ბროლით. ჩემი სამუშაო დილის 6 საათზე იწყება და მთელი დღე ფეხით დავდივარ. არ დაიჯერებთ, მაგრამ წლებია, ტრანსპორტში არ ვმჯდარვარ, ჩემი „პეშკომობილი“ ყველაზე სწრაფმავალია... როცა ჩუმი ვიყავი და ჩემთვის ვიდექი, იმის ნახ-

ლოდ თეთრწვერა და ცისფერთვალე-ბა მოხუცმა მიიქცია. ის „ალბინოსად“ გამეცნო და სასაუბროდ მოემზადა.

— 73 წლის კაცი ვარ. მეც ამ პატარა ბიჭის ასაკის ვიყავი, როცა ქუჩაში პირველად გავედი, მაგრამ მაშინ, ეს დამამცირებელი სულაც არ იყო, პირიქით — ბებიამეც ეამაყებოდა, ფოსტალიონი შვილიშვილი რომ ჰყავდა... სკოლაში სასიარულოდ თითქმის ვერ ვიცლიდი და წერაკითხვა ქუჩაში ვისწავლე. მიუხედავად ამისა, საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე და უნივერსიტეტშიც ჩავაბარე, პარალელურად კი, რა თქმა უნდა, ვმუშაობდი. ოჯახში მხოლოდ მე და ბებია ვცხოვრობდით (დედ-მამა გადასახლებაში მოყვენი) და ჭამა ხომ გვინდოდა?! მაშინ წამყვანი გაზეთები „კომუნისტი“, „სოფლის ცხოვრება“, „ნოღრი ლენინელი“, „დილა“, „ცისკარი“ იყო და მათ მეც აქტიურად ვკითხულობდი. არ დაიჯერებთ, მაგრამ ჩემს სარდაფში მაშინდელი გამოცემების ყველა ეგზემპლარი ინახება, უმეტესობა კი ჩრჩილისგანაა შეჭმული... უამრავი დროული თუ დაგვიანებული წერილი მიმიტანია ადრესატამდე. ერთი ამბავი მინდა მოგიყვით: ვილაც ქალს, 11 მსოფლიო ომის დროს დაპარტული შეყვარებული, ოჯახის დანგრევის ფასად „დავუბრუნე“. ქალმა საქმროს უცადა, უცადა და რადგანაც ის აღარ დაბრუნდა, გათხოვდა. უკვე შვილიშვილები ჰყავდა, როცა ძველი შეყვარებულის წერილი მიიღო. თურმე, ის კაცი საკონცენტრაციო ბანაკში ჰყოლიათ და იქიდან მიუხეხეში წასულა საცხოვრებლად... მოკლედ, ქმარს მეორე დღესვე გაშორდა. ის საცოდავი კაცი ლამის გადაირია და კარგა ხანს დამდეგდა მოსაკლავად, — შენ დამინგრეე ოჯახიო! აბა, მე საიდან უნდა მცოდნოდა, რა ეწერა იმ წერილში?..

როცა ჩემი სახლი დავათვალიერებინე, ცოლობაზე უარი მითხრა, — პარასკევა კი არა ვარ, ტყეში ვიცხოვროო...

რში ცხოვრებას მიჩვევინა, ჩემს სამშობლოში, ჩემს ლოგინში უპატრონოდ ამომხდეს სულიო. ცოტა ხანში ისე გაუჭირდა, რომ საკუთარ ბიბლიოთეკას მიადგა და თქვა: მე შვილისთვის გავისარჯე; თუკი მას არ სჭირდება, აბა, რა ჯანდაბად მინდაო?!. ის ძალიან მოხუცი გახლდათ, წიგნების ტარება უჭირდა და ამ საქმეში მე ვეხმარებოდი. წიგნების ჩანთა მძიმე კი იყო, მაგრამ პროფესორი გზადაგზა ისეთ საინტერესო ამბებს მიყვებოდა, რომ „მშრალ ხილამდე“ დრო ძალიან სწრაფად გადიოდა. მას შემდეგ, რაც ბუკინისტად ქცეულ პროფესორს დანიშნულ ადგილამდე მივაცილებდი, სკოლაში გავრბოდი. გაკვეთილებზე ხშირად მაგვიანდებოდა და ამიტომაც, მასწავლებლების დაუსრულებელი საყვედურის მოსმენა მიწევდა... სკოლიდან ისევ „მშრალ ხილზე“, პროფესორთან ვბრუნდებოდი და გაუყიდავი წიგნები უკან მომქონდა. ასე გაგრძელდა მე-6 კლასამდე, მერე კი ჩემი პროფესორი გარდაიცვალა. ერთადერთი, რაც შემეძლო, წიგნების გაყიდვა იყო და მეც ამ საქმეს მოვკიდე ხელი. თავიდან კარდაკარ დავდიოდი და ჩემი მწირი დანაზოგ-

ევარიც არ მეყიდებოდა, რასაც ახლა ვყიდი. მოგვიანებით მიხვდი, რომ რეკლამა იყო საჭირო და „გენიალური აზრების“ ფრქვევაც დავიწყე. ლაპარაკი დარდასაც მიმსუბუქებს და ამის წყალობით შემოსავალიც მეტი მაქვს. როცა მრავალსახელიანი „ორატორი“ თავის ამბავს მიყვებოდა, სხვა მოვაჭრეებიც ინტერესით გვისმენდნენ. „ესენი სულ კოლორიტები არიან და თავის საქმის პროფესორები“, — მითხრა ჩემმა რესპონდენტმა, რომელიც გამომემშვიდობა და გამვლელებს წიგნის ყიდვა შესთავაზა.

ამჯერად, ჩემი ყურადღება ოთახის მცენარეების გამყიდველმა, უჩვეუ-



თბილისის მცხოვრებთ უკვე ვერც პროფესორი გაქსისგებითა და ვერც ხარისხდაცული ვაჭრებით გააკვირვებს ვინმე

— ბარათი მშობლე ბისგან არ მიგილიათ?

— კი, მაგრამ წავიკითხე თუ არა, მაშინვე დავხიე, რათა ბებიას არ წავეკითხა. ვიცოდი, ქოთქოს ატეხდა და მისი უკმაყოფილება „ზედა ინსტანციამდე“ რომ მიეტანა ვინმეს, მეც მშობლების გზას გამიყენებდნენ... როცა ფოსტალიონის პროფესია აღარავის არაფერში სჭირდებოდა, მდიდარი ოჯახებიდან დამტვერილი ხალხები გასარეცხად მიმქონდა. მათ დავახვევდი, ჩემს ძველ, ფოსტალიონობის დროინდელ ველოსი-



ქართველი ჯულიას მოსკოური თავბადასავალი

გენსინების სახელობის მუსიკალურმა აკადემიამ მიიქცია, რაც გონებაში სერიოზულად ჩამრჩა. მერე ოცნებად გადამეცა, რომ იმ სასწავლებელში ჩამებარებინა და მესწავლა. თუმცა იმის ილუზია არავის ჰქონდა, რომ იქ ოდესმე ვისწავლიდი, რადგანაც ჩაბარება ძალიან რთული იყო.

ჩვენს კონსერვატორიაში არ გინდოდა სწავლის გაგრძელება?

— როგორ არა?! მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალური ათწლედი საფორტეპიანო განხრით მაქვს დამთავრებული, პარალელურად კონსერვატორიაში სავოკალო ფაკულტეტისთვის ვემზადებოდი. მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩემი ოცნება მოულოდნელად ახდა — გენსინების აკადემიაში ჩავაბარე და საცხოვრებლად მოსკოვში გადავედი. სულ მალე, სამ-ოთხ თვეში, კასტინგი გამოცხადდა და ასე მოხვედრი ალექსანდრე ბასილიას მიუზიკლში — „ჩიკვთა ქორნილი“, რომელიც წელიწადნახევრის განმავლობაში (2002-2003 წლებში) ანშლაგებით, სამიათასკაციან, ძალიან ლამაზ დარბაზში (მოსკოვის ცირკი) მიმდინარეობდა. ლამაზი მოუ გავხდით, ყინულის მოედნითა და თოვლის ეფექტით...

რომელსაც მიუზიკლი „რომეო და ჯულიეტა“ მოჰყვა, არა?

— კი, შემდეგ იყო მიუზიკლი — „რომეო და ჯულიეტა“, ის ფრანგებმა დადგეს. ავტორი ძალიან ცნობილი რეჟისორი და ქორეოგრაფი გახლავთ (სელინ დიონის კლიპების ავტორი, მუშაობდა ელტონ ჯონთან). მასთან კასტინგის გავლის შემდეგ პროექტში ამიყვანეს.

— მარტო სიმღერა ალბათ არ

„მასინ - ზოგ ღა ახლა მარტოა შეყვარებული ზარ...“

ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის პატივსაცემად გამართულ კონცერტში, რომელიც პრეზიდენტის რეზიდენციაში გაიმართა, მომღერალი სოფო ნიშარაძემ მონაწილეობა. მან მაცურებლის ყურადღება სცენაზე გამოსვლისთანავე მიიქცია. ის ქართველი საზოგადოებისთვის მაინც ნაკლებად ცნობილი მომღერალია, რადგანაც კარერა მოსკოვში აქვს დაწყებული და შექმნილი... ამ ინტერვიუთი ვეცადე, ის „გზის“ მკითხველისთვის ახლოს გამეცნო.

ლალი შაშია

— როგორც დედა მეუბნება, სანამ ლაპარაკს დავიწყებდი, თურმე უკვე ვმღეროდი... სიმღერის მასწავლებელთან კი, 3 წლის ასაკში მიმიყვანეს. ჩემმა სახელმა და გვარმა საჯაროდ მაშინ გაიჟღერა, როდესაც ეკრანებზე ფილმი — „ივნანამ რა ჰქმნა?“ გამოვიდა. მასში ცნობილი „ალილო“ თამრიკო ჭოხონელიძესთან ერთად შევასრულე. პრემიერის დღეც მახსოვს (7 წლის ვიყავი), უზომოდ გახარებული გახლდით, რადგანაც ჩემი სახელი და გვარი ფილმის ტიტრებში ამოვიკითხე... ბავშვობაში „ბასტი-ბუბუს“ სტუდიაშიც დავდიოდი. იყო კონცერტები, გასტროლები... მაგრამ ჩემს იმდროინდელ სერიოზულ ნაბიჯად იტალიაში, ფესტივალ — „ბრავო, ბრავისი-მოში“ მონაწილეობას მივიჩნევი.

იქ როგორ მოხვდი?

— 10 წლის ვიყავი, როდესაც საქართველოში კლავდიო ბანდერა ჩამოვიდა და კონკურსი ჩაატარა. მან ამირჩია და იტალიაში, „მინილასკალაში“ („კონციელის თეატრი“) წამიყვანა, რასაც იტალიაში 5-წლიანი კონტრაქტი მოჰყვა. იმ პერიოდში ასევე მოხვედრი რუსეთის დედაქალაქში, მოსკოვის 850 წლისთავთან დაკავშირებულ გრანდიოზულ ფესტივალზე, რომელშიც უცხოეთის ცნობილი ვარსკვლავებიც მონაწილეობდნენ. მოსკოვში ყოფნისას, რატომღაც, ჩემი ყურადღება

პედზე შემოვდები და ჰაიდა, სამრეცხაოში. მერე ყოველ ნაბიჯზე გახსნეს სამრეცხაო და ეს საქმეც „ჩამივარდა“. ბებიამეს სახლში პატარა „მწვანე ოთახი“ ჰქონდა მოწყობილი, სადაც ყველანაირი მცენარეს ახარებდა — კაქტუსს, ალოეს, ჩინურ ვარდს და ა.შ. ვეზუმრებოდი: ბებო, შენ ისეთი მაგარი ხარ, სადმე კანაფიც გექნება დათესილი-მეთქი. ამას ჩუმად ვეუბნებოდი, თორემ ხმამალა რომ მეთქვა და ამისთვის ვინმეს ყური მოეკრა, გაგვაციობირებდნენ... სიკვდილის წინ მთხოვა: — სახლში ისეთი ქალი მოიყვანე, რომელიც ყვავილებს მიხედავსო.

შეუსრულეთ თხოვნა?

— ცოლი არ მომიყვანია, ყვავილების მოვლა კი თავად დავიწყე. რამდენჯერმე მქონდა ქალის შერთვის მცდელობა, მაგრამ ვერაფერს გავხადი. ერთხელ გოგონას ბებიამემის ანდერძის შინაარსი გავაცანი და მერე, როცა ჩემი სახლი დავათვალიერებინე, ცოლობაზე უარი მითხრა, — პარასკევა კი არა ვარ, ტყეში ვიცხოვრო... ახლა უკვე, მათი მოვლის თავი აღარ მაქვს და ისლა დამრჩენია, გავყიდო.

ჩემი მესამე რესპონდენტი წინა ორისგან იმით განსხვავდება, რომ სამჯერ გახდა დევენილი. 50 წელს მიღწეული ცალხელა ზურაბი წარმოშობით აფხაზეთიდანაა. დევენილობის დროს რუსეთში წავიდა, მაგრამ მანამდე, აფხაზეთმა მარჯვენა ხელი „წართვეს“. ახლა ამბობს, რომ ცაცია ყასაბია და მთელი მისი ავლადიდება ერთი ბასრპირიანი ფიწური დანაა.

— ამ დანის გამო აფხაზეთმა დასახვრეტად გამიყვანეს. სახლში სისხლიანი თეთრი ხალათი მიპოვეს და ისინი ვერაფრით დავაჯერე, რომ საქონლის სისხლი იყო... მერე ის ხალათი გადავაგდე, მაგრამ დანა მიპოვეს. ეს ცივი იარაღი გადასაგდებად ვეღარ გავიმეღე და აფხაზის ეზოში დავმალე. იმ დღეს ჩემს სახლში ჩეჩნები და აფხაზები შემოვიყვანდნენ და დამალული ოქროს ძიებაში (რომელიც საერთოდ არ მქონდა) ჭუჭყიანი, სისხლიანი წინსაფარი იპოვეს. მომიკიდეს ხელი და სხვებთან ერთად მეც დრანდაში წამიყვანეს, უნდა დაგხვრიტოთო. მერე ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ, ურთიერთს „დასცხეს“, სროლა ატყეს, ჩვენ კი დავავიწყდით. ამ სროლისას დავიჭერი. მართალია, ისეთი არაფერი მჭირდა, მაგრამ ვიდრე უახლოეს მედაუნქტამდე მივალნი, მარჯვენა ხელი მოსაჭრელი გამიხდა. ჰოდა, ასე გავხდი ცაცია ყასაბი, მაგრამ მერნმუნეთ, ჩემს საქმეს ზოგიერთ ექიმზე უკეთ ვაკეთებ და მათგან განსხვავებით, საქონელს ჯერ კვლავ და მერე ვატყავებ...

არის საკმარისი. მიუზიკლისთვის სამსახიობო განათლება არ იყო საჭირო, რომ გეთამაშა?

— მუსიკალური აკადემია რომ დავამთავრე, მერე სამსახიობო-სარეჟისორო ფაკულტეტზე, თეატრალურ ინსტიტუტში (გიტისი) ჩავაბარე და იქ სწავლის პარალელურად, სპექტაკლებშიც ვმონაწილეობდი. ვთამაშობდი ასევე მიუზიკლში — „ნოტრ-დამ დე პარი“...

— **ჯულიეტას როლი რომ ითამაშე, ცხოვრებაშიც შეყვარებული იყავი?**

— არა. ჩემი რეჟისორი სულ იმას მეუბნებოდა: წარმოიდგინე, რომ გიყვარს, რომ ცოლი ხარ... მეც სულ ასე, წარმოსახვით ვთამაშობდი, მაგრამ მთლად წარმოსახვაც არ ყოფილა, მსახიობი ვარ და თამაში ჩემი პროფესიაა. როცა ხასიათზე არ ხარ, მაშინაც კი უნდა ითამაშო, მაყურებელი დააჯერო... მართლაც, მე და ჩემმა პარტნიორმა ისე დავაჯერეთ ხალხი, რომ ბევრს ეგონა, ჩემსა და რომეოს როლის შემსრულებელს შორის რაღაც გრძნობა იყო.

ბობენ, ჩვენ სხვა სფეროს წარმოვადგენთ და პოლიტიკა არ გვინტერესებს, ხოლო ქართველი ხალხი ძვირფასია ჩვენთვისო. მაგრამ მაინც არის რაღაც უხილავი, ერთი უთქმელი, რაც გამუხრუჭებს... ისე კომფორტულად, როგორც ადრე, ვეღარ ვიგრძენი თავი და რუსეთი დავტოვე.

— **გადაადგილებასთან დაკავშირებით პრობლემები არ გქონია?**

— იყო გარკვეული პრობლემები. მე ხომ საქართველოს მოქალაქე ვარ. მაგალითად, დასთან ერთად, მატარებლით საგასტროლოდ რომ მივემგზავრებოდი, რუსეთ-უკრაინის საზღვარზე, მთელი დასიდან (მასში 35 წევრია) პირველი მე შემამონმეს. ყველა ვაგონში აკაკუნებდნენ და მეძებდნენ, — სად არის ის ქართველიო? დასის წევრები ეუბნებოდნენ, სოფია ჩვენი ჯულიეტაა, მთავარი როლის შემსრულებელიო. — რა ვქნათ, უნდა, შევამონმოთ, ასეთი დავალება გვაქვსო, — პასუხობდნენ ისინი.

— **გული არ გწყდება, რომ მოსკოვში აწყობილი კარიერა დატოვე და აქ ჩამოსვდი?**

— კი, ჩემი კარიერის მანძილზე და წამოსვლის წინაც ბევრი შემოთავაზება მქონდა — უნდა მეთამაშა მატა ჰარის როლი, მონაწილეობა მიმელო მიუზიკლში — „კაბარე“, ასევე მიწვევდნენ მთავარ როლზე კინოშიც, ერთ-ერთი ძალიან ცნობილი ამერიკული სერიალის რუსულ ვერსიაში. ყველაფერზე უარი ვთქვი, დავტოვე იქაურობა და წამოვედი.

— **აღარ დაბრუნდები მოსკოვში?**

— არაფერია გამორიცხული. არ ვიცი, მომავალში რა მოხდება, მაგრამ შარშან საქართველოში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ

ჯობდა, ჩემს ქვეყანაში ვყოფილიყავი. ცოტა ხნის წინ დასთან ერთად, გასტროლი უკრაინაში მქონდა... მიუხედავად ყველაფრისა, მოსკოვი ძალიან მიყვარს. ფაქტობრივად, იქ გავიზარდე და ჩამოყვალბიდი (15 წლის ასაკიდან უკვე იქ ვიყავი). მოსკოვში სხვანაირი ცხოვრების რიტმი მქონდა, სულ განამანიაში გახლდით, მუდმივად სადღაც გავრბოდი.

— **მარტო ცხოვრობდი?**

— მარტო არავინ მტოვებდა, ხან დედა იყო ჩემთან და ხან — ბებიას; მორიგეობით ჩამოდიოდნენ. თუმცა ჩემს საქმეში კი მართლაც ყოველთვის მარტო ვიყავი.

— **როგორც ჩანს, დამოუკიდებელი ადამიანი ხარ.**

— კი, თვითონ ვწყვეტ ჩემს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რასაკვირველია, დედისგანაც ვიღებ რჩევებს; მოკლედ, ჩემთვის მოსკოვში ცხოვრება რთული არ ყოფილა, ძალიან მალე მივეჩვიე იქაურობას. ალბათ იმიტომაც, რომ ჩასვლისთანავე დავკავდი საქმით.

— **როგორც მახსოვს, იურმალის კონკურსშიც მონაწილეობდი, არა?**

— კი, 2005 წელს.

— **როგორ გაიხსენებ იმ პერიოდს?**

— ძალიან ცუდად.

— **რატომ?**

— იქ ყველას თავისი პროტექტე ჰყავდა. ამ თემაზე დიდხანს არ ვლაპარაკობდი და მგონი, თქვენ პირველი უურნალისტი ხართ, ვისთანაც ამას ვამბობ. თავიდანვე იგრძნობოდა, რომ თავიანთ მომღერლებს „იქ-ჩავდნენ“. გულდასაწყვეტი იყო, რომ იქ საქართველოს სახელით ვერ გამოვედი. ამაზე თვითონ საქართველომ თქვა უარი. შეიძლება, არ მიცნობდნენ და ამიტომ. მაგრამ ჩემმა პროდიუსერმა მაინც გადაწყვიტა, რომ კონკურსში მიმელო მონაწილეობა და რუსეთის სახელით გამოსვლა მირჩია. ასეც მოვიქცი. მაშინ ისეთი დაძაბული ურთიერთობა არ გვექონდა რუსეთთან. დავთანხმდი, მაგრამ რასაკვირველია, გული კი დამწყდა, რომ იურმალაში ჩემი ქვეყანა ვერ წარვადგინე. ისე, სულაც არ მიმაჩნდა, რომ პრესტიჟული კონკურსი იყო და იქ გამოსვლა ჩემს კარიერაში რაღაცას შეცვლიდა.

— **ცოტა ხნის წინ ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ — ჯო ბაიდენის პატივსაცემად გამართულ კონცერტზე (პრეზიდენტის რეზიდენციაში) ვინ მიგონვია?**

— ორგანიზატორებმა. მათი სურვილი იყო, რომ მეც მემღერა, რასაც სიამოვნებით დავთანხმდი. ჩემთვის ეს დიდი პატივი იყო.

— **კონცერტის შემდეგ ბაიდენი მონაწილეებს შეხვდა, მათ შორის შენც; რა გითხრა ბაიდენმა?**

— კი, მოვიდა, მაგრამ ისეთი აფიტირებული ვიყავი, რა მელაპარაკა, კარგად არც მახსოვს. ყველა მონაწილეს დიდი მადლობა გადავვიხადა. არც გამიგია, თურმე უთქვამს, პრემიერ-მინისტრი თქვენით მოიხიბლაო. ეს მერე მითხრეს.

— **საიდან გაიგო მან ეს?**

— რა ვიცი, ეტყობა, შეამჩნია (იცინის).

— **მართლა მოსწონხარ პრემიერ-მინისტრს?**

— არ ვიცი.

— **არ იცნობ?**

— ვიცნობ. ნანახი რამდენჯერმე მყავს. კიდევ ერთ-ერთ სამთავრობო ღონისძიებაზე ვმღეროდი, ოლონდ მაშინ ნიკა ფინანსთა მინისტრი იყო და იქ გავიცანი. მას მერე დიდი ხანი არ მენახა და თვალი ამ ბოლო კონცერტზე მოვკარი.

— **ბაიდენის ვიზიტის შემდეგ არ შეგხმანებია?**

— არა.

— **რომ შეგხმანოს?**

— ალბათ შემხმანება (იცინის).

— **მოდე, შეაფასე პატონი ნიკა გილაური...**

— როგორც ვიცი, კარგი ადამიანია. აქვს იუმორის გრძნობა, რასაც მამაკაცში დიდად ვაფასებ. ამასთან, არის უშუალოც... მეტი რა უნდა გითხრათ, არც ვიცი.



სენა მიუზიკლიდან „რომეო და ჯულიეტა“

ამ ჭორის შესახებ დაინერა კიდევ. თუმცა ეს ჭორი დიდ კომპლიმენტად მივიჩნიე: ესე იგი, როლები ორივემ კარგად შევასრულეთ. მერე იყო სპექტაკლი — „ჰელიო, დოლი“. არავის წარმოედგინა, რომ დრამატული სპექტაკლის შემდეგ კომედიაში თამაშს შევძლებდი. იქ სულ სხვანაირი ხასიათის პერსონაჟი შევექმენი. თეატრს საოცარი მუხტი აქვს და ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია.

— **როგორც ვიცი, გამოშვებული გაქვს სოლო ალბომიც...**

— კი, მაგრამ მისი გამოშვება გასული წლის ომს დაემთხვა. ამიტომ მისი ისეთი პოპულარიზაცია, როგორც დაგეგმილი იყო, ვეღარ მოხერხდა. თან ისე მოხდა, რომ ომის დროს გასტროლები (მთელი რუსეთის მასშტაბით) მქონდა, მაგრამ ყველაფერი შევწყვიტე და საქართველოში ჩამოვედი.

— **რუსებმა შეგიქმნეს პირობა, რომ წამოსულიყავი?**

— არა, ჩემი კოლეგები სულ იმას ამ-



მომავალ გემებზე ლაპარაკი წინასწარ არ მიყვარს

— აქამდე უცოლო რატომ არის, ამაზე არ გიფიქრებ?

— ალბათ დაკავებულია და ოჯახის შესაქმნელად ვერ იცლის.

— ისე, როგორი მამაკაცები იქცევენ შენს ყურადღებას?

— ადამიანი რომ მომეწონოს, უშუალო, კონტაქტური და „კომფორტული“ უნდა იყოს. იუმორის გრძნობაც უნდა ჰქონდეს და მასთან კარგად უნდა ვგრძნობდე თავს. ჩემი მეგობრებიც ასეთები არიან.

— მთავრობის სხვა წევრებიდან კიდევ ვის იცნობ?

— არავის.

— არც პრეზიდენტ სააკაშვილს? ის, როგორც მასსოვს, შენი ნამღერით აღფრთოვანდა. ფეხზე წამოდგა და ტაშს გიკრავდა...

— ოფიციალური ვიზიტებისთვის გამართულ კონცერტებზე როცა გამოვსულვარ (გუამის სამიტზე, კონდოლიზა რაისის ვიზიტისას), სადაც მინვევით ვყოფილვარ, პრეზიდენტს მხოლოდ მაშინ შევხვედრივარ. ყოველთვის ტაშს მიკრავს ხოლმე.

— სოფო, საერთოდ, როგორი ცხოვრების სტილი გაქვს?

— მთელი ბავშვობა ვსწავლობდი და ერთი წამიც კი არ მქონია თავისუფალი. წამოვიზარდე და ახლაც ასეა, სულ საქმეში ვარ. მაგრამ რაც უნდა დალილი ვიყო და კონცერტზე მომიწიოს გამოსვლამ, მაყურებლის დადებით მუხტს როგორც კი შევიგრძნობ, მაშინვე ყველაფერი მავიწყდება; დალილობა მესხნება. ამასთან, მხოლოდ თეატრის სცენაზე არ გამოვდივარ, კლუბებშიც მაქვს ხოლმე კონცერტები. ასეთი დაძაბული მუშაობისა და გრაფიკის შემდეგ პასიური დასვენება მიყვარს, წყნარ, მშვიდ გარემოში. აქტიური ცხოვრება კი ჩემი პროფესიაა!

— ქართულ შოუბიზნესში როგორ წარმოგიდგენია შენი თავი?

— ძალიან რთულად, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ყველაფერი დალაგდება. მძიმე პერიოდი გამოვიარეთ. არ მინდა, პოლიტიკაზე გაცხადება გამოვივიდე, მაგრამ ვატყობ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ქვეყანა წინ მიიწევს. დიდი სურვილი მაქვს, რომ მსოფლიომ საქართველო, ყველაფერთან ერთად, კულტურული მიღწევებითაც გაიცნოს; ჩვენთან ამის დიდი პოტენციალი არსებობს. მიმაჩნია, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას კულტურა ჩვენი სავიზიტო ბარათია. თუ ქვეყანა წინ წავა, შოუბიზნესიც ამოქმედდება. ყველაფერი ეტაპობრივად უნდა მოხდეს. ამისთვის ყველამ ერთად უნდა იაქტიურდეს. ჩემს მეგობრებს — დათო დოიანიშვილსა და ნიკა მემანიშვილს მართლა შეუძლიათ საქმის კეთება და უნდათ, რომ ერთად რაღაც გრანდიოზული პროექტი გადაკეთდეს. ისეთი, როგორც, ვთქვამთ, „რომეო და ჯულიეტა“, რომელიც საფრანგეთში გაკეთდა და მერე ის თითქმის ყველა ქვეყანაში იყიდა, თავიანთი ვერსია შექმნეს. უკვე გარკვეული მონახაზები და ჩანაფიქრები გვაქვს. დანარჩენი — მომავლის საქმეა. ასევე მაქვს მინვევები სხვადასხვა ქვეყნიდან, მაგრამ ჯერჯერობით თავს ვიკავებ.

— რატომ?

— არ ვიცი, პრინციპში, ყველაფერი შეიძლება, ერთად მოხდეს. როგორც გითხარი, რაც აქ ვარ, გასტროლებზე წმირად დავდივარ. ვიყავი დასთან ერთად — უკრაინაში, ლონდონში, ბელორუსიაში... ბევრგან. რაღაც ახალი სიმღერებიც მაქვს. თვითონაც ვწერ მუსიკას და ტექსტებს. არის ახალი პროექტები, თუმცა მომავალ გემებზე ლაპარაკი წინასწარ არ მიყვარს.

— შეყვარებული არ ხარ?

— ვარ (იცინის)...

— ვინ გიყვარს?

— მაგას როგორ ვიტყვი (იცინის)?..

— გათხოვებას ხომ არ აპირებ?

— ჯერ არა. არ მეჩქარება, ბევრი რამ მაქვს ჩემს კარიერაში გასაკეთებელი. ტრანსში არ ჩამომართვათ, მაგრამ მიზანდასახული ადამიანი ვარ და ბევრს ვთხოვ საკუთარ თავს. მაგალითად, არ ვიცოდი ყინულზე სრიალი და როცა სპექტაკლისთვის დამჭირდა, სამ დღეში, დიდი ტანჯვის მერე, დავდექი ციგურებზე...

— სხვების მიმართაც მომთხოვნი ხარ?

— როგორც მეგობრები მეუბნებიან, ვარ „კომფორტული“ ადამიანი, ჩემი პერსონით არავის ვანუხებ...

— ისე, როგორები არიან რუსები?

— მოსკოვში ცხოვრების გიჟური რიტმი. არავის აინტერესებს სხვა ადამიანი, ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. შეიძლება, ქუჩაში ვიღაც სწრაფი ნაბიჯებით მოდიოდეს, დაგეჯახოს, ნაგაქციოს და უკანმოუხედავად გაიაროს. დედაჩემმა იმ კორპუსში, სადაც ვცხოვრობდით, ყველა გაიცნო, უცნაური კი ის იყო, რომ მეზობლები ერთმანეთს არ იცნობდნენ...

— სოფო, პრანჭია ხარ?

— კი, ვიპრანჭები და ვეპრანჭები ყველას — დიდს, პატარას, ქალს, კაცს... ისე, ალბათ უფრო თავმოწმონე ვარ, ვიდრე პრანჭია... ერთხელ, თეატრიდან გამოვედი და მალაზიაში გადავირბინე. მეორე დღეს ინტერნეტი აჭრელდა: როგორ არ რცხვენია სოფიას, რა ფორმაში იყო მალაზიაში? წარმოგიდგენიათ, ჯულიეტას თმა აწენილი ჰქონდა და არც მაკიაჟი ესვაო! არადა, მალაზიაში რაღაცის საყიდლად, ზუსტად ორი წუთით შევირბინე. მას მერე პურზეც კი არ მივიღვივარ ისე, ფორმაში რომ არ ვიყო...

— საპატარძლო სოფო და მომავალი დიასახლისი საკუთარ კულინარიულ შესაძლებლობებზე რას გვეტყვი?

— კარგი კულინარი არ ვარ. უბრალოდ, დრო არ მაქვს ამისთვის. ისე, თუ მოვიხდომე, ეგ საქმიანობაც გამომივა, რადგანაც კარგი ხელი მაქვს. ბავშვობიდან ვყვარებ და ვქარგავ. იმდენი რამ მაქვს ჩემი ხელით გადაკეთებული და საკუთარ ტანზე მორგებული, რომ ვერც კი წარმოიდგენთ. ტანსაცმელს ვყიდულობ და მერე მას სულ სხვაგვარად გარდავქმნი. ჩემი გარდერობიდან ბევრ სამოსს დიდი მონონება დაუმსახურებია. ხშირად არც ვამხელ, რომ ჩემი გადაკეთებულია. ისე, რომ არ მოვიტყუო, სერიოზული კერძებიც მომიზადებია და კიდევ მიდიასახლისია. მაგალითად, დედა დიდი ხნის განმალობაში არ ყოფილა ჩემთან და რომ ჩამოსულა, სახლი დალაგებული დამიხვედრებია. მიყვარს სისუფთავე.

— ვფიქრობ, ასეთი საპატარძლო, ბატონმა ნიკა გილაურმა ხელიდან წამდვილად, არ უნდა გაუშვას.

— (იცინის)...



ვიპრანჭები და ვეპრანჭები ყველას...

„იტალიაში ასეთი წასაბია“ ანუ ბიზნესმენები პოლიტიკოსების გართობაში ქალაქს ფულს უხდინან

ყოფილმა „გოგონამ გამოქაბებით“, პატრიცია დადარიომ იტალიის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის წყალობით, ევროპარლამენტის დეპუტატობის კანდიდატობასაც მიაღწია, მაგრამ მოგვიანებით, მასთან გატარებული ღამის ყველა ინტიმური დეტალიც გამოაშუქურა.

42 წლის მარტოხელა დედა, პატრიცია დადარიო თავს იმ „სისტემის“ ნაწილად აღიქვამს, სადაც ბიზნესმენები პოლიტიკოსების გართობაში ქალაქს ფულს უხდინან. „იტალიაში ასეთი სისტემა და ასეთი წესებია“, — ამბობს ის.

პატრიცია ირწმუნება, რომ მომხდარი მხოლოდ თავდაცვის მიზნით გამოაშუქარავა. „ბიზნესმენები პოლიტიკოსების მოხიბვლას მთხოვდნენ“, — განუცხადა მან ჟურნალისტებს, ხოლო კითხვაზე —



მიეკუთვნებოდნენ თუ არა მისი კლიენტები პოლიტიკური სპექტრის მემარცხენე ან მემარჯვენე ნაწილს? — განურჩევლადო, — უპასუხა.

ბერლუსკონის მემარჯვენე-ცენტრისტული კოალიციის პოზიციების გვარიანად შემრყევი ეს ფართომასშტაბიანი სკანდალი შეიძლება, საერთოდაც არ აგორებულყო, რომ არა გასული წლის 4 ნოემბერს, ამერიკის პრეზიდენტის არჩევნების ღამეს, სარდინიაზე მდებარე ბერლუსკონის ვილაში გამართული წვეულება, სადაც დადარიომ იტალიის მთავრობის მეტაურთან საუბრის აუდიოჩანაწერის გაკეთება მობილური ტელეფონით მოახერხა. თუმცა, ამ აუდიოჩანაწერის გამოქვეყნებას ბოლო წუთამდე აყოვნებდა და პრესისთვის მის გადაცემაზე 18 მაისს, მისი

ბინის გაძარცვისა და ბერლუსკონისთან დაკავშირებული ბევრი ნივთის გაქრობის შემდეგაც კი უარს ამბობდა.

ადრე დადარიოს ევროპარლამენტის არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატის სტატუსი ჩამოართვეს, მოგვიანებით კი იგივე განმეორდა მუნიციპალურ არჩევნებზეც, სადაც ის მემარჯვენე კოალიციაში შემავალი პარტიული სიით გადიოდა. პოლიტიკაში დადარიომ მისი მშობლიური ქალაქიდან წამოსული ბიზნესმენის — ჯამპაოლო ტარანტინის წყალობით მოხვდა და მანვე გაუკეთა ორგანიზება პრემიერ-მინისტრთან დადარიოს შეხვედრასაც.

ამჟამად, პატრიციას სამსახურში არც ერთი სააგენტო აღარ იღებს. ის მიიჩნევს, რომ ასე „დაუნერული ეთიკური ნორმის დარღვევისთვის“ სჯიან და დანაშაულის დასჯენს: „მე ერთადერთმა ვთქვი სიმართლე, თუმცა ბერლუსკონის ნოემბრის წვეულებაზე ბევრი სხვა ქალიც იყო. სიმართლე სხვებსაც რომ ეთქვამთ, სისტემის შეცვლის იმედი მაინც მექნებოდა, მაგრამ თუკი ხმას არავინ ამოიღებს, ამას ვინ შეცვლის?“

The Financial Times

საინტელოგიის დაგადასახალი თაღლითობაში ახილანს

საინტელოგიური ეკლესიის დამაარსებელმა რონ ჰაბარდმა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი იყიდა, რაშიც ბრიტანელმა დიპლომატებმა ჯერ კიდევ 30 წლის წინ ახილეს.

1968 წელს, ბრიტანეთის ხელისუფლებამ დასავლეთ სუსესში მდებარე საინტელოგიატა მსოფლიო შტაბბინის მონახულების მსურველ ადვოკატებს ქვეყანაში შესვლის ნება არ მისცა. საინტელოგები სასამართლოში ჩივილით დაიმუქრნენ, ბრიტანეთის ხელისუფლებამ კი, თავისი გადაწყვეტილების გასამართლებლად, ჰაბარდის თაღლითობის დამამტკიცებელი დოკუმენტები მოიძია. მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტები ოფიციალურად, მხოლოდ 2019 წლისთვის უნდა გახდეს ხელმისაწვდომი, *The Times*-მა, ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის საფუძველზე, მათი ნაწილის გამოქვეყნებას მაინც მიაღწია.

გამოქვეყნებულ დოკუმენტებს შორის არის ყოფილი მაღალჩინოსანი საინტელოგის — ჯონ მაკმასტერის ჩვენებები, რომელიც ირწმუნება, რომ დოქტორის ხარისხთან დაკავშირებული თაღლითობის შესახებ ჰაბარდის ერთ-ერთი უახლოესი თანამოაზრისგან შეიტყო. რონ ჰაბარდმა და სხვებმა ლოს-

ანჯელესის ერთ-ერთ რაიონში შეიძინეს შენობა, ამ მისამართზე სეკვიის უნივერსიტეტი დაარეგისტრირეს და ერთმანეთს სამეცნიერო ხარისხებიც დაუყოვნებლივ (1953 წელს) მიანიჭეს, — წერს მაკმასტერი. ეს სამეცნიერო ხარისხები კალიფორნიის შტატის განათლების სამინისტროშიც სათანადოდ იყო დარეგისტრირებული.

1977 წელს, ლოს-ანჯელესში ბრიტანეთის საკონსულომ ჩინოვნიკების თხოვნით გაარკვია, რომ 1939 წელს დაარსებულ და 1971 წელს ხელისუფლების მიერ დახურულ სეკვიის უნივერსიტეტს საერთოდ არ ჰქონდა სახელმწიფო აკრედიტაცია და შესაბამისად, დიპლომების გაცემისა და სამეცნიერო ხარისხების მინიჭების უფლებამოსილება, ხოლო იმ მომენტისათვის დეკანი უკვე ძეზნილი იყო.

საგადასახადო ორგანოების მიერ უნივერსიტეტის საქმიანობის გამოძიებისას ფრიალ უცნაური რამ მოხდა. მას შემდეგ, რაც საქმესთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი შტატის პროკურატურას გადაუგზავნეს, „გენერალური პროკურორის მოადგილე, რომელიც ამ საქმეს იძიებდა, ავად გახდა და, მავანი „ექიმების“ გამოკვლევის შემდეგ, ფსიქიკური პრობლემების გამო, პენსიაში



გავიდა. კალიფორნიის უნივერსიტეტში ჩემმა ინფორმატორმა, რომელიც აღშფოთებისგან ცოფებს ყრიდა, დაბეჯითებით განმიცხადა, რომ „ექიმები“ საინტელოგები იყვნენ, რომლებმაც გენერალპროკურორის მოადგილე ჰიპნოზის მეშვეობით შეშალეს ჭკუიდან“, — წერდა ლოს-ანჯელესში ბრიტანეთის საკონსულოს თანამშრომელი. თუმცა, საინტელოგიური ეკლესიის პრესმდივანმა, ჰიპნოზის გამოყენების ვერსიას, უბრალოდ, „პარანორმული განწყობილებების ანარეკლი“ უწოდა.

The Times

ჰაიართა უბაჰის გარე TWITTER-ი თითქმის მთელი დღით დაღობდა



ექსპერტები მიიჩნევენ, რომ იმ ჰაკერული შეტევის მიზეზი, რომლის გამოც ერთი კვირის წინ Twitter-ი არ მუშაობდა, გასული წლის რუსულ-ქართულ ომშია საძებარი. მათი თქმით, მიკრობლოგების პოპულარული სერვისის რამდენიმე საათით, ე.წ. „სანაგვე მოთხოვნების“ ნიაღვრის გამო დადუმდა.

სუთშაბათს Facebook-სა და Google-ზეც განხორციელდა შეტევა, მაგრამ მისი მოგერიება მოხერხდა.

კომპიუტერული უსაფრთხოების საკითხის ანალიტიკოსების უმეტესობა იმაზე არაფერს ამბობს, თუ Twitter-ს კონკრეტულად, საიდან უტევენ. ამის შესახებ ვერსია მხოლოდ ინტერნეტრეაქციის მეთვალყურე, კომერციული ორგანიზაცია Paket Gearing House-ს წარმომადგენელმა ბილ ვუდკოკმა გამოთქვა. მისი თქმით, შეტევა აფხაზეთიდან ხორციელდებოდა, მაგრამ გაუგებარია, ვინ დაიწყო ის. „აღბათ, ერთმა მხარემ პროპაგანდა წამოიწა-



ყო, მეორემ კი ეს აღმოაჩინა და მონინალმდეგეს თავადაც შეუტია“, — აცხადებს ვუდკოკი და იმასაც ვარაუდობს, რომ პროპაგანდის მიზეზი რუსულ-ქართული ომი იყო. მისივე თქმით, იმ დღეს YouTube და Livejournal-იც დაზარალდნენ, მაგრამ თავად YouTube-ში ირწმუნებიან, რომ არანაირი პრობლემა არ შეჰქმნიათ.

ანალიტიკოსები იმასაც უსვამენ ხაზს, რომ ჯერ კიდევ შარშან, Twitter-ზე შეფერხებები ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ ბოლო თვეების განმავლობაში საიტი სასუსებით გამართულად მუშაობდა.

The New York Times

„სამეც-სლენგები“ და მათი ცოდნის აუცილებლობა



მშობლებს „ექსემეს-სლენგების“ ცოდნა, პირველ რიგში, საკუთარი შვილების ოცნების გასაკონტროლებლად სჭირდებათ. სადღეისოდ, Netlingo-ზე 2 ათასზე მეტი აბრევიატურაა დაფიქსირებული. მათი პოპულარობა, სხვასთან ერთად, Twitter-ის მიმართ ინტერესის გამოც იზრდება,

სადაც შეტყობინებები მხოლოდ 140 ნიშნით ამოიწურება.

ერთი შეხედვით, შეიძლება იფიქროთ, რომ სლენგის შესწავლაზე დროის დახარჯვა WOMBAT (Waste of money, brainis and time) ანუ ფულის, ინტელექტუალური ძალებისა და დროის ფუჭი ხარჯვაა, მაგრამ თუ გაითვალისწინებთ, რომ გასული წლის მანძილზე მხოლოდ აშშ-ში ტრილიონამდე ასეთი „ექსემესი“ გაიგზავნა, მაშინ ისიც უნდა აღიაროთ, რომ ამ ცოდნის გარეშე უზრალოდ, დროს ჩამორჩებით. თუმცა, იმ ქსელური ლექსიკონებით სარგებლობაც თამამად შეიძლება, რომელთა შორისაც დიდად პატივსაცემი Merriam-Webset-იცაა — 2009 წელს ხომ მასში პირველად თვით რუნეტის სლენგში შეტანილი შემოკლებებიც — (Laugt out Loud) და (oh my God) — შეიტანეს.

მშობლების საყურადღებოდ, მოზარდთა ლექსიკონიდან რამდენიმე პოპულარულ შემოკლებას მოვიყვანთ: GNOC (Get naked on kamera — გაიხადე კამერის წინ), POS (Panet over shoulder — მშობლები ზურგს უკან მიდგანან), LMIRL (Lets meet in real Life — მოდი, რეალურად შევხვდეთ) და IWSN (I want sex now — ახლავე მინდა სექსი).

სლენგის არცოდნას ზოგჯერ, სამწუხარო შედეგებამდეც მიყვავართ. მაგალითად, ერთმა პენსილვანიელმა ქალბატონმა მეგობარ ქალს თანაგრძნობის გამოხატველი „ექსემესი“ გაუგზავნა: „როგორ ვწუხვარ, რომ დედათქვენი გარდაიცვალა.. თუ რამით შემიძლია დახმარება, შემატყობინეთ“. თურმე, ქალბატონი დარწმუნებული იყო, რომ — Lost of Love-ს (ანუ დიდი სიყვარულით) ნიშნავს.

The Wall Street Journal

რიგა ბრიტანელი სასიძოვრის მოგარიბისთვის ეზაღება

ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ლატვიის დედაქალაქი ბრიტანელ უცოლო მამაკაცთა საყვარელი ადგილი იყო — იქ წვეულებებს მართავდნენ, რაც სხვა ტურისტებს საკმაოდ აფრთხობდა. თუმცა, როგორც ჩანს, რიგელებსაც აუფასოთ მოთმინების ფიალა.

ქალაქის მერმა ნილ უშაკოვმა განაცხადა, რომ ყელში ამოუვიდა ბრიტანელთა უზნეობა და ახლა, წესრიგის გამოუსწორებელი დამრღვევების წინააღმდეგ პოლიციის სპეციალური ტურისტული ქვედანაყოფის გამოყენებას აპირებს. მისი თქმით, ინგლისელი მოქვიფეები ქალაქის იმიჯს სერიოზულად ლახავენ.

სხვათა შორის, რიგა ბუდაპეშტთან, ბრატისლავასა და ტალინთან ერთად, აღმოსავლეთ ევროპის იმ ქალაქების რიგში შედის, სადაც ბრიტანელ უცოლოთა წვეულებები ლამის ყველაზე ხშირადაც კი იმართება. პირველ რიგში, ამას საბიუჯეტო ავიაციის და აგრეთვე, ალკოჰოლისა და სასტუმროების ნომრების დაბალი ფასები უწყობს ხელს. უშაკოვმა ბრიტანელების საწინააღმდეგო განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც ცნობილი გახდა ევროპული სასტუმროების მეპატრონეთა გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც, ყველაზე უარესად სწორედ ინგლისელი ტურისტები იქცევიან. ამ აზრს ნაწილობრივ, ფორინ-ოფისის სტატისტიკაც ადასტურებს. კერძოდ, ბოლო ერთი წლის მანძილზე საზღვარგარეთ დაპატიმრებულ ბრიტანელთა რიცხვი 16%-ით გაიზარდა.

საერთოდ, ლატვია მსოფლიო კრიზისისგან ევროკავშირის სხვა ქვეყნებზე მეტად დაზარალდა, მაგრამ მომჭირნე ტურისტების თვალში ამაწი მისი მიმზიდველობა კიდევ უფრო გაზარდა — იქ ხომ კათხა ლუდი მხოლოდ ერთი ლატი (1,20 გირვანქა სტერლინგი) ღირს და არც იაფფასიანი ბარების, სტრიპტიზ-კლუბებისა და სხვა გასართობების ნაკლებობაა.

33 წლის ნილ უშაკოვს, პირველ რიგში, ბრიტანელთა უსაქციელობის მიმართ აქვს პრეტენზია. თურმე, ნუ იტყვიან და, სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საყვარელ ადგილად ქალაქის ცენტრში მდებარე, თავისუფლების მონუმენტი აურჩევიათ, რომლის პოსტამენტზე სურათის გადასაღებად ბევრი შიშველიც კი მიძვრება.

The Times

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 106

ვინ ეუბნება ხალხს სიპართლეს?!

„პრეზიდენტმა თქვა, — ვერ გამოვიდა, რა ფენომენია თბილისი, რეგიონებში დიდი სიყვარულით მზვდებიანო. ვუთხარო, — თავისუფალი მედიასაშუალებები იქაც რომ არსებობდნენ, მაშინ გენახა მთელი საქართველოს ფენომენი-მეთქი“, — ეს ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, ლევან გაჩეჩილაძემ შანახადაზე პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

„რეგიონებში გაცილებით მეტი ეომფორმისტი ცხოვრობს, ვიდრე თბილისში“

ჩაბა ანანიძე

ის, რომ რეგიონები ზოგადად, ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიან, არახალია. არც ისაა ახალი ამბავი, რომ მაგალითად, აჭარაში ოპოზიციური აქცია-მიტინგები საკმაოდ ხშირად ტარდება. უფრო მეტიც, „უცნობმა“ თავისი „გოლგოთის გზა“ სწორედ აჭარიდან დაიწყო. აჭარაში დამოუკიდებელი ტელევიზიაც არსებობს (სადაც მაყურებელი, თავისუფალი პოლიტიკური დებატების გარდა, „საკანსაც“ უყურებს) და დამოუკიდებელი გაზეთებიც, მაგრამ ეს თავისუფალი თუ სახელმწიფო მედიასაშუალებები უპრობლემოდ გადმოგვცემენ იმ ამბავს, რომ აჭარის ხშირი სტუმარი — პრეზიდენტი ზღვისპირეთში ფიერვერკებით ასრულებს ვიზიტს.

საიდან იღებს ინფორმაციას რეგიონის მოსახლეობა? არსებობს თუ არა ინფორმაციული ვაკუუმი? ვინ ქმნის რეგიონებში საზოგადოებრივ აზრს? — ეს კითხვები ბათუმის ქუჩებში დავსვით, მაგრამ ხალხიც და შემდეგ, ჩვენ მიერ ჩანერილი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი, სხვა თემების მიმოხილვაზე, კერძოდ, პოლიტიკური ორომტრიალის შეფასებაზე კითხვის დაუსმელად გადავიდა...

ნიაზ დუვაძე, ეკონომისტი, უმუშევარი:

— მინდა, ჩემს ქვეყანაში ისე დანაარდეს ყველაფერი, პოლიტიკისკენ აღარც გავიხედო, მაგრამ დღეს ყველა ტელევიზორსაა მიჩერებული, მათ შორის, მეც. ვიცი, მატყუებენ, მაგრამ მაინც ვუსმენ, აბა, ინტერნეტში ინფორმაციის გაცნობის საშუალება მე არ მაქვს. გაზეთები შედარებით მეტ სიმართლეს წერენ, მაგრამ ხანდახან, სკანდალის აგორების მიზნით, ისინიც სისულელეებს გვახვევენ თავს. უყურებ ტელევიზორში საინფორმაციო გამოშვებას, დაგაჯერებენ რაღაცას, მობრუნდები, გაზეთში ჩაიხედავ — სულ სხვაფრად ყოფილა საქმე. ესაა ინფორმაციის თავისუფლება? კომუნისტებს რომ ლანძღავენ, იმ დროს ყველა ერთნაირად მაინც წერდა და შენ ან ეთანხმებოდი, ან — არა. ახლა კი, ვეღარაფერს გაიგებს კაცი.

ლალი მოღვაძე, ვაჭარი:

— არაფერიც არაა დამალული. ყველაფერი მშვენივრად ვიცი. პრობლემა ისაა, რომ ხელისუფლების ღირსეული შემცველი ვერ გამოვქვებით. ტელევიზორს ვუყურებ და მშვენივრად ვხვდები, ვის აქვს შუბლის ძარღვი განწყვეტილი. ვინც 900-ჯერ მომატყუა, კიდევ რაფერ დუუჯერო?

ზოგა ზოლქვაძე, სტუდენტი:

— ჩემი აზრით, დაბალანსებული ინფორმაცია ნამდვილად, არ მოგვენოდება, თუმცა არ ვფიქრობ, რომ ინფორმაციის ნაკლებობას განვიცდი. ვუყურებ სახელისუფლებო არხებს და ვხედავ, როგორია ოპოზიციაც; მერე ოპოზიციურ არხებს ვუყურებ და ვხვდები, ვინ არის ხელისუფლება. უბრალოდ, იმ ინფორმაციას ვეღარ ისმენს ხალხი, რისი მოსმენაც უნდა, თორემ ინფორმაციულ ვაკუუმზე საუბარი ზედმეტია. ბოლოს და ბოლოს, შესვალ ინტერნეტში და გაიგებ, რაც ხდება.

სოფო ჭალიძე, სტუდენტი:

— საშინელება ისაა, რომ დღეს ქართული ჟურნალისტიკა აგონიაშია. ჟურნალისტთა დიდი ნაწილი ხელისუფლების ან ოპოზიციის პროპაგანდას ეწევა მხოლოდ, ობიექტური ინფორმაციის მიღება კი პრობლემაა.


თინა ჯიჯარანი:

— ტყუილად პორნიკობს ეს ჩვენი ოპოზიციაც. დაუდენ თავიანთ ადგილებზე და საქმე აკეთონ. მშვენივრად ვიცი და გამეგება ის ყოლიფერი, რაც ქვეყანაზე ხდება. ბევრი რაცაა არც მე მომწონს, მაგრამ სხვისი კრიტიკით და ჭიტიანთ არ გამოვა საქმე. ოპოზიციონერები რომ იძახიან, რეგიონებში იმიზა ხდებიან კარგად პრეზიდენტს, მიშას ბოროტების ამბები არ იცინაო, — ნუ ლელავენ, ბატონო, ჩვენ ყველაფერი კარგად ვიცი.

ლალი ანთიძე, ფილოსოფოსი (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი):

— მედიას ძალიან დიდი როლი აქვს ნებისმიერ დროსა და საზოგადოებაში. ახლაც ასეა, როცა მასმედია ერთიან სააზროვნო სივრცეს ქმნის, როცა კარგად გაკეთებულ პროპაგანდას განვდიან ჟურნალისტიკის სამოსელში გახვეულს, რთულია, არ გაება ინფორმაციულ მახეში. დიდი კრიტიკული ფილტრი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ტყუილ-მართლის გარჩევა შეძლოს. სამწუხაროდ, დღეს გადაცემა „პატრულიც“ კი პოლიტიკურია, ჟურნალისტიკური ეთიკა კი, რომელიც დემოკრატიულ სიტუაციაში, მაღალ საფეხურზე უნდა იდგეს, ჩრდილში მოექცა. ვერ ვიტყვი, რომ ინფორმაციულ ვაკუუმში არიან რეგიონები. დღეს ინფორმაციის მიღების საშუალება არსებობს, მაგრამ მართლაც საინტერესოა — როგორ ხვდებიან რეგიონებში პრეზიდენტს მშვიდად? ეს, ჩემი აზრით, ზოგადად, რეგიონების ცხოვრებისადმი დამოკიდებულებით აისხნება. უბ-

რომ ამბობენ, რეგიონებში იმიზა ხდებიან კარგად პრეზიდენტს, მიშას ბოროტების ამბები არ იცინაო, — ნუ ლელავენ, ბატონო



რალოდ, რეგიონებში გაცილებით მეტი კომფორმისტი ცხოვრობს, ვიდრე თბილისში. რეგიონებში მთავარია, რაიმე სამუშაო იშოვონ, მოერგონ ცხოვრების ახალ დინებას და შემდეგ, ღირსების შელახვის ან სხვა ფასეულობის დასაცავად თავს დიდად არ გამოიღებენ. ასეა აჭარაშიც: ერთ დღეს ოპოზიციისგან მართული მიტინგი იმართება, მეორე დღეს კი, ოპერის გასახსნელად ჩამოსულ პრეზიდენტს ხალხი ოვაციით, ფეიერვერკებით ხვდება... პრობლემა ისაა, რომ ოპოზიციაც არაა ერთი იდეის ირგვლივ გაერთიანებული. როგორც მოქალაქეს, შესაძლოა, ხელისუფლების ესა თუ ის ნაბიჯი არ მომწონდეს, მაგრამ ჩემთვის სულერთი ნამდვილად არ არის ის, თუ ვინ მოვა ახალი. ქართველმა საზოგადოებამ ხშირად იცის, რა არ უნდა, მაგრამ არ იცის — რა უნდა. კარგი ცხოვრება ყველას სურს, მაგრამ როგორ მიიღწევა ეს, არ ვიცით. ველოდებით

ლი საზოგადოება უბრალოდ, თავისი პოზიციის შესაბამისი ინფორმაციის ნაკლებობას უჩივის. ნებისმიერი პოზიციის დაკავება კი თავისთავად ზღუდავს ადამიანს. ამ დროს მხოლოდ იმ ინფორმაციის გაგება გინდება, რომელიც შენს პოზიციას გამოკვებავს. ახლა ისეთი ვითარებაა, როცა ორივე დაპირისპირებულ მხარეს თავისი სიმართლე აქვს. ნეიტრალურ მხარესაც კი უჭირს ქვეყნის მიგნება. არსებობს ორი სიმართლე, რომელიც შეუძლებელია, რომ არსებობდეს. „სიმართლის დამცველებს“ შორის დიალოგი



მართლაც საინტერესოა — როგორ ხვდებიან რეგიონებში პრეზიდენტს მშვილად?

— ასეთ სიტუაციაში რა როლს თამაშობს მედია?

— გადამეტებული წარმოდგენები გაგვიჩნდა მედიის მიმართ, არადა, ქვეყნის მართვის ძიების ნება და საშუალება მხოლოდ ხელისუფლების ხელშია. მას ძალუძს სოციალური ინსტიტუტებიც და საზოგადოებაც ქვეყნის მართვის გზაზე დააყენოს. ასევე, ქვეყნის მართვას უნდა ამბობდნენ მეცნიერები, მაგრამ დღეს ამის შესაბამისი გარემო არ არსებობს. ამიტომაცაა, რომ მეცნიერცა და ჟურნალისტიც პოზიციის გამოხატვითაა დაკავებული... დასავლურ მედიაში მიღებული პრინციპი: ჟურნალისტი არ გამოხატავს პოზიციას! ამ პრინციპს ქართული მედიაც ეთანხმება, მაგრამ პარალელურად, მაგალითად, გადაცემა „პოზიციაც“ არსებობს. პიროვნული ღირსების დაცვა დიდი ფუფუნებაა, მაგრამ სწორედ ამ ღირსების გადასარჩენად უნდა იბრძოლოთ ჟურნალისტებმა. ეს არაა ბრძოლა „პოზიციასთან“ ან ოპოზიციასთან, ეს საკუთარ თავთან ბრძოლაა!..

პიროვნული ღირსების დაცვა დიდი ფუფუნებაა, მაგრამ სწორედ ამ ღირსების გადასარჩენად უნდა იბრძოლოთ ჟურნალისტებმა

გმირს, ჩვენი მაცვივრების ასახვებად და ასე, თვალსა და ხელს შუა გვიცარიელდება და გველევა ქვეყანა.

ბურამ ჩაბანავა, ფსიქოლოგი (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი):

— XXI საუკუნეში აბსურდია ინფორმაციულ ვაკუუმზე საუბარი. პრობლემა ქვეყნის მართვის ძიების უარყოფაა. დღეს ორ ბანაკად გახლეჩილი და ერთმანეთს წაკიდებული

უნდა შედგეს, მაგრამ ეს მხოლოდ თანასწორუფლებიანობის შემთხვევაშია შესაძლებელი. ამას ხელისუფლება არიღებს თავს, ისევე, როგორც ქვეყნის მართვის ძიებას. დღევანდელი საგანგაშო სიტუაციის შემხედვარეს ერთი ქართული ანდაზა მაგონდება: „შენდებოდეს — შეენიე, ინგრეოდეს — შეესიე“. დღეს, სამწუხაროდ, უმრავლესობა ქართულ სახელმწიფოზეა შესეული...

ქართული ფილმი,

რომელიც არალეგალურად ვრცელდება

რამდენიმე წელია, მაცურებელი ინტერესით ელოდება სერიალ „ცხელი ძაღლის“ მორიგი ნაწილის ტელეეკრანზე გამოჩენას. მიუხედავად იმისა, რომ მეოთხე სეზონზე მუშაობა ჯერ კიდევ 2006 წელს დასრულდა, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განმეორებით, ძველი სერიები გადის. მეოთხე სეზონის სერიები კი პერიოდულად, სხვადასხვა ინტერნეტსაიტზე ჩნდება ან მეკობრული წესით ვრცელდება ხელიდან ხელში. ეს გარემოება და ფილმის სიუჟეტი ბუნებრივად აჩენს ეჭვს — ფილმის „თაროზე შემოდების“ მიზეზი პოლიტიკური ქვეტექსტები ხომ არ არის?..

ნინო ბურღულს საბჭოთა დროინდელი „ფარული მოსვენები“ გაახსენდა

ივა ტუხიაშვილი

სერიალში მოვლენები ახალაშენებულ სანატორიუმ „წიწნარის“ გარშემო ვითარდება. დასასვენებელი დაწესებულების შენობა, რომლის აგებასაც ხელისუფლება დიდ მხარდაჭერას უწევდა, მოულოდნელად ინგრევა, რაც საზარელი ტრაგედიის მიზეზი ხდება. მომხდარს კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ ამ დროს იქ,

რომლებიც დაღუპულის კომპრომეტირებას მოახდენს...

პრემიერ-მინისტრ თინათინ განერელიას ფილმში ნინო ბურღული განასახიერებს, რომელსაც „დაპატიმრებული“ სურათის შესახებ სასაუბროდ შევხვდით

ნინო ბურღული:

— ახალი წამოსული ვიყავი სერიალიდან — „ყავა და ლუდი“, როდესაც „ცხელი ძაღლის“ სინჯებზე მიმინვიეს. სასინჯი გადაღებიდან ცოტა ხანში დამირეკეს და მითხრეს, რომ ამ როლზე დამამტიციეს. სიმართლე გითხრათ, ძალიან გახარებული ვიყავი, რადგან კამერის წინ დგომა მიყვარს და იმ დროს ამის დეფიციტს ნამდვილად განვიცდიდი, თანაც ეს სერიალი მომწონდა. საერთოდ, სერიალებს არ ვუყურებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ „ყავა და ლუდი“ და „ცხელი ძაღლი“ მაღალი ხარისხის სერიალებია, რაც სცენარისტების, რეჟისორების და მსახიობების დამსახურებაა. შესაბამისად, „ცხელი ძაღლი“ მონაწილეობა ჩემთვის, შემოქმედებითი თვალსაზრისით, გამართლებული იყო.

— ამ სერიალში პრემიერ-მინისტრს თამაშობთ. როდესაც სცენარის გაეცანით, ამ გარემოებამ არ დაგაფიქრათ?..

— მანამდე არასოდეს მითამაშია პოლიტიკური პერსონაჟი და რომ გითხრათ, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, საინტერესო აღმოჩნდა-მეთქი, მოგატყუებთ. გარკვეული პრობლემები მართლაც იყო; დაფიქრება მომიხდა იმაზე, თუ რა მანერები, თვისებები უნდა ჰქონოდა ჩემს გმირს. ყველა სახელმწიფო მოხელეს, როგორც განსხვავებულიც უნდა იყოს ის პიროვნულად, რაღაც საერთო თვისება ახასიათებს, ეს კი ნამდვილად პრობლემას წარმოადგენდა, რადგან

რაღაც ჩემეული უნდა შემემატებინა ჩემი გმირისთვის. არ ვიცი, რამდენად კარგად გამომივიდა.

— შემიძლია გითხრათ, რომ თინათინ განერელია ძალზე მკაცრი და კატეგორიული ადამიანია.

— ამით ალბათ მე უფრო მგავს, ვიდრე რომელიმე ქართველ პოლიტიკოსს...

— გულახდილად მითხრათ — რომელი სახელმწიფო მოხელის თვისებები შესძინეთ თქვენ მიერ ფილმში განსახიერებულ ადამიანს?

— ჩემი პერსონაჟი კონკრეტულად, რომელიმე პოლიტიკოსს არ ჰგავს. მაგრამ დიდი იყო ცდუნება, რომ თინათინ განერელია ნინო ბურჯანაძეს დამსგავსებოდა. ყველას — მსახიობსა თუ არამსახიობს, ვისაც იმ დროს ჩემთან ურთიერთობა და გაიგებდა, რომ პოლიტიკოსი ქალი უნდა მეთამაშა, მაშინვე ნინო ბურჯანაძე ასხენდებოდა. მახსოვს, იმ დროს ტელევიზიით გადაიოდა სიუჟეტი ქალბატონ ნინოსა და მის ოჯახზე; ჰოდა, ახლობლები მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ: უყურეო... მე კი, პირიქით, არ მინდოდა, სერიალში, რომელიმე, კონკრეტული პოლიტიკოსი მეთამაშა; მერჩივნა, ჩემი გმირი სახელმწიფო მოხელის კრებითი ტიპის ნიმუში ყოფილიყო. სცენარის მიხედვით, ის სამართლიანი და პრინციპული ადამიანია, რომელიც პოლიტიკური შეთქმულების მსხვერპლად იქცევა.

— თუ გახსოვთ, კონკრეტულად როდის მიმდინარეობდა გადაღებები? როგორც ვიცი, 2006 წელს გადაღება უკვე დასრულებული იყო, არა?

— როდესაც ტელეკომპანია „იმედი“ დაარბიეს, ფილმი უკვე დამონტაჟებული იყო. ბოლო გადაღებები იმ წლის ზაფხულში გვექონდა. მახსოვს, ძალიან ცხელოდა, ცოტა ხნით დასასვენებლად ვიყავი წასული და გარუჯული ჩამოვედი, ამიტომ მოცდაც კი მოგვიხდა, სანამ ნარუჯი გამიქრებოდა...

— სერიალის ტიტრებში მითითებულია, რომ ფილმში ასახულ ამბავს სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს და ყოველგვარი შესაძლო ანალოგია რეალობასთან მხოლოდ შემთხვევითი შეიძლება იყოს, მაგრამ დამეთანხმეთ, რომ ნებისმიერ ადამიანს, ვინც ამ ფილმს ნახავს, უეჭველად გაახსენდება ჩვენი ახლო წარსული: მაგალითად, ზურაბ



მანამდე არასოდეს მითამაშია პოლიტიკური პერსონაჟი

სახელმწიფოს დაფინანსებით, მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვები ისვენებენ; ნგრევა 2 ბავშვის სიცოცხლეს შეინირავს, ხოლო მსახიობები... ნგრევის ნამდვილი მიზეზები რომ გამომზეურდეს, ეს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მოკალათებულ პირებს შეეხება, ამიტომ საგამოძიებო მასალები საეჭვო ვითარებაში იკარგება. სიმართლის დადგენას ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ქალი ცდილობს, რის გამოც, მისივე თანაგუნდელები კლავენ, თან ისეთი გარემოებების ინსცენირებას აწყობენ,

ჟვანას ტრაგიკული დაღუპვა როცა სცენარი წაიკითხეთ, მსგავსი ასოციაცია არ გატყენიათ?

— ასეთი მინანური ტიტრებში სწორედ მაშინ კეთდება, როდესაც მათ მსგავსება შესაძლოა, ფილმის ნახვისას, რეალურ მოვლენებთან რაღაც მსგავსება დაინახოს. სხვა შემთხვევაში, ტიტრებში ასეთი მინანურის გაკეთება საჭირო არც იქნებოდა... ამ სერიალის ჟანრი — პოლიტიკური დეტექტივია. „ცხელი ძაღლის“ წინა სეზონებს თუ გავიხსენებთ, იქაც ვიპოვით მსგავსებას რეალურ მოვლენებთან. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე კონკრეტული, რეალური ადამიანი პირდაპირ არის გადატანილი ეკრანზე, ან იმას, რომ რეჟისორს, სცენარისტს აქვთ იმის პრეტენზია, რომ ფილმი რეალური ვერსიაა იმისა, რაც საჯაროდ არ გახმაურებულა. რა თქმა უნდა, ასე არ არის. მაგრამ არ უარყოფ, რომ საკმე გვაქვს იმ სინამდვილის მხატვრულ ასახვასთან, რომელშიც ვცხოვრობთ. ვფიქრობ, რომ პარალელები რეალურ მოვლენებთან ჯერ კიდევ სცენარის დონეზე იკითხებოდა და შემდეგაც — იმ ეპიზოდებში, რომლებსაც გადაღებებზე



ამ სერიალის ჟანრი — პოლიტიკური დეტექტივია

ნია, რომ ეს ფილმი სწორედ ამით არის ფასეული. მასხოვს, ჩემს ახალგაზრდობაში, საბჭოთა რეჟიმის დროს, ტელევიზიით ცნობილი იტალიური დეტექტივები გადიოდა. ემოციურად, ეს ფილმები ძალიან მოქმედებდა მაყურებელზე. პოლიტიკური დეტექტივი ერთ-ერთი საინტერესო კინემატოგრაფიული ჟანრია, რომელიც ადამიანებს საზოგადოებრივი ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებზე დაფიქრების, სინამდვილის განალიზებისკენ უბიძგებს. რეალურ მოვლენებსა და ფილმში

თან ერთად, გაზით გაგუდულებს სანოლში შიშვლებს პოულობენ... ეს სიუჟეტური მსგავსებაა, მაგრამ სხვა მხრივ, ზურაბ ჟვანია და ჩემი გმირი არაფრით ჰგვანან ერთმანეთს.

— ფილმში თქვენი დაცვის წევრს ახალგაზრდა მსახიობი როლანდ ოქროპირიძე თამაშობს. სცენა, სადაც გარდაცვლილი პერსონ-



თინათინ გაწერელიას მისივე პოლიტიკური თანამებროლების დაკვეთით კლავენ

აუები არიან ნაჩვენები, საკმაოდ „გულახდილია“...

— აბსოლუტურად არ მეცალა იმაზე ფიქრისთვის, თუ რამდენად „გულახდილი“ სცენას ვიღებდით. ტექნიკური პრობლემა ის იყო, რომ ზუსტად ისე ვნოლილიყავით, როგორც ეს რეჟისორს სურდა. ზაზა ურუშაძე ჩვენგან, ფაქტობრივად, ქანდაკებას აკეთებდა... კიდევ ის მანუხებდა, რომ სანამ გადაღება დაიწყებოდა, გრიმორს ჩვენთვის მთელ სხეულზე მოლურჯო, გვაშური ფერის გრიმი უნდა დაედო, გადასაღებ მოედანზე კი იმ დროს ძალიან ციოდა.

— არის კიდევ რამდენიმე დეტალი, რომლითაც ფილმი რეალურ მოვლენებს გვაგონებს: მაგალითად, როცა გარდაცვლილ პერსონაჟებს პოულობენ, ყოფილი პოლიციელის მზერა ცარიელ საფერფლეზე შერერდება, — არადა, თინათინ განერელია ფილმში ბევრს ეწევა...

— ესეც ფილმის ჟანრიდან გამომდინარეობს: ის, რაც რეალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან დეტალებად აღიქმება, ფილმშიც გარკვეული ფორმით აისახა, რაც აბსოლუტურად სწორია. რა თქმა უნდა, პარალელი ამკარაა. ალბათ სწორედ მომხდარმა მოვლენებმა განაპირობა ასეთი ფილმის გადაღების იდეა. ამიტომ, იმის ძიებას, სპეციალურად გამოიყენეს სცენარში ცარიელი საფ-

მერჩივნა, ჩემი გმირი სახელმწიფო მოხელის კრებითი ტიპის ნიმუში ყოფილიყო. სცენარის მიხედვით, ის სამართლიანი და პრინციპული ადამიანია, რომელიც პოლიტიკური შეთქმულების მსხვერპლად იქცევა

ვადვენები თვალყურს (მომცრო სცენები, გადასაღებ მოედანზე, მონიტორში მაქვს ნანახი) — და მიმაჩ-

მოთხრობილ ამბებს შორის გარკვეულ მსგავსებას, ბუნებრივია, მეც ვხედავ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩემი პერსონაჟი ზურაბ ჟვანიას არაფრით ჰგავს.

— თქვენ მიერ განსახიერებული პრემიერ-მინისტრიც საეჭვო ვითარებაში იღუპება...

— თინათინ განერელიას მისივე პოლიტიკური თანამებროლების დაკვეთით კლავენ, თან, მის დაღუპვას ბინძურ გარემოებებში „გახვევენ“: ქალს, მისი დაცვის წევრ-



სცენა, სადაც გარდაცვლილი პერსონაჟები არიან ნაჩვენები, საკმაოდ „გულახდილია“...

ერფლე თუ — არა, მნიშვნელობა აღარ აქვს...

— ფილმში თქვენს გმირს მხოლოდ თაფი გაზოთ, მის პერსონალურ ავტომობილში კლავენ და შემდეგ მისი მეგობრის ბინაში გადაასვენებენ...

— სხვათა შორის, დიდხანს ვარკვევდი იმას, თუ რა ემართება ადამიანს, როდესაც ამ მომნამკვლელ

პრეზიდენტმა მოკლული პრემიერ-მინისტრის მეუღლე თუ არა?

— ფილმი ასე, კითხვის ნიშნით მთავრდება: ჩვენ არ ვიცით, მიიღო თუ არა პრეზიდენტმა მოკლული პრემიერის მეუღლე. სცენარის მიხედვით, თინათინის ქვრივი და შვილი იტალიაში უნდა გამგზავრებულიყვნენ, მაგრამ შემდეგ ეს სცენა ამოიღეს და კაცს მხოლოდ ათქმევინეს, რომ საცხოვრებლად იტალიაში წასვლას აპირებდა... როგორც მოქალაქეს, მიმაჩნია, რომ სამართლიანობის აღსრულება პრეზიდენტის ნებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, ამას სასამართლო უნდა წყვეტდეს. ვისურვებდი, ისეთ ქვეყანაში მეცხოვრა, სადაც მამხილებელი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტები არა პრეზიდენტთან, არამედ სასამართლოში მიაქვთ...

— ეს ფილმი უკვე წლებია, „თაროზეა შემოდებული“; არ დაინტერესებულხართ, რატომ არ უჩვენებენ?

— არ ვიცი, რა ხდება. სიმართლე რომ გითხრა, ოფიციალურად, ამით არც დავინტერესებულვარ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმ წელს, როდესაც ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა და სხვა ცნობილი პოლიტიკური მოვლენები მოხდა, მისი გაშვება უბრალოდ, ვერ მოხ-

და სად — არა. ამჯერად არ ვლაპარაკობ ფაქტების გამომზეურებაზე საინფორმაციო საშუალებებით, არამედ მხოლოდ რეალური ფაქტების მხატვრულად ასახვას ვგულისხმობ. ის იტალიური ფილმები, რომლებიც წელან ვახსენე, შემთხვევით არ მომიყვანია მაგალითად. იტალიაში — თავისუფალ და დემოკრატიულ ქვეყანაში — მაფია ისეთი ძლიერი იყო, რომ მასთან ბრძოლა დიდ სირთულეს წარმოადგენდა, მაგრამ მაინც იღებდნენ და უჩვენებდნენ ფილმებს მაფიაზე. ამიტომ მიმაჩნია, რომ აბსოლუტურად ნორმალური იქნებოდა, „ცხელი ძაღლი 4“ ტელეეკრანზე გასულიყო და არ გახდებოდა საჭირო ინტერნეტსაიტებზე მისი ცალკეული სერიების დადება, ჩუმიად ვილაცისგან გადანერა და ა.შ. ამის შემხედვარე, საბჭოთა კავშირი გამახსენდა, როდესაც მალულად ვუყურებდით გარკვეული კატეგორიის ფილმებს, ვკითხულობდით სოლჟენიცინს და საბნის ქვეშ შემალულები ვუსმენდით რადიო „თავისუფლებას“ და „ამერიკის ხმას“.

— ე.ი. თქვენც ვარაუდობთ, რომ ფილმის გაჩერების მიზეზი შესაძლოა, მასში აღწერილი მოვლენებია?

— არც კი მინდა ვიფიქრო იმაზე, თუ ვინ მიუდგა ასე ამ ფილმს. ეს დირექტივა შეიძლება მოდიოდეს, როგორც შედარებით დაბალი, ასევე მაღალი სამთავრობო ეშელონებიდან. ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, კონკრეტულად საიდან მოდის. მაღალ ეშელონებში ასეთი ხალხი არ გვეყოლებოდა, ჩვენ ყველანი თვითცენზურისგან თავისუფლები რომ ვიყოთ. ამიტომ, ჩემთვის ამ ეტაპზე მნიშვნელობა არა აქვს, ვისი „დამსახურებაა“ ის, რომ ფილმი აქამდე არ გამოსულა ეკრანზე. რა ხარისხის თავისუფლების სივრცეს შევქმნით — ეს თითოეულ ჩვენგანზე დამოკიდებული... ჩემი პროფესია სრულიად განსაკუთრებულია. იმისთვის ხომ არ ვშრომობ, რომ შემდეგ, ჩემი ნამუშე-



ფილმი კითხვის ნიშნით მთავრდება: ჩვენ არ ვიცით, მიიღო თუ არა პრეზიდენტმა მოკლული პრემიერის მეუღლე



გაზს შეისუნთქავს. მითხრეს, რომ მომენტალურად ითიშება, მაგრამ სიკვდილი მოგვიანებით დგება.

— თინათინ განერელიას მეუღლე, ბუნებრივია, უკიდურესად შეურაცხყოფილია მომხდარის შეტყობის შემდეგ და ეჭვობს კიდევ, რომ ცოლი მართლაც, ღალატობდა, ამიტომ გამომძიებელი (მსახიობი ჟანრი ლოლაშვილი) მას სანატორიუმის მშენებლობასთან დაკავშირებულ იმ დასკვნას უჩვენებს, რომელსაც ჯერ უპატრონო ბავშვების, შემდეგ კი თქვენი გმირის სიცოცხლე შეენირა და სთხოვს, რომ ეს დოკუმენტები ქვეყნის პრეზიდენტს გადასცეს. კაცი მას ეკითხება: პრეზიდენტმა რომ არ მიმიღოსო?... — რაზეც თაბაგარი პასუხობს: თუ არ მიგიღებთ, მაშინ არ ყოფილა ჩვენი ქვეყნის საშველიო... ქალბატონო ნინო, გვითხარით, ბოლოს და ბოლოს, მიიღო

ერხდა, თუმცა ვიცოდით, რომ „ცხელი ძაღლის“ მეოთხე სეზონის ჩვენება მანამდე, ჯერ კიდევ 2007 წლის იანვრიდან უნდა დაწყებულიყო. მას შემდეგ, რაც „იმედში“ ვითარება დამშვიდდა, ფილმის გაშვება შეეძლოთ, მაგრამ არ გაუშვეს. რა თქმა უნდა, სწორედ ეს ბადებს უფრო მეტ კითხვას, ვიდრე ეკრანზე მისი გაშვებით შეიძლებოდა გაჩენილიყო. უსამართლო, უკანონო, აღმამფთვებული მოვლენები ყველგან, ნებისმიერ ქვეყანაში ხდება, განვითარებულ სახელმწიფოებშიც და განვითარების გზაზე მყოფ ქვეყნებშიც, დემოკრატიულშიც და არადემოკრატიულშიც; განსხვავება ის არის, თუ სად ლაპარაკობენ ამ მოვლენებზე ხმაბაღლა



„ცხელი ძაღლის“ მეოთხე სეზონის ჩვენება მანამდე, ჯერ კიდევ 2007 წლის იანვრიდან უნდა დაწყებულიყო

ვარი „თაროზე იდოს“?! ის საჯარო უნდა გახდეს და მაცურებელმა უნდა იხილოს, შეაფასოს, მოიწონოს ან — დაიწუნოს. ასეთი იყო რეალობა ქვეყანაში და ამას ხალხი დიდხანს ვერ დაივინყებს; ვერ ნაშლი მესხიერებიდან. უკეთესი არ იქნება, ამაზე თუნდაც ფილმები შეიქმნას?! ეს ხომ ჩვენი ღირსების მაჩვენებელი იქნება, მთელი საზოგადოების — ხე-

ხშირად გამოსულხართ ტელევიზიით და თქვენი პოზიცია დაუფარავად გამოგიტყვამთ. ხომ არ გიფიქრიათ პოლიტიკოსის კარიერაზე? მით უმეტეს, რომ თქვენს კოლეგებს შორის, პარლამენტარებიც არიან...

— გარკვეულ მომენტში, როდესაც ჩემი ხასიათის გამო, პოლიტიკურად აქტიური გავხდი, მართლაც, მიფიქრია პოლიტიკაში მოსვლაზე. მა-

მანეთისთვის, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ორივე საქმიანობა ჩემთვის პროფესია ვერ იქნებოდა, შესაბამისად, ერთ-ერთი, ჰობი უნდა ყოფილიყო, ამას კი ვერც ერთს ვერ ვაკადრებდი. მსახიობობა, ახლა კი უკვე რეჟისორობაც, უფრო მაინტერესებს და პატარ-პატარა მცდელობები უკვე მაქვს. ეს ის სფეროა, სადაც იდეები მიჩნდება და პროფესიონალურად ნასწავლი მაქვს, როგორ განვახორციელო. არ დაგიმაღავთ და, პოლიტიკასთან დაკავშირებითაც მიჩნდება ხოლმე იდეები, მაგრამ იქ არ ვიცი, როგორ მოვახდინო ამის რეალიზება... ამის სწავლას ბევრი დრო სჭირდება, მე კი უკვე ამდენი დრო არ მაქვს. მიუხედავად ამისა, ყოველთვის დავრჩები პოლიტიკურად აქტიურ მოქალაქედ, რადგან ვფიქრობ, აუცილებელია, გქონდეს შენი პოზიცია და პრინციპები, უნდა შეგეძლოს მათი დაცვა და არ უნდა გერიდებოდეს ამაზე ხმაშემალი ლაპარაკი.

— როგორც ვიცი, თქვენ ფილმი არ გინახავთ, არა?

— არ მინახავს და დიდი იმედი მაქვს, რომ მალე ვნახავ. მეც, სხვა მაცურებლებთან ერთად, დაველოდები იმ დღეს, როდესაც ეს ფილმი ქართულ ტელეეთერში გამოჩნდება.

როდესაც ჩემი ხასიათის გამო, პოლიტიკურად აქტიური გავხდი, მართლაც, მიფიქრია პოლიტიკაში მოსვლაზე

ლისუფლების, მედიისა და სხვათა ჩათვლით — ღირსების დამადასტურებელი... სხვათა შორის, არაოფიციალური საუბრისას მითხრეს, რომ ახალი სეზონიდან ეს ფილმი შესაძლოა, გავიდეს ეკრანზე. თუ არ ვცდები, „ცხელი ძაღლის“ მეხუთე სეზონიც უკვე გადაღებულია, მისი რეჟისორი ერეკლე ბადურაშვილი გახლავთ.

— მსახიობი ბრძანდებით, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით, საკმაოდ აქტიური ადამიანი ხართ,

გრამ შემდეგ მივხვდი, რომ ეს ძალზე სპეციფიკური სფეროა და მას პროფესიონალები „ქმნიან“. ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში ისედაც ძალიან ცოტა ასეთი მოიძებნება. ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს სასწავლი, რათა ჩვენში პოლიტიკური ცხოვრება მისაღებ საფეხურზე ავიდეს, ამიტომ დილეტანტის დონეზე ამ საქმეს ხელს ვერ მოვკიდებ... რაღაც ეტაპზე ვფიქრობდი, რომ მსახიობობა და პოლიტიკოსობა შემეთავსებინა ერთ-

ახალი პრესა ყველა სოფელს!



ყურადღება!

თუ საქართველოს რომელიმე რეგიონში ან სოფელში გაქვთ საფაქრო ობიექტი (მარკეტ ან სხვა.) და გაქვთ სურვილი, შეზავით თქვენს ობიექტს ყურნალ-გამოცემის სარეაქციო სტენდი, დაგვიკავშირდით: 832 377-533; 858 110-068; 893 600-315.

ჩიაწერინეთ ობიექტის თქვენი უნაბიჯი და საკონტაქტო გელეფონი.

8336 ანთონოპოლი შავთბილისში

პაპიაშვილი

8336 ანთონოპოლი

საბანკო:

„ქვეყანა“



მარიკო ებრალიძის სიმღერებით აღვრთოვანებული იტალიელი ბრუნო და „გულუმატკივარი“ ტაქსისტი



როცა ზღვაში ჩაგორებულ მზეს გაპყურებ და მშვენიერი მუსიკა გესმის, ცხოვრება კიდევ უფრო გიყვარდება... ქობულეთში მყოფს მშვენიერი პანგების ხმა შემომესმა. სიმღერას ყური მივუგდე და იმ ბილიკს გაუწყვი, რომელიც ამ ხმის პატრონთან მიმიყვანდა და ხელთ მომღერალი მარიკო ებრალიძე შემჩა... იგი ზაფხულს აქტიურად ატარებს, ქობულეთში სასტუმრო Georgian hotel palace-ში ბუნდთან ერთად იმყოფება და საზოგადოებას ყოველ საღამოს, არაჩვეულებრივ კონცერტს უძღვნის.

„შეიძლება, კლიმატი სიყვარულმა კარგად უარის მათქმევინოს...“

თიკო კალანდია

— მარიკო, როდის და რამდენ ხნით ესტუმრე ქობულეთს?

— ქობულეთში რამდენიმე დღის წინ ჩამოვედი და დაახლოებით, თვის ბოლომდე დავრჩები. აქ ბუნდთან ერთად ვარ და კონცერტებს ცოცხალი მუსიკის თანხლებით ვმართავთ. შემოქმედებითი თვალსაზრისით ძალიან აქტიური ზაფხული მაქვს, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. მიუხედავად იმისა, რომ კონცერტი ყოველდღე იმართება, დაღლას საერთოდ ვერ ვგრძნობ. ალბათ იმიტომ, რომ ჩემი საქმე უზომოდ მიყვარს. თანაც, ცოცხალ ბუნდთან მუშაობა მომღერლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია.

— რამდენსაათიანი პროგრამა გაქვთ?

— დამსვენებლებს შორის მცირეწლოვანი ბავშვებიც არიან და ამიტომაც, ვცდილობთ, ღამის 12 საათზე სასტუმროში მუსიკის ხმა აღარ ისმოდეს. ღონისძიებას ვინცებთ ათ საათზე და ის დაახლოებით, ორ საათს გრძელდება.

— როგორ ატარებ დღეს?

— ზღვა ძალიან მიყვარს. ბავშვობიდანვე ზაფხულს ყოველთვის ზღვაზე ვატარებდი. კარგად ვცურავ. მინ-

და, რაც შეიძლება მალე გავირთჯო. ამიტომაც, დღის უმეტეს ნაწილს სანაპიროზე ვატარებ. დილით ადრე ვიღვიძებ და პლაჟზე გავდივარ, სადაც მზის აბაზანას ვიღებ, მუსიკას ვუსმენ, შემდეგ კი უკან, სასტუმროში ვბრუნდები და კონცერტისათვის მზადებას ვიწყებ. მოკლედ, ვცდილობ, მშვიდად დავისვენო მანამ, ვიდრე დედაქალაქიდან ჩემი მეგობრები ჩამოვლენ — მათთან ერთად უფრო მრავალფეროვან დასვენების დღეებს მოვიწყობ, ვესტუმრებით დისკოთეკებს, ბუნგალოებს...

— მთის კურორტებს არ სტუმრობ სოლომე?

— როგორ არა, მთაც ძალიან მიყვარს. განსაკუთრებით, დედუღეთში მინარია ჩასვლა — საგურამოსთან ახლოს არის სოფელი ბინმენდი, სადაც ხშირად მივდივარ და არაჩვეულებრივად ვისვენებ. თუმცა, ზღვის

„ვარსკვლავების აკადემიის“ კურსდამთავრებულები — მარიკო ებრალიძე და დიგო ლაგვილაგა

სანაპიროზე ყოფნა ყველაფერს მირჩენია, რადგანაც აქ სულიერად ვმშვიდდები, ყოველგვარი დაღლილობა მენსნება. სხვათა შორის, ყოველ საღამოს ვუყურებ, თუ როგორ ჩადის ზღვაში ვებერთელა მზე და ამ დროს არაჩვეულებრივი გრძნობა მეუფლება...

— მარიკო, შეყვარებული ხომ არ ხარ?

— არა, ჩემი გული თავისუფალია! რატომაც, ვერავინ შევიყვარე. ერთხელ ტაქსის მძღოლმა მისაყვედურა: რატომ ხარ გაუთხოვარი?! ეტყობა, უკარება ხარო, მერე კი რჩევაც არ დაიზარა, — ოჯახი აუცილებლად შექმნიო. ჰოდა, მეც ვეძებ ისეთ ადამიანს, რომელიც ჩემს საქმიანობას დააფასებს და ყველაფერში შემინცობს ხელს. მომღერლობაზე ბავშვობიდანვე ვოცნებობდი. ახლა, როდესაც ეს ოცნება რეალობად მექცა, მას ვერ შეველევი. თუმცა, გამორიცხულიც არაფერია და შეიძლება, ძლიერმა სიყვარულმა კარიერაზე უარიც მათქმევინოს...

— მარიკო, შენ აღწევ, რომ გირჩენია, მშვიდ გარემოში დაისვენო. ყურადღების ცენტრში ყოფნა ხომ არ გელის?

— ამ სასტუმროში ძირითადად, ისეთი ხალხი ისვენებს, რომლებიც „ვარსკვლავების აკადემიის“ ტიპის ტელეპროექტებს ნაკლებად უყურებენ. თუმცა, აქ მუშაობს იტალიელი კაცი, სახელად ბრუნო, რომელმაც, ჩემდა გასაკვირად, მიიხარა, რომ ჩემ მიერ შესრულებული სიმღერები ჰქონდა მოსმენილი და ძალიან მოსწონდა. მთხოვა კიდევ, კონცერტზე ერთი სიმღერა მისთვის მიმეძღვნა. ამ საღამოს თხოვნას აუცილებლად შევუსრულებ და ერთ-ერთ სიმღერას მივუძღვნი. ■



„სწორად ის ჩანი მოვიყვანა ცოლად, ვინც უნდა მოთაყვანა“

უდარდელ და ყველაზე ლამაზ წლებს მხოლოდ კომუნისტური წყობა აფუჭებდა, მაგრამ მაშინ ეს მისთვის სულერთი იყო: თამაშობდა ფეხბურთს, დადიოდა კარატეზე, დაინტერესებული იყო მუსიკალური ინსტრუმენტებით. სცენას, კულისებსა და წიგნებს ზოგჯერ ქუჩაც ცვლიდა. საბავშვო ბაღში ეჭვიანობის გამო, ჯგუფველს სათამაშო „უუბიკით“ თავი გაუტყება; უფრო ზრდასრული მიხვდა, ასეთი საქციელით გოგონებთან თავს ვერ მოინონებდა და შეყვარებულის დაქალს გამოცდაზე საკუთარი „შპარგალკა“ დაუთმო. ახლაც შეყვარებულია; ერთი თვის წინ დაოჯახდა. მისი რჩეული — 18 წლის, ყოფილი მოცეკვავე, თამუნა ტაბაბაძე სტუდენტია, კავკასიის ბიზნესსკოლაში სწავლობს. წვეილმა ჯვარი უკვე დაინერა და საქონინო მოგზაურობაშიც ქალაქ ბოდრუშში იყო წასული. იგრძნობა თუ არა წვეილს შორის 19-წლიანი ასაკობრივი სხვაობა? — გააბლაშვილი ამის შესახებ თავად გვეტყვის.

ნიკო მკელიძე

— ყველაზე უზრუნველი და ლამაზი ბავშვობა მქონდა. კომუნისტების პერიოდი კი იყო, მაგრამ ეს ბავშვებს ნაკლებად გვანაღვლებდა, ამ წყობის ყველა უარყოფითი მხარე ჩვენ მიღმა რჩებოდა. სამაგიეროდ, იყო სიმშვიდე, მშობლების, ბები-ბაბუების მხრიდან ძალიან დიდი მზრუნველობა, ეზო, სიმღერა და ყველაფერი ის, რაც მიყვარდა. ბევრი ჯადოსნური კარი ბავშვობიდანვე ჩემთვის ღია იყო. პატარაობიდანვე კარატეზე დავდიოდი და 5 წლის ასაკიდან კომონო მეცვა. სცენაზე არ დავბადებულვარ, თორემ იქ გავიზარდე; რაც თავი მახსოვს, სცენასა და კულისებში ვდგავარ... რეპეტიციები, მრავალსაათიანი შრომა, პრემიერა, აპლოდისმენტები, მუსიკალური ინსტრუმენტები — ეს ყველაფერი საოცრად ახლობელი იყო ჩემთვის...

— ბავშვობაში რითი ერთობლივით?
— ეზო და ბურთი იყო ჩემთვის გართობის საუკეთესო საშუალება. ერთადერთი, რითიც როგორღაც „მამამდნენ“ სახლში, მუსიკა და სიმღერა იყო. ვუსმენდი ხალხურ შემოქმედებას, კლასიკას, პოპულარულ სიმღერებს. დავამთავრე მუსიკალური ათწლედი, შემდგომ — კონსერვატორია. 5 წლის ასაკში უკვე გიტარაზე ვუკრავდი, 7 წლისა კი მეექვსე კლასის მასალას ვასრულებდი. მიხდოდა, რომ სწრაფად ამეთვისებინა ყველაფერი, მაგრამ განსაკუთრებული სიბეჯითით თავი არ გამომიჩენია. მე და მამაჩემი ხშირად ვსაუბრობდით. ვეგობრობდით; მამა ყოველთვის მტკიცე და დამაჯერებელი ლოგიკით გამოირჩეოდა, მისგან ტყუილი არ მახსოვს. რასაც დამპირდებოდა, მისრულებდა კიდევ. თუ არ შეეძლო, პირდაპირ მეუბ-

ნებოდა, — ახლა ამის დრო და საშუალება არ არისო. ერთხელაც, მე და მამას „ცენტრალური საუბარი“ გვექონდა, რომლის დროსაც ასეთი რამ მითხრა, — ბრმად დამიჯერე, უნდა ისწავლო, ეს საჭიროაო. წელიწად-ნახევარი გამიჭირდა, მაგრამ მერე, 57-ე სკოლიდან „ნიჭიერთა ათწლეუმი“, ახლანდელ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიაში გადავედი, სადაც უნიკალური სკოლა გავიარე.

— დასთან როგორ ურთიერთობა გქონდათ? არ ჩხუბობდით?

— ჩემი და ჩემთვის ახლა დაც არის, მეგობარიც, ძმაცაც და ყველაფერი. თუმცა პატარაობაში სრული „მტრობა“ გვექონდა, ერთმანეთს ვსოცავდით, ყველაფერს ვამტყრევდით; ერთი სქელი, უნგრეთიდან ჩამოტანილი, ბროლის ვაზა გვექონდა (ბურთს ჰგავდა), რომელიც ამოჩემებული გვექონდა, რატომღაც, არ ტყდებოდა, დანარჩენი — ყველაფერი დავლენეთ. ჩემს დაზე ორწლი-ნახევრით უფროსი ვარ. თეონა კაპარჩხანა იყო, არ მითმობდა. „ჩხუბის ასაკიდან“ ჩვენი ურთიერთობა ძმაცაცობაში ისე სწრაფად გადაიზარდა, ვერც კი გავიგეთ. თეონა 16 წლის ასაკში გათხოვდა.

— მერე, სად იყავით? არ აკონტროლებდით უძეცროს დას?

— კი ვაკონტროლებდი, მაგრამ ჩემს სასიძოს უკვე მთელი ოჯახი იცნობდა, წელიწად-ნახევარი ჩვენთან არ ეძინა, თორემ ფაქტობრივად, იქ ცხოვრობდა. ვგრძნობდი, რომ მოვლენები ლოგიკურად ასეც განვითარდებოდა, მაგრამ ასე

სწრაფად თუ მოხდებოდა ყველაფერი, ვერ წარმომედგინა.

— ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ფიქრობს, რომ მშობლები მისი მტრები არიან, თქვენ თუ გქონდათ ასეთი პერიოდი?

— ბედნიერი კაცი ვარ, რომ ასეთი პერიოდი ცხოვრებაში არ მქონია. მშობლები დიდ თავისუფლებას მაძლევდნენ, მაგრამ როგორ ახერხებდნენ, რომ



თან მკაცრ მარწუხებში მოვექციე და თან ქუჩაც არ ყოფილიყო ჩემთვის უცხო, ვერ გეტყვით. მათ, ყველაფერთან ერთად, შეძლეს, რომ ჩემში შემეცნებოთ ინტერესიც გაეღვივებინათ და ამდენად, წიგნებთან ურთიერთობაც არ მიჭირდა.

— „ქუჩის აკადემია“ არ გაგიყლიათ?

— იმ დონეზე, რა დონეზეც კაცმა ეს „აკადემია“ უნდა გაიროს, გავიარე! „ბირჟაზეც“ ვმდგარვარ და იქიდან გოგონებიც მითვალისწინებია. საქმე ისაა, რომ იმ პერიოდში, როცა მე ვიზრდებოდი, ქუჩა ასეთი სასტიკი არ იყო. ჩემი დისშვილის თაობას რომ ვუყურებ, გაცუბული ვარ... მაშინ იარაღი არ იყო, თან ჩემი მშობლები, როგორც უკვე გითხარით, მიღვივებდნენ წიგნებისა და სწავლისადმი ინტერესს, ქუჩისთვის ცოტა დრო მქონდა.

— როგორ მოსწავლე იყავით?

— თავის ქებაში ნუ ჩამითვლით, მაგრამ — კარგი; სკოლა მედალზე მაქვს დამთავრებული.

— ოქროს მედალზე?

— არა, ვერცხლის. მედალთან დაკავშირებით, ერთი ამბავი გამახსენდა. ჩემი სკოლის დროინდელი შეყვარებულის

ინფორმაციულ-მედიის სექტორი

ეოსი დვალის უბის წიგნაკრები

1. პანტერაფობია სიდედრის შიშია.
2. ზღვის გველს ბრტყელი კუდი აქვს.
3. დონ-ჟუანი სევილიელი იყო, ტრუფალდინო — ბერგამოელი.
4. ძალი ადამიანმა დაახლოებით 14 ათასი წლის წინ მოიშინაურა.
5. ცხოველთა სამყაროში ყველაზე ხშირად ერთმანეთს მარტორქები ებრძვიან.
6. ინდური ლოტოსის თესლი 200-250 წელი ინახება, ხორბალი — 10-15 წელი.



7. ალექსანდრა ჯაფარიძე პირველი მთავრული ქალი იყო, ვინც უშბა დალაშქრა.
8. „არა მხოლოდ ინგლისი, არამედ ყოველი ინგლისელი — კუნძულია“ — ამბობდა ნოვალისი.
9. ოყა ნონის ძველბური ერთეულია, იგი 3 გირვანქას ანუ დაახლოებით 1200 გრამს უდრის.
10. „ადამიანი ღმერთმა ყველაზე ბოლოს შექმნა, მაშინ, როცა უკვე გადაღლილი იყო“, — ამბობდა მარკ ტვენი.
11. ბრძოლაში დაღუპულ, მამაც თანამებრძოლებს ვიკინგები გემზე ასვენებდნენ, წყალში შეაყურებდნენ და გემიანად წვავდნენ.
12. „ტაქტი — ეს გახლავთ ხელოვნება, აფიქრებინო სხვებს, რომ მათ თქვენზე მეტი იციან“, — ამბობდა რეიმონდ მორტიმერი.
13. „ნებისმიერ საყოყმანო სიტუაციაში შეგიძლიათ, ციტატის ავტორობა ჯორჯ ბერნარდ შოუს მიანეროთ“, — ამბობდა ნაიჯელი რისი.
14. პირველი ფასიანი კინოსენსი 1895 წლის 28 დეკემბერს პარიზში, კაპუცინების ბულვარზე, ინდურ სალონ „გრანდ კეფეში“ შედგა.
15. რამდენიმე მსხვილი ბანკის ან კაპიტალისტის მონოპოლიურ გაერთიანებას რაიმე მსხვილი ოპერაციის ერთობლივად ჩატარების მიზნით, კონსორციუმი ჰქვია.
16. კარატე კუნძულ ოკინავაზე ჩაისახა, სადაც გლეხებს აკრძალული ჰქონდათ საომარი იარაღის ტარება. ამის გამო ამ აღმოსავლურ ორთაბრძოლაში გამოყენებული თითქმის ყველა იარაღი სასოფლო-სამეურნეოა.
17. მარშალი პელისიე განთქმული იყო თავისი სიანჭლით. ხშირად ოფიცრებს უსამართლოდაც სჯიდა. ერთხელ ალჟირში ლაშქრობისას ისე გაცეცხლდა, რომ მათრახი შემოჰკრა სახეში ოფიცერს. ოფიცერმა ამოიღო დამბაზა და მარშალს ესროლა, მაგრამ იარაღმა უმტყუნა და არ გავარდა. პელისიემ ბრძანება გასცა,

დაქალიც მედალზე გადიოდა, ქართულის წერის გამოცდაზე გვერდიგვერდ მოვხვდით. მაშინ მაგარი „შპარგალკომანია“ იყო. ისეთი თემა მოვიდა, რომლის „შპარგალკაც“ მე მქონდა. იმ გოგოს რომ გადავხედე, სახეზე ფერი არ ედო. გავარკვიე, რომ ბაიბურში აღარ იყო, რა უნდა დაენერა. 4-იანი რომ გამოჰყოლოდა, მედალს დავარგავდა. გადავწყვიტე, თავი მომენონებინა შეყვარებულის დაქალთან, ჩემი „შპარგალკა“ მივეცი და მე თავისუფალი თემა დავწერე. თუ გახსოვთ, იმ დროს, თავისუფალ თემაში ერთ ნიშანს გვაკლებდნენ. ამ ჯენტლმენური ჟესტის წყალობით, ორივემ ვერცხლის მედალი ავიღეთ.

შეყვარებული ასხენეთ, რა ასაკში დაინწყეთ გოგონების „თვალღერება“?

— ძალიან ადრე — საბავშვო ბაღში. ჩემი ინტერესის ობიექტი საახალწლო ზეიმზე დედოფლად აირჩიეს. ფიფქიას ტანსაცმელში ძალიან ლამაზი მერყენა და მაშინვე შემოიყვარა. ნინო თვალჭრელიძეს მალევე დავმორდი, რადგანაც ძალიან „ტრაგიკულად“ განვითარდა მოვლენები. მე ჩემი „კუბიკები“ მქონდა, უცხოეთიდან ჩამოტანილი, და მხოლოდ ნინოს ვათამაშებდი ხოლმე. ერთხელაც, ბაღში დამავიანდა, მივედი და რას ვხედავ: ის ჩემი შეყვარებული, ჩემი „კუბიკებით“ ვიღაც ბიჭს არ ეთამაშებოდა?! სასწრაფოდ უნდა მიმელო ზომები: ავიღე „კუბიკი“ და იმ ბიჭს თავში ჩავარტყი. მას თავი გაუტყდა. ბაღში ჩემი მშობლები დაიბარეს და იყო ერთი ამბავი... სხვათა შორის, ერთხელ მშობლები საბავშვო ბაღში ჩემს მუსიკალურ შესაძლებლობებთან დაკავშირებითაც დაიბარეს. მორიგ ზეიმზე ბატონი კოტე მახარაძე მოინიჭეს (ვიცოდი, ვინც იყო ბატონი კოტე) და ის დღე ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა... კონცერტზე გიტარაზე ვუკრავდი, ვმღეროდი. ბატონი კოტე ჩემი სიმღერით მოიხიბლა და ყოველი სიმღერის დასრულებისთანავე მეუბნებოდა: კიდევ იმღერეო. არადა, 3 სიმღერაზე მეტი არ ვიცოდი. ერთხელაც რომ მითხრა, იმღერეო, შემრცხვა, მეთქვა, მეტი არ ვიცემეთქი. მერე უეცრად მამაჩემი გამახსენდა, ერთი სიმღერა ჰქონდა ამოჩემებული, სახლში სულ იმას ლილინებდა და მეც ის დავინწყე: „კუპიტე ბუბლიკი, გარიანჩე ბუბლიკი“... „ბლატნოი“ სიმღერა იყო, საკმაოდ ბევრი უწმანური სიტყვით; რაც უფრო მეტ კუბულს ვმღეროდი, ვამჩნევდი, მით მეტად იძაბებოდა დირექტორი და მით მეტად ბუჩქნებოდა ბატონი კოტე. ბოლოს მაკოცა, მითხრა,

— შენ გაიხარე, ასეთი კარგი დრო დიდი ხანია, არ მიტარებიაო, — და წავიდა. მეორე დღეს დედაჩემი დაიბარეს და უთხრეს: ძალიან ნიჭიერი ბავშვია, ასეთი ბავშვები ყველაფერს ღრუბელივით ისრუტავენ და ყველაფერს ნუ მოასმენინებთო.

საოცნობად, უცნაური პროფესია თუ გქონათ ბავშვობაში?

— ასეთი არაფერი მახსენდება. თუმცა თავიდანვე მუსიკაზე არ მიფიქრია. ძალიან მიყვარდა ტექნიკური საგნები. საერთოდ, პრაქტიკული კუთხით, პროფესიაზე ნაკლებად მიფიქრია, მაგრამ რეალურად რომ გადავვადი ნაბიჯი, პრაქტიკული დანიშნულება ქართულ სინამდვილეში იმასაც თითქმის არ ჰქონდა — მუსიკის თეორიის ფაკულტეტზე ჩავაბარე. მთელ ფაკულტეტზე ერთი ბიჭი ვიყავი; ძალიან კარგად ვგრძობდი თავს, მაგრამ რა უნდა გამოვსულიყავი, წარმოდგენა არ მქონდა: მუსიკის თეორეტიკოსი, დიდი-დიდი, სოლფეჯიოს პედაგოგი. მერე, როცა საოცარ ადამიანს, პროფესორ კუკური ჭოხონელიძეს შევხვდი, მივხვდი, რომ მთლად ცუდადაც არ იყო საქმე. ფოლკლორისტად მან ჩამომყალიბა და გამიღო კარი იმ საოცარ სამყაროში, რომელსაც ქართული ხალხური სიმღერა ჰქვია.

სასიათის რა თვისება შემოგრჩათ ბავშვობიდან?

— ძალიან ბევრია ასეთი: სიჯიუტე, შეუპოვრობა, რამდენიმე საქმის ეთდროულად კეთება; საკმაოდ სწრაფად ვფეთქებდი, მაგრამ შემდეგ, მობოდიშება შემიძლია.

როგორია გაბრაზებული გია ბალაშვილი?

— უი, ცუდი; მაგ დროს არ მომწონს საკუთარი თავი. ისე ვმძვინვარებ, რომ...



თამუნა ამბოზს, 4 შვილის მერე ვიფიქრებთო...



ერთმანეთით აღფრთოვანების პროცესი დღემდე არ დასრულებულა

(იციინის). თუმცა გულში ბოლმას არ ვიტოვებ.

როცა ბრაზობთ, ნივთებს ამტვრევთ?

— ერთი პერიოდი, მობილურებზე ვიყავი გადამტვრეული: 3 მობილური მაქვს დამტვრეული; მერე მიხვდი, რომ ასეთი გაბრაზება ძვირი „სიამოვნებაა“ და ჯობია, მამაპაპური, „ცხრასართულიანი“ კახურით შემოვიფარგლო — უფრო იოლადაც იცლები ბრაზისგან და იაფიც ჯდება (იციინის).

შეყვარებული გაა ბღაშვილი როგორილა?

— აი, ასეთი, როგორიც ახლა ვარ, — ბევრად უკეთესი, ვიდრე გაბრაზებული; თბილი, ყურადღებიანი. იმავეს ვითხოვ საყვარელი ქალისგან. ეს თვისებები განსაკუთრებით გამძაფრებული მაქვს ახლა, რადგანაც შეყვარებული გახლავარ.

— აქვე უნდა მოგილოცოთ გაბდნიერება და გკითხოთ: ღირდა 37-წლიანი ლოდინი თამუნასთვის (ამ დროს, როგორც ჩანს, გიას მუღლეს გულმა უგრძნო, მასზე რომ ვსაუბრობდით და ტელეფონით დაურეკა ქმარს იმის შესახებნებლად, რომ მოენატრა; ძალიან რომანტიკული საუბარი იყო)?

— პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან ბედნიერი ვარ. ყოველთვის მიწოდდა, რომ ჩემი ოჯახი ორ რამეზე ყოფილიყო დაფუძნებული — სიყვარულსა და თანამოაზრეობაზე. მოსიყვარულე და თანამოაზრე ადამიანი შემხვდა. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ერთმანეთი ღმერთმა გვაჩუქა. რომ მეკითხებოდნენ, რატომ არ მოგყავს, ბიჭო, ცოლი და რას უცდი აქამდე? — ახლა ამ კითხვაზე არგუმენტირებული პასუხი მაქვს: აქამდე რომ მომეყვანა, ე.ი. საბავშვო ბაღიდან უნდა გამომეყვანა და დამიჭერდნენ-მეთქი.

რთულია, 18 წლის გოგოს თავი შეაყვარო?

— არ გამჭირვებია, ყველაფერი ბუნებრივად მოხდა. ერთმანეთის მოწონებისა და ერთმანეთით აღფრთოვანების პროცესი დღემდე არ დასრულებულა. სულ ვოცნებობდი, რომ ცხოვრებაში უჭკუო ქალი არ შემხვედროდა. ხომ ამბობენ,

კაცებს სულელი ქალები მოსწონთ, რადგან სულელს რალაცები გამოეპარება, ცოტას მოატყუებო. ამას ვაპროტესტებ; შე დალოცვილო, რისთვის მოგყავს, თუ მაინც უნდა მოატყუო?! ასე რომ, მიადვილდება თამუნასთან ურთიერთობა იმიტომ, რომ გონიერი ადამიანია.

მართლაც რომ სიყვარულმა ასაკი არ იცის... როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი ცხოვრება 20 წლის შემდეგ?

— კიდევ უფრო უკეთესი, შვილებით დასუნძლოლი!

რამდენი შვილის ყოლას აპირებთ?

— რამდენსაც ღმერთი მოგცემს, იმდენს. თამუნა ამბობს, 4 შვილის მერე ვიფიქრებო...

შვილებს მშობლების სახელებს დაარქმევთ?

— არ ვიცი. ამაზე მამაჩემმა კარგი რალაც თქვა: არც მე და არც თამუნას მამას ქართული სახელი არ გვქვია (ჯემალი და ტრისტანი) და მაინცდამაინც ვემტრისტას ნუ დაარქმევთ შვილს, არ არის აუცილებელი (იციინის).

20 წლით უფროსი ქალი რომ შეყვარებოდათ, არც მაშინ იფიქრებდით ასაკობრე სხვაობაზე?

— ძნელი სათქმელია... ჩემთვის არსებობს ჩემი მუღლე, უზარმაზარი სიყვარული და ფიქრიც არ მინდა სხვა დანარჩენზე. შეიძლება, დრო რომ გავა, უფრო იოლად მოვახდინო ამ ყველაფრის თეორეტიზება. მაქვს შეგრძნება, რომ სწორედ ის ადამიანი მოვიყვანე ცოლად, რომელიც უნდა მომეყვანა.

ახლა მითქმა-მოთქმა რომ მოჰყვება თქვენს ქორწინებას, ამისთვის მზად ხართ?

— ვერ ვხვდები, რატომ უნდა მოჰყვეს ამ ქორწინებას მითქმა-მოთქმა. ჩემი წინაპრების ცხოვრების ისტორიას რომ გადავხედე, ორივე — დიდი ბებიებისა და ბაბუების ქორწინებაც სწორედ დიდი ასაკობრივი სხვაობით გამოირჩეოდა. მტკიცე ოჯახები ჰქონდათ და ამ ოჯახების დანგრევის არანაირი პირობა არ ყოფილა. ასე რომ, ურთიერთობისას მთავარი — სიყვარული და ფასეულობებია, სხვა დანარჩენი — მეორეხარისხოვანია.

ბედნიერებას გისურვებთ! — გამაღლობ.

ინფორმაციულ-შეახსენებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკოდან:

დაეპატიმრებინათ ოფიცერი და განაცხადა: „ვაპატიმრებ იმისთვის, რომ იარაღის მოვლა-პატრონობა და მოხმარება არ სცოდნია“.

18. შხამიანი თევზი ფიგუ განთქმული იაპონური დელიკატესია. იგი უვნებელია, თუკი სათანადო ოსტატობით არის მომზადებული. იაპონელი გურმანები მას საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად უკვეთენ რესტორნებში. როგორც წესი, 150-200 შემთხვევიდან ერთი ლეტალურად მთავრდება. ფიგუ ერთადერთი დელიკატესია, რომელიც იაპონიის იმპერატორისათვის არასდროს მოუმზადებიათ.

19. სეიშელის ერთ-ერთი კუნძული ფრანგმა ლაზარომ აღმოაჩინა. მიცურდა გემით, დაიყვრა, გაუმარჯოს მეფესო, და საფრანგეთის სამფლობელოებს ერთი კუნძული შეემატა. ამ კუნძულს შემდგომში ისეთი მშობრა მმართველი ჰყავდა, დაინახავდა თუ არა ინგლისურ ხომალდებს, ინგლისის დროშას სწევდა ფლაგშტოკზე; წავიდოდნენ ინგლისელები და კვლავ ფრანგულ დროშას აღმართავდა. თორმეტჯერ მოახერხა მან ამ გზით ბრიტანელების მოტყუება. ბოლოს მაინც გამოიჭირეს ინგლისელებმა, მაგრამ უკვე გვიანი იყო — კუნძულზე ყველა ფრანგულად ლაპარაკობდა.



20. ნიკოლოზ I-ის მეფობის დროს რუსეთის არმიამი მსახურობდა ვინმე პოლკოვნიკი რანცევი, რომლის ქალიშვილი ცოლად გაჰყვა გვარდიის მაიორს, წარმოშობით ლაპლანდიელს. მისმა ქმარმა ცოლის პატივსაცემად, საკუთარი და მუღლის გვარი გააერთიანა და ორმაგი გვარი აიღო, თუმცა ნიკოლოზ I-ის მკაცრი მითითებით იგი იძულებული გახდა, ცოლის გვარი პირველ ადგილზე დაენერა და საკუთარი მეორეზე გადაეტანა. ამ სახეცვლილების შედეგად, მისი გვარი უკვე ასე ფლერდა — რანცევზასს (მაიორის გვარი გახლდათ — ზასს), ნაცვლად ზასსრანცევისა.

21. ეკომომორებს მსოფლიო მასშტაბით, უამრავი ათასწლოვანი ხე აქვთ გადარჩენილი. ისინი ხშირად ხეზე აწყობენ საცხოვრებელს, აწესებენ მორიგეობას, განსაცდელის ჟამს რაციებით ერთმანეთს უკავშირდებიან, განგაშს ტყენ და არ ანებებენ ტყისმჭრელებს დიდრონი ხეების განადგურებას. „ასეთი ხეების მოჭრა დაუშვებელია, — ამბობენ ისინი, — ათასწლოვანი ბუმბერაზების გაზრდას ვერც ჩვენი შვილები და ვეღარც შვილთაშვილები მოესწრებიან“.

თხასაპით გაყიდული ხალხი, „გაუიფლებელი“ უკონსო და საიდუმლო საქართვეკაციები

„ომონის“ ყოფილი ხელმძღვანელი, რამაზ იაშვილი, რომელიც ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში სამხედრო საიდუმლო დავალებებს ასრულებდა, ირწმუნება, რომ მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტებაში დიდი წვლილი მიუძღვის. როგორც თავად ამბობს, „ვარდების რევოლუციამდე“ ჩიტაძის დაჯგუფების ანუ „სმერტნიკების“ ერთ-ერთი წევრი იყო და ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ხელისუფლებაში სააკაშვილი მოსულიყო.



„ჩვენ განწიკვალაი ვიყავით...“

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო რამაზ, ხელისუფლებაში სააკაშვილის მოსაყვანად მაინც, რა გააკეთეთ?

— მაშატივით, მაგრამ ამას ვერ გეტყვი, რადგანაც სახელმწიფო საიდუმლოებაა. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მიზნის მისაღწევად ყველაფერზე ვიყავით წამსვლელნი და დავალებებს საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ვასრულებდით.

— ბოლოს სამხედრო დავალება როდის შეასრულეთ?

— აგვისტოს ომის დროს.

— ცხინვალში იყავით?

— მოდი, ნუ დავაკონკრეტებთ, სად ვიყავი. მე ჩემ მიერ გამოწვევნილ ვეტერან სპეცრაზმელებთან ერთად ის გავაკეთე, რაც საჭირო იყო.

— კარგი, მაშინ ის პერიოდი გავიხსენოთ, როდესაც ზვიად გამსახურდიასთან ერთად, პარლამენტის ბუნკერში იყავით ჩასული. ალბათ, იქ მომხდარი მოვლენები სამხედრო საიდუმლოებას არ წარმოადგენს.

— ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების პერიოდში დასავლეთ საქართველოს „ომონს“ ვმეთაურობდი. როდესაც თბილისში სიტუაცია დაიძაბა, დედაქალაქში აღმოსავლეთ საქართველოს „ომონის“ უფროსთან, ავთო ნონორიასთან ერთად გამომიძახეს. ძალიან მალე, ქართველებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო. მე და ავთო იძულებული გავხდით, სახელმწიფოს მეთაურს პარლამენტის შენობაში განთავსებულ ბუნკერში ჩავყოლოდით. „ზვიადისტი“ არ ვიყავი, უბრალოდ, ჩემს მოვალეობას ვასრულებდი.

— ზვიადის მმართველობით უკმაყოფილო იყავით?

— არც უკმაყოფილო ვიყავი და არც — კმაყოფილი. სამხედრო პირი გახლდით და პოლიტიკაში არ ვერეოდი. ისე, გაგმხელთ,

რომ ზვიადის ზედმეტად ლმობიერი ხასიათი არ მომწონდა. ჩემი აზრით, ის სწორედ ამ თვისებამ შეინირა. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მის გუნდში ძირითადად, გაუბედავი ადამიანები იყვნენ და საჭირო დროს საჭირო გადაწყვეტილებებს ვერ იღებდნენ.

— მათი გაუბედაობა რაში გამოიხატებოდა?

— ბუნკერში რამდენიმე ათასი ჯარისკაცი გყავდა და დიდი რაოდენობით იარაღი გვექონდა, თენგიზ კიტოვანი კი გარედან სულ რამდენიმე ათეული კაციც გვეშუქებოდა. მაშინ ჯაბა იოსელიანი ჯერ კიდევ ციხეში იყო. მე და ავთანდილ ნონორია ზვიადთან მივედით და ვთხოვეთ: — არავის დახმარება არ გვინდა, მარტო გავალთ და დავარტყამთ-თქო. იცით, რა გვითხრა? — თქვენ ისეთი სასტიკი მებრძოლები ხართ, ბევრი ადამიანის სისხლს დაღვრით, მე კი ჩემი თანამდებობა ქართველი კაცის სისხლის ფასად არ მიღირსო. მის გარშემო დილემანტი, გაუბედავი ადამიანები რომ არ ყოფილიყვნენ შეკრებილნი, ჩვენი გადაწყვეტილების სისწორეში როგორმე დაარწმუნებდნენ. კიტოვანის და მისი მხარდამჭერების განადგურებით, შესაძლოა, საქართველო სამოქალაქო ომს გადაარჩენილიყო.

— ქართველების სისხლის დასაღვრელად მზად იყავით?

— კი, მზად ვიყავი და ნუ მიყურებთ ასეთი გაოცებული სახით. მოდი, ერთ კითხვას დაგისვამთ: — ტყვია ჯერ საკუთარმა ბიძაშვილმა რომ დაგახალათ, მერე კი მე, რომელი უფრო დიდ ტკივილს მოგაყენებთ?

— რა თქმა უნდა, ბიძაშვილის მიერ ნასროლი.

— თქვენ გგონიათ, ჩემ მიერ ნასროლი ტყვია ნაკლებ ტკივილს მოგაყენებთ? ასეთი რომანტიკული აზრები მხოლოდ მაშინ შეიძლება მოგივიდეთ თავში, როდესაც კონდიციონერიან, კომფორტულად მოწყობილ ოთახში წერთ. აი, როდესაც შენი ბიძაშვილის მიერ გამოსროლილი ტყვიები თავზე

გადაგიფრენს, მერე ნამდვილად იტყვი — ერთი ამისთვის შუბლი გამახვრეტინაო. ბიძაშვილებს თუ ტვინი არ ეყოთ და ერთმანეთს იარაღი დაუმიზნეს, მერე იქ დანდობაზე ლაპარაკს აზრი აღარ აქვს.

— ბუნკერიდან გამოსვლას საერთოდ ვერ ახერხებდით?

— როგორ ვერ ვახერხებდით! სხვათა შორის, იქიდან რამდენიმე წარმატებული სპეცოპერაცია ჩავატარეთ. ბუნკერში ტელევიზია ჩემი ჩატანილია. მაშატივით, მაგრამ სხვას ვერაფერს გეტყვი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ გასაიდუმლოებულ დავალებებს ვასრულებდი.

— რთულ დავალებებს გაძლევდნენ?

— საბჭოთა კავშირის პერიოდში ისეთ ნაწილში ვმსახურობდი, რომ ზვიადის მთავრობის დავალებები აზარტულ გართობად მეჩვენებოდა.

— ასეთი რა ნაწილი იყო?

— მაშინდელი გენერალური მდივნის, ბრეჟნევის პირად დივიზიაში ვმსახურობდი. იქიდან საქართველოში ოფიცრის წოდებით ჩამოვედი.

— იქ როგორ მოხვდით?

— ჯარში მოხალისედ წავედი, უფრო სწორად, გავიპარე. თავიდან მაგადაწმი, ჩვეულებრივ სამხედრო ნაწილში ვმსახურობდი. მიზნის მისაღწევად ძალიან ბევრი ვინვალე, სხვა ჯარისკაცებზე ერთი საათით ადრე ვდგებოდი და ვვარჯიშობოდი. გენერალური მდივნის პირად დივიზიაში მოხვედრა, ჩემთან ერთად, 11 ქართველს უნდოდა, მაგრამ იქ მხოლოდ მე მოხვდი.

— ჯარში გაპარვა რატომ დაგჭირდა?

— მამაჩემიც სამხედრო იყო („წითელი ვარსკვლავის“ ორდენისანი გახლდათ და 48 წრილობა ჰქონდა მიღებული) და დედაჩემის მამაც, რომელიც 1941-ში სამამულო ომში წავიდა და აღარ დაბრუნდა. როდესაც ჩემი

შობლები დაქორწინდნენ, დედამ მამას ფიცი ჩამოართვა, თუ ბიჭი შექმნილია, ჯარში არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებდნენ. მამას ძალიან უნდოდა პირობის შესრულება, მაგრამ არ გამოუვიდა. მითხრეს, — თუ გინდა, ჯარში გაგიშვით, სამედიცინო უნივერსიტეტში ჩააბარე და პირველი კურსი ხუთთვეზე დახურეო. ალბათ ეგონათ, ამას ვერ შევძლებდი, მაგრამ მათი მოთხოვნა ხუთიანზე შევასრულე. მაშინდელი კანონმდებლობის მიხედვით, დაქორწინებული ბიჭები ჯარში არ მიჰყავდათ. მე იმ პერიოდში ცოლიც მყავდა და შვილიც, მაგრამ გადანაცვლები მქონდა, სამედიცინო სასწავლებელი მიმეტოვებინა და ჯარში წავსულიყავი. მამაჩემმა სხვა რომ ვეღარაფერი მოიფიქრა, 15.000 მანეთი გადაიხადა და საბუთები გამიფუჭა, მე კი 25.000 მანეთი გადავიხადე, სრულიად ახალი საბუთები გავაკეთე და გავიპარე.

— „ომონს“ ხელმძღვანელად ზვიად გამსახურდიას ინიციატივით დაინიშნეთ?

— არა, ამ თანამდებობაზე მილიციის სამმართველოს უფროსმა, გივი ლობჯანიძემ დანიშნა.

— ხელისუფლებიდან გამსახურდიას წასვლის შემდეგ თქვენი პოსტის შენარჩუნება როგორ მოახერხეთ?

— სხვათა შორის, ზოგიერთი „ვაიზვიადისტი“ გამსახურდიას ლაღატკობდა და მბრალეობდა. სინამდვილეში კი აი, რა მოხდა: ზვიადმა გაიგო, რომ მის წინააღმდეგ

ჩითო. მე სამხრეების კაცი ვარ და მხოლოდ კანონს ვეჭვემდებარები. იმის გამო, რომ ზვიადის გვერდით ვყოფილიყავი, ერევანში ვერ წავიდოდი. ვუთხარი კიდევ: — ბატონო პრეზიდენტო, მირჩევნია დამხვრიტოთ, რადგანაც სომხებთან თავის შეფარებას ქართულ მიწაში წოლა მირჩევნია-მეთქი. ჩემზე ვინ რა უნდა თქვას? მოვალეობა პირნათლად შევასრულე. მართალია, ზვიადს თან ვერ გავყვევი, მაგრამ საზღვრამდე (წითელ ხიდამდე) უვნებელი მივაცილე. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ნამდვილ მოლატეებზე ხალხი არაფერს ამბობს.

— თქვენი აზრით, ვინ არიან ნამდვილი მოლატეები?

— თუნდაც, ლოთი ქობალია და კაკო ასათიანი.

— ამის დამამტკიცებელი არგუმენტი გაქვთ?

— მათ ლალატზე მათივე საქციელი მეტყველებს. ზვიადის ხელისუფლების დროს კაკო ასათიანი ხომ პარლამენტის თავმჯდომარე იყო?

— დიას, იყო.

— მერე, რატომ არ ჩაჰყვა თავის პრეზიდენტს ბუნკერში? ის მაღაფს ამ ამბავს, მაგრამ მე კარგად ვიცი, რომ ზვიადი მასზე ძალიან ნაწყენი იყო. ზუსტად მაშინ, როდესაც ბუნკერში ჩასუსვლელობის მიზეზად გულის ტკივილს იბრალებდა, სინამდვილეში, ქორწილში თამაობდა. ქობალიამ კი ერთი უთქმელი რამ გააკეთა: როდესაც ზვი-

თბილისიდან ჩემი ბიჭებიანად ავიკარი გუდანაბადი და ქუთაისში დავბრუნდი.

— როდესაც გამსახურდია საქართველოს საზღვრებს ტოვებდა, რამე თუ გითხრათ?

— არა, ძალიან დათრგუნვილი და სევდიანი იყო.

— ამის შემდეგ, შევარდნაძის ხელისუფლებისთვის დაინწყეთ მუშაობა?

— შევარდნაძეს ვერ ვიტან, მაგ კაცს საქართველოს ყველაზე დიდ სასჯელად მივიჩნევ, მაგრამ რა მექნა? საქართველოს პრეზიდენტი ეგ იყო, მე კი ქვეყნის სამსახურში ვიყავი. იმ პერიოდში მე და ჩემი ბიჭები ჯერ ზუგდიდში ვასრულებდით სპეცოპერაციებს, მერე აფხაზეთის ომი დაიწყო და იქ გვიშვებდნენ ხოლმე საგანგებო დავალებებით.

— რამდენად შეესაბამება სიმართლეს გაგრძელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ აფხაზეთში ქართული დანაყოფები ერთმანეთს სშირად უპირისპირდებოდნენ?

— იყო ასეთი შემთხვევებიც. ერთ ამბავს მოგიყვებით: როდესაც სოსხუმში დენი გაითიშა, ჩვენებს პრობლემები შეექმნათ, რაცეცხსაც კი ვეღარ ამუშავებდნენ. ჩვენ ამ დროს სენაკში ვიყავით და სოსხუმში გენერატორის ჩატანა დავგავალქა. ზუგდიდში ქობალია იდგა და არ გვატარებდა. გვინდოდა, გენერატორი ჩუმად გაგვეტანა. ოთხი დღე ვეშვადებოდით ზუგდიდიდან გასასვლელად და რამდენჯერაც მოვამზადეთ ოპერაცია, იმდენჯერ გაჟონა ინფორმაციამ და ქობალიამ ბლოკპოსტები გაამაგრა. ქართველებს სოსხუმში უჭირდათ, ის კი დახმარების ნაცვლად, პრობლემებს გვიქმნიდა. როგორც იქნა, მეხუთე ლაშქარს გავეპარეთ. ტამიშთან აფხაზეთთან მცირემასშტაბიანი შეტაკებაც მოგვიხდა. ბოლოს და ბოლოს, გენერატორი სოსხუმის ცენტრალურ შტაბში ჩავიტანეთ. როდესაც უკან გამობრუნება დავაპირეთ, აღმოჩნდა, რომ მანქანებში სანავი ალარ გვექონდა. არც ერთმა დაჯგუფებამ ხელი არ გავვიმართა, არადა, ახალ დავალებზე სასწრაფოდ ვიყავით წასასვლელი. ჩემმა ბიჭებმა ერთი კი თქვეს, ძალით წავართვათო, მაგრამ შევაკვე, ალარ მინდოდა სიტუაციის გართულება, ისედაც, ჩვენ მიერ ჩატანილი გენერატორისთვის კინალამ ერთმანეთი დახოცეს.

— გენერატორის გამო ერთმანეთს რატომ ხოცავდნენ?

— ყველა დაჯგუფებას უნდოდა, გენერატორი მის შტაბში მდგარიყო. მე და ჩემი ბიჭები განზილებულები გამოვბრუნდით. ვიფიქრეთ, სანავი სადამდეც გვეყოფა, ვივლით, მერე კი რამე გამოჩნდება-თქო. მართლაც, ოჩამჩირეში ჯაბასთან მივედი და იმან აღმოგვიჩინა დახმარება.

— ჯაბასთან კარგი ურთიერთობა გქონდათ?

— თბილისის ომის შემდეგ ჯაბა მოსაკლავად დამდეგდა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ დაგვაშველბრა. თუ წინააღმდეგი არ იქნებოდა,



ისეთი სასტიკი მებრძოლები ხართ, ბერგი ადამიანის სისხლს დაღვრით, მე კი ჩემი თანამებრძობა ქართული კაცის სისხლის უასად არ მიღირსო

უკვე სერიოზული ძალა იყო მომართული. კიტოვანის გვარდიას, მოგვიანებით ჯაბას „მხედრონი“ და სხვა რამდენიმე დანაყოფიც შეემატა. ისიც შევიტყვევო, რომ ფუნნიკულორიდან პარლამენტის შენობისკენ სანავით სავსე ავზების დაგორებას და ბუნკერში ჩვენს გამოწვას აპირებდნენ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ზვიადმა ერევანში გაქცევა გადაწყვიტა. მე და ავთო წონორია დავიბარა და გვითხრა: — თუ გინდათ, ჩვენთან ერთად წამოდი, თუ არა და, დარ-

ადი გროზნოდან სამეგრელოში ჩავიდა, მასთან დიდი ბინა, მაგრამ ერთხელაც, მიტინგიდან შინ დაბრუნებულს, ჩანთები კართან დაუხვდა. ლოთიმ პირდაპირ უთხრა: — ოთახში, რომელშიც შენ ხარ, რემონტი უნდა გავაკეთო და იმიტომ დავცალეო. ასეთი რამე, ჩემი გვარის კაცს რომ გავკეთებინა, ნამდვილად მოვკლავდი! ასეთი საქციელის მერე ეს კაცი მე მდებდა ბრალს ლალატში და მოსაკლავად დამდეგდა. როდესაც ზვიადი სამშვიდობოს გავაცდილე,

მოგიყვებით. ეს ამბავიც ერთ-ერთი დამა-
დასტურებელი ფაქტია იმისა, თუ როგორ
მუხანათურად გვექცეოდა შევარდნაძის ხე-
ლისუფლება მეომრებს.

— ბრძანეთ.

— ერთხელ, ქობალია ხონს მარტვილის
მხრიდან მოადგა. ქუთაისიდან გვიბრძანეს,
„პოსტი“ ორი საათით გაამაგრეთ, მერე სხვა
დანაყოფი შეგცვლითო. ორი საათიც გავი-
და, ოთხიც, ექვსიც, მაგრამ შემცვლელი არ
გამოჩნდა. რადგანაც დიდი ხნით არ ვა-
პირებდით იქ გაჩერებას, არც საჭმელი გვექონ-
და წაღებული და არც სხვა საჭირო ნივთე-
ბი. შტაბს რაციის საშუალებით დაფუძავ-
შირდით და შემცვლელის გამოგზავნა ვთხ-
ოვეთ. გვითხრეს, — უკვე მოდიანო. რამ-
დენიმე ხანს ამოდ ვიცადეთ და მერე ისევ
დავრკევით, მაგრამ ზარზეც აღარ გვიპასუხ-
ეს. არადა, პოსტის უნებართვოდ დატოვ-
ების უფლება არ გვექონდა. როგორც მერე
გავარკვიეთ, განწირულები ვიყავით. იცოდ-
ნენ, რომ იმ ტერიტორიაზე „მხედრიონი“
აპირებდა ჩამოვლას და იმედი ჰქონდათ,
ერთმანეთს შევეჯახებოდით. ასეც იქნებო-
და, სასწაულს რომ არ გადავვრჩინეთ. როდე-
საც მანქანების ქარავანი გამოჩნდა, მეგონა,
ქობალიამ ჩემი პოსტი აიღო. ვიფიქრე, მოდი,
ვეტყვი: მე დამხვრიტეთ და ბიჭები გაუშ-
ვით-მეთქი. როცა გავიგე, ჯაბა იყო, ცივმა
ოფლმა დამასხა.

— რატომ, ქობალიაზე საშიში
ჯაბა იოსელიანი იყო?

— არა, ლოთის ჩემ მიმართ პირადი
მტრობა ამომრავებდა და ვიცოდი, მე მო-
მკლავდა, მაგრამ ბიჭებს დანდობდა და
„მხედრიონს“ კი მთლიან „ომონთან“ ჰქონ-
და ანგარიში გასასწორებელი. როდესაც
ჯაბას მივუახლოვდი, მკითხა — ნერვიუ-
ლობო? მე იხიბიბარი არ გავიტყებ; — არა-
მეთქი. მერე ვთხოვე, ბიჭები არაფერ შუაში
არიან, პასუხი მე მაგებინეთ-მეთქი. — არც
შენს პასუხისგებაში მიცემას ვაპირებ; თუ
შეგიძლია, ფოთისკენ გასასვლელი გზა მი-
მასწავლეო. აი, ასე გადავრჩით.

— როგორ ფიქრობთ, აფხაზეთის
ომი რატომ წავაგეთ?

— იმიტომ, რომ კაზინტებში გაგყვიდეს.
თქვენ იცით, რომ აფხაზეთში ქართველ მეომ-
რებს არც ერთი ბრძოლა არ წაუგიათ და
არც ერთი პოზიცია არ დაუკარგავთ?! შე-
ვარდნაძემ თხასავით გაყიდა თავისი ხალხი.
მთელი მძიმე ტექნიკა ფოთში ჩაიყვანა და
ფრონტი შიშველი დატოვა. მისი შვილები-
სა და შვილიშვილების კისერზე იყოს იმ
უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული ბი-
ჭების ცოდვა.

— სოხუმიდან მძიმე ტექნიკის
გამოყვანის მიზეზი შევარდნაძემ უკვე
ახსნა და თქვა, რომ ის ელცინმა
მოატყუა...

— ეგ გასამართლებელი საბუთი არ არის.
როდესაც კაცი მსოფლიო მნიშვნელობის
პოლიტიკოსად მიიჩნევა თავს, ვიღაც რუს,
„ბასიაკ“ ელცინს თავი არ უნდა მოატყუე-
ბინოს.

ქართული „ოქროს“ კინოსთვის ახალი გაქვამბა:

ვედალი, უულაღი ჯიღღო და აპერიკული ცურენა



ალექსანდრე ბერიძე ამერიკაში,
კლასიკური მუსიკის მოყვარულების
წრეში პოპულარობით სარგებლობს.
წლების წინ, საქართველოში მცხ-
ოვრებ სტუდენტს უცხოეთიდან მიღე-
ბულ მინწევებს პედაგოგები უმა-
ლავენდნენ, რადგან მისი მატერიალური
შესაძლებლობები საზღვარგარეთ გამგ-
ზაფრებას გამოორიქსავდა, მაგრამ
მოგვიანებით, საკუთარი ნიჭისა და
გულისხმიერად ადამიანების წყალო-
ბით, ალექსანდრე ამერიკაში წასვლა და
იქ თავის დამკვიდრება მოახერხა,
რის შესახებაც ჩვენი ჟურნალის
ფურცლებიდან უკვე მოგიხსენებ-
დით. ამ ცოტა ხნის წინ კი, ცინც-
ინატიში გამართულ პრინციპალთა მსოფ-
ლიო კონკურსზე ის ოქროს მედლით
დააჯილდოეს. ალექსანდრე ბერიძის
შესახებ დედამისი — ქალბატონი
მანანა გვამყვებით.

ეთო ყორღანაშვილი

— გილოცავთ შვილის ახალ წარმატებას!

— დიდი მადლობა. ეს მართლაც,
უზარმაზარი წარმატებაა: პიანისტთა
მსოფლიო კონკურსი ცინცინატიში ძვე-
ლი და თანაც, ობიექტური კონკურ-
სია. წელს 24 კონკურსანტი უნდა შერ-
ჩეულიყო, მაგრამ იქ ისეთი მაღალი
დონის მოთხოვნები აქვთ, რომ მს-
ოლოდ 19 შეარჩიეს. გამგზავრების
წინ ალექსანდრე თქვა: ექვსეულში თუ
მოვხვდები, უკვე მაგარი კაცი ვარო!..
ამჟამად, ალექსანდრე აღიარებულ დირი-
ჟორთან და პიანისტთან — ვლადიმირ
ფელცმანთან მეცადინეობს. მას კიდევ
ერთი მოსწავლე — უძლიერესი, „დახ-
უნძლული“ ბიოგრაფიის მქონე პი-
ანისტი კაზანცევი ჰყავს, რომელიც ექვ-
სეულშიც კი ვერ მოხვდა და ალექსან-
დრის ძალიან ეწყინა. საერთოდ, კონკურსე-
ბის 90% ტენდენციურობით გამოირჩე-
ვა, მაგრამ ცინცინატიის პიანისტთა
მსოფლიო კონკურსი გამოინაკლისია და
ეს თავად კაზანცევმაც აღნიშნა.

— მამამთ ნინასაკონკურსო პე- რიოდზე: ნიუ-იორკიდან გამგზავრე- ბულ ალექსანდრე სად და რა პირობე- ში უნდებოდა ცხოვრება?

— პიანისტები ოჯახებს წინასწარ
„მიამაგრეს“. ალექსანდრე მშვენიერ ოჯახ-
ში მოხვდა, რომლის დიასახლისიც
ოპერის მომღერალი გახლდათ, მისი
მეუღლე კი — მსახიობი. გამგზავრე-

ბამდე მათთან ელფოსტით ჰქონდა
მიმოწერა და დამეგობრდნენ კიდევ.
სამწუხაროდ, ალექსანდრის სტუმრობისას,
დიასახლისმა შემთხვევით, ხელი მოი-
ტეხა და ის ჩემი შვილის მისახვედრი
გახდა... კონკურსის ორგანიზატორებ-
მა მას ბინა სასწრაფოდ შეუცვალეს
— ნორმალური საცხოვრებელი
პირობები გჭირდებოდა. ამჯერად ისეთ
ოჯახში აღმოჩნდა, სადაც 2 პატარა
ბავშვი ცხოვრობდა. ისინი ადრე
იძინებდნენ და ამის გამო, ალექსან-
დრე 9 საათის მერე მეცადინეობას ვეღარ
ახერხებდა. ამას ისიც ერთვოდა, რომ
დიასახლისი პრობლემურ ჩველ ბავშ-
ვთა სახლში მუშაობდა, სამსახურში
დილის 6 საათზე მიდიოდა და რად-
განაც ჩემი შვილის ოთახი მისი ოთახის
ქვეშ იყო, ალექსანდრე ელვიძებოდა...
ერთხელ სანთელი აანთო და რადგან-
ც შანდალი ნიუ-იორკში დარჩა, ის
სუნამოს თავსახურზე დაამაგრა. ილ-
ოცა და შემდეგ მეორე სართულზე
ავიდა — ცოტას წავიმეცადინებო.
ვიდრე დაკვრა დაასრულა, ცეცხლი
უკვე გიზგიზებდა — „ლოცვანის“
გარეკანი დადნა... წარმოგიდგენიათ,
რა შეიძლებოდა მომხდარიყო?! უფაღმა
გადაგვარჩინა!

— მასპინძელი ოჯახის წევრებს როგორი რეაქცია ჰქონდათ?

— საბედნიეროდ, იმ დროს შინ არ
იმყოფებოდნენ და დღემდე არაფერი
იციან. ალექსანდრე ახლაც უკვირს: სიგ-
ნალიზაცია როგორ არ ჩაირთო?!.

ის მორწმუნე ბიჭია და სანთლებს ხშირად ვუგზავნი. სხვათა შორის, 29 ივლისს „ოქროს დაბადების დღე“ ჰქონდა — 29 წლის გახდა.

— და სწორედ წელს გახდა ოქროს მედლის მფლობელიც. საინტერესო დამთხვევაა.

— მართლაც... საქართველოდან მშვენიერი პერანგი, ჰალსტუხი, „პეპელა“ გავუგზავნე და კონკურსის ოთხივე ტურზე ის „ბაბოჩკა“ ეკეთა. თვითმფრინავში რომ ჯდებოდა, თურმე მაშინ უთქვამს: ამ კონკურსს დედას მივუძღვნი.

— ბუნებრივია, ორმაგად ამაყი იქნებით...

— სიამაყემდე ველარ მივდივარ — ვტირი ხოლმე (ილიმება). როცა კონკურსის შედეგები გაირკვა, დამირეკა და, ცნობილი ქართული ფილმისა არ იყოს, ასე მითხრა: დედიჯან, ოქროს თბილისში რა მახანდა აქვსო?... — გაჩერდი, შე საძაგელო, ნუ მატყუებ-მეთქი! — ვუპასუხე. მშვიდად ამისხნა, რომ სიმართლეს მეუბნებოდა. ტელეფონში ნივილ-კვიცილის ხმა ისმოდა, საუბარს არ აცდიდნენ... „ფურუტზე“ მიმაქანებენო, — მითხრა. გაოგნებული ვიჯექი.

— კონკურსზე ქართველი გულშემატიკრები თუ ახლდნენ?

— არა. ერთადერთხელ იყო ასეთი შემთხვევა: ახლახან ნიუ-ჯერსის უნივერსიტეტში რომ ჩაირიცხა (სწავლას დოქტორანტურაში აგრძელებს), უთხრეს: „კარნეგი-ჰოლში“ საჩვენებელ კონ-

ცერტზე შენც უნდა დაუკრაო. აღმოჩნდა, რომ დარბაზში „ქართული ხმების“ წევრებიც იმყოფებოდნენ... საოცარი შეხვედრა ყოფილა!

— საქართველოდან თქვენს შვილს როგორ გულშემატიკრობდით?


— ეკლესიაში ხშირად დავდიოდი. პეტრეპავლობის დღესასწაულზე ვეზიარე და ვთქვი: ღმერთო, ეს მადლი ჩემს შვილზე გადავიდეს-მეთქი! როცა მისმა აქაურმა პედაგოგმა — ბატონმა ედიშერ რუსიშვილმა შეიტყო, რომ ალექო პრიზიორებს შორის მოხვდა, იცი, რა მითხრა?... კარგი, რა, ქალბატონო მანანა, ღმერთს აღარაფერი სთხოვოთ, უხერხულიაო (იციინის)... ამის შემდეგ, ყოფილი მოსწავლის გამარჯვების შესახებ რომ შეიტყო, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი რეაქცია ექნებოდა?!

— საფინანსო ტურში ალექოს კონკურენტის ვინ უწევდა?

— ერთი ჩინელი (მან თავი იმიტომ დამამახსოვრა, რომ თბილისში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე გაიმარჯვა) იყო, მეორის შესახებ კი ვერაფერს გეტყვით. კონკურსზე ბრინჯაოს მედალი არ გაცემულა: ოქროს ალექოს ერგო, დანარჩენმა ორმა ფინანსიტმა კი ვერცხლი გაინანია — ძალიან ძლიერი შემსრულებლები იყვნენ.

— გარდა ოქროს მედლისა, თქვენი შვილი კიდევ რით დააჯილდოვდა?

— ალექომ 10.000 დოლარი და ამერიკის პრესტიჟულ დარბაზებში საკონცერტო ტურნე დაიმსახურა. დამავირგვინებელი კონცერტი 2011 წელს, „ლინკოლნ-ცენტრში“ ექნება, სადაც დარბაზის დაქირავება 35.000 დოლარი ღირს! არ მჯერა, ჩემმა შვილმა ასეთ წარმატებას რომ მიაღწია! მოკლედ, დატვირთული სამუშაო გრაფიკი ექნება. ისე, კონცერტები არც მანამდე აკლდა: მაგალითად, ყოველ წელს საზაფხულო კურორტზე — ასპენში, ფესტივალზე მიემგზავრება. სწორედ იქ გაიცნო მსოფლიოში აღიარებული „ბეთჰოვენისტი“ — ოკონერი და მასთან ერთად გაიარა მთელი საფორტეპიანო კონცერტი... ალექომ ნიუ-იორკში საკუთარი ფესტივალი დააარსა. მას „ბეხმტინ-ცენტრმა“ დაუ-



ყოველ წელს სამაფხულო კურორტზე — ასპენში, ფესტივალზე მიემგზავრება

ჭირა მხარი და ყოველ წელს გაიმართება. გარდა ამისა, პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა. ერთხელ სატელეფონო საუბრისას მითხრა: დედიკო, ჩემმა მოსწავლეებმა „დაგლიჯესო“ (იციინის).

— საქართველოში ჩამოსვლას არ აპირებს?

— უამრავი შეთავაზება აქვს, ძალიან დატვირთულია. ვიმედოვნებთ, რომ ღვთის წყალობით, 10 სექტემბრისთვის საქართველოში „გამოპარვას“ მოახერხებს.

— მის პირად ცხოვრებაში რა ხდება?

— ამისთვის დრო არ რჩება, მაგრამ რაღაცებს ვეჭვობ: ერთ იაპონელ გოგონასთან დუეტში უკრავს ხოლმე. მათ ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებთ. ახლა იმ გოგონას და თხოვდება და ალექო ქორწილში დაპატიჟეს.

— თქვენი ეჭვების შესახებ შვილმა თუ იცის?

— ვეუბნები ხოლმე, მაგრამ უარობს: რა სისულელეაო! მოკლედ, არასასიამოვნო ეჭვები მანუხებს (იციინის)!

— იაპონელი გოგონა სარძლოდ არ მოგწონთ?

— უიმე! ძალიან გთხოვთ, ქართველი საპატარძლოები არ დამიფრთხოთ (იციინის)! სხვათა შორის, ამ ბოლო დროს ეკლესიაში ქორწილის ცერემონიას 2-ჯერ შევესწარი, ერთხელ — ნათლობას... რა ვიცი, აბა? რაც ღმერთს უნდა, ის მოხდება. ■



ალექომ 10.000 დოლარი და ამერიკის პრესტიჟულ დარბაზებში საკონცერტო ტურნე დაიმსახურა

კითხვა, რომელმაც ცნობილი მოაზროვნე დააბნია

კლუბის — „რა? სად? როდის?“ — მოთამაშე და „ახალი მემარჯვენეების“ წევრი ირინა ზრუშიძე „ერუდიტში“ სტუმრობაზე უყოყმანოდ დამთანხმდა. ის პროფესიით ექიმი-ფსიქოლოგია. ბორხესი, აკუნინი, გამსახურდია, ლორთქიფანიძე — იმ ავტორთა ჩამონათვალია, რომელთა ნაწარმოებების კითხვაც არასდროს ჰბეზრდება. ძალიან მოსწონს XIX საუკუნის დასაწყისის რუსული პოეზია, სოლო ქართველი პოეტებიდან, ლადო ასათიანის თავყანისმცემელია.



„ახალგაზრდა ავტორებს კარგად არ ვიხსნობ“

თამუნა კვინიტაძე

პრაგმატული პოეზია

— ქალბატონო ირინა, თანამედროვე ქართულ მწერლობას თუ ვცნობით?

— თანამედროვე ქართულ მწერლობას, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ავტორებს კარგად არ ვიცნობ. სამაგიეროდ, ცოტა ხნის წინ აკა მორჩილაძის ნაწარმოებები წავიკითხე და მომეწონა. კარგად წერს.

— ოდესმე წიგნი თუ მოგიპარავთ?

— (იცინის) არა, ასეთი შემთხვევა არ მახსენდება და არც არასდროს მოვიპარავ, რადგან იგივე მე რომ გამიკეთონ, ძალიან მენიჭება.

— „ახალი მემარჯვენეების“ წევრი ხართ. ამ პარტიაზე არჩევანი გიორგი მოსიძესთან მეგობრობის გამო ხომ არ შეაჩერეთ?

— „ახალ მემარჯვენეებში“ ბევრი მეგობარი მყავს. როცა ეს პარტია დაფუძნდა, ახალგაზრდა ფრთას ვხელმძღვანელობდი; მერე პოლონეთში მომიხდა წასვლა, საიდანაც 1 წლის შემდეგ დავბრუნდი და პარტიის საერთაშორისო ურთიერთობებში ჩავები. მომწონს „ახალი მემარჯვენეების“ პოლიტიკური ხედვა და მათთან ამიტომაც ვარ!

— წარმატებას გისურვებთ! ახლა კი დროა, კითხვარზე გადავიდეთ.

— აბა, დავინწყით.

— ქართული თეატრის ისტორია საუკუნუნახევარზე მეტს მოიცავს. 1850 წლის 2 იანვარს პირველი სპექტაკლი გაიმართა. რომელ შენობაში წარმოადგინეს „გაყრა“?

— როგორც მახსოვს, ეს თბილისის კლასიკური გიმნაზიის შენობაში მოხდა.

— დიას. ეს გამოჩენილი მეფე ტახტზე 27 წლის ასაკში ავიდა და 65 წელი იმეფა. დაასახელეთ იგი.

— (ფიქრობს) ის საქართველოს გაერთიანებამდე მეფობდა?

— დიას. ამ მეფის შესახებ ლეონტი მროველი „მეფეთა ცხოვრებაში“ მოგვითხრობს.

— ფარნავაზი.

— აშშ-ში, მაუნტ-რაშმორის მთის კლდოვან ნაწილზე ამერიკის პრეზიდენტების 18-მეტრიანი სკულპტურული პორტრეტებია გამოკვეთილი. მემორიალი როდენის მოსწავლის — ბორგლემის მიერ არის

შექმნილი. მან სიცოცხლეში მხოლოდ 4 პრეზიდენტის გამოქანდაკება მოასწრო. დაასახელეთ ეს 4 პრეზიდენტი.

— ვაშინგტონი, ჯეფერსონი, ლინკოლნი, რუზველტი.

— რომელი ოკეანე აკრავს გარს კუნძულ მადაგასკარს?

— წყნარი ოკეანე.

— ცდებით, ამ კუნძულს ინდოეთის ოკეანე აკრავს გარს. კიევის სამხედრო გიმნაზიიდან საქართველოში არდადეგებზე დაბრუნებულმა ყმანვილმა, მშობლებს რომ დალაპარაკებოდა, ქუთაისიდან სოფელში თარჯიმანი გაიყოლა. შემდგომში ის ცნობილი მწერალი გახდა. დაასახელეთ იგი.

— ე.ი. იმერეთიდან იყო (ფიქრობს)... დავით კლდიაშვილს გულისხმობთ?

— დიას. ჩვენამდე მოაღწია დემეტრე I-ის საყოველთაოდ ცნობილმა საგალობელმა, რომელსაც პირველი სიტყვების გამო, „შენ ხარ ვენახი“ უწოდეს. რომელ წმინდანს ეძღვნება იგი?

— სამწუხაროდ, ვერ გიპასუხებთ.

— ლვთისმშობელს. ვინ არის ავტორი ქანდაკებისა — „კიდევაც დაიზრდებიან“?

— მერაბ ბერძენიშვილი.

— რომელი უფრო მეტია — 37-ის 52% თუ 52-ის 37%?

— (იცინის) 37-ის 52%, არა? დავიბენი.

— ცდებით, ტოლია... ბიძისგან დევნილმა ამ ადამიანმა მომთაბარე ტომს შეაფარა თავი. იგი ქართველ მეფეზე დააქორწინეს, მაგრამ პატივი ვერ შეიფერა და ისევ დევნილად იქცა. დაასახელეთ იგი.

— თამარ მეფის მეუღლე — იური.

— რა პროფესიის იყო ფრანგი მწერალი ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი?

— მფრინავი. ის II მსოფლიო ომის დროს სამხედრო მფრინავი იყო და სადაზვერვო ფრენისას დაიღუპა.

— სასიკვდილო განაჩენის გამოტანისას, ვინ უთხრა ბოლშევიკებს: „ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, გული — საქართველოს, მძორი კი წაიღეთ, სადაც გინდათ“?

— ეს სიტყვები გამიგონია, მაგრამ მის ავტორს ვერ ვიხსენებ.

— ამბროსი ხელაია. ვინ შეადგინა პირველი გეოგრაფიული ატლასი?

— პტოლემეუსმა.

— მსოფლიოში ყველაზე დიდი კაშხალი ტაჯიკეთშია აგებული. მას „ნურექისი“ ჰქვია და მისი სიმაღლე 300 მეტრია. სიდიდის მიხედვით, II ადგილზეა, იტალიაში

მდებარე, 285-მეტრანი „გრანდ დიქსენსი“; შემდეგ?
 — „ენგურჰესი“, მაგრამ სიმალღეში რამდენი მეტრია, ვერ გეტყვით.
 — 272. რამდენი ვარსკვლავია ევროკავშირის დროშაზე?
 — 12.
 — ფიროსმანის სიცოცხლეში, მოეწყო თუ არა მისი სურათების გამოფენა?
 — მისი სურათების გამოფენა საქართველოში არა, მაგრამ მოსკოვში მოეწყო.
 — დიას. ამ გამოფენაზე მხატვარ-ფუტურისტების ნამუშევრები იყო წარმოდგენილი. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, რომელი მცენარე მიიჩნევა ქორწინების სიმბოლოდ?
 — ბროწეული.
 — დიას. ვინ იყო ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი?
 — რიბენტროპი.
 — ვინ გაიმარჯვა 1904-05 წლებში რუსეთ-იაპონიის ომში?
 — რუსეთმა.
 — ცდებით, იაპონიამ გაიმარჯვა. „ბრძოლის ველზე მალე ბერდებთან, მე კი იქიდან მოვდივარ“ — რომელ ცნობილ იმპერატორს ეკუთვნის ეს გამონათქვამი?
 — ნაპოლეონ ბონაპარტეს.
 — ამ ხის რტო გაეროს დროშაზეა გამოსახული და მშვიდობის სიმბოლოდ მიიჩნევა.
 — ზეთისხილის რტოს გულისხმობთ, არა?
 — დიას. რომელი ყვავილია გამოსახული ბურ-ბონთა სამეფოს საგვარეულო გერბზე?
 — შროშანი.
 — იმპერსონში, როგორც სახვითი ხელოვნების მიმდინარეობა, საფრანგეთში, XIX საუკუნის ბოლოს წარმოიშვა. რომელი ფრანგული სიტყვა დაედო საფუძვლად ამ სახელოვნობას?
 — „იმპრესია“ ფრანგული სიტყვაა და შთაბეჭდილებას ნიშნავს.
 — რა სიტყვები წერია ქართულ გერბზე?
 — „ძალა ერთობაშია“.
 — ძველ დროში ამ ხისგან კიდობანს ამზადებდნენ და მასში პატარძალს მზოთევს უწყობდნენ. მისი მოჭრის საკითხს მეფე წყვეტდა. ეს ხე ერთ-ერთ ნაკრძალშია დაცული; დაასახელოთ იგი.
 — ვერ გიპასუხებთ.
 — უთხოვარი. რა ჰქვია ლიტვის პარლამენტს?
 — სეიმი.
 — რომელ ზღვაში ჩაედინება მდინარე ვოლგა?
 — კასპიის ზღვაში.
 — აკაკის რომელი ნაწარმოების პერსონაჟია ბათუ?
 — (ფიქრობს) „გამზრდელის“.
 — რომელი ტაძარია ნახსენები გალაკტიონის ცნობილ ლექსში — „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“?
 — სამწუხაროდ, ვერ ვიხსენებ.
 — სიონი („შემოიჭრება სიონში სხივი და თეთრი ოლარებს ააელვარებს). სად მდებარეობს საერთა-



შორისო სავალუტო ფონდი?
 — ვაშინგტონში.
 — ხელოვნების რომელ სტილს მიეკუთვნება სანქტ-პეტერბურგში მდებარე, ზამთრის სასახლის არქიტექტურა?
 — თუ სწორად მახსოვს, ბაროკოს სტილია.
 — დიას. 1608 წლიდან გიორგი სააკაძე უკვე თბილისის მოურავი იყო, შემდეგ კი — დვალეთისა და... კიდევ რომელი რეგიონის მოურავი გახდა იგი?
 — არ ვიცი.
 — ცხინვალის. „ციტატა“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს...
 — მოხმობილს.
 — „სიკეთით სძლიე შენს მტერსა, ერიდე სისხლით ზღვევასა, სულგრძელობითა ძლევა სჯობს, ვაჟკაცობითა ძლევასა“ — ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?
 — ვერ ვიხსენებ.
 — ილია ჭავჭავაძეს. რა სახელწოდებითაა ცნობილი 1469-1485 წლებში ინგლისის ფეოდალთა შორის ატეხილი ბრძოლა?
 — „ვარდების ომი“.
 — „ვარდების ომი“ რატომ უწოდეს?
 — ლანკასტერთა დინასტიის გერბზე წითელი ვარდი იყო გამოსახული, ხოლო იორკელთა დინასტიის გერბზე — თეთრი.
 — რომელ სახელმწიფოს აქვს სახმელეთო საზღვარი მხოლოდ ესპანეთთან და საფრანგეთთან?
 — იტალიას.
 — რომელ სოფელში ცხოვრობდა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული პერსონაჟი — ოთარაანთ ქვრივი?
 — არ მახსოვს.
 — ნაბლიანში. რომელ ციურ სხეულებს ეძახდნენ კუდიან ვარსკვლავებს?
 — კომეტებს.
 — ვინ შემოიღო ხმარებაში ტელესკოპი?
 — გალილეო გალილეიმ; სწორად მახსოვს?
 — დიას, ეს 1612 წელს მოხდა. ცნობილია, რომ იმერეთის მეფე — ალექსანდრე V მოულოდნელად დაბრმავდა. რას მიანერგეს ეს მოვლენა მისმა თანამედროვეებმა?
 — არ ვიცი.
 — სახულის ღვთისმშობლის ხატის ძალას; დაბრმავებამდე რამდენიმე დღით ადრე, მეფემ გელათის ტაძარი გაძარცვა და სახულის ღვთისმშობლის ხატს ძვირფასი თვლები ამოაცალა. მეფე ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა. სად მოხდა იესოს ფერისცვალება?
 — თაბორის მთაზე.
 — რა აქვთ საერთო: კარიბის, ხმელთაშუა, ეგეოსის და ბალტიის ზღვებს?
 — ატლანტის ოკეანის აუზს მიეკუთვნებიან.
 — რომელი სახელმწიფო აკონტროლებს გიბრალტარის სრუტეს?
 — ინგლისი.
 — დაასრულეთ შტეფან ცვაიგის ცნობილი გამონათქვამი: „არც ერთმა ექიმმა არ იცის დაქანცული სხეულისა და გატანჯული სულის სამკურნალოდ იმისთანა ნამალი, როგორცაა...“
 — ეს გამონათქვამი შეიძლება, ბევრნაირად დასრულდეს. მაგალითად, როგორცაა: „რწმენა ან სიყვარული.“
 — „...იმედი“.

ცოტა ხნის წინ ჩემს საყვარელ თიანეთს ვსტუმრობდი და პირველად ვნახე ასე გამოცოცხლებული — ვინ მღეროდა, ვინ ცეკვავდა, ვინ ოსზივარადენილ ხინკლის ქვაბებთან იხრუკებოდა, ვინ ცარიელი თევზებით დარბოდა ერთი რიგიდან მეორეში და ამაოდ ცდილობდა თუნდაც ერთი ხინკლის მოპოვებას, ამ დროს კი ვილაღ გემრიელად ილუკმებოდა... და მინც ყველა სუმრობდა, ხალისობდა, ათვალღერებდა, გულშემატკივრობდა და დროს ატარებდა. ყველა — სტუმარიც და მასპინძელიც ზეიმობდა, რადგან იმ დღეს თიანეთში „თიანეთობა“ დააარსეს. პირველად გულმა „ტრადიციული სამზარეულოსკენ“ გამიწია. პატარა გადასურულში რამდენიმე ფორმიანი ქალბატონი ჯვარასავით ტრიალებდა.

იმრა ხარშილაძე

- გამარჯობა! თიანეთობას გილოცავთ. როგორ მიდის საქმე?
- ძალიან კარგად. ვცდილობთ, სტუმრები არ შევაფერხოთ.
- რის ხინკალს ამზადებთ?
- ცხვრისა და ძროხის ხორცის, სოკოს, კარტოფილისა და ხაჭოს ხინკალს.
- რამდენი ქალბატონი გაგამწყვდევს ამ საქმეზე?
- ოცდაათნი ვართ, თიანეთის ბაღების თანამშრომლები. საქმეც განაწილებული გვაქვს: ნაწილი ცომს ვაბრტყელებთ, ნაწილი — ახვევს, დანარჩენი კი — ხარშავს.
- როგორ ატყობთ, ხალხს კარგი მადა აქვს?
- უმადობას ნამდვილად არ უჩივიან. განსაკუთრებით თელაველები გამოირჩევიან.
- როგორ მიხვდით, რომ თელაველები აქტურობენ?
- თვითონ გაგვეტყვიან — მწვანეყუდიანები თელაველები ვართო (იცინის). გულუხვად გავემასპინძლებით სტუმრებს და ყველას



ჩემი მიზანი იყო, თუშური ორნამენტის ალღვანა, ბუნებრივი საღებავებით შეღებვა და მომავალი თაობისთვის ამ ხელოვნების გადაცემა

გაღიანი სტუმარ-მასპინძლის „ხინკლის ღვინასწავლი“ ჯა ზინჯანაძეარზე ნათქვამი ქაშია



სიკეთეს ვუსურვებთ.
 — ძალიან ბევრი სტუმარი გყავთ, ხალხის ნაკადი იმატებს. რამდენი ხინკალი უნდა მოახვიოთ, ყველა რომ დააკმაყოფილოთ?
 — რა მასალაც გვაქვს, ყველაფერს გავაკეთებთ და შეძლებისდაგვარად, ყველას გავუმასპინძლებთ.
 თუმცა სამყოფ ხინკალს ვინ მოახვევდა ან მოხარშავდა?! ამას „ქართული წესით“ — ნაცნობ-მეგობრობის ნიშნით მსურველთა გამორჩევაც დაერთო და შესაბამისად, ბევრი (მათ შორის, მეც) უხინკლოდ დარჩა... ბევრ ადგილას გამოფენაც მოეწყო. აშკარა იყო, დღესასწაულს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან საკუთარი ნამუშევრებით ჩამობრძანებული ადამიანებიც სტუმრობდნენ. თითოეულ ქალაქსა თუ კუთხეს გამორჩეული ადგილი ჰქონდა მიჩენილი. მე და ჩემს მეგობრებს თუში ქალბატონის ნამუშევრები მოგვეწონა, გავესაუბრეთ და ეს ადამიანი რამდენიმე წლის წინ „რუსთავი 2“-ის პროექტის — „იდეა, ფული და ერთი შანსი“ — ერთ-ერთი გამარჯვებული, ლილი მურთაზაშვილი აღმოჩნდა.
 — ალვანიდან ჩამოვიტანე ნამუშევრები. საკუთარი სანარმო მაქვს, არაკომერციული; ძირითადად, თუშურ ფარდაებს ვქსოვთ. თავიდან 7 ქალი ვმუშაობდით, ახლა კი 70-ზე მეტნი ვართ. ჩემი მიზანი იყო, თუშური ორნამენტის აღდგენა, ბუნებრივი საღებავებით შეღებვა და მომავალი თაობისთვის ამ ხელოვნების გადაცემა.
 — ამ ლამაზ და ბუნებრივ ფერებს როგორ იღებთ?
 — მაგალითად, ლურჯ ფერს იფნისა და ნაცრის ნარვეით ვიღებ, წითელს — ენდროსა და მაცვლის ძირით, აგურისფერს — თრიმლით... ძალიან შრომატევადი საქმეა და ამიტომ აღარ იყენებენ ამ მეთოდს. მე კიდევ, გენეტიკურად ისე მაქვს გამაჯდარი, სხვას ვერაფერს ვიყენებ. 3 ფაკულტეტი დავამთავრე

— შედაგოგიკის, ფსიქოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის, მაგრამ რაც თვალი გავახილე, ჯერ მატყელი შევისწავლე და მერე სხვა რამ.
 — ამბობენ, თუშურ მატყელს განსაკუთრებული თვისებები აქვსო?
 — XIX საუკუნის 70-იან წლებში მოგზაურობდა გერმანელი პროფესორი ეგერი, რომელმაც დაწერა მონოგრაფია თუშურ მატყელზე. თუშურ მატყელს მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება — ღრულერიანია, სითბოსა და სიცივის მარეგულირებელი, 20-ზე მეტი დაავადების მკურნალი.
 — კერძოდ, რა დაავადებებს კურნავს?
 — სახსრებს, მუხლის ტკივილს, თირკმელს, პროსტატიტს და სხვა ორგანულ დაავადებებს, სიმსივნურ წარმონაქმნებსაც კი. მაგალითად, თუ ავადმყოფს პროსტატის ოპერაცია სჭირდება და უხეში თუშური მატყლისგან დამზადებულ ქვედა საცვალს იხმარს, ოპერაცია აღარ დასჭირდება.
 — თქვენ შეხვედრისათვის ამ ტიპის პაციენტს?
 — კი. ახლახან გვექონდა ასეთი შემთხვევა და ადამიანი ოპერაციას გადაურჩა. მე თვითონ მტკიოდა მუხლი, უხეში მატყლის წინდა მოვიქსოვე და დღედაღამ გაუხდელად მეცვა. წარმოიდგინეთ, წამალი აღარ დამჭირებია.
 — აქ თუ გაყიდეთ ნამუშევრები?
 — რამდენიმე წინდა, ქუდი, გობელენი. ძალიან მოსწონთ. არ მეგონა, ამდენი დამფასებელი თუ მეყოლებოდა აქ.
 — ქალბატონო ლილი, მიწაფეები გყავთ?
 — მყავს და ბევრ რამესაც ვასწავლი. იმდენი ხალხი იყო, ბევრ ღონისძიებას მხოლოდ შორიხლოს ჩავუარე, ალბათ, ბევრი რამ გამომრჩა კიდევ, ამიტომ თქვენთვის მინც სრულად რომ მომიხსნო, ერთ-ერთი

ორგანიზატორს, თიანეთის რაიონის კულტურისა და სპორტის განყოფილების ხელმძღვანელს, დაუღელ და ენერგიულ ქეთევან შარშიაშვილს ვთხოვე დახმარება.

რამდენ სტუმარს ელოდით და რამდენი გენწიათ, რას გეგმავდით და რეალურად რა განახორციელეთ?

— ძალიან ბევრი ხალხი ჩამოვიდა, ამდენს ნამდვილად არ ველოდით.

დაუბატოვებლად ჩამოვიდნენ?

— სახალხო დღესასწაულზე დაუბატოვება არავის სჭირდება, ისედაც ყველა დაუბატოვებულია. დღესასწაული განახლებული კულტურის სახლის გახსნით დავიწყეთ. ამ სახლის აღდგენა ჩვენი ხელისუფლებისა და გამგეობის, გამორჩეულად კი ბატონი გიორგი აბაშვილის დამსახურებაა. უკვე ძალიან ლამაზი შენობა გვაქვს და ბევრი ღონისძიების ჩატარებას შევძლებთ.

როგორ ფიქრობთ — სტუმრებმა ისამოვნეს?

— მგონი, კი. სხვათა შორის, არ ველოდი და ბევრი უცხოელი გვეწვია. აქ ოჯახებით ბრძანდებოდნენ ჩამოსული: იაპონიის ელჩი, ევროკავშირისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების დიპლომატები, ამერიკელები, ლიტველები, რომლებმაც ლიტვური სიმღერაც კი შეასრულეს; თითოეულს ეჩინებოდა, რომ კარგად იღებდა. ალბათ მათთვის აქ ყველაფერი ეგზოტიკური იყო. ხელისუფლების წარმომადგენლებიც გესტუმრობდნენ, პარლამენტარებიც, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეც გვეწვია, რამდენიმე მინისტრიც ჩამობრძანდა... განსაკუთრებული მხიარულება „ხინკლის ფესტივალმა“ გამოიწვია, თუმცა ბევრი საინტერესო სანახაობა მოვანყვეთ ვაჟა-ფშაველას სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.

ანუ „კუუბაღში“, არა? ისე რატომ უწოდებენ „კუუბაღს“?

— უფრო ზუსტად, ამ ადგილს „კუუჟანას ბაღის“ სახელით იცნობენ: კუუჟანა იყო კაცი, რომელმაც გასული საუკუნის დასაწყისში ეს ბაღი გააშენა. ოდესღაც ეს უღამაზესი ადგილი იყო — ძველი ნისქვილით, ატრაქციონებით, საზაფხულო ესტრადით, საჭიდაო დარბაზით, კეთილმოწყობილი სტადიონით, ჩანჩქერით. დღეს ყველაფერი განადგურე-

ბულია, ამიტომ პირველ „თიანეთობაზე“ საქველმოქმედო აქციაც ჩავატარეთ — რამდენიმე ადგილას დავდგით ყუთები, სადაც იყრებოდა თანხა ამ ბაღის ასაღორძინებლად. რაღაც თანხა შეგროვდა. განსაკუთრებით ვემაღლიერებით დუშეთისა და მცხეთის გამგეობებს, რომლებმაც ბაღის განახლებას ათას-ათასი ლარი შესწირეს. იმედი მაქვს, მომავალ დღესასწაულს ბევრად გალამაზებულ ბაღში ვუქმასპინძლებთ...

აქაურებმა ბლომად ხინკალი მოახვიეს, მაგრამ ბევრმა ვერც დააგემოვნა...

— როგორც ჩანს, მომსახურე პერსონალი ვეღარ აუდიოდა ამდენ სტუმარს. მასპინძლები ძალიან დაიღალნენ, ალბათ საკმარისი რაოდენობა ვერ დავახვედრეთ — ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ პირველი „თიანეთობა“ იყო. შენიშნავდით, რომ ერთ ადგილას ეწერა — „ტრადიციული სამზარეულო“ და მარტო იქ 3500 ხინკალი მოახვიეს. ამას დაემატა მცხეთის რესტორნების ქსელი, მაგრამ მაინც ცოტა აღმოჩნდა. „ტრადიციული სამზარეულოს“ მომსახურე პერსონალს მაშინვე გამოარჩევდით საგანგებო ფორმებით. ხინკლის გარდა, წარმოდგენილი იყო ჩვენი კუთხისთვის დამახასიათებელი, შინდის შეჭამადი და ხირხიტო — ნიგვზის შეჭამადი, რომელიც მე გავაკეთე, ასევე — ატრია.

ეს შეჭამადები როგორ მზადდება?

— ვერ გაგიმხელთ, „ფირმის საიდუმლოა“ (იცინის).. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მასში გამხმარი პური უნდა ჩაყარო და ისე მიირთვა. ჩვენმა წინაპრებმა გაჭირვების დროს დასაპურებლად გამოიგონეს ეს კერძები. სხვათა შორის, ნიგვზიანი, ფაქტობრივად, დელიკატესია — ნიგოზი დღეს ძვირად ფასობს (იცინის). იქვე 270 ლიტრი ხევსურული ლუდი გამოიხადა და დაილია, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. კიდევ, ჩვენი საარყე ქვაბით ისდებოდა ჯერ ჟიპიტაური და შემდეგ წინწანაქარი — ორნახადი არაყი. მერე ფშავლები და ხევსურები კაფიობდნენ და ტრადიციული პატარა ყანებით მიირთმევდნენ არაყს. იქვე სტუმრებს ცოცხალი კალმასის



ახალგორის სახელით მხოლოდ ნუგზარ ფსუგურის სიმღერის ანსამბლი „ლომისი“ გვეწვია

ხელით დაჭერაც შეეძლოთ, მეგრე ჩვენს მზარეულებს მიუტანდნენ და შეანვევინებდნენ. ბაღში ახალგაზრდები მკლავჭიდასა და ქართულ ჭიდაობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს; ჭიდაობას ხაშურიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი მეზურნეები აფორმებდნენ მუსიკალურად. გაიმართა დოლი და გამარჯვებული დავაჯილდოეთ, მოენყო კონცერტი. აქვე შეამჩნევდით ექსკურსიამძღოლებსა და თარჯიმნებს უცხოელი სტუმრებისთვის, რომლებიც თითოეულ კუთხეს აცნობდნენ დამთვალე რეპერტუარს. გვეგონა, ბაღში რეგიონულ გამოფენას მოვანყობდით, მაგრამ რესპუბლიკური კი გამოგვივიდა: სხვადასხვა კუთხის ხალხი ჩამოვიდა — მცხეთა-მთიანეთიდან, დუშეთიდან, თუშეთიდან, კახეთიდან, თბილისიდან, ყაზბეგიდან, ახალგორიდანაც კი.

თუმცა ახალგორელებისთვის მიჩენილ ადგილს მხოლოდ წარწერა ამშვენებდა...

— ეს სიმბოლურად გავაკეთეთ. ახალგორის სახელით მხოლოდ ნუგზარ ფსუგურის სიმღერის ანსამბლი „ლომისი“ გვეწვია. იმ მხარეში უღამაზესი ნამუშევრები აქვთ, ხშირად მონაწილეობდნენ გამოფენებში, მაგრამ სამწუხაროდ, ის ნამუშევრები აგვისტოს ომის შემდეგ, ახალგორში დარჩა და დღემდე ვერ გამოუტანიათ; მომავალში რა ბედი ეწევა იმ ნიმუშებს, არავინ იცის... აქვე მეარღნესაც შეამჩნევდით. არ ვიცი, რომელი კუთხიდან იყო, რატომღაც, ვინაობა არ გავგიმხილა, მაგრამ ძალიან კი გააღამაზა ჩვენი დღესასწაული. მოკლედ, კარგი „თიანეთობა“ გამოგვივიდა და გადაჭყციტეთ, ყოველიურად აღვნიშნოთ. ■



www.ambebi.ge

თუ მიგაჩნიათ, რომ საინტერესო ამბავი იცით და გსურთ, ის ყველას გააგებინოთ...

მოკყავით თქვენი ამბავი

ამბები.გე-სა

საინსტანსო უაქციაი თეთრი სახლის შესახებ



რისი გაკეთება მოგინევთ, თუ აშშ-ის პრეზიდენტი გახდებით? თეთრი სახლში გადაბარგდებით და თუ ამერიკელ ხალხს თავს შეაყვარებთ, 8 წელი მოგინევთ იქ ცხოვრება. მანამდე კი თეთრი სახლის შესახებ საინტერესო ინფორმაციას მოგაწვდით.

* 6-სართულიან სახლში 132 ოთახი, 35 სააბაზანო, 421 კარი, 147 ფანჯარა, 28 ბუხარი, 8 კიბე და 3 ლიფტია.

* სახლის ახალ მფლობელს საზეიმო ვითარებაში გადასცემენ 3 საწყობის გასაღებს, სადაც უძვირფასესი სურათები, ოქროსულობა, ბროლი, ნოხები, ავეჯის კოლექცია და სხვა ნივთები ინახება.

* პრეზიდენტს სურვილისამებრ შეუ-

ძლია, გამოცვალოს ავეჯი; უცვლელი რჩება აბრაამ ლინკოლნისთვის მირთმეული საძინებელი, რომელზეც პრეზიდენტმა დაძინება ვერ მოასწრო და სამუშაო მაგიდა ოვალურ კაბინეტში.

* თითოეული პრეზიდენტი ვალდებულია, ოვალურ კაბინეტში ნოსი გამოცვალოს. ჯორჯ ბუშ-უმცროსს იმის აღნიშვნა უყვარდა, რომ ამ თანამდებობაზე ყოფნისას პირველად ეს უფლება გამოიყენა.

* ოვალურ კაბინეტში არის ერთი უცვლელი ნოსი; მასზე გამოსახულია არნივი, რომელსაც ერთ მხარეს ისრები, მეორე მხარეს კი — ზეთისხილის ტოტი უმშვევებს; თუ ამერიკა მომობს, არნივს თავი ისრებისკენ აქვს მიბრუნებული, მშვიდობიან დროს ფრინველი ზეთისხილის ტოტისკენ იყურება.

* ყველაზე მეტი სტუმარი თეთრი სახლს 2008 წლის შობას ესტუმრა. 60 ათასი ადამიანისთვის სხვადასხვა ოთახში 33 ნაძვის ხე მორთეს. სტუმრებს 20 ათასი ორცხობილით, 100 ტორტით, 700 გირვანქა კიბორჩხალით, 600 გირვანქა სატაცურითა და 1000 გირვანქა კრევეტით გაუმასპინძლდნენ.

* ნენსი რეიგანის მიერაა მოწყობილი ფაიფურის ოთახი, რომლისთვისაც ჭურჭელი პირველმა ლედიმ გადასახადის გადამხდელთა ხარჯზე შეიძინა. თითოეული სერვიზი 952 დოლარი ღირს.

* პრეზიდენტი უორენ ჰარდინგი კვირაში ორჯერ, აპარატის თანამშრომლებს პოკერს ეთამაშებოდა. ერთხელ, თეთრი სახლის ჩინური ფაიფურის სერვიზი წააგო.

* აბიგაილ ადამსმა აღმოსავლეთის დარბაზში სარეცხის თოკი გააბა, რომელზეც მეუღლის — პრეზიდენტ ადამსის თეთრუულს აშრობდა.



გენიოსაიხ „აფანდნან“ ...

● ფსიქიატრი ლომბროზო ირწმუნებოდა, რომ გენიალურობასა და შეშლილობას შორის, ერთი ნაბიჯია. ცნობილი ადამიანების მაგალითზე რწმუნდები, რომ ფსიქიატრი არ ცდებოდა:



● გერმანელი კომპოზიტორი რობერტ შუმანი შეშლილობით, 4 წლიდან იტანჯებოდა. მას მოსვენებას არ აძლევდა „მოლაპარაკე მაგიდები“; გამუდმებით ესმოდა ხმები, რომელთა შეწყობითაც, მუსიკას ქმნიდა.

● ინგლისელ მწერალს ჯეიმს ჰარინგტონს ეგონა, რომ წარმოთქმული წინადადებები ფრინველებად და ფუტკრებად გადაიქცეოდა და ხშირად, მათ გასაფანტავად, ცოცხს წამოავლებდა ხელს.

● შეშლილობის შემოტევისას, ვან გოგი შეუსვენებლად ხატავდა; განუსაზღვრელი რაოდენობით მიირთმევდა აბსენტს. ერთხელ, ყური მოიჭრა და ავტოპორტრეტი დახატა. 37 წლის ასაკში კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მისი გარდაცვალების შემდეგ ექიმებმა 150 სამედიცინო დიაგნოზი აღმოაჩინეს, რომელიც მხატვარს სიცოცხლეში ჰქონდა დასმული.

● ფრიდრიხ შილერი უკეთესად

წერდა, თუ მაგიდაზე დამპალი ვაშლები ეწყო.

● კომპოზიტორი ფრანს იოზეფ ჰაიდნი ვერ მუშაობდა, თუ აღმასისთვლიანი ბეჭედი არ ეკეთა.

● ნანარმოების შექმნისას, კომპოზიტორი რიხარდ ვაგნერი სკამებსა და სავარძლებზე სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ნაჭრებს აწყობდა, შემდეგ თითოეულთან დიდხანს ჩერდებოდა, აკვირდებოდა, სათითაოდ იღებდა, ჭმუჭნიდა და მუსიკის დასაწერად ჯდებოდა.

● რომანების წერის წინ, ფრანგი მწერალი ემილ ზოლა სკამზე იბამდა თავს.

● მწერალ შარლოტა ბრონტეს გენიალური აზრები კარტოფილის თლისას ებადებოდა; აგატა კრისტის — ჭურჭლის რეცხვისას.

● ფრანგ რომანისტს ანატოლ ფრანსს თავში გენიალური აზრები მხოლოდ მაშინ მოსდიოდა, როცა მათ ძველ წერილებზე, მოსაწვევებზე, სავიზიტო ბარათებზე წერდა; მხოლოდ ამის შემდეგ გადაჰქონდა ფურცელზე.

საქორწინო ბეჭედი

● პირველყოფილ ტომებში, საქმროს რომ არ გაჰქცეოდა, პატარძალს ფეხებს დაწული ჩალით უზამდნენ; მოგვიანებით ჩალა ტყავით შეცვალეს. ძველ რომში პატარძალს რკინის ბორკილებს ადებდნენ.



● ძველად, საქორწინო ბეჭედს სხვადასხვა თითზე იკეთებდნენ; თუ ადამიანს იუპიტერის (წარმატების მომტანი პლანეტა) დახმარება სჭირდებოდა, ბეჭედს საჩვენებელ თითზე იკეთებდა, თუ მარსის (ომის ღმერთი) — ცერა თითზე, ვენერას (სიყვარულის ქალღმერთი) — არათითზე.

● XIX საუკუნეში ფრანგმა ქიმიკოსმა მერიმ, სისხლში რკინის აღმოჩენის შემდეგ, გადამწყვიტა, სატრფოსთვის მიერთშია ბეჭედი, რომელსაც საკუთარი სისხლისგან მიღებული რკინისგან დაამზადებდა; ქიმიკოსმა საკუთარი ძალები ვერ გათვალა და სისხლნაკულობისგან გარდაიცვალა.

● რენტგენის პირველ ფოტოზე გერმანელმა მეცნიერმა ვილჰელმ კონრად რენტგენმა თავისი ცოლის ბეჭდიანი ხელი დააფიქსირა.

● ბრიტანეთში მედლებს, მორი-

გეობისას, საქორწინო ბეჭდის ტარება ეკრძალებათ.

● მსოფლიოში ყველაზე პატარა საქორწინო ბეჭედი 2 წლის მარიამ სტიუარტისთვის (მოტლანდიის დედოფალი) დაამზადეს.

● ფსიქოლოგთა აზრით, უცნობი მამაკაცის შესაფასებლად, ქალს 45 წამი სჭირდება, 40 წამში მის ფიზიკურ მონაცემებს აფასებს, 5 წამი საკმარისია იმისთვის, რომ გაარკვიოს, უკეთია თუ არა მამაკაცს საქორწინო ბეჭედი.

● ამერიკაში გაღატაკებულ ბიზნესმენებს ყველა ღირებულ ნივთსა და სამკაულს ართმევენ, საქორწინო ბეჭდის გარდა.

როკმუსიკოსებისთვის საქანაღი სიფი

* ჯიმი ჰენდრიქსმა, კურტ კობეინმა, ჯიმ მორისონმა და ჯენის ჯოპლინმა 27 წლის ასაკში დაასრულეს სიცოცხლე. საინტერესოა, რომ მათ გარდა, კიდევ მრავალი როკმუსიკოსი გარდაიცვალა ამ ასაკში.

* ჯიმ მორისონის გვამი მეგობარმა ქალმა, პამელა კოურსონმა მომღერლის პარიზის ბინის აბაზანაში აღმოაჩინა.

* ჯენის ჯოპლინი ალკოჰოლმა და

ჰეროინმა იმსხვერპლა. ჰეროინის მსხვერპლი გახდა კრისტენ პუფაფიც.

* საძილე საშუალების დიდი რაოდენობით მიღების შემდეგ გარდაიცვალა ჯიმი ჰენდრიქსი, რომლის უკანასკნელ სიმღერაშიც ასეთი სიტყვები იყო: „სიცოცხლე თვალის დახამხამებაში გაგიფრინდება“.

* ნარკოლოგიურ ცენტრში მკურნალობის დროს კურტ კობეინმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

* ლივერპულში, მოტოციკლეტით მოგზაურობისას დაიღუპა პიტ დე ფრეიტასი. ჯგუფიდან (Echo And The Bunnymen) წასვლისას, მუსიკოსმა ჯგუფის ლიდერს, აიენ მაკქალოკს მონუფის სიგარეტის რაოდენობა დაუთვალა და მათი საფასურის — 15 ათასი გირვანქა სტერლინგის გადახდა მოსთხოვა.

* ამბობენ, ბლუზმენი რობერტ ჯონსონი საყვარელმა ქალმა მოწამლაო.

* The Gits-ის ვოკალისტის გვამი ქუჩაში, ჯვარზე გაკრული იპოვეს. გამომიების აზრით, სარიტუალო მკვლელობა ჯგუფის ფანებმა ჩაიდინეს.

მითი და სინამდვილე

● ამბობენ, ლონდონი ყველაზე ნვიმიანი ქალაქიაო. არადა, ბრიტანეთის დედაქალაქში ყოველწლიურად 590 მმ ნალექი მოდის, ხოლო რომში — 760 მმ, ფლორენციაში — 879 მმ, მილანში — 1000 მმ, გენუაში კი — 1100 მმ.

● ვიკინგები რქიან ჩაფხუტებს ატარებდნენო — ეს მოსაზრება მას შემდეგ გავრცელდა, რაც გათხრებისას, შამანის რქიანი ქუდი აღმოაჩინეს. სინამდვილეში, სკანდინავიელ მეომრებს გუმბათოვანი მუზარადები ეხურათ.

● არაბული ციფრები ინდოელებმა მოიგონეს, არაბებმა კი გაავრცელეს.

● მოცარტი სულაც არ ცხოვრობდა სილატაკეში, როგორც აღწერენ. მას ერთსაათიან კონცერტში 2 გულდენს უხდიდნენ. შედარებისთვის დავაზუსტებთ: კომპოზიტორი მსახურ ქალს გასამრჯელოდ, წელიწადში 12 გულდენს უხდიდა.

● თავისუფლების ქანდაკება არ დგას ნიუ-იორკში, არც ნიუ-იორკის შტატში; იგი თავისუფლების კუნძულზეა აღმართული, რომელიც ნიუ-ჯერსის შტატს ეკუთვნის.

● მცდარი აზრია, თითქოს ინდიელები მსხვერპლს სკალპს აცლიდნენ; სინამდვილეში ეს ტრადიცია თეთრკანიანებმა დაამკვიდრეს; თუ მათ დაწესებული პრემიის მიღება სურდათ, მტრის სკალპი უნდა წარმოეგინათ.

● ადამიანისთვის 32 კბილი ნორმა აღარაა; ეს წესი ნენანდერტალისთვის კანონზომიერება იყო. დღეს ნორმას 28 კბილი წარმოადგენს, დანარჩენი 4, „სიბრძნის კბილი“ ადამიანს 15-20 წლის ასაკში ამოსდის და, ან თავიდანვე ჭიანია, ან მალევე ფუჭდება და ამოსაღები ხდება.

● მითი წითელკანიანების შესახებ შვედმა მეცნიერმა კარლ ლინემ XVIII საუკუნეში შეთხზა. ევროპელს თეთრკანიანი უწოდა, ამერიკელს — წითელკანიანი, აზიელს — ყვითელკანიანი, აფრიკელს — შავკანიანი. სინამდვილეში ინდიელის ბუნებრივი ფერი ღია ყავისფერია, ხოლო წითელი — მისი საბრძოლო შეფერილობაა. არც აზიელია ყვითელკანიანი, უბრალოდ, ევროპელ თეთრკანიანსა და სამხრეთელ შავკანიანს შორის საშუალო რასა უნდა ყოფილიყო და იგი ყვითელ რასად მონათლეს.



ნითელი ჭარხლის „ხიზილალა“

ეს არაჩვეულებრივი პროდუქტი უძველესი დროიდან მოჰყავდათ ძველ ევროპაში. მისი სასიამოვნო გემო და ხასხასა ნითელი ფერი სალათების გალამაზებასა და სუფრისთვის სადღესასწაულოდ მორთვაში გვეხმარება. მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ ჭარხლისთვის ნითელი ფერის მიმცემი პიგმენტი, ფლავონოიდების ჯგუფის წარმომადგენელი, ძალზე ძვირფასი, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებაა, რომელიც უჯრედებს ენერჯის გამომუშავებაში ეხმარება და ორგანიზმს გამოფიტვის, გაცივებისა და სიმსივნისგანაც კი იცავს.



ჭარხალი მდიდარია ვიტამინებით (B₁, B₂, B₆, C და სხვა), ორგანული მჟავებით, ცილებით, ამინომჟავებით, რკინის, კალიუმის, კალციუმის, მაგნიუმის, მანგანუმის, იოდის მარილებით. მას მედიცინაში იყენებენ: სისხლნაკლებობის, კოლიტის, ღვიძლის დაავადებების, ქრონიკული სურდოს, კბილის ტკივილის, ჰიპერტენზიისა და ძნელად შესორცებადი წყლულების სამკურნალოდ.

- ქრონიკული სურდოს დროს კარგია, თუ თითოეულ ნესტოში 2-3 წვეთ ჭარხლის წვეს ჩაინწვეთებთ.
- თუ ჭარხლის წვეს თანაბარი რაოდენობით თაფლს შეურევთ და 1/2 ჭიქას დღეში 3-ჯერ მიირთმევთ, ეს წნევას დაგირეგულირებს.
- ჭარხლის ნახარშის ოყენა ეფექტურია ძლიერი შეკრულობის დროს.

ჭარხლით მკურნალობის სიძნელეები

ნითელი ჭარხლის კიბოს სანინალმდეგო თვისებების შესახებ XX საუკუნის მეორე ნახევრიდანაა ცნობილი. ნახევარი ლიტრი ჭარხლის წვენის ყოველდღიურად მიღება ონკოლოგიური ავადმყოფის მდგომარეობას საგრძნობლად აუმჯობესებს, აგრეთვე სასარგებლოა ქიმიოთერაპიული მკურნალობის დროს, რადგან სისხლის უჯრედების წარმოქმნის პროცესს ალადგენს. მაგრამ ჭარხლის წვენით მკურნალობა საჭიროა არა რამდენიმე დღის მანძილზე, არამედ თვეობითა და ზოგჯერ წლობითაც კი. თუმცა ეს შეუძლებელია: ადამიანის ორგანიზმი ასეთი დოზით ჭარხლის წვენს

უბრალოდ, არ იღებს. ნითელი ჭარხლით მკურნალობის სფეროში გარდატეხა ჭარხლის „ხიზილალის“ აღმოჩენის შემდეგ მოხდა.

სამკურნალო თვისებები

გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ნითელი ჭარხლის „ხიზილალა“ აღიერებს ორგანიზმის დაცვით მექანიზმს და ონკოლოგიურ ავადმყოფებს ოპერაციის შემდგომ, მეორადად განვითარებული იმუნოდეფიციტის დაძლევაში ეხმარება. გარდა ამისა, ჭარხალი საუკეთესო დამცველია რადიოაქტიური, ქიმიური ნივთიერებებით სავსე პროდუქტებისგან და კიბოს პროფილაქტიკასაც ემსახურება. ჩერნობილის კატასტროფის შედეგების შესწავლისას მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ რადიაციული დაზიანებები მოსახლეობის იმ ჯგუფს, რომელიც ტრადიციისამებრ, კერძებში ხშირად იყენებდა ნითელ ჭარხალს, მოსალოდნელზე ნაკლები აღმოაჩნდა. ნითელი ჭარხლის „ხიზილალა“ ადამიანს გაცივების, გადაღლით გამოწვეული გამოფიტვისა და სტრესისგან იცავს. ამისათვის რეკომენდებულია 2-3 ს/კ ნითელი ჭარხლის „ხიზილალის“ მიღება. მოხარშვის დროს, ჭარხლის სამკურნალო თვისებების მქონე ნითელი პიგმენტები წარჩუნდება და არ გადაადის ნახარშში, რომელსაც როგორც წესი, ღვრიან.

უპირველესი ყოვლისა

უპირველესი ყოვლისა, საჭიროა ჭარხალზე ძმრის მოსხმა. ამისათვის შეიძლება, გამოიყენოთ ვაშლის ძმარი, ლიმონის წვენი, მაგრამ ყველაზე კარგია, დაჟავებული კომპოსტოს მარილწყლის გამოყენება, რადგან ის მეტად ძვირფასი პროდუქტია და უამრავ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას შეიცავს. 1 კგ ჭარხალს 1 ს/კ რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი მჟავა პროდუქტი უნდა მოასხათ; რეკომენდებულია ჭარხალზე სტაფილოს პიურეს დამატება (100გ სტაფილოზე 1 კგ ჭარხალი). ამისათვის სტაფილო ძალზე წვრილად უნდა გახეხოთ და მცენარეულ ზეთში, ნელ ცეცხლზე 20-


30 წუთის განმავლობაში შუშოთ; ერთმანეთში საგულდაგულოდ არევის შემდეგ მოათავსეთ ქილებში; შეეცადეთ, რომ ჰაერის ბუშტები არ წარმოიქმნას (ეს პროდუქტს აფუჭებს). ობი რომ არ გაუჩნდეს, დაასხით 1-2 ს/კ მცენარეული ზეთი და მჭიდროდ დაახურეთ თავსახური. მიღებული პროდუქტი უნდა შეინახოთ ბნელ, გრილ ადგილას, კარგია, მაცივარში თუ შედგამთ, სადაც ნითელი ჭარხლის „ხიზილალა“ საკვებ და სამკურნალო თვისებებს 4-6 თვის მანძილზე შეუნარჩუნებს. ნითელი ჭარხლის „ხიზილალა“ შეგიძლიათ, გამოიყენოთ გარნირის მოსამზადებლად, მაგალითად, ბორშისთვის (2-3 ს/კ „ხიზილალა“ პირდაპირ წვნიანის თუფში დაამატეთ) და სალათების, ვინეგრეტების მოსართავად.

როგორ მოვაზადოთ „ხიზილალა“ ნითელი ჭარხლისგან

აიღეთ 2-3 კგ საშუალო ზომის ჭარხალი, გარეცხეთ, კანი არ გააცალეთ; მოაჭერით მხოლოდ ძირი და ღეროები; შემდეგ შედეთ 200 გრადუსამდე გახურებულ ლუმელში; ერთი საათის შემდეგ, ჩანგლის ჩხვლეტით, შეამოწმეთ, მოიხარშა თუ არა: თუ ადვილად იჩხვლიტება და წვენს ამოასხამს, ეი მზადაა; გადაავლეთ ცივი წყალი და გააცალეთ კანი; გახეხეთ წვრილ სახეხზე, მომიწანქრებულ ჭურჭელში; მიღებული პიურე მზადაა. შეინახე მინის ქილაში.

ყურადღებით!

ნითელი ჭარხლის „ხიზილალას“ უნდა ჰქონდეს ოდნავ ცხარე გემო და მიღებისას ოდნავ თბილი უნდა იყოს — ასეთ შემთხვევაში, ნითელი პიგმენტი აქტიურად შედის რეაქციაში კუჭის წვენთან და 1,5-2 საათის განმავლობაში ბოლომდე შეინოვება.



ზოგადგამაჯანსაღებელი და იმუნიტეტის ასაძლიერებელი მცენარეული საშუალებები

ნიმონი — სამკურნალო საშუალება

აიღეთ 15 უმწიფარი კაკალი, დააქუც-მაცეთ, ჩაყარეთ ბოთლში, დაასხით 0,5 ლ სპირტი და დადგით მზეზე 14 დღე; ჭამის შემდეგ მიიღეთ 20-30 მლ ნაყენი — გასტრიტის, ენტეროკოლიტის, შაქრიანი დიაბეტის დროს და, როგორც ზოგადგამაჯანსაღებელი საშუალება.

ნიმონი თავლით იმუნიტეტს აბიძგავს

კაკლის დაქუცმაცებული გული და თავლი, თანაბარი რაოდენობით, აურიეთ ერთმანეთში; დღეში 100 გრამამდე ნარევი მიირთვით 3-4 მიღებაზე — ტუბერკულოზის დროს, ასევე ავადმყოფობის შემდგომი სისუსტის, ორსულობისა და ლაქტაციის (ძუძუს წოვების) პერიოდში. ეს ნარევი სასარგებლოა ბავშვებისთვის, როგორც ზოგადგამაჯანსაღებელი საშუალება. ნიგეზიანი თავლი კარგია: ჰიპერტონიის, ანემიის, ათეროსკლეროზის, დაზიანებული ღვი-

ლი; ადუღეთ 10 წუთი ნელ ცეცხლზე, მომი-ნანქრებულ, თავდახურულ ჭურჭელში; გააჩერეთ 1-2 საათი, გაფილტრეთ, დამატეთ 2 ს/კ თავლი, ურიეთ, სანამ თავლი ბოლომდე არ გაიხსნება; მიიღეთ 1/2 ჭიქა 2-3-ჯერ დღეში, როგორც ზოგადგამაჯანსაღებელი საშუალება. ეს ნაყენი განსაკუთრებით სასარგებლოა დასუსტებული პირებისთვის, გულისა და თირკმლის დაავადების დროს.

შვირისა და თაფლის ნაყენი იმუნიტეტს აბიძგავს

აიღეთ 1 ჩ/ჭ შვირის მარცვალი, დაასხით 1 ლ მდუღარე წყალი და შედგით ნელ ცეცხლზე, სითხის 1/4-ის ამოშრობამდე; შემდეგ გაფილტრეთ და მიიღეთ 0,5-0,5 ჭიქა თავლთან ერთად, 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე — როგორც ზოგადგამაჯანსაღებელი საშუალება, ასევე კუ-



საინტერესო სიახლეები

ჭის, ნაწლავების ანთებითი დაავადებებსა და სახსრების ტკივილის დროს.

ჭირის ჩირის სასარგებლო თვისებები

დღეში 100-150 გრამი ჭირის ჩირი უნდა მიირთვათ: საერთო სისუსტის დროს, ავადმყოფობის გადატანის შემდეგ, ქრონიკული დაავადების შემთხვევაში, ასევე — ორსულობის პერიოდში.

ხილის წვენი კბილის მინანქარს ანადგურებს

როჩესტერის უნივერსიტეტის მეცნიერ-მა-სტომატოლოგმა კოლეგებთან ერთად, კბილის მინანქარზე კბილის გამათეთრებელ, პროფესიონალურ თუ ნახევრად პროფესიონალურ საშუალებებში შემავალი 6%-იანი წყალბადის ზეჟანგის უარყოფითი ზემოქმედების განსაზღვრის მიზნით, კვლევა ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ იგი უმნიშვნელოდ განსხვავდება მჟავე ხილის წვენების ზემოქმედებისგან. მაგალითად, ფორთოხლის წვენი გაცილებით მეტად იწვევს კბილის მინანქრის სიმტკიცის შემცირებას და მისი სიმციფის ზრდას. ამ სფეროში ჩატარებული წინა ექსპერიმენტებისგან განსხვავებით, ამჟამად მკვლევრებმა მიკროსკოპის ქვეშ დაკვირვებით დააფიქსირეს მინანქრის ზედაპირზე არსებული ყველა ცვლილება. „ხილის მჟავები იმდენად აქტიურია, რომ მათი ზეგავლენით, ფაქტობრივად, კბილიდან მინანქრის ჩამორეცხვა ხდება“, — განაცხადა მეცნიერმა. მისივე თქმით, ფორთოხლის წვენი 84%-ით ამ-



ცირებს მინანქრის სიმტკიცეს. გამათეთრებელი პრეპარატების გამოყენების შემთხვევაში, ასეთი ეფექტი არ დაუფიქსირებიათ. ცნობილია, რომ მინანქრის დაზიანებული კბილების გაცვეთასა და მათი დაკარგვის რისკს ზრდის. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ თითქმის ყველა არაალკოჰოლური სასმელი, ხილის წვენების ჩათვლით, მჟავა და მინანქრის დაზიანებას იწვევს. როგორც ირკვევა, რაც მეტხანს გრძელდება მჟავასთან კბილის კონტაქტი, მით მეტია მინანქრის დაზიანების რისკი. ადამიანებს, რომლებიც 20 წუთი ან უფრო ხანგრძლივი დროის მანძილზე სვამენ წვენს, უფრო სწრაფად უვითარდებათ კბილის ეროზია, ვიდრე მათ, ვინც წვენს ერთბაშად გადაკრავს. სტომატოლოგები ხილის წვენის მოყვარულებს მჟავასთან კბილის კონტაქტის ხანგრძლივობის შემცირებასა და პირის ღრუს ჰიგიენის ზედმიწევნით დაცვას ურჩევენ; საამისოდ საჭიროა: კბილების გასუფთავება დღეში ორჯერ, ფტორისშემცველი კბილის პასტით და წელიწადში ერთხელ მინცი, სტომატოლოგთან ვიზიტი, ფტორის შემცველი ლაკით კბილის დასამუშავებლად.



ძლის, კუჭის, გულის უკმარისობის დროს, ასევე, ფიზიკური და გონებრივი გადაღლის შემთხვევაში.

ასკილის ნაყენი თავლით


აიღეთ 2 ს/კ გამოშრალი, დაქუცმაცებული ასკილი, დაასხით 0,5 ლ მდუღარე წყა-

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
წიგნები და ჟურნალები-გაზეთები
www.elva.ge

გაზეთების დასახელება	1 წგნ. ფასი	3 თვე
1. GEO / GEO	8,00	27,99
2. LMSA	2,50	32,50
3. 100 ЧЕЛОВЕК, КОТОРЫЕ ИЗМЕНИЛИ ХОД ИСТОРИИ	5,00	65,99
4. ПУТЕШЕСТВИЕ ПО СВЕТУ	8,00	24,99
5. СЕМЬ ДНЕЙ	2,50	32,50
6. HELLO! ХИЛЛОУ!	4,00	52,99
7. ОТДОХНИ	2,00	26,99

არასის და წიგნების ბაზრისთვის
სააგენტო „ელვა.ჯი“
ქ. თბილისი
თბილისის ქ. 79-99
ტელ: 38-26-72; 38-26-74
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kviripalitra.com

იკითხეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის



2 ჩანაჩტი ქურნალეი

მზავრობა და პრონიკული დაავადებები

როდესაც ასთმა არ არის კონტროლირებული, დაავადება არ ექვემდებარება მედიკამენტურ მკურნალობას და ხშირად საჭირო გადაუღებელი დახმარება, ქალაქიდან გასვლა რეკომენდებული არ არის.

დასვენება სასანებელი რომ არ გახდეს

საგრძობლად გახშირდა კანის ინკოლოგიური დაავადებები საქართველოშიც. განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ინსოლაცია უფრო მეტია – კახეთში, დასავლეთ საქართველოში, შავიზღვისპირეთში.

ბაცივება და ანბინა

ბანაობის შემდეგ ბავშვს ფაქიზად გამოუმშრალეთ ყურები ბამბის ჩხირებით და მხოლოდ ამის შემდეგ გაუშრეთ თმა ფენით. ნამიანი თმითა და ყურებით გარეთ ნუ გაიყვანთ, როგორც არ უნდა ცხელოდეს.

კვირაში ჩამომაკითხა. ჩვენები წინააღმდეგნი იყვნენ, რომ ოთარს გავყოლოდი ცოლად. ოჯახს ვერ დაგინგრევ-მეთქი, — მასაც ვუთხარი. ახლობლებმა დამკარგეს, ზურგი შემაქციეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ბედნიერად ვგრძნობდი თავს, რადგან ოთარი მიყვარდა. ჩვენ 12 წლის ვაჟი გვყავს, დათო. ის შენი ძმაა. რადგან ყველაფერი იცი, იმედია, შეიყვარებ და კარგ დობას გაუწევ“.

ლიკა თავზარდაცემული იდგა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მერე, სწრაფად შებრუნდა და დაუმშვიდობებლად გასცილდა ქეთის. მას კარგად ახსოვდა მშობლების ურთიერთობა, ოთარს ხომ ძალიან უყვარდა ნინო, ყოველთვის ცდილობდა მისთვის დარდი შეემსუბუქებინა, თურმე, ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობდა, ნინოც ჰყავდა და ლიკაც, ქეთიც და დათოც. ერთსა და იმავე კითხვას განუწყვეტილად უსვამდა საკუთარ თავს; როგორ შეძლო მზრუნველი ქმრისა და

მამის როლის თამაში, როცა სხვა ქალი და შვილი ჰყავდაო. მთელი თვე ინვალა, ფიქრობდა, გაემხილა თუ არა დედისთვის სიმართლე, ბოლოს, გადანყვიტა, ეთქვა, რადგან ლოგინად ჩავარდნილ ნინოს იქნებ, ნაკლებად ედარდა ოთარზე და ფეხზეც დამდგარიყო.

აზავი მორა

პატიება

ამბის მოყოლა ჯერ ენის ბორძიკით დაიწყო, მერე ემოციებმა გადაძლია და დაწვრილებით უამბო დედას ყველაფერი. ნინო თვალეგაფართოებული მისჩერებოდა შვილს. არც შეუცხადებია, ეს როგორ გამიკეთაო, არც ცრემლი გადმოვარდნია ლიკას გასაოცრად.

ლიკა: დედას თითქოს გაუხარდა კიდეც ამ ამბის გაგება. თითქოს, მამაჩემთან დამაკავშირებელი სასიცოცხლო ძაფი დაინახაო. მთხოვა, დათო მომიყ-

ვანე, მინდა ვნახო როგორიაო. ჯერ გავბრაზდი, — ხომ არ გაგიჟდი, სად მოგიყვანო? კაცი მთელი ცხოვრება გატყუებდა, შენ კი მისი შვილი გაინტერესებ-მეთქი? მან კი კვლავ დამარცვლით გამიმეორა: „დათო მომიყვანე, მაჩვენე“.

მივხვდი, დედის სურვილი უნდა შემესრულებინა. ქეთის ადგილსამყოფელს ადვილად მივაკვლიე და ჩემი 12 წლის ძმა დედას ვაჩვენე. მან დიდხანს უცქირა, მერე კი ტირილი აუვარდა, — როგორ ძალიან ჰგავს ოთარს. ალბათ, ჩემი ბიჭიც ასეთი იქნებოდაო და გულში ჩაიხუტა...

გაგიკვირდებათ და დედამ მართლაც შეძლო ფეხზე დამდგარიყო. დათუნა ისე შეგვეჩვია, კვირაში ერთხელ მოდის და გვინახულობს, მაგრამ მამაჩემის საქციელის გამო მაინც არ მასვენებს კითხვა: როგორ მოახერხა მამამ მეორე ცოლ-შვილის ყოლა, ისე, რომ ჩვენ არაფერი გაგვეგო?! ●

იქნებ, მაგოვნინოთ ჩემი შვილი?!

ჩემს სტუმარს და რესპონდენტს ელენე ჰქვია. იგი 34 წლის გახლავთ, ეძებს შვილს, რომელიც ახლა 16 წლის უნდა იყოს.

— წარმოშობით ქუთაისელი გახლავართ. ტექნიკუმში ვსწავლობდი და იქ გავიცანი რეზო. შეგვიყვარდა ერთმანეთი. რეზო ცოლად მოყვანას მპირდებოდა, მაგრამ როგორც კი გაიგო ორსულად ვიყავი, მაშინვე მიმატოვა. ვევედრებოდი, ხელს ნუ მკრავ, იქამდე მაინც დარჩი ჩემთან, სანამ ბავშვს გავაჩენ-მეთქი, მაგრამ არ მომისმინა. ძალიან იოლად დამნებდი და შენაირ ქალს ცოლად როგორ მოვიყვანო? მირჩია, ბავშვი მოიცილე, რადგან მე მის გაზრდაში მონაწილეობას არ მივიღებო. ვიცოდი, მშობლები გამიგიჟდებოდნენ ამაზე, აბორტის გაკეთება კი გვიანი იყო. ამიტომ, ტექნიკუმის დამთავრებისთანავე თბილისში წამოვედი. მშობლებს ვარწმუნებდი კარგი სამსახური გამომიჩნდა და უარს ხომ არ ვიტყვოდი, დედაქალაქში ყოფნა მირჩევია-მეთქი. ამ პერიოდში, მამა რუსეთში წავიდა სამუშაოდ. რადგან დედა მარტო დარჩა, უფრო გავბედე სიმართლის თქმა და თბილისში ვიხმე, საქმე მაქვს-მეთქი. მუცელი უკვე მეტყობოდა და რომ დამინახა გული გაუსკდა... მაშინვე გადანყვიტილება მიიღო, ბავშვი სამშობიაროში

დამეტოვებინა. სუსტი ნებისყოფის ვიყავი, თანაც ჯერ კიდეც პატარა, 18 წლის, იძულებული გავხდი, დავთანხმებოდი.

— სად იმშობიარე?

— 1993 წლის 4 მარტს, თბილისის პირველ სამშობიაროში გავაჩინე სალსალამათი და ჯანმრთელი გოგონა. წონაც მახსოვს 3 კგ და 800 გრამი, სიგრძე 52 სმ. მე უბედურმა უარი ვთქვი შვილზე და ხელიც მოვანერე ამაზე. პირველ ხანებში ვერ ვაცნობიერებდი რა ჩავიდინე. ვნუხდი, ვდარდობდი, მაგრამ ბოლომდე მაინც არ ვუღრმავდებოდი ჩემს საქციელს... მერე ეკლესიური გავხდი, გავთხოვდი კიდეც. ქმარი კარგი ადამიანი შემხვდა და მას ყველაფერში გამოვუტყდი. ჩვენ წლინახევრის სოფო გვყავს. იმ პირველს მარიამი დავარქვი, მარიამი რომელიც ასე უკანმოუხედავად მივატოვე და ღვთის ანაბარა დავტოვე. ქმარმა მითხრა, მოვქებნოთ გოგონაო, მაგრამ მის კვალსაც კი ვერსად მივაგენი.

— სამშობიაროს არ მიაკითხეთ? იმათ არქივი აქვთ.

— როგორ არ მივაკითხე და ასე მითხრეს, ჩვენ ბოლო 5 წლის არქივი გვაქვსო. მერე, ერთმა

ნაცნობმა გამიმჟღავნა, ეგ ამბავი გასაიდუმლოებულია, რადგან შენ თავად თქვი უარი, ბავშვი არქივში (არც ცენტრალურში და არც სამშობიაროში) სხვა სახელით და გვარით იქნება შეყვანილიო. იმედი გადამეწურა. ახლა თქვენთან მოვედი, იქნებ ვინმეს შევეცოდო, იქნებ რაიმე იცოდეს ჩემს გოგონაზე და გამომეხმაუროს. მე მახსოვს, რომ რამდენიმე წლის წინ ერთ ბიჭს დედა აპოვნინეთ (ეს ამბავი „კვირის პალიტრაში“ გაშუქდა — ავტ.) და რა ვიცი, ეგებ მეც გადმოიხედოს უფალმა წყალობის თვალით.

— არ მინდა, იმედი გადავიწურო, მაგრამ მაშინ იმ ბიჭის გამზრდელმა ქალმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ შვილის სურვილი — ეპოვნა ბიოლოგიური დედა — შეესრულებინა. შენ შემთხვევაში კი, უფრო რთულადაა საქმე.

— ვიცი, მაგრამ გოგონას დაბადების წელი, რიცხვი და სხვა მონაცემები უკვე აღვნიშნე და იქნებ გული მოუღებეს იმ ვილაც მადლიანს. ის ისედაც ღვთისნიერი ადამიანია, რადგან ბავშვი იშვილა და გაზარდა. მე მის უფლებებს არ შევლახავ, არც გოგონას ავურევ გონებას, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე. მხოლოდ მისი ნახვა მინდა... და კიდეც მინდა, პატიება ვთხოვო. ●

მშობლების უგუნურება


„ზოგჯერ მშობლები ისეთ უგუნურ საქციელს სჩადიან, ვერც აცნობიერებენ, რომ სამუდამოდ ღუპავენ შვილის მომავალს. ამ წერილში ერთ გოგონაზე მინდა გიამბოთ, რომელიც ოზურგეთში დაიბადა და გაიზარდა.

ხატია საოცრად ლამაზი გოგო იყო. მის მშობლებს უჭირდათ ცხოვრება. მამა ახალგაზრდობაში ავარიასი მოყვა და ორივე ფეხი მოკვეთეს. ვეღარ მუშაობდა, ამიტომაც მათი ფინანსური მდგომარეობა უკან-უკან წავიდა. ცოლ-ქმრის ერთადერთი იმედი ხატია იყო. ის შეძლებულ ბიჭზე უნდა გათხოვილიყო, რათა მშობლების ოჯახიც ფეხზე წამოენია, მაგრამ გათხოვება ვინ აცალა? ერთი ბიჭი შეუყვარდა გოგონას, 26 წლის იყო მაშინ. იმ უკეთურმა შეაცდინა და დაპირებული სასახლე და კარგი ცხოვრებაც საპნის ბუშტივით გაქრა. კარგა ხანს მალა სანყალმა, რომ ორსულად იყო, მაგრამ მერე იძულებული გახდა დედისთვის გაემუღაწებინა. ქალს ხატიათი იმედებოდა მომავალი და გეგმა რომ ჩაეფუშა, ლამის გა-

დადგა ჭკუიდან. სასტიკად სცემა, არც მამამ დაინდო და სახლიდან გააგდეს. ხატია ბებიასთან, სოფელში წავიდა, მაგრამ ცემამ და წერვიულობამ შედეგი გამოიღო და მუცელი მოეშალა. სეფსისი განუვითარდა, ისევე ბებია და კეთილმა მეზობლებმა უშველეს და ქუთაისის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ხატიას ოზურგეთში ყოფნა აღარ უნდოდა. როგორც იქნა ფეხზე დადგა. ბებია ეხვეწა, ჩემთან წამოდი, შენს მშობლებს ფეხს არ შემოვადგმევინებ ეზოშიო, მაგრამ ხატიას აღარ უნდოდა გურიაში დარჩენა. ქუთაისში გადაწყვიტა ესწავლა და ემუშავა.

გავიდა დრო და ცუდმა ხმებმა ჩვენამდე მოაღწია — ხატია უნესო ცხოვრებას ეწევა, არც ქუთაისში აკლია „კლიენტები“ და თურქეთშიც ხშირად „მოგზაურობს“. მშობლებმა ერთხელაც არ მოიკითხეს ქალიშვილი. ჯერ ბებია გარდაეცვალა, მერე — მამა. ხატია ორივეს დაკრძალვაზე იყო, ფული

დატოვა ოჯახში და ორივეჯერ იმ საღამოსვე გაბრუნდა უკან, ერთი დღეც კი არ დარჩენილა საკუთარ სახლში. ერთხელ ისიც გავიგეთ, თურქეთში ბენზე გადარჩა, რომ ციხეში არ ამოყო თავი. პროსტიტუციის გამო თავგადაპარსული დააბრუნეს საქართველოში. იგი ახლა თბილისში „მოღვაწეობს“. გოგო, რომელიც ყველაფრით გამორჩეული იყო, ერთი შეცდომის გამო ასე მოიძულეს მშობლებმა და დაღუპეს. მათ რომ შვილისთვის ეპატიებინათ და მეტი ყურადღება გამოეჩინათ, ხატია კვლავ შეძლებდა ფეხზე დადგომას და კარგი მომავლის შექმნას. მშობლების უგუნურებამ კი უფსკრულში გადაჩეხა. ციური, ქ. ოზურგეთი“.



საჭივს ყოველთვის ზღვის ვაშარტლოზუდი

„პატარაობიდანვე მასწავლიდნენ, მიტევაბა დიდი ნიჭია, რომ ყველა ქრისტიანს მმართველს მოთმენა. ამ რწმენით გავიზარდე, მაგრამ ახლა, როცა სულიერად განადგურებული ვარ, ვნანობ, რომ ჩემს ქმარს ბევრი რამ ვაპატიე. მე მისთვის პირველი ლალატი რომ არ მეპატიებინა, აღარ გათამამდებოდა და მსგავსაც აღარ გავივლებდა გულში ან კიდევ, გავმორდებოდი და ამხელა ტკივილს აღარ გადავიტანდი.

ჩვენი შვილი წლისაც არ იყო, როცა ერთმა ქალმა ტელეფონზე რეკვით ამიკლო, შენი ქმარი არაჩვეულებრივი კაცია, შენთან ყოფნა უჭირს და გაათავისუფლე შენი ტყვეობიდანო. იმდენად მჯეროდა დათოსი, პირველ ხანებში მეგონა, ის ვილაცა სხვასთან ხვდებოდა. ვუბნებოდი, შეგეშალათ ნომერი-მეთქი. მეოთხე დარეკვაზე კი, გუდას პირი მოხსნა და ჩემი ქმრის სახელიც მითხრა და კიდევ ისეთი დეტალები გამიმხილა, გული შემინუხდა. ჩემმა დედამთილმა გაკვირვებულმა მითხრა, — რა იყო, შე ქალო,

რომელი ქმარი არ ლალატობს ცოლს, თავს რად იგიუებო. დათომ პატიება მთხოვა და მეც ბავშვის გამო დავივიწყე წყენა. გავიდა 3 წელი, მეორე შვილიც გავაჩინე და დათოს კვლავ გაუჩნდა ახალი ექსცესებისა და შეგრძნებების სურვილი. ესეც ვაპატიე, მაგრამ როცა ჩემს მეგობართან გააჩალა რომანი, ამან მთლად გამანადგურა. ძალიან განვიცადე ცალკე ქმრის, ცალკე ჩემი მეგობრის ლალატი. დათოს მიმართ გრძობა უკვე განუღებელი მქონდა, მაგრამ ჩემს მეგობარს ისე ვენდობოდი, როგორც საკუთარ თავს. მისგან ამას ნამდვილად არ ველოდი. ვეღარ გავჩერდი დათოსთან და ჩემს მშობლებთან დავბრუნდი. იქაც ვგრძნობ, რომ ზედმეტი ვარ, რადგან ძმა, რძალი და ძმისშვილიც იმათთან ცხოვრობენ. მართალია ბინა 4-ოთახიანია, მაგრამ რაც უნდა დიდი ფართი იყოს, სამი

ოჯახისთვის მაინც არასაკმარისია. ქმრის ბინიდან წილს ვითხოვ, ის კი უარზეა — ეს ბინა ბაბუამ ანდერძით დამიტოვა, მე არ გამიგდისხარ, შენით ნახვედი, ამიტომ ან დაბრუნდი და ჩვეულებრივად გააგრძელე ცხოვრება, ან არადა გაჩუმდი და მანდ იყავიო. რა ვქნა არ ვიცი. შვილებს რა ვუყო? იმ დასკვნამდე მივედი, რომ ქართული მენტალიტეტი — რომ ბინა ბიჭს ეკუთვნის, უაზროდ და აბსურდულად მეჩვენება. ჩემს მშობლებს ჩემზეც რომ ეზრუნათ და თუნდაც ერთი ოთახი შეეძინათ, ასე ხომ არ დავიტანჯებოდი? კი მეუბნებიან, რამდენ ხანსაც გინდა იყავიო, მაგრამ მშობლების და უკვე ძმის ბინაში ამკარად ზედმეტი ვარ, როდემდე უნდა ვიყო სტუმრად? არ ვიცი, სადამდე გავძლებ ასე. ფაქტია, ჩემი შვილების მამის დანახვა აღარ შემიძლია! ფატი“

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

ს ანდახან ანას თავისი საუკეთესო მეგობრის შურდა. პატარა ბავშვმაც კი იცის, რომ შური ცუდია, მით უმეტეს, როცა საუკეთესო მეგობრის გშურს, მაგრამ ანას თავის შეკავება არ შეეძლო.


მეგი ნამდვილი ქალი იყო. ქალი, რომელმაც საკუთარი თავი შექმნა.

ის არასოდეს უმაღლებდა ხმას, არ ფეთქებოდა ვულკანივით, ნელი სიარული იცოდა და სიარულის დროს თქოებს ლამაზად მიარხევდა. ყოველთვის (დიახ, ყოველთვის!) მოდურად იცვამდა, საუკეთესო ვარცხნილობა, მაკიაჟი, ჩანთები, ფეხსაცმელი, ტანისამოსი, სუნამოები ჰქონდა. ამასთან ერთად, ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო. სახლი ყოველთვის წესრიგში ჰქონდა. აღმერთებდა ქმარს, რომელიც იმედის მომცემი მსახიობი გახლდათ.

როგორც ნამდვილ ქალს შეჭფერის, მეგის ერთადერთი ადამიანი დიდი გრძნობით უყვარდა. ქორწინებამდე მომავალი ქმარი მთელი წლის განმავლობაში ლამაზად და დახვეწილად აწონებდა თავს... მეგის ცხოვრება ლამაზად და უპრობლემოდ მიდიოდა.

ანას ცხოვრება კი ვერა და ვერ აენყო. პროფესიით ინტერიერის დიზაინერი გახლდათ, ცხოვრების სტილით კი უბრალოდ, მხატვარი. მუდამ დაუფარცხნელი და შეუღებავი იყო. დილით იმას იცვამდა, რაც ხელში მოხვდებოდა. მუდამ რაღაც ახალ პროექტზე მუშაობდა, მთელი მონდომებით, მაგრამ შესაძლოა, ერთ წამში მიენებებინა თავი სამუშაოსთვის და მთელი კვირა დივანზე დაგდებულს გაეტარებინა. ამ დროს დივანის გარშემო თანდათან იზრდებოდა გადაშლილი წიგნებისა და ფორთოხლის ქერქების რაოდენობა. შემდეგ წამოხტებოდა, უზადო წესრიგს დაამყარებდა სახლში, თვითონაც მოწესრიგდებოდა და ენერგიით სავსე ახალი ადამიანების, გრძნობების, შთაბეჭდილებებისა და თავგადასავლების ძიებას შეუდგებოდა.

როგორც შემოქმედებითი ნატურის ადამიანებს სჩვევიათ, ანა მგრძნობიარე ადამიანი იყო. ძალიან მალე უყვარდებოდა და მის ცხოვრებაში უამრავი რომანი ყოფილა. თუმცა, თავისი მასშტაბით ანას არც ერთი მათგანი არ აკმაყოფილებდა. დიდი, უზარმაზარი სიყვარული სწყუროდა. სურდა, ლეგენდარული, მამაკაცური ჭკუითა და ნებისყოფით აღფრთოვანებულიყო. მოკლედ, სურდა, რომ საყვარელი მამაკაცი



რომანი

მარი ჯაფარიძე

ნამდვილი ქალი

კვარცხლობებზე აყვანა და თაყვანი ეცა, მაგრამ არ გამოსდიოდა. ადრე თუ გვიან რწმუნდებოდა, რომ მის მამაკაცს ჭკუაც და ნებისყოფაც თავად ანაზე ნაკლები ჰქონდა.

ანა მარტობით იტანჯებოდა და შურით კვდებოდა, როცა მეგი საათს დახედავდა და ამოიოხრა: „მორჩა, უნდა გავიქცე, თორემ მალე ჩემი კაცი შინ დაბრუნდება“. ხშირად ანას უიმედობა იპყრობდა და ფიქრობდა, რომ მის ცხოვრებაში მსგავსი რამ არასოდეს მოხდებოდა.

მოხდა!

მაგრამ მანამდე გრანდიოზული შეკვეთა „მოხდა“. გრანდიოზული არა მხოლოდ მატერიალური თვალსაზრისით, არამედ, ფანტაზიისთვის ფრთაშესხმის შესაძლებლობით.

თბილისის ძველ უბანში ორსართულიანი, ხვეულკიბიანი ოფისის ნახევრად სარდაფში არსებული რესტორნის ფასადისა და ინტერიერის დიზაინი და მონყობა ევალებოდა. ანამ ავანგარდული სტილი ჩაიფიქრა, სრულიად ახალი — ძველისა და ახლის შერწყმა გადაწყვიტა. თუმცა, უკვე დიდი ხანია, იცოდა, რომ დამკვეთი ყოველთვის მართალია და შესაძლოა, მათი აზრები ერთმანეთს არ დამთხვეოდა. ასე რომ, შეკვეთის დასრულების შემდეგ ანას ჩანაფიქრი ხშირად 10%-თაც კი არ სრულდებოდა ხოლმე და მისი განწყობილება ფუჭდებოდა.

ამჯერად ყველაფერი სხვაგვარად მოხდა.

სანდრო დამკვეთის წარმომადგენელი გახლდათ და ანას

თავიდან არ მოეწონა. მას ბავშვობიდანვე არ მოსწონდა თავისი ასაკის ბიჭები. თუმცა, მასთან ურთიერთობა ძალზე სასიამოვნო აღმოჩნდა არა მხოლოდ ანასთვის, არამედ მშენებლებისთვისაც კი. ამას კი ანა არავითარ შემთხვევაში არ დაიჯერებდა, თავისი თვალთ რომ არ ენახა.

პრობლემების ყველაზე დასლართულ გორგალსაც კი სანდრო ძალზე იოლად ხსნიდა. პროექტის დასრულებისას კი ნათელი გახდა, რომ ანას იდეა მთელი 100%-ით განხორციელდა, რამაც ანა ძალზე კარგ გუნებაზე დააყენა. თუმცა, ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი ჩაიშალა. როდესაც ბოლოსწინა კომისიამ მისთვის კომპლიმენტები არ დაიშურა, ანა მიხვდა, ბოლო კომისიის მოსვლასთან ერთად მისი სიცოცხლეს დასრულდებოდა, რადგან სანდროს ნახვის საშუალება აღარ ექნებოდა.

არა, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, სადმე შემთხვევით შეხვედროდა და უბრალოდ, ეთქვა: „ვაა, როგორ ხარ? რამდენი ხანია, არ მინახავხარ“... მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ცხოვრება ალბათ დასრულდებოდა, თუ ის ყოველდღე სანდროს ვერ ნახავდა, მის ხავერდოვან, მამაკაცურ ხმას არ გაიგონებდა და არ ეცოდინებოდა, რომ ის იქვე, სადღაც ახლოსაა და ამიტომაც, ყველაფერი კარგად იქნება.

ანამ სწორედ ასე უთხრა მეგის: „ვერ ვიცოცხლებ“. როგორც ჩანს, მის ხმაში იყო რაღაც ისეთი, რამაც მეგი „გემის გარეშე“ მიიყვანა მასთან.

— რა გიკვირს? — მკაცრად შეავლო თვალი მეგიმ, — არ

უნდა გიკვირდეს, რომ სანდრომ ყურადღება არ მოგაქცია. სარკეში ჩაგინებდავს?

ანა სარკესთან მივიდა და საკუთარი გამოსახულება შეათვალიერა. ის დაინახა, რასაც ყოველდღე ხედავდა: ლამაზი, გამხდარი, ჯინსსა და მაისურში გამოწყობილი, ახალგაზრდა გოგონა. მართალია, თმა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ უნდა შეეჭრა, მაგრამ ბოლო 6 თვის განმავლობაში ვერ მოიცალა და რა ექნა?

მეგი ანას აზრს არ იზიარებდა.

— როდის უნდა მიხვდე, რომ ქალი ყოველთვის მონოდების სიმალლეზე უნდა იდგეს? ასეთ ფორმაში, ახლა შენ რომ ხარ, მე ჩემს ქმარსაც კი არ დავენახებ. გასაკვირი სულაც არაა, რომ სანდრომ ყურადღება არ მოგაქცია. სასწრაფოდ თავი წესრიგში უნდა მოიყვანო, — უთხრა მეგიმ და ანას შერცხვა.

ანამ ისიც კი არ იცის, როგორ გამოიყურება მისი საუკეთესო მეგობარი მაკიაჟის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ მეგი ძალზე დატვირთულია, მაინც ახერხებს, მუდამ ფორმაში ყოფნას. შესაძლოა, მთელი ღამე მუშაობაში გაათენოს, მაგრამ დილით მაინც ადრე ადგება და თავს მიხედავს, რათა დილის 9 საათზე, როდესაც მისი საყვარელი ქმარი გაიღვიძებს და სამზარეულოში გამოვა, საუზმე მოწესრიგებულმა მიართვას და 10 საათზე სამსახურშიც იყოს. ასე მეორდება ყოველდღე. ანას განსაკუთრებულად ის უკვირს, რომ სამსახურში წასვლამდე, მეგი სახლს წესრიგში ტოვებს და ქმარს გამზადებულ სადილსაც უტოვებს. ეს კი ნამდვილი გმირობის ტოლფასია.

ანას მეგის ქალური გმირობის ნატამალიც კი არ გააჩნია და თუ იმისთვის, რომ სანდრომ ყურადღება მიაქციოს, დღე-ღამეში 3 საათი უნდა ეძინოს, სარგადაყლაპულივით, გაჭიმულმა იაროს, მოხდენილად იჯდეს, დიეტა დაიცვას, ნიჟარაში დასარეცხი ჭურჭელი არ დატოვოს და იდიოტივით საათობით ინვეს სახეზე წასმული ნიღბებით, მზადაა, ეს მსხვერპლიც გაილოს. რას იზამ, როცა საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს ეხება?

— მართალი ხარ, დროა, შევიცვალო.

— მომისმინე, — წამში აენტო მეგი და თვალები ენთუზიაზმით აევსო, — გუშინ მალაზიაში ისეთი კაბა ვნახე, თვალი ზედ დამრჩა, მაგრამ ახლა ფული არ მაქვს. ჩემი ქმარი ფესტივალზე უნდა გავუშვა და კაბისთვის ვერ გავიმეტებ.

— ნავიდეთ! — უცებ დათანხმდა ანა და მალაზიამდე მისვლამდე მთელი გზა ისმენდა, როგორ ჩანთას ატარებენ ასეთ კაბასთან და როგორი ფეხსაცმელი მოუხდება.

მეორე დილით სადარბაზოდან ანა კი არა, ახალგაზრდა ლედი გამოვიდა, მოდური კაბით, პატარა, ქალური ჩანთით, მალაქუსლიანი ფეხსაცმლით, კვასკვასა ფერის პომადით...

ანას არ გასჭირვებია როლში შესვლა და ძალიანაც მოეწონა. ყოველ შემთხვევაში, შეუძლებელია, ასეთი ქალი ვერ შეამჩნიო. მართლაც, ქუჩაში ყველას ყურადღებას იპყრობდა.

ოფისში დარაჯი ღიმილად დაიღვარა და კარი გალანტურად გაუღო. ბოლო კომისიის წევრები არა მხოლოდ ოფისის დიზაინის, არამედ, თავად დიზაინერის მონობის გამოც ანკლამუნებდნენ პირს. სანდროც მის გარშემო ტრიალებდა. თითქოს რალაცის თქმა სურდა, მაგრამ შესაფერის დროს ვერ პოულობდა. ანა თავს მეცხრე ცაზე გრძობდა. მთელი მონდომებით ცდილობდა, ნელა, გამართულად ევლო და ხმადაბლა ელაპარაკა.

ნამდვილი ქალის მდგომარეობით ტკებობდა, მაგრამ ხელს ერთი რამ უშლიდა. პანო, რომელსაც მუშები კედელზე აკრავდნენ. მის გაკეთებას მთელი წელი მოანდომა და ამაყობდა თავისი შედეგებით, მაგრამ ახლა, როცა

უკვე კედელზე ამონტაჟებდნენ, რალაც ისე არ იყო. მუშებს ნაზად, ღიმილით სთხოვდა, რომ ესა თუ ის დეტალი ცოტა გადაენიათ. ისინი თხოვნას ასრულებდნენ, მაგრამ ისეთი უკმაყოფილო სახეები ჰქონდთ, რომ ანა აფეთქდა. თავისი პატარა ჩანთა საღებავების ყუთში ჩაახეთქა, ფეხსაცმელი გაიძრო და ხარაჩოზე აძვრა. როდესაც სამუშაოთი გართული, თმანენილი, პომადანათხაპნილი ანა ხარაჩოდან ჩამოხტა, კარში სანდრო გამოჩნდა. კარის ჩარჩოს მიეყრდნო და სიცილით თქვა: „არ გამოდის რამე? დაგეხმარო?“ დაინტერესდა და თან ანას ინტერესით ათვალიერებდა.

— ყველაფერი გამოვა, თუ ჩემს საქმეში ყველა არ ჩაყოფს ცხვირს, — გაბრაზებულმა იყვირა და კარი სანდროს ცხვირწინ ისე მიხურა, მამაკაცმა ძლივს მოასწრო განწევა.

სალამოს ანამ შინ წასვლა ვერ შეძლო. უბრალოდ, გზას გაუყვა და მეგის სახლს მიადგა. ერთი სული ჰქონდა, როდის გადაუშლიდა გულს მეგობარს და ატირდებოდა. უნდოდა, მისთვის მოეყოლა, რომ ცხოვრებამ აზრი დაკარგა, კარგს აღარაფერს უნდა ელოდოს, რადგან ასეთი სულელი, ზარმაცი და არანორმალურია, ნამდვილ ქალად ვეღარ გადაიქცევა და ამიტომ სანდროს ყურადღებასაც ვერ მიიპყრობს და რომ ცხოვრების გაგრძელებაც სწორედ ამიტომ არ ღირს.

კარი მეგიმ გაუღო. ლურჯი,



ყვითელზოლიანი, სპორტული კოსტიუმი ეცვა, თმაზე ზოლების ფერის სამაგრი ეკეთა. როგორც ჩანს, ვარჯიშობდა და ანას კიდევ ერთხელ შემურდა მისი. ის არა მარტო ვარჯიშისთვის პოულობდა დროს, არამედ, იმისთვისაც, რომ ზოლების ფერი თმის სამაგრი შეერჩია.

— აბა, მოყევი, — მიმართა მეგობარს და სამზარეულოში შეუძღვა.

ანას თვალები აუნწყლიანდა.

— აღარ ღირს ჩემი ცხოვრება, რადგან... — დაიწყო ანამ, მაგრამ წინადადების დასრულება კარზე ზარის ხმამ აღარ დააცადა.

— ჩემი ქმარია, — წამოხტა

გაიხიბება

„ენდოგლოზა ყველაზე დიდ, მიქზ და პნატიან სიყვარულსაც კი კლავს“

„გზის“ №32-ში დაიბეჭდა ზესტა და-კეს მესიჯი. შეგახსენებთ, ის გვწერდა, რომ შეყვარებული უსაფუძვლო ეჭვიანობის გამო დაკარგა. „ჩემზე ძალიან ნაწყენია. ჰოდა, აღარც „ესემესზე“ მპასუხობს და არც — ზარზე. უკვე მეორედ გამიბრაზდა. პირველად შევძელი და შემოვირიგე, ახლა კი მგონი, აღარანაირი შანსი არ მაქვს“.



„რომ ჰყვარებოდი, შენს ეჭვიანობას ყურადღებას არ მიაქცევდა“

ლიპა ქაჩია

მორჩილა:

„ეჭვიანობა ცუდი რამაა, მაგრამ ზოგჯერ, ამ გრძნობას ზედმეტი სიყვარულიც იწვევს!“

ლელაკუნა:

„ყველაფერი მხოლოდ საკუთარ თავს დააბრალებ. აბა, რატომ ეჭვიანობდი? ჩემი აზრით, ის სათანადოდ არ გიყვარდა, ახლა კი სინანული გვიანია“.

ნუბანი:

„ჩემო კარგო, თუ ფიქრობ, რომ უკვე დაკარგული სიყვარულია, ბედს შეეგუე და ნურაფერს შეეხვეწები, თორემ საკუთარ თავს ყოველთვის დაგამადლის“.

ზნარა:

„ჩემო კარგო, რა აზრი აქვს მასთან შერიგებას? შენ ეჭვიანობას მაინც ვერ მოიშლი და ისიც ისევ დაგშორდება. ვიცი, ჩემს რჩევას არ გაითვალისწინებ, მაგრამ ჯობია, დაივინყო და მის გარეშე ცხოვრებას მიეჩვიო“.

მისტარ:

„შენ ჩემზე უკეთ გეცოდინება, რომ ეჭვიანობა ძალიან, ძალიან ცუდი თვისებაა. ცუდად არ გამოიგო, მაგრამ პირადად მე, ეჭვიან ადამიანთან ურთიერთობაზე უარს ვიტყვოდი. ჯერ საკუთარი ხასიათის გაკონტროლება უნდა გესწავლა და სიყვარულზე ფიქრი მერე უნდა დაგეწყო“.

იკუშკაპი:

„ოჰ, ეს ეჭვიანობა განუკურნებელი და სიყვარულისთვის მომაკვდინებელი სენია. რატომ გისწრებს ენა და რატომ ვერ აკონტროლებ საკუთარ თავს? ალბათ, ძალიან, ძალიან გააბრაზე და აიძულე, შენზე უარი ეთქვა. დამიჯერე, უნდობლობა ყველაზე დიდ, გიჟურ და ვნებიან სიყვარულსაც კლავს. ერთი წელი საკმაოდ ბევრი დროა

იმისათვის, რომ ერთმანეთი კარგად გაგეცნოთ. ორი ადამიანის ურთიერთობა მხოლოდ სიყვარული არ არის. რადგან მის წინაშე დამნაშავე ხარ, შერიგებაც თავადვე უნდა სცადო. დაურეკე და შეხვედრა სთხოვე. ჩემო კარგო, დამერწმუნე, სიამაყე სიყვარულს კლავს. მაგრამ თუ თავი დაიფასა, ხვეწნა არ დაუწყო. ნათხოვარი და სამონყალოდ გაღებული სიყვარული არაფერში გჭირდება“.

Ashley Pcd:

„ეჰ, ზესტა, ზესტა... მეც შენნაირი ვარ და ამის გამო უამრავი ბიჭი დავკარგე. იცი, რა? — მესიჯი მისწერე და შეპირდი, რომ ასე აღარ მოიქცევი. თუ ამის შემდეგაც „დაგაიგნორებს“, ჭკუა ასწავლე: ახალი „ლოვე“ გაიჩინე და ნახავ, როგორ მოცუნცულდება შენთან. P.S. თუ ჩემთან მეგობრობის სურვილი გაგიჩნდება, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი“.

ზოკოლადა:

„ჩემო კარგო, შენი უბედურება იმაშია, რომ ეჭვიანი ხარ. პირველად ალბათ, იმ პირობით შემოირიგე, რომ შეიცვლებოდი, მაგრამ იგივე შეცდომა დაუშვი და არაფრის გამო მეორედ აწყენინე. ეჭვიანობა სისულელე კი არა, ავადმყოფობაა. ეს უნდა გაითავისო და შეეცადო, უკეთესობისკენ შეიცვალო, თორემ მას სამუდამოდ დაკარგავ!“

ლაზა, 13 წლის:

„ძალიან ცუდად ხარ? მართალია, ბიჭი ვარ, მაგრამ რჩევას მაინც მოგცემ. ტყუილად ეჭვიანობა ძალიან ცუდია. ეცადე, არ აწყენინო. დაურეკე ხოლმე, მესიჯებიც გაუგზავნე და ყველაფერი გააკეთე იმისათვის, რომ შეგირიგდეს, მაგრამ თუ ის შენს ასეთ კარგ მოპყრობას

ზურგს შეაქცევს, ე.ი. შენდამი ნამდვილი სიყვარულის გრძნობა არ ამოძრავებს. ჰოდა, მისი დავინწყება მოგიწევს. თუ ჯერ 15 წლის ხარ, წინ დიდი მომავალი გელის :“.

თაშუა:

„სიყვარულს გაფრთხილება სჭირდება. თუ საბაბი არ გქონდა, რატომ იეჭვიანე? ეჭვი დაგტანჯავს და ბედნიერი ვერასდროს იქნები. თუ დაიმსახურებ, „ლოვე“ აუცილებლად დაგიბრუნდება. სჯობს, ეჭვიანობას გადაეჩვიო, თორემ ყოველთვის ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდები“.

გვანცა-ფაცა:

„არ ვიცი, რის გამო იეჭვიანე, მაგრამ ერთს გეტყვი: თუ მართლა გინდა, სიყვარული დაიბრუნო, ეჭვიანობას შეეშვი, ბოდიში მოუხადე და აგრძნობინე, რომ გიყვარს, რომ ის შენთვის მნიშვნელოვანია“.

ლუნა:

„ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს, ერთსა და იმავე ადგილს ტყეპნი. თუ „გაიგნორებს“ და შენი ხმის გაგონება აღარ უნდა, არ მესმის, მასთან ურთიერთობის სურვილი რალატომ გაქვს? შეეშვი და სხვა მოძებნე. მართლა რომ ჰყვარებოდი, შენს ეჭვიანობას ყურადღებას არ მიაქცევდა. დავიჯერო, მართლა უსაფუძვლოდ ეჭვიანობდი? ეს აბსურდია! ლალ და წმინდა სიყვარულს გისურვებ!“


ბრუნინა:

„ბიჭებს ეჭვიანი გოგონები არ მოსწონთ და მით უმეტეს, თუ ამის საბაბი არ მოუცია. პირადად ნახე და დაელაპარაკე. იქნებ, მასაც ენატრები და შერიგდეთ კიდეც“.

„სიყვარული მეგობრობა, თანამოქალაქობა, პატივისცემა და დათმობა“

„გზის“ №32-ში დაიბეჭდა პატარა ქალუკა 20-ის მესიჯი. ის გვწერდა, რომ ლევანი ჩათში, ახალ წელს გაიცივნო და ერთმანეთი მოეწონათ კიდევ. გოგონამ ისიც გაგვიზილა, რომ სეროიზულადაა ავად და უფლის წყალობით, სულ რამდენიმე თვეა, სიარული დაიწყო. „მან ეს თავიდანვე იცოდა. მეუბნებოდა, — მთავარია, სულიერად ნაზი იყო, ერთმანეთს გავუგოთ და იმას არ აქვს მნიშვნელობა, ჯანმრთელი ხარ თუ არაო. მივინდე მის სიტყვებს...“ ცოტა ხანში გოგონა საავადმყოფოში დაანწინეს და როგორც თავად ამბობს, „ლოვე“ მთელი 9 დღის მანძილზე გვერდიდან არ მოშორებია, მხარში ედგა, სითბოსა და ყურადღებას არ აკლებდა. „ძმა, ბიძაშვილი და დაქალი გამაცნო, მათ ჩემი თავი „ლოვედ“ წარუდგინა. მერე იყო პირველი კოცნა და ბედნიერების განცდა. მეუბნებოდა,

რომ ჩემი დაკარგვა არ უნდოდა, მაგრამ ბოლო დღეებში გულჩათხრობილი გახდა“. როცა პატარა ქალუკა კლინიკიდან გამოწერეს, ბიჭმა ტელეფონით უთხრა, რომ სიყვარულისთვის მზად არ იყო და გოგონას მეგობრობა შესთავაზა. „როცა ვთხოვე, ჩემთვის დაშორების რეალური მიზეზი ეთქვა, არაფერი მითხრა. ის კი არა, ტელეფონი გამითიშა კიდევ. გაბრაზებულმა მივწერე, რომ ლაჩრულად მოიქცა და დავემშვიდობე — ხვეწნას არ დაგიწყებ-მეთქი“.



„მთავარია, სული არ ბოროტად ტრავმირებული“

ბრუზინკა:
„საწყენი ის არის, რომ შენთან ერთად გატარებული დრო, რომლის დროსაც შენგან უდიდეს სითბოსა და სინაზეს იღებდა, შესაფერისად ვერ დააფასა. ეცადე, ცხოვრება მის გარეშე გააგრძელო. მერწმუნე, აუცილებლად იპოვი ისეთ ადამიანს, რომელსაც შეუყვარდები. ჩვენ ნაკლი კი გვაქვს, მაგრამ ღმერთის რჩეულები ვართ და მინდა, ეს მუდამ გახსოვდეს“.

ლუნა:
„ხშირად, ვირტუალურ სიყვარულს იმედგაცრუება მოჰყვება ხოლმე. მიჭირს ამის თქმა და წინასწარ გისდი ბოდიშს, თუ ჩემი სიტყვებით გულს გატყენ, მაგრამ ვფიქრობ, მას ეცოდებოდი და შენთან ამიტომაც იყო, ხოლო როცა გამოჯანმრთელდი, მიგატოვა. არ ვიცი, მისი ასეთი საქციელი რას უნდა მივანერო — თუ არ უყვარდი, ასეთი დაიმედება რა საჭირო იყო? ძალიან შეცდა, გული რომ გატყინა და ოდესმე ამის გამო დაისჯება. ის არამყარი ბუნების პატრონია და თავადაც არ იცის, რა უნდა. შენ სწორად მოქცეულხარ. შეეცადე, მასზე არ იფიქრო, მომავლის იმედით იცხოვრე და წარსული სანაგვეში მოისროლე. ბედნიერების ძიება არ შეწყვიტო!“

ბიბი:
„ჩემი აზრით, იმ ბიჭს შენი კარგად ყოფნა სურდა, მაგრამ

სულაც არ ფიქრობდა, რომ მისი ცხოვრების თანამგზავრი უნდა გამხდარიყავი. უბრალოდ, შეებრაღე და ვიდრე საავადმყოფოში იწექი, მხარში გედგა. ლევანი ცუდი პიროვნებაა, შენ უკეთესს იმსახურებ!“

გვანცა-ფაცა:
„ჩემო მეგობარო, წარმომიდგენია, ახლა რას გრძნობ. ჩემი აზრით, ლევანს სირთულეების შეეშინდა. გირჩევ, ყველაფრის გასააზრებლად დრო მისცე და თუ რამდენიმე თვეში არ დაგიბრუნდება, არ ინერვიულო — ის წავა და სხვა მოვა. იცოდე, უფალი არავის განირავს“.

თამუნა:
„ლევანზე არ ინალვლო და უფალს მადლობა უთხარი, რომ იმ ბიჭს თავის დროზე ჩამოგაცილა. ასეთ პიროვნებასთან ბედნიერი მაინც ვერ იქნებოდი და იმედია, ამას თავადაც ხვდები. გამოჩნდება პიროვნება, ვინც გულით შეგიყვარებს და გაგაბედნიერებს. ლევანს არ უყვარდი, მხოლოდ თანაგიგრძნობდა. უფალი გფარავდეს“.

გვანცი:
„ნუ იტანჯები, ლევანი შენი ღირსი არაა! შესაძლოა, მას სხვა შეუყვარდა და თავს ამიტომაც გარიდებს. როცა ადამიანს გულწრფელად უყვარხარ, მისთვის არ აქვს მნიშვნელობა,

ავად ხარ თუ არა. გისურვებ ჯანმრთელობას და ნამდვილი სიყვარულის პოვნას“.

Ashley Pcd:
„ვაიმე, გოჭი, შენმა წერილმა საშინლად „დამგრუზა“ და იმ არაკაცისთვის სიფათის გაერთიანების სურვილი გამიჩნდა. მაპატიე, მაგრამ ჩემი აზრით, რალაც უცხო უნდოდა, ასე ვთქვათ, ეგზოტიკას ეძებდა, აინტერესებდა, დაავადებულ ადამიანთან ურთიერთობა როგორი იყო ან კიდევ: მის ოჯახს რძლად არ უნდოდი. „ესო რაფნო“, ლევანი ცუდი ადამიანია და უნდა დაივიწყო. ის თავიდანვე გატყუებდა და ამიტომაც, მის გამო წერვების შლა არ ღირს. ტყუილი ურთიერთობას ანგრევს. სიყვარული არც გარეგნობას და არც ჯანმრთელობას არაფრად დაგიდევს. აი, ნახავ, ანგელოზო, შენს ცხოვრებაში გამოჩნდება ადამიანი, რომელიც ამქვეყნად უბედნიერეს ქალად გაქცევს. გამოჯანმრთელებას გისურვებ. გკოცნი. უფალი გფარავდეს“.

შოკოლადა:
„ეს წერილი ემოციების გარეშე ვერ წავიკითხე და რატომღაც, შენი ტკივილიც ძალზე გავითავისე. რატომ? — არ ვიცი, მაგრამ იმდენს კი ვხვდები, რომ ის ბიჭი შენაირი სულის მქონე ადამიანს არ იმსახურებს. მერე რა, რომ რალაც ტრავმა გაქვს? მთავარია,

სული არ გქონდეს ტრავმირებული. მოვა დრო და ის ყველაფერს ინანებს. მის გამო ნუ იტირებ, ის შენი ცრემლების ღირსი რომ იყოს, არ აგატირებდა“.

იკუშავაზი:

„საყვარელო, შემძრა შენმა წერილმა. დარწმუნებული ვარ, ლევანი ოჯახის წევრებს ვერ შეეწინააღმდეგა, შენთან დაშორება მათ აიძულეს. 19 წლის ბიჭებს არ ძალუძთ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება და ყოველთვის მშობლების, ოჯახის წევრების ზეგავლენის ქვეშ ექცევიან. მესმის, რომ შენთვის ლევანი ძალიან ახლოდელი ადამიანი გახდა, თავი შეგაყვარა, შენი ნაზი, ქალური გრძნობები გააღვიძა, შენს გულსა და სულს დაეპატრონა, მერე კი გაიქცა და იმასაც ვხვდები, ახლაც რას გრძნობ, მაგრამ როგორმე, ეს ტკივილი უნდა გადაიტანო! ვიცი, ბანალური რჩევაა, მაგრამ ლევანი წერვიულობად არ ღირს. ის უნდა დაივიწყო. უთავმოყვარეო კაცს შენი სიყვარულით ღირსებას ვერ დაუბრუნებ და სინდისს ვერ გაუღვიძებ. P.S. ლევან, ნამდვილად მეცოდები, რადგანაც უსუსური, მშიშარა ხარ, საკუთარი აზრი და ცხოვრება არ გაგაჩნია. შენ ყოველთვის სხვისი ხელისა და გონების იმედად იქნები, ჰოდა, პირადი ცხოვრების აწყობას ვერასდროს შეძლებ. მარიონეტი ხარ და შესაბამისად, რასაც გიბრძანებენ, იმას აკეთებ. საყვარელი ქალისთვის მყარი და საიმედო დასაყრდენი ვერასდროს იქნები. ნამდვილად მებრალები! საინტერესოა, რად გინდა ჯანმრთელობა, როცა გონებით და ადამიანობით ხარ არაჯანსაღი?!“

მზარი:

„მიზეზებს ნუ ჩაეძიები — რადგანაც ასე მოიქცა, შენი ღირსი არ ყოფილა. ვიცი, ძნელია, მაგრამ მისი დავინყება უნდა შეძლო. მთელი გულით გისურვებ გამოჯანმრთელებას და ღმერთმა ისეთ ადამიანს შეგახვედროს, ვინც მართლა შენი ღირსი იქნება“.

უცნობი:

„ვიცი, ასეთ სიტუაციაში ყოფნა ძალიან ძნელია. თუ ნამდვილად უყვარხარ, არ დაგკარგავს. დაელოდე“.

უცნობი:

„ჩემი აზრით, სიყვარული მეგობრობა, თანაგრძნობა, პატივისცემა და დათმობაა. თუ შენ მიმართ ამ ყველაფერს გრძნობდა, დამიჯერე, არასდროს დაგკარგავს :)“.

„მე და ჩემს ნათესავს ერთმანეთი შეგვიყვარდა... ნამდვილად დაგვხოცავენ!“

PAC GIRL-17:

„თქვენი რჩევა ძალიან მჭირდება. ვიცი, ბევრი გამკიცხავს, მაგრამ ასეა და ვერაფერს შევცვლი. მე და ჩემს ნათესავს ერთმანეთი შეგვიყვარდა და როგორც კი დროს გამოვნახავთ, ერთმანეთს ვვოცნით. ეს რომ გაგვიგონ, ნამდვილად დაგვხოცავენ! მან მთხოვა, ჩემთან დანეჭიო. ეს მეც ძალიან მინდა, მაგრამ მომავლის მეშინია — სხვისი „ნახმარი“ ქალი ხომ არავის უნდა?! ძალიან გთხოვთ, ეს მესიჯი რაც შეიძლება მალე დამიბეჭდეთ და ჩემ მიმართ იყავით ღმობიერები“.



„ადრე დამსაჯეთ და იმედია, ახლა მაინც დამინდობთ“

უცნობი, 16 წლის:

„გამარჯობა. არ ვიცი, საიდან დავინყო, მაგრამ ის კი ვიცი, რომ თქვენი დახმარება ისევ ძალიან მჭირდება. მესიჯი ადრეც მოგწერეთ. მე ის გოგონა ვარ, რომელიც 14 წლის ასაკში შეყვარებულს ლოგინში ჩაუგორდა, შემდეგ კი ფულსაც აძლევდა და ყველა კაპრიზს უსრულებდა. მე არც თქვენ

დამინდეთ და საყვედურებით, სიტყვებით დამსაჯეთ. ვიცი, ამას ვიმსახურებდი, მაგრამ მე ხომ დახმარება გთხოვთ და არა ჩემი დასჯა... ახლა ისევ მოგმართავთ და იქნებ, დამინდოთ... მამა გარდამეცვალა. ისედაც გამწარებულს, პანაშვიდზე მამის ღვიძლმა ბიძაშვილმა სიყვარული ამიხსნა. მეგონა, მეხუმრებოდა, მაგრამ შევცდი — მას შემდეგ მოსვენება დამიკარგა. ეს ამბავი რამდენიმე ახლობელმა ადამიანმა იცის, მაგრამ ისინი ყველაფერში მე მადანაშაულებენ, არადა, გეფიცებით, ის ნამდვილად არ გამომინვევია, ყოველთვის ისე ვუყურებდი, როგორც ძმას და ვერ ვხვდები, რა „დაეტყა“. დამეხმარეთ, მირჩიეთ რამე, ლამისაა ჭკუიდან შევიშალო და თავი მოვიკლა.


ლიკა, გთხოვ, ეს მესიჯი მალე დამიბეჭდე, შენი და მკითხველების დახმარება მართლა ძალიან მჭირდება“.



P.S. მაშ ასე თუ PAC GIRL-17-ისა და უცნობის წერილების ნაკითხვის შემდეგ, რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: **8.58. 25.60.81**. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ. ●

ფოტო, რომელსაც

წარწერა დაკარგა



• „შავი პური შავი გაგების ხალხს!“
ზესტა-და-კე.

• „ჯერ ჭამა და მერე ძარცვა“.
ცუგო.

• „როცა გზია ზაქარია, შავი პურიც
შაქარიაა“. შოკოლადა.

• „FAST FOOD-ის ახალი ბუტერბროდების
რეკლამა:

— წამო, ბანკი გავძარცვოთ.

— მოიცა რაა, ჯერ ეს შევჭამოთ,
მაგას მერეც მოვასწრებთ“.

• „აუ, რა ძარცვა მივეციოთ?!“

• „ორად ორი მეგობარი, ორი ჯუჯა
ვართ“. GREEN GIRL.

• „რაც ჩანთაში არ ჩავიდა“.

• „ამის მერე „ბაბუშკინა მასლას“
მაგიფრად, სამგორის კარაქს ვიყიდით“.
ჯაბა.

• „ყაჩაღობის რეპეტიცია“. ლუნა.

• „რა კუში მოვხსენით?!“

• „მარჩიელობენ დოსტები, თუ ვინ
გაქურდონ პირველი, მიშა, ნინო თუ ხა-

ბაზი, უგულავა თუ ნინელი?

— სჯობს, თვითონ ედოს დავესხათ,
როცა იქნება ღამეო, მთლად უნამუსო
ეგაა, ბევრიც ექნება რამეო“. ლიმონა.

• „სულ ცოტაც და მარტო პურისჭამა
ალარ მოგვიწევს“.

• „დამშეული ქურდები“.

• „დიდი ძარცვის მენიუდან ალბათ
მხოლოდ ეს იჭმება“.

• „ვაჰ, უყურე ერთი, ჩემს მეზო-
ბელ წვინტილიან ვანოს რა საქმე გაუ-
კეთებია?! გიცანი ხელის მანერებითაო.
მომხედე ერთი, შენა, დათა არა ხარო?
აკი დავჭკვიანდიო? ისევ ქურდობ, ჯო?“
გრუზინკა.

• „პური ჩვენი არსობისა“.

• „ბუტერბროდის მძარცველები“.

• „არას გარგებთ სპეცრაზმელებს, ცა-
რეელი პურის ჭამა, კარგად უნდა გაი-
კვებოთ, რომ გაგიძლოთ დიდხანს ჯანმა,
აბა, ორ კაცს რას გეყოფათ ეგ პური
და იარაღი? დაგვანახეთ თქვენი სახე,
მოიხსენით ეგ ნილაბი!“

სსსპ ზოგადი და სპეციალური განათლების დასახელები

მარი ჯაფარიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №30-32

ანა: ახლა მე წავალ.
მერაბი: ჯერ მითხარი შენი საპასპორტო მონაცემები, ვნახავ აქ, მონაცემთა ბაზაში.

ანა: მე ახლა მივდივარ, სალამოს ვილაპარაკოთ... დროებით.

მერაბი: არც გაბედო წასვლა, სანამ არ მეტყვი.

მერაბი: კარგი, შენ მაინც არ მოდიხარ ჩემს პირობაზე, ხომ? არა უშავს, შენც მთხოვ რამეს და ანალოგიურად მოგექცევი. წავედი.

ანა: მე რასაც გთხოვ, წესით იმაზე ნამდვილმა მამაკაცმა უარი არ უნდა თქვას... :) ნუ ბრაზობ და ნუ მაკრიტიკებ... ახლა კი გკოცნი... სალამომდე...

მერაბი: გამაბრაზე მაგრად. სალამოს დაიხვეები, მთელი სისასტიკით.

ანა: მოვედი... უფრო სწორად, შემოვიპარე, ფეხაკრებით...

მერაბი: გამომიცხადდა მატყუარა საიტზე.

ანა: მატყუარა რატომ ვარ?

მერაბი: შენ თუ გეშინია, პირდაპირ მითხარი. თუ არა და მაშინ ბოლომდე გამეხსენი, რას მატყუებ? მე მაგის ღირსი არ ვარ შენგან. ახლა მაგარი გადარეული ვარ. მთელი დღე მალოდინებ აქ. რა არის, რა უბედურებაა? ან მითხარი რასაც გთხოვ, ან არა და...

ანა: როცა მნახავ ყველაფერს გეტყვი. მერე მაგის გადამონმებას რა უნდა? შენ მით უმეტეს არ გაგიჭირდება... შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს... მართლა.

მერაბი: შეურაცხყოფილად რატომ გრძნობ თავს? მე ვარ შეურაცხყოფილი. ჩემ შესახებ ყველაფერი იცი, მე კი შენ შესახებ — არაფერი. არ მინდა შენი დაკარგვა, მაგრამ გადავლახავ მაგ ბარიერსაც.

ანა: რომელ ბარიერზე მელაპარაკებ?

მერაბი: ახლა ერთი რამ უნდა გითხრა: ვატყობ, სანამ არ გავარკვევ ვის ვესაუბრები, გამიჭირდება მიმონერის გაგრძელება. ჩემი ბრალია, არ უნდა მეთქვა საკუთარი ვინაობა და არც იქნებოდა რაიმე პრობლემა... რახან ასე მოხდა, მიუხედავად ჩემი სურვილისა, არის რალაც ფაქტორები, რაც არ მომცემს საშუალებას,



გავაგრძელო იმავე რეჟიმში... ასე რომ, მთლიანად შენი გადასაწყვეტია ყველაფერი. :)))

ანა: და გაურკვეველი რა გაქვს? მითხარი, აბა, რა ვერ გავარკვეე... და რა ვიცი მე იმაზე მეტი, რაც შენ იცი ჩემზე... გულახდილი იყავი საკუთარ თავთან, როცა პასუხს მომწერ.

მერაბი: შენ იცი, ვის ესაუბრები, მე კი — არა!

ანა: რატომ გგონია ასე, ისიც დააზუსტე ახლა...

მერაბი: ნუ მინყენ და რამდენიმე ტყუილი შემაპარე... ეგ არ მწყინს, ეტყობა საიტს კარგად იცნობ და სხვაგვარად არ შეგეძლო, მაგრამ შენ რა სახელი და გვარიც მითხარი, ისიც რომ არ არსებობს, რა ვქნა ახლა მე? :)

ანა: არსებობს... ეგაა ჩემი სახელი და გვარი! და ახლა, რადგან შენ არიდე თავს, მე გეტყვი სიმართლეს და გავარკვიოთ, ამ სიტუაციაში ვინაა მართალი... 2 ნუთში ჩამოვარაკრავებ, დაელოდე... :))

ანა: შენ მითხარი შენი სახელი და გვარი. მე — ჩემი. შენ გაქვს საშუალება, გადაამონმო... მე — არა... რატომ უნდა დავიჯერო შენი, რომ ნამდვილად ის ხარ და ნამდვილად იქ მუშაობ, სადაც ამბობ? გამოდის, სიტყვაზე უნდა გენდო? რატომ? რატომ შენ არ მენდობი მაშინ სიტყვაზე? რატომ ამონმებ? იმიტომ, რომ სამსახურებრივად შენ გაქვს მაგის საშუალება და მე — არა? რატომ უნდა გქონდეს შენ რაიმე უპირატესობა?

შეგიძლია, დამარწმუნო, რომ ნამდვილად ის ხარ, ვისაც ამბობ?

მერაბი: პასპორტს დავასკანერებ და გამოგიგზავნი!

ანა: საიდან გავიგო, რომ შენი პასპორტია? იქნებ თანამშრომლის ან მეგობრისაა? თუ ეჭვია, ეჭვი იყოს...

მერაბი: უნდობლობა სისხლში მაქვს გამჯდარი.

ანა: ვიცი... და შენ გავიწყდება, რომ მე ქალი ვარ და ყველაფერს ვუფრთხი... დედა ვარ... და არ მინდა, რაიმე უსიამოვნებას გადავეყარო და შვილს სახელი შეგურცხვინო, ლაქა მოვიცხო... გესმის, ჩემი? ერთი ადამიანი გადამეკიდა, სად მუშაობო... მოვატყუე და ვუთხარი ერთი ფირმა, სადაც ჩემი მე-

გობარი მუშაობს... დღეში ხუთასჯერ რეკავდა და მკითხულობდა... აიკლო იქაურობა... მერე მისულა... წარმოიდგინე, ნამდვილი სამსახური რომ მეთქვა... აქედან ვერც მოვიცილებდი... შენ კი მამაკაცი ხარ... თან რა პროფესიის და საფრთხე არსაიდან გემუქრება... ბევრი დავწერე, მაგრამ მინდა, ჩემს გულში ჩაგახედო... თუ ამის საშუალება გაქვს, დაინახო, რას ვუფრთხი...

მერაბი: მე ცოტა უცნაური კაცი ვარ... ვართულებ ყველაფერს... ქალისგან იმაზე მეტს მოვითხოვ, ვიდრე მას მოცემა შეუძლია...

ანა: ნუ, რაც აქვს იმას მოგცემს და მეტი რა ქნას? ეს ხუმრობით, მაგრამ მაგალითი მითხარი, რა არის ეს „მეტი“?

მერაბი: მეტი? ოოო, ეს ერთი სიტყვით არ აიხსნება... შენ სხეული გაქვს მხედველობაში? თუ წარმოგიდგენია, რომ სხეული სხვისი იყოს, მაგრამ ქალი — შენი?

ანა: შენ სახიფათო კაცი ხარ. :)))

მერაბი: რას ფიქრობ ჩემზე? ვგავარ სხეულზე მონადირეს? როგორ ფიქრობ, შეიძლება, მაგის პრობლემა დღეს ვინმეს ჰქონდეს? მე თუ მთელი დღე კლავიატურაზე ვაკაკუნებ, როგორც შენ იძახი, მხოლოდ იმისთვის, რომ ფიზიოლოგიური მოთხოვნილება დავაკმაყოფილო?

ანა: ნუ, მამაკაცს მაგის პრობლემა არ უნდა ჰქონდეს, წესით... კლავიატურის კაკუნით ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას ავადმყოფები იკმაყოფილებენ და ასეთი შთაბეჭდილება შენზე ნამდვილად არ მაქვს... იმიტომ მოგწერე, სახიფათო კაცი ხარ-მეთქო... კაცს თუ მარტო სხეული აინტერესებს, ის უფრო უსაფრთხოა... როცა ქალის გულს, სულსა და გონებას უმიზნებს და იმორჩილებს, ისაა საშიში... :))

ანა: ანუშკები, ფრთხილააად! :)

მერაბი: მე ყველაზე ცუდი ვარიანტი ვარ შენთვის.

ანა: რატომ — ცუდი ვარიანტი?

მერაბი: ჯერ ვერ ატყობ? :))) ჩემთვის ქალთან ურთიერთობა პატარა ომს წააგავს... ვომობ, ვიბრძვი, მაგრამ წესებს არ ვარღვევ! :) გარწმუნებ, ბევრი ვინმე და ბევრი რამე მაქვს დაკარგული ჩემი ხასიათის გამო, მაგრამ საკუთარი პრინციპების ერთგული ვრჩები. :)))

ანა: შევრიგდეთ, ოღონდ ჩემი პირობებით.

მერაბი: არა, ჩემი პირობით! ერთხელ დათმე და არ წააგებ, იცოდე. მე გაძლევ ჩემს სიტყვას.

ანა: ვფიქრობ...

მერაბი: აღარ იფიქრო, მოძებნე ის პრინციპი, რომელიც ყველაფერზე თავს დაგიქნევს. მერაბი აღარ არის და არც ყოფილა, ჩათვალე. ტელეფონზე დამელაპარაკე!

ანა: წახვედი? კარგი, ძილი ნებისა, ჩემო კარგო... და მაინც შენთან მინდა, ასეთი რომ ხარ, იმიტომ... გკოცნი...

მერაბი: მე გული მოგეცი და შენ ეგ ვერ დაინახე. მაგარი გეგმები ჩაშალე, ერთი ელემენტარული რაღაცის გამო. შეიძლება ვინანო, მაგრამ მაინც... ჩემი ასეთი ხასიათის გამო ბევრი რამ დამიკარგავა, მაგრამ რა ვქნა, ასეთი ვარ.

მერაბი: რა გული გქონია, ცივი! არ ველოდი. ეტყობა, ინტუიციამ მილალატა. მაინც

მქონდა იმედი, რომ ჩემთან ერთად იქნებოდი დილაამდე. მილალატე? მენდო, მეუბნები, ასობს ენდო... შენ არ მიხსნი გულს ბოლომდე...

მერაბი: შენ უნდა გეძინოს და მე ნერვიულობაში მატარებინებდე ლამეს? ვინ ხარ ასეთი, ვინ მოგცა ამის უფლება?

28 აპრილი, 08:43

ანა: ნახე, როდისაა ჩემი მესიჯი მონეროლი და როდის შენ მომწერე... არ გითქვამს, რომ დაბრუნდებოდი, თორემ დაგელოდებოდი. მეგონა, გაბრაზებული იყავი და იმიტომ წახვედი. ასე, ვირტუალურად მიყვარხარ და ვგიჟდები შენზე... რომ არა — გადაუდებელი საქმეები, უკვე მანდ ვიქნებოდი... შენთან მინდა... ჩემი ნამდვილი სახელი და გვარი იცი... სურათებიც ნამდვილია... მეც ნამდვილი ვარ და ჩემი სურვილებიც... ასე უთენია იმიტომ გწერ, რომ დღეს ვეღარ შემოვალ, გასვენებაში მივდივარ. მომენატრები... ბევრს გკოცნი. იცი, რა მინდა კიდევ გითხრა? ამაყი ვარ... ცხოვრებაში კაცთან ისე არ მოვექცეულვარ, როგორც შენთან ვიქცევი. ჩემი სურვილები და მეც რეალური რომ არ ვიყოთ, დიდი ხნის წინ დაგემშვიდობებოდი... მე მაინც გწერ... გწერ... გპატიობ... გპატიობ... გპატიობ და გებლაუჭები...

მერაბი: ბედნიერი მგზავრობა. იმედია, რომ დაბრუნდები, გონს მოხვალ.

29 აპრილი, 09:59

მერაბი: ასე გვიან დაბრუნდი გასვენებიდან, ქალბატონო? დღეს ხომ იცო, ოპერატიულ ჯგუფში ხარ ჩასმული და სამსახურში არ დამიგვიანო!

მერაბი: სად ხარ ამდენ ხანს? ტყვედ აგიყვანეს?

მერაბი: რა გამანამე?! რამ გამაცნო შენი თავი? ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი.

მერაბი: საათების მიხედვით დააფიქსირე წერილები. ვის უტარებ მაგ „ხოდებს“, მევე? კარგი, ვნახოთ... ახლა ისეთ ხასიათზე ვარ... მაპატიე, მაგრამ ეგრეა, ცუდი გოგო ხარ, მართლა. ხვალ ანალოგიურ სიტუაციაში იქნები და გაგიტყდება.

მერაბი: დღეიდან ვშლი ჩემს ანკეტას. დავილაღე, მაგის არც დრო მაქვს და არც ასაკი. წახვედი. „მობილს“ გიტოვებ. თუ რამეში დაგჭირდი, მზად ვარ, დაგიდგე გვერდით. კარგად იყავი, ქალბატონო.

ანა: სერიოზული მიზეზი მქონდა და ამიტომ ვერ შემოვდიოდი... მენატრები და შენთან მინდა... უზომოდ... არ წახვიდე...

1-ლი მაისი, 09:34

ანა: ხმა გამეცი რომ მოხვალ, თორემ მოგიკვდები, იცოდე...

მერაბი: 20 წუთით გავალ რაღაც საქმეზე და შეგეხმიანები, საყვარელოო.

მერაბი: მოვედი, შენთან ვარ. ახლა არ დამიწყო პასუხების დაგვიანება... დაანებე ყველას თავი და მომაქციე ყურადღება...

მერაბი: ძმაკაცმა დამირეკა და რესტორანში დამპატიჟა. საყვარელი ახლდა. არ გავჩერდი, 2 ჭიქა დავლიე და წამოვედი, შენ რომ მელოდებოდი.

ანა: საყვარელი თუ ახლდა, შენ რად უნდოდი? თუ იმ ქალს დაქალი ახლდა? თუმცა, ასე რომ ყოფილიყო, მაშინ დარჩებოდი... შენ არ გყავს საყვარელი?

მერაბი: დაქალი არა, დეიდამისი ახლდა, დამა ქალი, მაგრამ არ დავრჩი.

ანა: მე მეორე კითხვაც დაგისვი.

მერაბი: საყვარელი — არა. ისე, მყავდა ერთი და ახლა აღარ მყავს. შეეშალა „მოძრაობის წესები“ და გაუშვი იქ, საიდანაც ვერ ბრუნდებიან მერაბთან.

ანა: გილალატა?

მერაბი: არა, ნამეტანი აქტიურობა დაიწყო შიდა საქმეებში და დავემშვიდობე. არ მინდა მაგაზე საუბარი. შენ მითხარი, ნაღდად ჩამოდიხარ ჩემთან?

ანა: მე რომ ჩამოვიდე, შენ მთელი ღამე შეგიძლია ჩემთან დარჩენა? თუ ცოტა ხნით, მხოლოდ?

მერაბი: მთელი ღამე, აბა მარტო დაგტოვებ? შენ რას იზამდი, მე რომ ჩამოვსულიყავი?

ანა: მე ქმარი არ მყავს და ჩემი თავის ბატონ-პატრონი ვარ.

მერაბი: მაგის პრობლემა არ მაქვს.

ანა: ეგ იშვიათია, ცოლიან კაცს რომ მაგის პრობლემა არ ჰქონდეს, მაგრამ შენ სამსახურიც გინყობს ალბათ ხელს... და იმ ღამით რომ რაიმე დანაშაული მოხდეს და დაგირეკონ, რას იზამ?

მერაბი: ნუ გეშინია, შენთან დავრჩები.

ანა: ისე ვლაპარაკობთ, თითქოს გადაწყვეტილია, არა?

მერაბი: მერე, შენს ხელში არ არის? გადანყვიტე!

ანა: მარტო ჩემს ხელში არაა.

მერაბი: აბა, ვის ხელშია?

ანა: შენს ხელშიც... მარტო მე როგორ გადავწყვეტ?

მერაბი: თუ ჩამოხვალ, მე ვარ ყველაფერზე პასუხისმგებელი. გულნატკენი არ ნახვალ, ყოველ შემთხვევაში. მაგისი ხომ გჯერა?

ანა: მე მინდა, რომ არ მანყენინო და ცუდად არ მომექცე...

მერაბი: ასეთ პიროვნებად შემიცანი?

ანა: არა, რა თქმა უნდა... მაგრამ უცხო ადამიანთან შეხვედრა მაფრთხობს ძალიან.

მერაბი: რა გავაკეთო, მითხარი და ისე მოვიქცევი. მგონი, როცა მნახავ, არ დაფრთხები.

ანა: შენ უკვე ყველაფერი გააკეთე საიმისოდ, რომ მე ასე მინდა შენთან და ამ თემაზე გელაპარაკები, თან ასე თავისუფლად... ეს რაღაც, წარმოუდგენელია. ალბათ ასე იყო საჭირო და იმიტომ... მეცინება, როცა ვფიქრობ, რომ მამაკაცი ჯერ არ მინახავს და მასთან მინდა, მასთან ყოფნაზე თანახმა ვარ და ვაპირებ, პირველივე შეხვედრაზე მასთან დავრჩე...

ადრე დარდით მოგკვდებოდი, რას იფიქრებს ეს კაცი-მეთქი, მაგრამ ახლა რატომღაც მაგაზე არ ვფიქრობ... ვითომ ჭკუა გადამიბრუნდა? ალბათ ის შიშიც სწორედ მაგითაა გამონვეული, რომ შენ ჩემზე ცუდი არ იფიქრო და ცუდად არ მომექცე... კარგად ვერ გავრკვეულვარ ჯერ.

მერაბი: ეგ ჩვენზეა დამოკიდებული. მხეცი კი არ ვარ, რომ მოგახტე. შეიძლება არც მოგეწონო.

ანა: ეგ იქნება ყველაზე მაგარი ამბავი... ამხელა გზაზე ჩამოვიდე და არ მომეწონო... ააუუუ... იქვე მოვიკლავ თავს...

მერაბი: არა, ნუ გეშინია, შენ რომ წარმოგიდგენია, ისეთი ვარ. შენ ინტუიცია არ გლალატობს. გაგიმართლა.

ანა: ისე, ქალის ჭკუა თხამ შეჭამაო, მართალია... თბილისში კაცები დაილია, რომ ამხელა გზა არ გამოვიარო? სულელი არ ვარ ახლა? მერე შენ რას იბლატავებ, ქალი ჩემოვიდა თბილისიდან ჩემ გამოო, არა?

მერაბი: არ გრცხვენია? მაგას როგორ ამბობ? უბრალოდ, მე ვერ ჩამოვდივარ საქმის გამო, თორემ ერთი წუთით ვინც დაფიქრდეს შენთან ჩამოსვლაზე, იმის დედა ვატირე... როდის, როდის ჩამოხვალ, საყვარელო?

ანა: მითხარი, ჩემზე რას ფიქრობ?

მერაბი: რა უნდა ვიფიქრო ვრწმუნდები, რომ სურვილი გაქვს ჩემთან შეხვედრის. გამეხსენი, კომპლექსები აღარ გაქვს და შემეჩვიე. იმედია, ჩვენი შეხვედრა შედგება. მე მჯერა. ახლა მთავარია, მომეწონო. დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება.

ანა: ეგეც საინტერესოა... რომ არ მოგეწონო, რას იზამ,



ნეტავ? უკან გამომაბრუნებ?

მერაბი: არა, მაგდენი ჯენტლმენობა მაქვს... მაგას შენ თვითონ მიხვდები, მომეწონე თუ არა. ნუ მიგვიანებ პასუხებს, თორემ ვეჭვიანობ.

ანა: ეგ კარგია, რომ ეჭვიანობ... მე მოლა-ლატე არ ვარ... აქ ვიპოვე ადამიანი, რომელიც მინდა... სხვა არ მაინტერესებს, ჯერჯერობით...

მერაბი: ჯერჯერობით რატომ? სხვა რამეებიც გაქვს გეგმაში?

ანა: არა, გეგმაში შენ მყავხარ.

მერაბი: ისე, რა დაინახე ჩემში?

ანა: ჩვენს ძველ მესიჯებს როცა ვკითხულობ, ვხვდები, რომ შენ თავიდანვე ისე მელაპარაკებოდი, როგორც შენს საკუთრებას... რალაცნაირად, დამიმორჩილე, თითქოს... ძლიერი ხასიათი და ხელი ვიგრძენი... ვაჟკაცური თვისებები... ძლიერი მამაკაცი... და ინტუიცია მკარნახობს, რომ კარგი სექსი იცი... ალბათ ესაა, რამაც ჩემი დაინტერესება გამოიწვია... მე თუ ვინმეს დავემორჩილები და ჩემი შეხების უფლებას მივცემ, ის ძლიერი უნდა იყოს... ჩანჩურა კაცს პატივს არ ვცემ... არ დავემორჩილები და ჩემი სხეულის გათელვის უფლებას არ მივცემ.

მერაბი: მერე, რაღას უცდი? დაანეჭი და მომიახლოვდი. ისე, მთავარი სექსი კი არ არის ჩემთვის, მთავარი ადამიანობაა. ქალი რომ მინდოდეს, მაგის მეტი რა არის? ისე, შენგან პირველად მაგარ წინააღმდეგობას გადავანყდი, მაგრამ გადავლახე მგონი...

ანა: ზოგი შენს ადგილზე ხელს ჩაიქნევდა, ქალის მეტი რა არის, ამას არ დაუწყნო შებმა და ჭიდაობაო... შენ კი აზარტული ხარ, ეტყობა და წინააღმდეგობამ გაგახელა... ის წინააღმდეგობაც და გულახდილობაც გულიდან მოდის... არ ვთამაშობდი... რასაც ვგრძნობდი, იმას გწერდი და ახლაც იმას გწერ... დღეს წავიკითხე პირველი მესიჯები და გამეცინა...

მერაბი: როდის ჩამოხვალ? ნუ იჩქარებ, საქმე თუ გაქვს, არ მინდა, ჩემ გვერდით იწვე და პრობლემებზე ფიქრობდე. გამიგე.

ანა: დავიძინოთ, უკვე გვიანია.

მერაბი: შენ როგორც გინდა... თუ დაღლილი ხარ, დავიძინოთ...

ანა: შენი ხმა რომ გამაგონო, არ გინდა?

ანა: ვიჯერე გული შენთან ლაპარაკით. სიხარულოო... ახლა კიდევ უფრო ძალიან მენატრები... არ მინდა უშენოდ... და შენთან მინდა.

3 მაისი, 08:30

ანა: ვიცი, დღეს ჩემთან იქნები... ერთი სული მაქვს, როდის მოხვალ... მენატრები. ახლა ალბათ ჯერ ისევ გძინავს... მალე მოდი...

მერაბი: მოვიდე? მოვალ...

ანა: ნნუ, ნნუ, ნნუ... შენ ვინ ხარ?!

მერაბი: „კტო ია? ჩტო ია? ტოლკო ლიშ მეჩტატელ,

სინ ოჩეი უტრატევი ვო მგლე“... :)))

ანა: ვიტყვი, სადაც საჭიროა, თუ არაა მოგონილი, ლექსებს რომ წერს სამსახურში, პოლიციის პოლკოვნიკი რუსულადაც ვიტყვი მაშინ.

თუ არაა გასაგები,

ქალი დარჩა შებმული და

დამნაშავე — დასაჭერი.

მერაბი: პოლკოვნიკი აამჩატე, დაამსგავსე პატარა ბიჭს,

მისი ასე ხალისობა დააბრალებ მხოლოდ შენს ნიჭს :))

მერაბი: მობილურზე გირეკავდი და გათიშული გქონდა. რატომ? რა ხდებოდა? მომწერე რაიმე სასიამოვნო. ამ დილით ისეთი დანაშაული დამხვდა, ვიცი, რთული დღე მეღის. სხვა რა ხდება შენკენ? რა გადაწყვიტე ჩამოსვლაზე? დღეს ხომ იცი, ოპერატიულ ჯგუფში ვართ.

ანა: ვიცი, რომ დღეს ერთად ვართ, სიხარულო და ველოდი ამ დღეს... გუშინ ცარიელი იყო ყველაფერი, უშენოდ...

მერაბი: ვააა, მაგარია! ჩამოსვლაზე შეგეკითხე და რას აპირებ?

ანა: 2 კვირა ვერ ჩამოვალ... 2 კვირა გავძლოთ უერთმანეთოდ... იმედია, გამიგებ...

მერაბი: რა გზა მაქვს? როგორც შენს საქმეს სჭირდება, ისე უნდა იყოს ქალბატონო.

ანა: მანამდე კი ისე დაგწავ, რომ არც ძალიან მოგეკიდოს ცეცხლი და არც განელდეს...

მერაბი: ქალი გამიგიჟდა, მიშველეთ ხალხოო!

ანა: კარგი, მთლად მასეც არაა საქმე... ვხუმრობ... და საინტერესოა, საშველად ვის უხმობ?

მერაბი: არავის. შენთან შველა რად მინდა, მე თვითონ გაგიმკლავდები. ახლა სად ხარ?

ანა: სამსახურში.

მერაბი: მეძახიან, აყვანის ოპერაციაზე მივდივართ ჯგუფი და შემდეგ გავაგრძელოთ. ტელეფონს ნუ თიშავ. რატომ თიშავ „ვაფშე“? რა ხდება? ტელეფონი ჩართე, ვეჭვიანობ იცოდე. წავედი.

მერაბი: მოდი, მოდი, სად ხარ? სად ხარ?

ანა: აქ ვარ.

მერაბი: მოდი, მაინც მითხარი შენი საპასპორტო მონაცემები...

ანა: ისევ დაიწყე? მაინც, რაში გეპარება ეჭვი? გინდოდა დარწმუნება, რომ არ მიცნობდი და დაგარწმუნე... ახლა რაში გინდა, რომ დარწმუნდე?

მერაბი: ახლა საკუთარ თავში მინდა დავრწმუნდე.

ანა: ეგ როგორ?

მერაბი: ხომ არ ვცდები.

ანა: საპასპორტო მონაცემებით მაგას ვერ მიხვდები, ცდები თუ არა. მაგას მაშინ მიხვდები, როცა ჩემს თვალებს დაინახავ.

მერაბი: შენ თამაშობ!

ანა: არა!

მერაბი: გსურს ურთიერთობის გაგრძელება?

ანა: ულტიმატუმს მიყენებ და კედელთან მიმწყვდევ? როგორც გინდა...

ურთიერთობის გაგრძელება რა თქმა უნდა მსურს და ეს შენც ძალიან კარგად იცი... მაგრამ ულტიმატუმების გარეშე... შენ გადაწყვიტე.

მე კი შენს განაჩენს დავემორჩილები.

გისმენ.

უმბაკის მოქიჯანი

დასაწყისი — „გზა“, №38-32

მარი ჯაფარიძე

— მაგით რისი თქმა გინდა? — შუბლ-შეკრულმა ვკითხე.

— არაფრის. თუ ნიცა საცოლეა, მე ვინ ვარ?

გამიკვირდა მელანოსგან ასეთი შეკითხვა. ნუთუ მას აქამდე ეგონა, რომ ჩემი საცოლე იყო? მართალია, ამ თემაზე არასოდეს გვილაპარაკია, მაგრამ მეგონა, ისედაც დღესავით ნათელი იყო, რომ თუ მე ის მოსკოვში წამოვიყვანე და ჩემს სახლში ცხოვრობდა, არა იმიტომ, რომ ჩემი საცოლე იყო, არამედ იმიტომ, რომ თბილისურ ჭაობს გამოვარიდე.

— შენ ერთ დროს უკვე იყავი ჩემი საცოლე... ის დრო წავიდა. კარგად იცი, რომ შენს წარსულს ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს და რომ მინდოდეს, დღესვე ცოლად მოგიყვანდი, მაგრამ წარსულიდან რაღაც რაღაცების პატიება მიჭირს. კი არ მიჭირს, არ გაპატიებ!

— მაინც, რას არ მაპატიებ, უტა? — უკვე სხვანაირი ხმა ჰქონდა. თვალები ცრემლით სავსე, მაგრამ მის მიმართ სიბრაღის გრძნობა არ გამჩენია.

— იმას, მაშინ ხელი რომ მკარი და აქეთ მართო გამომიშვი იმის გამო, რომ დედაშენს ასე სურდა...

— არ მინდა მაგაზე ლაპარაკი.

— თავად წამოიწყე. ნიცას შესახებ ვინ გითხრა?

— რა, მალავდი?

— არა, არ დამიმალავს, მაგრამ მე ვიცოდი, რომ შენ მისი არსებობის შესახებ წარმოდგენა არ გქონდა. სიმართლე გითხრა, არც მინდოდა, რომ გაგეგო. ვიცოდი, გული დაგწყდებოდა და

შენს გულის ტკენას ვერიდებოდი.

— ვატყობ, როგორც ერიდებოდი.

— მე ერთი რამ ვერ გავიგე, ჩემთან რაიმე პრეტენზია გაქვს?

— მაქვს!

— საოცარია... მაინც, რა პრეტენზია გაქვს?

— მე აქ იმიტომ გამოგყევი, რომ მეგონა, გიყვარდი.

— მოიცა, მოიცა... ჩვენ, როგორც მახსოვს, წამოსვლის წინა დღეს ვილაპარაკეთ და მაშინ გასაგებად გითხარი — სანამ ფეხზე დადგები,

— მე ამის გახდა კიდევ მაქვს 2 ბინა. ცოლს ხომ მოვიყვან, მე წავალ. შენ აქ დარჩი.

მანამდე ჩემთან იყავი და როცა სამსახურიც გექნება და დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალებაც, მერე შენთვის, ცალკე გადახვალ და იქნები-მეთქი.

— ეს იმას ნიშნავს, რომ რადგან სამსახური მაქვს, უკვე დროა, წავიდე?

— უკუღმა რატომ იგებ ყველაფერს? არავინ გაგდებს, რამდენ ხანსაც გინდა, იყავი...

— ცოლს რომ მოიყვან, მაშინაც?

— მე ამის გარდა კიდევ მაქვს 2 ბინა. ცოლს რომ მოვიყვან, მე წავალ. შენ აქ დარჩი.

— ჰმ, — მხოლოდ ეს თქვა და სამზარეულოდან გავიდა.

ის ღამე ღამის თეთრად გავათენე. ერთი სული მქონდა, როდის გაათენებოდა, რომ ღამას მივდგომოდი კარზე.

ჯერ 10 საათიც არ იყო, რომ უკვე თავზე დავადექი.

— რა იყო, ბიჭო, ხაშია? 12 საათამდე ჯერ მთელი 2 საათია, — თმანენილმა ლაშამ თავზე ხელი გადაისვა, სიგარეტს მოუკიდა და დივანზე ჩამოჯდა.

მის წინ, სავარძელში დავჯექი და დამნაშავე ბავშვივით გავჩუმდი.

— გამარჯობა, — მხიარულად მომესალმა საძინებლიდან გამოსული, ქერა, რუსი გოგო.

მთლად დედიშობილმა გადაჭრა ოთახი და სააბაზანოში შევიდა.

— ვაა, ახალია? — თვალი გავაყოლე ურცხვად.

— არც ისე, — დაამთქნარა ლაშამ.

— გამარჯობა, — საძინებლიდან ისევ ის ქალი გამოვიდა. ისევ დედიშობილა და ისევ სააბაზანოში შევიდა.

მეგონა, მომეჩვენა ან კადრი გამეორდა-მეთქი. თვალეები მივისრისე, მერე მოვჭუტე და ლაშას შევხედე.

— გახყვნილი კაცი ხარ, 2 დასთან ერთად გძინავს?

— ჰო, მაგჩამ გახყვნილი ახ კახ.

ვიფიქრე, ახლა თუ ამანაც იგივე მოძრაობა გააკეთა, რაც 2 წუთის წინ, ნამდვილად შევიშალე-მეთქი.

ლაშამ ხმამაღლა გადაიხარხარა. იმდენი იცინა, სიგარეტის კვამლი ყელში გადასცდა და ხველა აუვარდა. ძლივს მოსულიერდა.

— რა გაცილებს, რამ გაგამხიარულა ასე? — ვკითხე, როდესაც საბოლოოდ დაწყნარდა.

— შენმა სახემ და გამომეტყველებამ გამამხიარულა.

— იქ, — ხელი სააბაზანოსკენ გავიშვირე, — ახლა რამდენი ქალია?

— ორი, — აუვარდა ისევ სიცილი.

— ერთნაირები არიან თუ მომეჩვენა, რომ ერთნაირები არიან?

— ტყუპი დები არიან, რა დაგემართა? — ლამის ისევ გადაბჟირდა ლაშა.

შვებით ამოვისუნთქე.

— გარყვნილი კაცი ხარ, 2 დასთან ერთად გძინავს?

— ჰო, მაგრამ გარყვნილი არ ვარ.

— აბა, ამას რა ჰქვია?

— გარყვნილები ისინი არიან. პანელზე ერთი იდგა. გაუჩიერე და ფასი ვკითხე. მითხრა, ორნი ვართ, ცალ-ცალკე არ დავდივართო. წამოიყვანე-მეთქი, ვუთხარი და მეც ზუსტად შენნაირი რეაქცია მქონდა, როცა მეორე დავინახე. ეს რამდენიმე თვის წინ იყო და იმის მერე გვერდიდან აღარ ვიშორებ. აქ ცხოვრობენ, ჩემთან და შესანიშნავი სამეფული ვართ.

გულის რევის შეგრძნება დამეფულა. არც მე ვარ ანგელოზი, მაგრამ ასეთ სისაძაგლეზე არ წავიდოდი, ნამდვილად.

— ადექი, მოწესრიგდი და გავიდეთ, — აღარ მინდოდა იმ თემაზე ლაპარაკი.

ლაშა სიცილ-სიცილით წამოდგა და სამზარეულოში გავიდა, საიდანაც გოგონების

ლაპარაკი ისმოდა.

— ყავა მოგვიდულეთ, — ბრძანება გასცა, თვითონ კი სააბაზანოში შევიდა.

ცოტა ხანში გოგონები ისევ დედიშობილები გამოვიდნენ. ერთს 2 ფინჯანი ყავა მოჰქონდა, მეორეს — ტკბილეული, მინერალური წყლის ბოთლი და 2 ჭიქა.

იქვე ჩამოსხდნენ, სადაც წელან ლაშა იჯდა. თვალი არ ამირიდებია.

— როგორ ხართ? — ვკითხე და გავუღიმე.

საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს. ვერავითარ სხვაობას ვერ ვამჩნევდი.

— კარგად, შენ როგორ ხარ? — შემიბრუნეს კითხვა.

— რამდენი წლის ხართ? — სიტყვა ბანზე აუვუგდე და მორიგი კითხვა დავსვი.

— 22-ის.

— მშობლები გყავთ?

— კი, როგორ არა.

— მოხუცები არიან?

— არა, მაგათი მამა აღმასკომში მუშაობს, დიდი კაცია, — გამომძახა სააბაზანოდან ლაშამ.

— ვაა, — მართლა გამიკვირდა, — გამოდის, თქვენ გასაჭირმა კი არ დაგაყენათ პანელზე, კარგმა ცხოვრებამ გაიძულათ, არა? გოგონებმა გაიცინეს.

— ლაშასთან თავს კარგად ვგრძნობთ, ნამდვილი ჯენტლმენია, — თქვა ერთმა და ორივემ ერთნაირად გაიცინა.

— ჰო, ნამდვილი ჯენტლმენია, — სარკასტულად დავეთანხმე.

— სახელს ნუ მიტეხ, ბიჭო, — ღიმილით შემოვიდა ოთახში ლაშა და გოგონებს შუა დაჯდა.

როგორც იქნა, გვეღირსა და შინიდან გამოვედით. ის ბიჭები უკვე გველოდნენ დათქმულ ადგილზე.

— ნიცა იმ დღეს წითელ მანქანაში ჩაჯდა. ეზოში დახვედრია ერთი კაცი, მეორე კი მანქანაში ელოდათ. არავის ძალა არ დაუტანებია. ნიცა იცინოდა და კარგ გუნებაზეც იყო. იმის მერე არავის უნახავს, — დაიწყო ერთმა.

— ეგ ვინ გითხრათ? — დავინტერესდი და ისე ავნერვიულდი, ხმა ჩამიწყდა.

— „მესემიჩკე“ დარიამ. ის მთელი დღე გარეთ ზის და ყველას შესახებ ყველაფერი იცის. ისიც თქვა, ადრე სხვა კაცი აკითხავდა, ისიც ქართველი იყო, ესენი კი სულ 1 თვეა, რაც გამოჩნდნენო.

— მანქანის ნომერიც ხომ არ დაუმახსოვრებია დარიას? — ლაშამ მკაცრი ტონით იკითხა.


— კი, დაუმახსოვრებია, გვითხრა კიდევ.

— მაშასადამე, გაიოლდება, კვალის მოძებნა, — დაასკვნა ლაშამ.

მე ლაპარაკის თავიც არ მქონდა. ვინ უნდა ყოფილიყვნენ ის ქართველი ბიჭები? თუ რაიმე მოთხოვნა ჰქონდათ ან გამოსასყიდი უნდოდათ, ამდენი ხნის განმავლობაში უკვე უნდა დაკონტაქტებოდნენ ოჯახს.

— ბიჭო, შენ ხომ არ გყავს მტერი, ვინმე?

— ლაშას ნათქვამმა თითქოს გამომაფხიზლა.



13.08 - 19.08.2009

გზის გზნილები

მარი ჯაფარიძე

დაუპიწყარი სიყვარული



გამარჯობა და ხუთშაბათმშვიდობისა, ჩემო კარგებო, ლამაზებო, მშვენიერებო, დასვენებულო და ჯერ კიდევ დაუსვენებელო მგზავნელებო და უბრალოდ, მკითხველებო. როგორ ხართ? ახლა მაინც ველარ ინუნუნებთ, რომ გცხელათ. ღმერთმა წვიმა და სიგრილე „გამოგვიგზავნა“ და შევირგოთ, ბატონო... ისე, მე ამ ხალხის ვერაფერი გამიგია. ცხელოდა და „რათა“ ცხელო, აგრილდა და „რაი“ აგრილდაო, ზაფხულსო სიტყვებ უხდებოდა და ჩვენ კიდევ, გვცვივო... არა, ჩვენში რომ დარჩეს, სადაა ახლა ისეთი სიტყვე, რომ ასე ინუნუნო ადამიანმა, ჰაა? მე თუ მკითხავთ, ძალიანაც კარგი ამინდებია (დამსვენებლებთან ბოდიში). არადა, გაზაფხულზე გვაშინებდნენ, ისეთი ცხელი ზაფხული იქნება, შავი ზღვა აორთქლდებო. არაფერიც არ აორთქლდა იქაურებისგან ვიცი, რომ ზღვა ისეა და ისევ ისე შრიალებს, ღელავს და მიხმობს, ჩამოდი და ჩამოდიო... ცოტა სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ალბათ იმის ბრალია, რომ შვებულებაში გასვლა მეჩქარება... დავანებოთ ამას თავი და თქვენს მესიჯებს მივხედოთ, მაგრამ მანამდე ერთი ძალიან სასიამოვნოდ წასაკითხი მესიჯი უნდა გაგაცნოთ: „აუუუ, ნეტავ იცოდეთ, როგორ ვბრაზობ საკუთარ თავზე. რატომ? იმიტომ, რომ აქამდე სად ვიყავი? რას ვაკეთებდი? რა მაგარი ყოფილა ჟურნალი „გზა“! ჯერჯერობით მხოლოდ 5 ნომერი მაქვს, რადგან ახლახან დავინყე კითხვა და თქვენთან ურთიერთობა. მოუთმენლად ველი ხოლმე ყოველ ხუთშაბათს და სიხარულით გავრბივარ პირველი საათისთვის გაზეთების ჯიხურისკენ. ყველას მოგესალმებით გაიხარეთ და რა მინდა ვუსურვო მათ, ვინც მუდმივი მკითხველია: გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ულევ სიხარულს, ბედნიერ ცხოვრებას და ლამაზ სიყვარულს. ასევე, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო გზის რედაქტორებს. როდესაც ჟურნალ „გზას“ ვკითხულობ, რალაცნაირად, სიმშვიდეს ვგრძნობ. იხარეთ, იცოცხლეთ, იბედნიერეთ... ზესტა-და-კე“. მადლობა ახალ მკითხველს თბილი სიტყვებისთვის.

დაუპიწყარი „გისეზი“, უიოლა და „ის ზოზო“

სიყვარულმონყურებულები

„სკოლაში ერთი სიყვარულმონყურებულები ბიჭი გვყავდა. ჰოდა, მეორე სიყვარულმონყურებულმა გოგომ რომ დააფცხიკა, — სიცოცხლეო, უსურვა. მესამე სიყვარულმონყურებულმა იეჭვიანა და გოგოს — სიცოცხლე კი არა, სიყვარულიო, — უთხრა. მეოთხე სიყვარულმონყურებულმა იფიქრა, ეს გოგო ისეა სიყვარულმონყურებულები, რომ სხვა სიყვარულმონყურებულები არ დაანყულოს და ხახამშრალი არ დამტოვოსო და გოგო კინოში დაპატიჟა. მეხუთე სიყვარულმონყურებულმა დანარჩენ სიყვარულმონყურებულებს სიყვარულის ტაძარი დაუნგრია და საქმეში ძლიერი „მუსკულატურა“ ჩარია.

ჰოდა, სიყვარულში ამალღებულ სიყვარულმონყურებულებს ფრთები მოსტეხა. გავიდა წლები და ყველა სიყვარულმონყურებულს დაუვინყარ სიყვარულად ექცა სიყვარულმონყურებულები გოგოს ზმანება. სიყვარულმონყურებულები გოგო კი დღესაც სიყვარულმონყურებულები დადის და არც დაუვინყარი სიყვარული ღირსებია და მაინც გაურბის ცხოვრების გზაზე შეხვედრილ სხვა სიყვარულმონყურებულებს. რატომ? იმიტომ, რომ სხვა სიყვარულ-

მონყურებულებისგან განსხვავებით სხვანაირი სიყვარულის კრიტერიუმები აქვს. თქვენ ნუ იჯავრებთ და ნურც შეგეცოდებით, ახლა ერთი სიყვარულმონყურებულები (მაინც რამდენი არიან ეს მაღლიანები, სათვალავი ამერია) დამემუქრა, ამურთან გიჩივლებო და ვნახოთ. თუ ამურმა მისი პეტიცია განიხილა და სასურველი რეზოლუცია დაადო, ერთ ისარს არ დამამადლის სიყვარულმონყურებულ გულში და ეს უგზო-უკვლოდ მოხეტიალე ნეკნი ადამს დავუბრუნდები. თუ არადა, ვივლი ჩემთვის ასე სიყვარულმონყურებულები. რამეს გიშავებთ, თუ? ელექტრა. P.S. მარისელა, ჩემი არ იყოს, შენც ბლომად გყოლია დეიდა ქეთოსნაირი სიყვარულმონყურებულები. ჰოდა, გვიმრავლოს, არაა? ელექტრა“.

პირველი

„პირველი სიყვარული მაშინ მენწია, როცა ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში გადავედი. მე VIII კლასში ვიყავი, ის — IX. მისმა ძმაცამა მითხრა, რომ ბესოს ვუყვარდი. მეც შემეყვარდა. როცა უეცრად შევხვდებოდით, ვნითლდებოდით და ისე ვიბნეოდით, ხმას ვერ ვიღებდით. ვიცი, რომ მასაც ჩემსავით ძლიერ ვუყვარდი. ასე, უსიტყვოდ დავშორდით ერთმანეთს. რამდენიმე წლის შემდეგ მოულოდნელად შევხვდით. ისევ ისე ჩუმად ვიდექით და ვუყურებდით ერთმანეთს. მე უკვე პირველ შვილს ველოდებოდი. ახლაც კი, 28 წლის

- შემდეგ სიამით ვიხსენებ დიდ, დაუვინყარ,
- პირველ სიყვარულს, რომელიც სიკვდილამდე
- დარჩება ჩემს გულში. მზია (ზუკი)“.

სიყვარული აბაზანის შემდეგ

- „მარ, ალბათ თემასთან დაკავშირებით
- უამრავ სევდიან მესიჯს მიიღებ. მე კი მზიარული, 2 „დაქნეულის“ (ჩემი და ჩემი First GraTe Love-ის) რომანი მახსენდება. ნუუ, Love Story, რა! (რალაც-რალაცები არ იფიქროთ).
- 15 წლის ვიყავი, გიო რომ შემეყვარდა. საკაიფო ის იყო, რომ დასანახად ვერ ვიტანდი
- და როგორც კი ზაფხული დაიწყო, მთელი



- ერთი კვირა მესიზმრებოდა, რომ მიყვარდა,
- მეხუტებოდა და მეფერებოდა და... მართლა
- არ ჩამივარდა გულში?! :-) (თანაც, მთელი 2,5
- წლით). საიდუმლოდ მის ძმაცამს გავანდე, თუ
- რა ცეცხლი მწვავდა და მდაგავდა. მან კი,
- მიუხედავად „უამრავი რალაცის ამონყვეტისა“
- თუ დაფიცებისა, ჩემს ექსიფორცხლეს ყვე-
- ლაფერი ჩაუკაკლა. იმ იდიოტმა კი, რომლის
- ტვინიც არისტოტელესეული აზრებით იყო
- დახუნძლული, 10 წლის ლანირაკი მომიგზავ-
- ნა და ფანჯრებთან ყოველდღე გამოწერილი
- მქონდა გიო-გიოს ძახილი. ფუ, ამის არაკაცი
- დედაც-მეთქი, შევიგინე და საერთოდ იგნო-
- რი დავადე. მერე ეტყობა კუჭი აენვა, გული
- მოუღბა და ყოველდღე, ფეხბურთიდან რომ
- მოწანწალებდა, სევდიანად ამოხედავდა-ხოლმე
- აშლეიკოს ფანჯრებს... მეც შემეყვარდა ისევ
- გული. გავიდა რამდენიმე თვე და სიყვარული
- ამიხსნა. ვიფიქრე, მეშველა, მეღირსა ამისგან
- ამ სიტყვების გაგონება-მეთქი, მაგრამ თურმე
- არ კაიფობდა?! ჩემს ცხოვრებულ დაქალთან
- მაგრად იყო „ჩაბრატებული“ და იმას უთხრა,
- ვეკაიფებო. რა თქმა უნდა, სრული სერიო-
- ზულობით ამოქმედდა ჩაშვების ინსტიტუტი,
- რაც ღამით, ბირუაზე, ხალხის თანდასწრებით,
- წყალგარეული კეტჩუპით გიოს აბაზანის მი-
- ლებით დასრულდა. მას მერე მაგრად დავეყვასე
- (მე კი მეგონა, მომკლავდა) და მთელი 2 თვე,
- ყოველდღე, ძმაცამსთან ერთად 100 „კრუგს“
- მაინც აკეთებდა ჩემს ეზოში. მის გაბო, 43

კგ-მდე დავიკელი (არადა, 49 კგ-ც მაგარი „ნაშა“ ვიყავი :-)). ამ ყველაფრის მერე იყო ლალატიც, ორივე მხრიდან, ერთმანეთის გამწარება, ჩხუბი, ერთი ადგილიც ამომინაყავს მისთვის, მისი „პაკლოების“ ჩემთვის „დაპა-დიეზდება“, ჩემთვის მობაძვა, დედაჩემის დანახვაზე მისი „დარაზგონებული“ სირბილი... კოცნაც კი პრიკოლი გვექონდა: რამდენჯერაც მომიახლოვდებოდა, იმდენჯერ ისტერიკული სიცილი მიტყდებოდა. ეეჰ, კარგი დრო იყო. Ashley PCD“.

მოლოდინი

„დაუფიწყარი სიყვარული, რომ წავიკითხე, ერთი ლამაზი სიყვარულის ამბავი გამახსენდა, მარ. ნანა უნივერსიტეტში გავიცანი. თავიდანვე გავუგეთ ერთმანეთს, ბევრი ერთნაირი თვისება გვაქვს. ამიტომ უცებ დავახლოვდით. მან მითხრა, რომ უყვარდა ადამიანი, რომელიც 4 წელი არ ენახა, მაგრამ ელოდა. თუმცა, იმედი არ ჰქონდა. ის კი მართლაც გამოჩნდა. მოულოდნელად შეხვდნენ ერთმანეთს და სიყვარულიც ისევე აფეთქდა, ახალი ძალით. ორივე ძალიან ბედნიერი იყო. ახლა კი ლამაზი ოჯახი აქვთ და მალე ნათლულსაც ველოდები და ძალიან მიხარია (პატარას ელოდებიან). იცი, ჩემთვის ეს არის დაუფიწყარი სიყვარული. ორივემ ბევრი სიძნელე გადალახა, მაგრამ სიყვარული არ დაუფიწყნიათ და ამ წმინდა გრძნობით ყველაფერზე გაიმარჯვეს. ნა, ზვიკ, ძალიან მენატრებით და მიყვარხართ. მალე გნახავთ. გაკოცეთ, თქვენი შოკოლადა“.

დაუფიწყარი „მისები“

„რაც წამოვიზარდე და „ბანტიანის“ შარვლიანისგან გარჩევა ვისწავლე, ზრდასთან ერთად იმდენმა „დაუფიწყარმა სიყვარულმა“ მომიკაკუნა, ჩამეხუტა და მოუშორებლად მოკალათდა ჩემი გულის საინფორმაციო ბაზაში, რომ სარეზერვო სივრცეც ამოავსეს, გადაჭედეს და „დელეტეც“ აღარ მშველის და სამომავლო სიყვარულებიც მეზლოკება. არადა, „შენ რო გყავ ცოლი? იმად რო ყავ? ამად რო ყავ? მა მე ცოდო არ ვარ?!“ დაიწყო ჯიგარი კაცო, ვაჰ! ჩემს ცხოვრებაში გაელვებულ და ჩამქრალ გოგონებს „დაკარგულ ანაბრებს“ ვეძახი, რომელიც წარსულმა შევარდნადის მთავრობასავით მიითვისა და ველარც დავიფიწყებ და ველარც დავიბრუნებ. მატიკინეს და ვატკინე, ხელი მკრეს და მუშტი ვკარი, გამწირეს და გავწირე, ზოგს უნდობლობა არ ვაპატიე, ზოგს ტყუილი და ახლა მივტირი ზოგ მათგანს, ეს ცალუღელა ხარი (ნეტავ, ისინი არ მომტირიან?). რომელი ერთი გავიხსენო? აი, მაგალითად, „მის უნდობლობა“. 4 თვე ვხვდებოდით და „ისე ვაჭმევდი შაქარსა, როგორც ყველი და პურიო“, მაგრამ როცა სახლში დავაპატიე, — ნწუ, ნწუო, მითხრა. — რათა, გოო-მეთქი? — რა გარანტია მაქვს, რომ შენი სექსუალურობა ჩემს სექსუალურობას არ დაეკონტაქტება და უმამო შვილი არ გამიჩნდებაო? მის დამაჯერებელ არგუმენტს უფრო დამაჯერებელი ვერაფერი დავუპირისპირე, შორსმჭვრეტელობა შევუქე და ახლა სხვაზე გადავმისამართდი. მეორეს-

● თან, ანუ „მის მელომანთან“ ურთიერთობა ● თოვლის გუნდის პრინციპით გაიზარდა და ● ზვავად ქცევას მისმა, ჩემგან განსხვავებულმა ● მუსიკალურმა გემოვნებამ შეუშალა ხელი. ● როცა მკითხა, რომელი სიმღერა მიყვარდა, ● ენამ გამისწრო და ანთებული თვალებით, ● „მოდით აქ დაჯექე ქალოო, შარი-შური, ● შარიი მაქოო“ — წავუმღერე. გემოვნება და- ● მიწუნა და აორთქლდა. მესამე, „მის მატყუარა“ ● ისეთი სათნო და მიამიტი ჩანდა, საკუთარ ● თავს ვულოცავდი, ბედი გაგეხსნა-მეთქი, ● მაგრამ საჭირო დროსა და საჭირო ადგილ- ● ზე ისე არასაჭიროდ მოიქცა და აღმოჩნდა, ● რომ მომწიფების ტემპით ჩემზე შორს იყო ● წასული და „სტაჟში“ ფორა ჰქონდა. მის ● გასწრებას „მის ლომკაზე“ გადასვლა ვამჯო- ● ბინე. თითქოს „მუხლი ეკვეთებოდა, სული ● ეხუთებოდა“, თითქოს მეც ელეთმელეთისგან ● ნაადრევად ვიფსკვენი ჯვარი და ერთ დღეს, ● დაუძლეველი „ლომკით“ ჩემკენ წამოვიდა, ● მაგრამ მოლიპული გზა შეხვდა და ფეხი ● დაუცდა. სხვამ დამასწრო ხელის შეშველება ● და გულდანყვეტილმა ჩავტოვე ხსოვნის ნის- ● ლებში. სამახსოვროდ კი „ჩემს ეზოში წვიმა ● მოოდის, შენს ეზოში დარიააო“ ვუმღერე. ● მეოთხემ, „მის მარადიულმა სამკუთხედმა“ ● იმდენი გვაჯიბრა სამკუთხედის გვერდები, ● რომ სამივე დაგვკარგა. „მის ეკონომიკამ“ დი- ● ვიდენდები და კაპიტალდაბანდებები, თეთრი ● კაბა მომთხოვა, „მის ემიგრანტმა“ მიბრძანა, ● „თვალი თვალს რომ მოშორდება, გული არ ● გადასხვავდესო“, მაგრამ იმედი გავუცრუე ● და „მის პუტანკაში“ გავცვალე. „მის მგელი“ ● ისეთი მაზოხისტური მონდომებით მიკრაჭუ- ● ნებდა დიდ და თეთრ კბილებს, შემეშინდა, ● წითელქუდასავით არ შევეჭამე და „მის პოპუ- ● ლარობას“ ჩავეხუტე... იყო „მის ანდამატიც“, ● „მის ილუზიაც“, „მის ტკივილიც“ და „მის ● რეალობაც“, რომელიც რეალობას გაექცა და ● სიცრუეში ჩაიძირა. ბოლოს, ერთ „მის ექიმს“ ● ვაბამდი, კლინიკაში მივაკითხე და შევჩვილე, ● ექიმო, ჰაერის უკმარისობა მჭირს-მეთქი. ● სარკასტულად გაელიმა: — ეჰ, ჩემო კარგო, ● ყველას რაღაცის უკმარისობა გვაქვს, მაგა- ● ლითად მე, ფულის უკმარისობა მჭირს, მარა ● მოგადექი ოდესმე კარზეო?! მისგან გულნატ- ● კენს „ძალად მის მუზამ“ მომილექსა, ინგრე ● მიყვარხარ, როგორც ხინკალი, შიგ ნიორწყა- ● ლით გაზავებულიო. ჰოდა, ვურჩიე, ლექსების ● წერას, წაურეპეტიციე და იქნებ რითმებსაც ● მოარტყა, ოლონდ, მე ამაცილე-მეთქი. „მის ● რქებს“ ისეთი ძვლოვანი სტრუქტურა ჰქონ- ● და, რომ მომტვრევა გამიჭირდა და ბოლოს ● და ბოლოს, დამღალა. დამღალეს ამდენმა ● დაუფიწყარმა „მისებმა“ და „დაკარგულმა ● ანაბრებმა“. მიშველეთ რამე; ხალხი არ ხართ? ● ისე, „მის მგზავნელიც“ ხომ არ მეცადა? აბა, ● ვის უნდა ბიჭი ენიგმა და ვინ გაუჩენს მას ● 11 ვაჟსა და 3 გოგოს? მომავალში საკუთარი ● საფეხბურთო გუნდის ჩამოყალიბებას ვაპირებ ● და თადარიგი აქედანვე უნდა დავიჭირო. ● დავიჯერო, „ნწუს“ მეტყვით და დასაქორწინე- ● ბელს დამტოვებთ და ქართულ ფეხბურთს არ ● დაეხმარებით? მომიშალეთ უკვე ნერვები, ან ● რას გემესიჯებოდით, რომ გემესიჯებოდით? ● აღარ დაგიმესიჯებთ და მორჩა! ჰოო, მიდით ● აბა, აკაკანდით ახლა! ენიგმა“.

დედაშვილობა

„ბავშვობაში, მეგობრის დაბადების დღეზე ან მეზობელთან რომ მივიდოდი და რამეს მომცემდნენ, შოკოლადს ან ნამცხვარს, გულის ნასვლამდე რომ მდომოდა, მაინც არ შევჭამდი. მაგრამ მოვუჭერდი პატარა ხელს და დედასთან მივარბენინებდი. რამდენჯერ ცრემლები წამომსვლია თვალებიდან, ისე მდომებია, მაგრამ მაინც ვერ შევჭამდი, იმიტომ, რომ შინ დედა მელოდა და ვიცოდი, გაუხარდებოდა (განა გვიჭირდა, უბრალოდ, მე ვიყავი ასეთი). არა, მაინც მე მაჭმევდა ნახევარს, მაგრამ მე ისიც მიხარებდა გულს, ცოტას მაინც რომ შეჭამდა. იმდენ ხანს მქონდა პატარა ხელში შოკოლადი ჩაბლუჯული, რომ გავშლიდი ხელს, სულ გათხუპნული მქონდა ხოლმე. სიხარულით მივარბენინებდი დედასთან ნამცხვარს თან ნერწყვებს ვყლაპავდი. ცრემლიანი თვალებით ვუყურებდი ნამცხვარს, არადა, როგორ მიხდოდა?! მადიანად შევექცეოდი, მაგრამ დედის სიყვარული ყოველთვის უფრო ძლიერი იყო. რაც არ უნდა იყოს, მისი ბედნიერი სახე ქვეყანას მერჩივნა (ახლაც ასეა, დე!). დედაშვილური სიყვარული სულ სხვაა! სხვათა შორის, 15 წლამდე ვიქცეოდი ასე. არასოდეს დამავიწყდება ის განცდა, რაც მაშინ მქონდა. თუ დამიჯერებთ, ახლაც ცრემლიანი თვალებით გწერთ ამ მესიჯს. ნუ შემედავებით იმაში, რომ დედაშვილური სიყვარული მარტო დაუვიწყარი კი არა, ერთადერთი წმინდა გრძნობაა ამქვეყნად. გაცოცხლებული თოჯინა“.


შენ ჯობიხარ

„დაუვიწყარი სიყვარული 14 წლისას მეწვია. ის 22 წლის იყო. ერთმანეთი ბათუმში გავიცანით. ცისფერთვალეა, შავგვრემანი და ეშხიანი იყო. ერთმანეთი დიდი კოცონის, მუსიკისა და უამრავი ადამიანის თანდასწრებით გავიცანით, მაგრამ 10 დღე სიყვარულისთვის საკმარისი არ იყო. მე დავბრუნდი, მაგრამ ყოველდღე ვწერდით ერთმანეთს. ის ჩამოდიოდა ხოლმე, მეც ყოველ მის ჩამოსვლას მოუთმენლად ველოდი, მაგრამ არასდროს მიშვებდნენ შესახვედრად. ალბათ მეტყობოდა, სიყვარულით რომ დავფრინავდი და ცდილობდნენ, ფრთები დაეცალათ ჩემთვის. სკოლას ვამთავრებდი, ჩამოვიდა 2 დღით ადრე, ვიდრე ველოდი. ველოდი და იცით, რატომ? უნდა გავპარულიყავით, მაგრამ საბერძნეთში წამოვედი. სიყვარული მანძილმა ტკივილით შეცვალა. ეს ტკივილი კი თანდათან იზრდებოდა. მიხდოდა, მის ცისფერ თვალებს ისევ შევხვედროდი. ვეძებდი. ის კი მელოდა... ლევანმა დიდი და ლამაზი სიყვარული მასწავლა... ძლიერი და განსაკუთრებული. ყველა მეუბნებოდა, შენ ჯობიხარ, თვალი გაახილეო, მე კი მერჩივნა, ბრმა ვყოფილიყავი. სიყვარული სილამაზე არაა, თავად სიყვარულია ლამაზი. ოცნებად იცით, რა მაქვს? როცა ჩამოვალ, მის ცისფერ თვალებს ბოდვი მი-

● ვუხადო. ლევან, დღესაც შენ ძველ სურათებს ვეფერები და პატიებას გთხოვ. გული ბევრჯერ გატკინე. მე კი ამ გულმა სიყვარული მასწავლა. მენატრებით მთელი სამეგობრო. გკოცნით, უკარება“.

შიოლა

● „დაუვიწყარი სიყვარულის ამბავი, ხომ? ნათესავის ნამბობი გამახსენდა და ახლა თქვენც მოგიყვებით: ერთ ოჯახს ჰყავს ახლობელი ქალი. მეტსახელად ეშმაკუნა. დაახლოებით 45 წლისაა, მაგრამ თუ თავად ჰკითხავთ ასაკს, 13-ო, გიპასუხებს. უკეთეს შემთხვევაში, 15-ს. ერთი სიტყვით, ფსიქიურად არის ავად. ჰოდა, ამ ჩვენს ეშმაკუნას გამოგონილი ჰყავს თავისი სატრფო, ვინმე მუსიკოსი პაატა. მაღალი,



● თეთრი პირისახით და ცისფერი თვალებით, რომლის სიყვარულსაც უკვე მრავალი წელია, სათუთად უფრთხილდება. როცა მოწყენილია და ახლობლები მის გამხიარულებას გადანყვეტენ, მუსიკოსის სახელით ურეკავენ და თბილად ესაუბრებიან. ხანდახან რალაცებს ჩუქნიან ხოლმე, პაატამ გამოგიგზავნაო და ისიც გულუბრყვილოდ იჯერებს ყველაფერს. მაგ დროს უზომოდ ბედნიერია და რომ სთხოვო, ქვეყნის დასალიერშიც წაგყვება. ძან მეცოდება და ვფიქრობ, ხომ არ მოგვეძებნა მისთვის მუსიკოსი პაატა (მაგრამ ამაოდ, ჩემი იდეა არ მოეწონათ), რომელიც საბრალო ქალს მუხად გაუხდია და ლამაზი, დაუვიწყარი სიყვარულით უყვარს. აბეზარა“.

ის გოგო

● „მახსოვს ის დილა. ზამთარი იყო, ყინავდა. ციოდა ძლიერ. ადრე იყო. მამა და შვილი მიუყვებოდნენ ქუჩას. ხელში ტელევიზორი ეჭირათ. ბიჭი იქნებოდა ასე, 17-18 წლის. მამას ჰკითხა:
— მამი, ვისთან მიგვაქვს ტელევიზორი, იმ კაცთან?
— ჰო, შვილო...
● ამ საუბარში, იყვნენ, როდესაც ბაღში ასეთი სცენა განვითარდა: ბიჭი, უფრო სწორად,

უკვე — კაცი, ასე, 33-35 წლის, ზურგზე ჩანთა-მოკიდებულ გოგოს (ასე, 17 წლის) გამოეკიდა და ხელი ხელში ჩაავლო.

— ნანა, გაჩერდი, პასუხი მითხარი!

გოგო შეშინებული ჩანდა.

— ვერ გიტან, რატომ არ მეშვები? მეზიზღები, მძულხარ, თავი დამანებე, არ გესმის? არ მინდა შენი დანახვა!

ბიჭი შეტორტიმანდა, თითქოს ამ სიტყვებმა თავზარი დასცაო.

— ლევან, ანი აქ არ დამხვდე, გაქრი ჩემი ცხოვრებიდან, ნუ მანწუხებ!

ბიჭმა ველარ მოითმინა და გოგოს სახეში გაარტყა. ამას მამა-შვილი შორიდან უყურებდა. ბიჭმა ქუჩა გადაკვეთა და ატირებულ გოგოს მიუახლოვდა.

— რატომ სცემ ამ გოგოს?

— აღარ ვუყვარვარ, — დამარცვლით თქვა ლევანმა.

ბიჭი გამობრუნდა. უცებ შემოტრიალდა და ძლიერ დაარტყა ლევანს, სახეში. ის შეტორტიმანდა და სწორედ ამ დროს, მეორე მიიღო. მეორეს მესამე მოჰყვა. ლევანმა თვალის ვერ დაახამხამა, ისე გაიშხლართა მიწაზე.

— შენი რა საქმეა, ბიჭო?!

— ჩემი ვალია, დავიცვა დაჩაგრული.

— მოგკლავ!

— შენ მაგის გამკეთებელი არ ხარ...

ბიჭმა გაიცინა. გოგო ამ სურათს მშვიდად უყურებდა. ალბათ უხაროდა, რომ ეს ნაძირალა სცემეს.

— ამ გოგოს არ გაეკარო!

ის გამობრუნდა და გაემართა მამისკენ და სწორედ ამ დროს კივილი გაიგონა. დაინახა, როგორ დააგდო მამამისმა ტელევიზორი და მისკენ გამოექანა. დაწეი, ბლაოდა ის. სწორედ ამ დროს გავარდა ტყვია. ბიჭი ნატორტიმანდა. გავარდა მეორე და მან თავის შეკავება ვერ შეძლო. გავარდა მესამე, მაგრამ ეს უკვე მას არ მოხვედრია, ის გოგო ნატორტიმანდა. მიწაზე დაეცა. მკვლელმა იარაღი დააგდო და გაიქცა, მაგრამ იარაღს ვიღაცამ დაავლო ხელი და გაისროლა. მკვლელი ხეს მიეყრდნო. ტყვიამ თავში გაუარა...

ბაღში სამი ცხედარი იწვა. მკვლელი ბიჭის მამამ მოკლა...

მამა შვილს მიუახლოვდა.

— გოგი, შვილო...

— ტელევიზორი გააკეთე, მამა...

— გავაკეთებთ, გოგი...

— მე ვერ წამოვალ...

„სასწრაფო“, ჩქარა!“ იძახდა მამა, მაგრამ ხალხი გაყინულ ბუნებას შეეთვისებინა და გაყინული იდგა. არავინ განძრეულა.

— მამი, მე ვერ გადავრჩები.

— შვილო, რად გინდოდა?

— მამი, გოგონა გადაარჩინე...

3 წელი იქნებოდა გასული. ბაღში ახალგაზრდა გოგონა მოდიოდა, ხელში პანია ბავშვი ეკავა. მე ვიცანი ის გოგო... „ის გოგო“ იყო. ემზარი, სამეგრელო“.

მცდარი არჩევანი

„ერთ ბიჭს ვუყვარდი და ამას სხვებისგან ვიგებდი. მაშინ 15 წლის ვიყავი, ის — 21-ის იყო. თვითონ არასოდეს არაფერი უთქვამს

ჩემთვის და ამიტომ ეს ამბავი არ მჯეროდა. ერთხელაც ეს ბიჭი სადღაც გაქრა. გავიდა 4 წელი, მე უკვე 19-ის ვიყავი და აი, შემთხვევით მეტროში შევხვდით ერთმანეთს. ჩემს დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა, შემდეგ პარკში გასეირნება შემომთავაზა და მაშინ გული გადამიშალა. მის გრძნობებში დარწმუნებული არ ვიყავი და უარით გავისტუმრე. მას შემდეგ მასთან შეხვედრას ვერიდებოდი და ბოლოს, სხვას გავეყვი ცოლად და დღემდე მასთან ვარ, მაგრამ დიდი შეცდომა დაეშვი, ვინაიდან ჩემი მეუღლე ის კაცი არ აღმოჩნდა, ვინც მჭირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 3 წელი მიყვარდა, არჩევანში მაინც შევცდი... სევდიანი ქალი“.

ბუზღუნის ხეობა

„მოკლედ, ასე... ხაშური რომ პროვინციული ქალაქია, ეგ მგონი ყველამ იცის (იმედია, ხაშურელები არ მიწყენენ), მაგრამ რა ვქნა? ფაქტები ჯიუტად მეტყველებენ ამაზე. ამას წინათ ჩემი წუნუნით შეწუხებულმა ახლობელმა პარკში წასვლა შემომთავაზა და გაქუცული ბუჩქებისა და „ნახევრადსკამების“ მეტი არაფერი მინახავს. მერე ტყეში წავედით და ხეები დედაბრის კბილებივით ისე მეჩხრად იყო, რომ ტყე, როგორც მქონდა წარმოდგენილი, ისიც გადამავიწყდა. დილით ნახირში მიმავალი თხები ისე ჩამისიმფონიურ-ორკესტრკიკინებენ ხოლმე, რომ ლასკალას სცენასაც შემურდება ასეთი ტენორები. მეზობლები მყააავს?! მეზობელთა საკუთხეთაშორისო მუხეუმი რომ გაიხსნას, ყველაზე ძვირფას ექსპონატებს მე წარვადგენდი. აღმოსავლეთით ჩემს სახლს „ამშვენებს“ „კონგრესმენი“ თამარა (იელოველთა კონგრესის სიყვარულის გამო ასე მონათლა მამაჩემმა). დასავლეთით ცხოვრობს XXI საუკუნის თვით ლუარსაბ თათქარიძე, რომელსაც ჭამა-სმისა და ნოლის სიყვარულის გამო, კოტრიალა ჰქვია. იმის გვერდით, უბნის ჩასიძებული კაცი ბინადრობს, რომელსაც „მამალ პატარძალს“ ეძახიან. აქეთ ბარმალე, იქით — პიკულა და ა.შ. ადგილს კი, სადაც ეს ადამიანები ცხოვრობენ, „ბუზღუნის ხეობა“ ჰქვია. ალბათ იკითხავთ, რატომ? საკმარისია, ჩემმა ძალღმა იქით აიღოს გეზი, რომ ერთი აქედან გამოვარდება, ბალახი მაქვს ახალი დაგებული და გადათელავსო, იქიდან მეორე — გუშინდელი შეღებილი მაქვს ლობე და იმას არ მიაშარდოსო (უკაცრავად), აქედან — მესამე, არიქა, კაკლის ნერგებს ფოთლები მოაპუტაო და ასე ბუზღუნებენ გაუთავებლად. ამ ყველაფრის შემდეგ რაღა საკითხავია, როგორ ვისვენებ? გკოცნით, თქვენი აბუზღუნებულ-ანოკებული Sweet-Girl“.

ფრჩხილიკენეტია

„დაუვიწყარი სიყვარული მგონი ჩემი მეგობრის დაიკოს შეეყარა. სატრფოს დაშორდა, მაგრამ იმის მერე სხვა ბიჭებს მაინცდამაინც არ სწყალობს. ამასობაში 26 წლის გახდა და „გაუთხოვრადაც“ შერაცხეს. მთელმა სანათესაომ დაიწყო ლიზიკოსთვის საქმროს ძებნა. ბოლოს, რაღაც „არსება“ იპოვეს. თან,

პარამეტრებშიც ჯდება — „მაღალი, უხვი, მდაბალი“ თუ რაღაც ეგრე, რა... მაგრამ რად გინდა? ლიზიკომ შეხედა თუ არა, ისე დაიჯღანა... აშკარად არ ევასა ეს ჩვენი ტარიელი, მაგრამ ვინაიდან მშობლების მოწონებული იყო და უკვე დაპატიჟეს ოჯახში უკეთ გაცნობის მიზნით, ახლა ლიზიმ და თეომ (ჩემმა მეგობარმა, ვისგანაც ეს ამბავი ვიცი) ერთობლივი ძალებით დაუნყეს ბრძოლა არასასურველ სასიძოს. აი, მაგალითად, ასეთი დიალოგი შედგა სარძლოსა და დანარჩენებს შორის:

— რა მუსიკას უსმენთ? — ეს კითხვა სამამთილომ დასვა, რომელიც კონსერვატორიაში ასწავლიდა.

— უპ, ვგვიყვები მერლინ მენსონზე.

— და დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციაზე რაღაც ფიქრობთ? — ეს სადედამთილოა, თან — ლეიბორისტი.

— აღფრთოვანებული ვარ სააკაშვილის იდეებით, — ესეც ლიზის პასუხი, რითაც გვარიანად დააფიქრა სადედამთილო, ღირდა თუ არა ამ გოგოს რძლობაზე ფიქრი.

სადილად რომ დასხდნენ, ცხადია, საუკეთესო კერძები დაახვედრეს. აქ კი ლიზიმ ამოიხრა ხმამაღლა: აუჰ, ბორშჩს კი შევჭამდიო. ამაზე ჩემმა დაქალმა სიცილი ვეღარ შეიკავა და ოთახიდან გავარდა. უკან დაბრუნებულმა კი ხმამაღლა განაცხადა:

— ლიზი, ეს რა საჭმელი მოგიმზადებია, მესამედ გავედი ტუალეტში, — ამის მერე როგორ გადაურჩნენ დები მშობლების რისხვას, თავადაც ვერ ამიხსნია. ამ ყველაფრის შემდეგაც სასიძო ახლად მოგებული ხბოსავით რომ აფახულებდა წამწამებს და ლიზის ეპრანჭებოდა, დადგა „მთავარი კოზირის“ გამოყენების დროც (ახლავე აგისხნით, რაში მდგომარეობს ეს „კოზირი“: ლიზის ყოველთვის გრძელი ფრჩხილები ჰქონდა. ამ დღისთვის კი სპეციალურად შეიძინა მყვირალა იასამნისფერი ლაქი, რომელიც აბსოლუტურად არ შეეხამებოდა მის მწვანე კაბას). მოკლედ, ამ გაიასამნისფერებული ფრჩხილების დემონსტრაციის დრო მოვიდა. ლიზიმ თითი პირში იტაკა და ისეთი ტკაცატკუცი აუტეხა „შვილივით ნაზარდ“ ფრჩხილეებს... თან მოიკვნეტს ფრჩხილს, იატაკზე გადმოაფურთხებს, მოიკვნეტს, გადმოაფურთხებს. ამ ძალიან ეფექტურ ხერხს რომელი სადედამთილო გაუძლებდა? ისეთი სახით გაიქცნენ იქიდან, კაი 1 წელი რძალი აღარ უხსენებიათ, ალბათ. აი, ასე დააფრთხო ლიზიმ თავისი საქმრო. ჩუპი“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„ეს რა მტკივნეული თემა შემოგვთავაზე, მარ, ევეჰ ფიქრები ამიშალე, რა... ტელეფონის წყალობით გავიცანი გიო, რომელიც თურმე გიო სულაც არ ყოფილა. ისე დამატყვევა თავისი ყურადღებითა და ხმის ტემბრით, რომ სიგიჟემდე შემიყვარდა. მოგვიანებით კი ეს 30 წლის გიო 38 წლის, ცოლიანი მამაკაცი აღმოჩნდა. მერე იყო ჩემი ცრემლები, მისი ბოდიშები, რა თქმა უნდა, ურთიერთობა დავასრულე, მაგრამ დღესაც ტკბილად ვიხსენებ ჩემს „გიოს“.

„ჰო, დაუვინყარი, მაგრამ დღემდე ვერ

გავიგე, რა იყო ეს? სიყვარული თუ მირაჟი? გაქცევა რეალობისგან თუ ოცნება სიყვარულზე? მაინც ღირს მოგონებად, უძილოდ გათენებული ღამეები ამ უცნაურ და აუხდენელ სიყვარულზე, ჩურჩულით, ტელეფონში წაკითხული ლექსები, ალისფერი ვარდები, სხვების მალულად ნაპკურები ცრემლები, უცნაური და ტრაგიკული დასასრული უმანკო ურთიერთობისა! თინეიჯერი შინაბერა“.

„ნინა ზაფხულს, ჩემი მეზობელი გუჯა, რომელიც 39 წლისაა, ნახირში მიდიოდა და თავისი ძროხები სახლში დარჩა. უნდა გენახათ, დედამისმა როგორ წყევლა. დაახლოებით ერთ საათში ეს ამბავი მთელმა სოფელმა იცოდა. ჩვენი გუჯა ცოცხალი ანეკდოტია, მაგრამ გარეგნულად, რომ შეხედოთ, ისეთი სერიოზულია, გახუმრებას ვერ გაუბედავ. აი, ასე დარჩნენ ჩვენი გუჯას ძროხები მშვივრები. Good Girl“.

„ელეს დაწერილმა სტატიამ ისე აღმაშფოთა, რომ „ბალის“ ნაჩუქარი „მეგაბიტების“ დახმარებით ნაკითხულის გადასამომშებლად შევექრიალდი კი არა და, შევსასტიკდი. სტატიაში ალბათ ცნებურის წყალობით არმოხვედრილმა ფაქტებმა წამით დამამუნჯა, მაგრამ მუავიანობამ 200-ს რომ ხიან... სულ პროვოკაციულ-სატირული ლექსებით ავაკვე იქაურობა. ერთ-ორ საღად მოაზროვნე ადამიანთან ერთად ნიხლქვეშ გავიფინე გალაყვარებულ-გავარდისფერებულ-გაინცესტებულ, 3-ლარიან ბალზე გამათხოვრებული ლიბერალი თაობა. ნიკად მაია წყნეთელი ავირჩიე და გაოგნებისგან ყბა მომძვრა. ზოგმა ისიც არ იცოდა, მაია წყნეთელი ვინ იყო. ნერვოზი ხომ ავიკიდე და ავიკიდე, მაგრამ ამ ჩათის საშუალებით რამდენიმე „გზის“ სტაჟიანი მკითხველიც გავიცანი. ზოგსაც ახლა ვანყებინებ „გზის“ ანაბანას. გოგა20, შოთა-შოთა, თავისუფლება, რევი, ერთი ბენო, მიყვარხაართ. ლიმონა“.

„სულ 11 დღეა მას შემდეგ, რაც მე და ჩემთვის ძვირფასმა ადამიანებმა ერთად დაუვინყარი დრო გავატარეთ. ბედნიერი დღე იყო ჩემთვის ივლისი. მაშინ ყველა ერთად ვიყავით და ვიცინოდით. ყველას ბედნიერება ეწერა სახეზე. დღეს კი ყველას თვალებში შიშია. შიში, ჩვენთვის ძვირფასი ადამიანის დაკარგვის გამო. ჰო, 3 დღეა, რაც გიო კომაშია. გადარჩენის შანსი ფაქტობრივად არ არსებობს. მხოლოდ სასწაულს ველოდებით. მაინც, ძან უსამართლოა ცხოვრება. გიოსნაირი ბიჭი ახლა სიკვდილს არ უნდა ებრძოდეს. ჩვენ რა შეგვიძლია? ლოცვა! ლოცვის მეტი მას უკვე ვერაფერი უშველის. ჰოდა, მეც ამას გთხოვთ, ყველა, ვინც ამას ნაიკითხავს, ერთი სანთელი მაინც დაანთეთ და უფალს სთხოვეთ გიოს გადარჩენა. არ ვიცი, ეს უურნალი რომ გამოვა და ამას ნაიკითხავთ, გიო როგორ იქნება, მაგრამ მაინც გთხოვთ, ილოცოთ. სწორედ გიოს სიყვარული იქნება მისი მეგობრებისთვის დაუვინყარი“.

„ის... ის წავიდა ჩემი ცხოვრებიდან, ჩვენი გზები სამუდამოდ გაიყო... ახლა მე გვერდით ისეთი ადამიანი მყავს, როგორსაც ალბათ ყველა გოგო ინატრებდა, მაგრამ ის... მისი დანატოვარი იარები... მისი ნაჩუქარი სევდა დღესაც თავს მახსენებს და ალბათ არასოდეს განელდება. უნიკოდ“.

„გზავნილების“ ერთგული მკითხველი ვარ, მაგრამ პირველად გწერთ, თემიდან გამომ-

დინარე. გიორგი 6 წელია მიყვარს. არა და, 2 წლის წინ დავშორდი, ჩემი ინიციატივით, მაგრამ ისევ მიყვარს, თან ძალიან. რა მეშველება, არ ვიცი. :- (დაუვინყარი თუ არის, ეგ არის. მიყვარხართ ძალიან მარ, შენ, გიორგი და მგზავნილები. მაკუნა2220“.

„უკვე ოთხი წელია, ერთად არ ვართ. მე მაინც მიყვარს და მეყვარება, მიუხედავად ყველაფრისა... ტკივილი მომაყენა, ჩემთვის პირველმა და უკანასკნელმა, დაუვინყარმა სიყვარულმა. 24“.

„ეს ძალიან ბანალური ისტორიაა, მაგრამ მე ჩემი სიყვარული დავარქვი. ცოლი ჰყავდა და შვილიც. ვიცოდი, ვუყვარდი. მართლა... მისი წყარო ვიყავი, რომელთანაც ბოლომდე ვერ მივიდა. ვიცოდი და მაინც... სიყვარული ვისწავლე მაშინ... მე არასოდეს, სხვისი ოჯახის არ მსურდა ვალი... მაგრამ ვარ ქალი... და არც ვიცოდი პატარა ანი... დღეს მე მყავს ქმარი და მყავს შვილიც, პატარა შვილი, პატარა დარდთან ერთად. მადლობა უფალს დღევანდელისთვის და დაუვინყარი გუშინდელისთვის... სულ ველოდები... ვიცი, ვარ ისევ მასში. ვიცი, ვნახავ და წინასწარ მიცემს გული. ეს ბანალური ამბავია, მაგრამ მაინც... მე“.

„სიყვარული და თანაც, დაუვინყარი, ჯერ არ მქონია, მაგრამ... თბილისის ერთ-ერთ უბანში ხშირად ვხედავ ბიჭს, დაახლოებით 20-25 წლამდე, რომელიც ინვალიდის ეტლს არის მიჯაჭვული. ვერც წარმოიდგენთ, რამდენად დიდი სიხარული ვიგრძენი მისი დანახვისას. პირველივე ნუთებიდან მომეწონა და პირობაც დავდე, რომ დაუშვებოდა, თუმცა, პირობა პირობად დარჩა. აგერ, უკვე ერთი წელია, ამ ბიჭს ვხედავ და ჯერ მისი სახელიც ვერ გავიგე (ვერ ვარ ასეთ საქმეში გამოცდილი). მალე საცხოვრებლის შეცვლას ვაპირებ და გული მწყდება, მასთან განშორების გამო. ასე რომ, ისწელო ბიჭო, მომენატრებიიიიი. დამავოი“.

„ნათესავი მყავს სტუმრად, პატარა ბავშვით. პატარას გიგა ჰქვია. ძალიან თბილი ბიჭია და ყველას კოცნის. წინ გამონევს ტუჩებს და ისე გემრიელად გაკოცებს, ჩაყლაპავ. ნუხელ მეზობლის გოგო იყო გადმოსული, თან პატარა დისშვილი ახლდა. მოსალამოვებულები იყო, ყველანი ეზოში ვისხედით. პატარებმა მიიქციეს ჩვენი ყურადღება და ყველა გაოცებული მივაშტერდით. გიგა „კრუტებს“ უვლის მარის, ისიც გატრუნულია და არ ირხევა. როგორც იქნა, გიგამ გულის ნადილი აიხდინა და მარის ტუჩებში ეცა, გემრიელად აკოცა და უცებ იმხელა ხმაზე დაიწყო ტირილი, მივხვდით, ცუდად იყო საქმე. შემოატრიალა დედამისმა და რას ხედავს? მარის უკბენია და ქვედა ტუჩი შესიებული ჰქონდა. ეს იყო პირველი იმედგაცრუება და დაუვინყარი, პირველი კოცნა. ლუნა“.

„ჩვენ 4 წლის წინ გავიცანით ერთმანეთი. გავიცანით და შეგვიყვარდა, თუმცა, ეს ლამაზი სიყვარული ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. ჩემს მშობლებს არ მოსწონდათ სასიძო და იმდენი მოახერხეს, დამაშორეს. ასე, აუხსნელად შევცვალე ნომერი და დავშორდი. ვიცი, ცუდად მოვიქეცი. უნდა მებრძოლა ჩემი სიყვარულის გადასარჩენად, მაგრამ არ აღმოვჩნდი ისეთი ძლიერი, როგორც მეგონა, რომ ვიყავი. ვიცი, ვერც დიამამ დამივინყა. ნუთუ, არ გვაქვს

უფლება, ბედნიერები ვიყოთ? დიამა, მე შენ ვერასდროს დაგივინყებ! ბაჭია“.

„დაუვინყარი სიყვარული? ჩემი ამბავი გამახსენდა. მე და ჩემს ყოფილ შეყვარებულს ძალიან გვიყვარდა და გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ სამწუხაროდ, რაღაც მიზეზების გამო დავშორდით. იმ ლამაზ დღეებს და გრძნობას ვერც ერთი ვერ ვივინყებთ... და არც არასდროს დაგივინყებთ. სესი“.

„გონებიდან არ ამომდის ჩემი პატარა ქალის სიყვარულის ამბავი. რა ქნას, თუ მისი ძმის საუკეთესო მეგობარს შეუყვარდა, მას კი უცხოეთში მოუწია გამგზავრება, რადგან მშობლები ელოდნენ, 5 წლის მანძილზე? რა ქნას 18 წლის გოგომ, თუ მომავალში სწავლა, კარიერა და უფრო მეტი პერსპექტივა ელის, ვიდრე საყვარელ ადამიანთან ოჯახის შექმნაა, ისიც — პროვინციაში? საშინელებაა მათი დამორება, რადგან მისი გული მასთან დარჩა. გამომშვიდობებისას დამიბარა, გაუფრთხილდი და იბრძოლე სიყვარულისთვისო. მეც მინდა მჯეროდეს, რომ დრო მოვა და ამ წყვილს ერთად და ბედნიერს ვნახავ, რადგან ეს სიყვარული დაუვინყარია და დაუმთავრებელი. ტირიფი73“.

„მარი, არასდროს მომიწერია შენთვის, მაგრამ თემამ — „დაუვინყარი სიყვარული“, გადამაწყვეტინა, მომეწერა. 18 წლის ასაკში პირველად მეწვია სიყვარული, მაგრამ ვერ ვამხელდი, რადგან უახლოესი მეგობარი შემეყვარდა. დიდი ხნის მერე გავიგე, მასაც ვუყვარდი. ველოდებოდი, ეთქვა და მეც ვალიარებდი ყველაფერს. მასთან შეხვედრას გავურბოდი. ეს სხვანაირად გაიგო და ცოტა ხანში ცოლი მოიყვანა. 5 წელი გავიდა, მაგრამ ჩემში ეს გრძნობა უფრო ძლიერდება. მეგობრები მარწმუნებდნენ, დრო გიშველისო, მაგრამ დავრწმუნდი, ნამდვილი სიყვარული დროსა და მანძილს უძლებს და ყველაფერზე ძლიერია. მე მხოლოდ მის ბედნიერებაზე ვლოცულობ და ღმერთს ვვედრები, დამეხმაროს ამ ტკივილის გადატანაში. ყველას ორმხრივ სიყვარულსა და გამართლებას ვუსურვებ. გმადლობთ!“

„ის პირველად ავტობუსში ვნახე. მერე გავიგე, რომ ჩემი სკოლელი იყო. 1 წელი ვმესიჯობდით და როგორც იქნა, გავიცანი. მალე გავუგეთ ერთმანეთს და სულ ერთად ვიყავით. ჰოდა, მივხვდი, რომ ძალიან მიყვარდა. მან ეს დღემდე არ იცის, მე კიდევ ახლაც ისევ უსაშველოდ მიყვარს და ვერ ვივინყებ. T & C“.

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „საზაფხულო რომანი“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად კითხვა ასეთია — „რას ნიშნავს ნამდვილი ქალი?“

როცა ქალი ტირის

მარი ჯაფარიძე

სამახსოვრო მამაკაცებისთვის

1. პირველ რიგში ეცადე, დაადგინო, ვისია ის ქალი, რომელიც ტირის. თუ ქალი სხვისია, მისი დამშვიდება არც ისე უსაფრთხოა. თუ ქალი არავისი არაა, მაშინ შენთვის „დაიტოვე“. თუ ამის მერეც გააგრძელებს ტირილს, მაშინ უკვე ცხადი იქნება, რომ ბედნიერების გამო ტირის.

2. როდესაც შენი საკუთარი ქალი ტირის, მარტო არ დატოვო, თორემ გარშემო ყველა იფიქრებს, რომ არავისი არაა. რაც შეიძლება, მეტი ყურადღება გამოავლინე. ცოტა მოშორებით დადექი. იმ მანძილზე, სადაც მის ხმას ვეღარ გაიგონებ, მაგრამ თვალი არ მოაშორო. შეგიძლია, დურბინი გამოიყენო.

3. თუ ქალს ცრემლიანი თვალები აქვს, მისთვის შემდეგი კითხვების დასმა არ შეიძლება:


- „რა გინდა?“
- „ვინაა დამნაშავე?“
- „რა გავაკეთო?“

პირველ კითხვაზე პასუხი შენს ჯიბეზე იმოქმედებს, მომდევნო ორზე კი — შენს თავმოყვარეობაზე.

4. ქალის ცრემლების დანახვისას არაა აუცილებელი, სადმე გაიქცე, ვინმე გადაარჩინო ან დასაჯო. აუცილებლად აღმოჩნდება, რომ საშველი და გადასარჩენი შენ ხარ.

5. მტირალი და სევდიანი ქალისთვის საჩუქრის მიძღვნის პრაქტიკა გამართლებულია.

ჯობს, რამდენიმე ცალი ცხვირსახოცი აჩუქო. დაიმახსოვრე, რომ საჩუქრის მიძღვნა მხოლოდ მხიარული ქალისთვისაა საჭირო. ასე ქალს სასარგებლო, პირობითი რეფლექსი გამოუმუშავდება და სულ კარგ განწყობილებაზე იქნება.



6. თუ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წესი დაიცავი, მაგრამ ქალი ტირილს მაინც განაგრძობს, ამავე დროს კვლავ შენ გვერდითაა და სხვასთან არ მიდის, მაშინ სავარაუდოა, რომ მას მართლა სჭირდება შენი დამშვიდება. სახეზე სევდა და ინტერესი აღიბეჭდე. დურბინი გადადე და მიუახლოვდი.

7. აუცილებელი არაა, ბოლომდე მოუსმინო, რას ამბობს მტირალი ქალი. მთავარია, პაუზის დროს ღრმად ამოიოხრო და ხანდახან ხელი მოხვიო.

8. უმაღლესი პილოტაჟის ცოდნას გამოავლენ, თუ ამ დროს გაუპარსავ ლოყაზე ცრემლსაც ჩამოაგორებ. ასეთ დროს ქალს თავისი პრობლემები ავინწყდება და შენს დამშვიდებას შეეცდება.

როცა მამაკაცი ტირის

სამახსოვრო ქალებისთვის

- 1.** შეეცადე, ტაქტიანად მოიქცე. ისეთი სახე მიიღე, თითქოს მამაკაცის ცრემლები და თავშეკავებული სლუკუნი არც შეგინიშნავს.
- 2.** თუ სლუკუნი არც ისე თავშეკავებულია, მამაკაცს მხარზე ხელი რამდენჯერმე დაარტყი და უთხარი: „კარგი, კარგი“...
- 3.** თუ მამაკაცი ტირილს განაგრძობს, „პამპერსი“ გამოუცვალე და თუ მკერდში რძე არ გაქვს, ფაფა მოუხარშე.

სასწაულები

ბენიეხი მემთხვევა

ნიუ-იორკელი ალსიდეს მორენო ფანჯრების მწმენდავად მუშაობდა. ერთ-ერთი ცათამბჯენის მინების წმენდისას, კალათი, რომელშიც ალსიდესი და მისი ძმა იდგნენ, 150 მეტრის სიმაღლიდან მოწყდა. ძმა მაშინვე გარდაიცვალა, ალსიდესი კი გადარჩა, მაგრამ ისეთ მძიმე მდგომარეობაში იყო, რომ ოპერაცია იქვე, სასწრაფო დახმარების მანქანაში გაუკეთეს, ვინაიდან, საავადმყოფომდე ცოცხალს ვერ მიიყვანდნენ.

საინტერესო ის გახლავთ, რომ როდესაც ექიმები მოვიდნენ, მამაკაცი კალათში მჯდარი იპოვეს. ის კომაში მოგვიანებით ჩავარდა, მაგრამ გონზე 3 კვირის შემდეგ მოვიდა. 1 თვის შემდეგ კი გაიარა. ალსიდესის გადარჩენას ექიმები სასწაულად მიიჩნევენ. სტატისტიკის მიხედვით, IV სართულიდან გადმოვარდნის შემთხვევების 50% სიკვდილით სრულდება.

„იკინის“ გოგონა

კატრინა ბურგესის შესახებ ექიმებმა თქვეს, რომ ვერასოდეს გაივლიდა. გოგონა ავტოკატასტროფაში მოყვა. მას კისრის, ზურგისა და თეძოს ძვლების მოტეხილობა ჰქონდა და ორივე ფილტვი — დაზიანებული. რთული ოპერაციის შედეგად, გოგონას სხეულში 11 ლითონის ლერძი ჩაუდგეს. ახლა მას გაუჭირდება ლითონის აღმომჩენი ჩარჩოს გავლა აეროპორტში, მაგრამ ესაა ყველაზე დიდი პრობლემა, რაც კატრინას ექნება, ვინაიდან გოგონამ რამდენიმე თვის შემდეგ სამოდულო საგენტოსთან კონტრაქტი გააფორმა. მეტალის ლერძი ექიმებმა მის მარცხენა ფეხში ჩაამაგრეს. შემდეგ შინაგანი ორგანოები 4 მეტალის ლერძის საშუალებით დაამაგრეს. ხერხემლის დროც დადგა და 6 ჰორიზონტალური ლერძის საშუალებით ისიც დაამაგრეს. 1 კვირის შემდეგ მის სხეულში ბოლო ჭანჭიკი ჩაახრახნეს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, რომელიც მის კისრის მალეებს დაიჭერდა. ბოლო ოპერაციიდან 1 დღის შემდეგ გოგონამ გაიარა, 5 თვის შემდეგ კი მდგომარეობა ისე გაუუმჯობესდა, რომ ტკვილგამაყუჩებლების მი-




ღებაც შეწყვიტა და ლონდონის სამოდულო სააგენტო „ბეისისთან“ კონტრაქტიც გააფორმა.

4 თვე ყბყბო

14 წლის ჟანა სიმონსს გულის გადანერგვის ოპერაცია ორჯერ გაუკეთეს. პირველი დონორის გული გოგონას ორგანიზმმა არ მიიღო და გაჩერდა. ექიმები იძულებული გახდნენ, გული ორგანიზმიდან მოეკვეთათ. გოგონა გულის გარეშე დარჩა, ვინაიდან მეორე დონორი ჯერ არ იყო მოძებნილი. დროებითი გამოსავალი ის გახლდათ, რომ გულის მაგივრად სისხლის მიმოქცევის ხელოვნური აპარატი გამოეყენებინათ. აპარატზე ჟანა 4 თვის განმავლობაში იყო შეერთებული. სწორედ ამ ხნის შემდეგ გახდა შესაძლებელი ახალი დონორის გულის გადანერგვა. 4 თვის განმავლობაში გოგონას სიცოცხლე აპარატის გამძლეობაზე, დენის არსებობასა და ექიმებისა და ექთნების ყურადღებაზე იყო დამოკიდებული.

კბილი, თვალის ადგილზე

42 წლის, ინგლისელმა მარტინ ჯონსმა უბედური შემთხვევის გამო მხედველობა დაკარგა. მას თვალში ცხელი, გამდნარი ალუმინი ჩაენვეთა და თვალის ბროლი დაუზიანა. ექიმებმა თვალის ბროლის ახლებური მეთოდით აღდგენა გადაწყვიტეს. კბილის ძვლის პატარა ნაწილს, სპეციალური ქლიბის საშუალებით, გარკვეული ფორმა მიანიჭეს და თვალში გადანერგეს. კბილის ძვალს საკონსტრუქციო ელემენტის ფუნქცია უნდა შეესრულებინა, რომლის გარშემოც ხელოვნური ბროლი „აშენდებოდა“. ბრიტანელს მხედველობა აღუდგა. თუმცა, თვალის გარეგნული იერი არც ისე სასიამოვნო სანახავია.




მოცულობით ჭიჭიბს
მხოლოდ შჭებია იი ამა,
ჩლიჭებია ც ცნობენ



მობილური-სუკია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ს
ა
პ
ა
პ
ა
პ
ა
პ



1. ვარ 32 წლის, ვცხოვრობ რაიონში, არ ვყოფილვარ გათხოვილი, მაქვს სუფთა წარსული, გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, პატიოსან, ერთგულ, დასაქმებულ მამაკაცს, ვისაც სურს წმინდა ოჯახის შექმნა.

2. ვარ 41 წლის ქალიშვილი, მუსიკალური განათლებით. 170/80. ოჯახის შექმნის მიზნით, გავიცნობდი სპორტული აღნაგობის მშვიდი ბუნების მამაკაცს, 44-48 წლამდე.

3. ვარ მონესრიგებული, სასიამოვნო ქალბატონი, 44 წლის. გამომეხმაროს ქუთაისში მცხოვრები, მატერიალურად უზრუნველყოფილი, მონესრიგებული მამაკაცი.

ს
ა
პ
ა
პ
ა
პ
ა
პ




4. გავიცნობ 32-37 წლამდე ქალბატონს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 38/172/56. შემეხმიანეთ სალამოს საათებში. დანარჩენი — პირადად.

5. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით, 20-30 წლამდე ასაკის, ნორმალურ, პატიოსან, იმერელ

გოგოს, რომელსაც მართლა უნდა მშვიდი ოჯახის შექმნა. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ.

6. დიდი სიამოვნებით გავიცნობ ლამაზ და კარგი გარეგნობის გოგოს, 20-28 წლისას. თუნდაც, ოჯახის შექმნისთვის. გთხოვთ, გამომეხმარეთ. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ. თუ ვინმე შემეხმიანებით და გასურთ ჩემი გაცნობა, დამიმესიჯეთ ან დამირეკეთ. ეს ნომერი სულ ჩართული მაქვს.

ს
ა
პ
ა
პ
ა
პ



ვქებ კასპელ გოგონას, სოფოს! მე მირზა ვარ! იქნებ წაიკითხო და დამიმესიჯო. მე უკვე საბერძნეთში ვარ. მგონი მიხვდები, ვინც ვარ. ძალიან მენატრები.

ვთხოვ გამომეხმაროს სალონიკში დროებით მცხოვრები პაატა (აბრა) მენაბდე.

ვქებ საბერძნეთში მყოფ მცხეთელ მარიკას, რომელიც 1989-95 წლებში სწავლობდა ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ს
ა
პ
ა
პ
ა
პ



ოპ, მისტერ, მისტერ... არ

გვკადრება ქუთაისელ კაცს ასეთი სისულელები... დაფიქრდი, ნუთუ მოგწონს ხალხის სიძულვილი? აბეზარა, ცაგერის რაიონთან თუ რამე გაკავშირებს, მე აქ ვააარ... გამიხარდება შენთან მეგობრობა... ბელო.

• მითხარი, რომ სული მტკივა, რომ დარდი არ მასვენებს, მითხარი, რომ ჩემს შავ თვალებს მლაშე ცრემლი ასველებს. მითხარი, რომ მეც მიყვარს და იმიტომ ვანთებ სანთლებს, მითხარი, რომ სინანული ბევრ ჭრილობას ამრთელებს. მითხარი, რომ ოცნებების კოშკებს ვერც მე ავაგებ, მითხარი, რომ ღმერთის რწმენით ამ კარებსაც გავაღებ. მითხარი, რომ მეც ვსუნთქავ და გულიც არ მაქვს ქვასავით, მითხარი, რომ მომენატრე, რომ მიყვარხარ ძმასავით. მითხარი, რომ თაია ვარ, რომ მზეს სევდით ვაბნელებ, მითხარი, რომ ჩემი ბოდვით დროთა სვლას ვერ ვანელებ. მითხარი, რომ შობის ღამეს შენთან ერთად გავათევ, მითხარი, რომ ამ სიყვარულს ერთ ღიმილშიც ჩავატევ. მითხარი, რომ ეს სიტყვები ლოცვად ზეცას აჰყვება, მითხარი, რომ ეს სიგიჟე მუდამ, სულ თან გამყვება. ლიმონა.

• გამარჯობა მარიკელა, როგორ ხარ? მააარ, იცი, როგორ მინდა მგზავნელების გაცნობა? ასე პატიმარს არ ენდომება თავისუფლება, მაგრამ რა ვქნა, რომ ათენში ვარ? ათენელო მგზავნელებო, ჩვენ მაინც გავიცნოთ ერთმანეთი, რა? მარიკელა, მაპატიე თუ შეგიძლია, ასე გვიან რომ განუხებ, მაგრამ ცდუნებას ვერ გავუძელი და რამდენიმეწლიანი ტანჯვის შემდეგ ხელი მაინც გამექცა ტელეფონისკენ. ბავშვებო, რა კარგები ხართ, იცით? განსაკუთრებით შენ, ენიგმა. აბა, ათენელებო (ბოდისი ქართველებო), რას იტყვი? გაკოცეთ ყველას. მიკრი.

• მინდა, ჩემს ლამაზ მამიდას, სვეტას ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და ხანდახან რომ ვაბრაზებ, მაპატიოს და ბოდისს ვუხდი. ძმისშვილი.

• ჭორობიუროს თავმჯდომარეს ტყუილად კი არ მეძახიან, არ არსებობს საიდუმლო, მე რომ არ ვიცოდე. ვინ ვისთან დაძვრება, ვის როგორი ცოლი და ქმარი ჰყავს, პირველმა მე ვიცი, პირველი მე ვაკეთებ შეფასებებს. აი, ამფერი მალვალაკი ბალანა ვარ, როგორც იმერეთში იტყვიან ხოლმე. ენე.

• აუ, მარი, ბერბიჭას ნომე-

რი მინდა, მაგრად. ძმაკაცურ პონტი დაშვასა და უარი არ მითხრათ, რა. მარ, თუ კი გითხრა, ეს ნომერი მიეცი, მაგრამ ცოტა ეჭვი მეპარება, თანხმობა გითხრას. გაიხარეთ, გენაცვალეთ ჩემი თავი. იკუშების და სევდიანი ქალის გაცნობა მინდა. გოცნით და გეხვევით. თოლია.

• წლებმა საათივით ჩაიარა, წლები საათივით მდევდა, დრომ რა უცაბედად გაიარა, გრძობის ყველა წამი, დედა... რამდენ ბოროტებად ჩამეკიდა, გულში კლდედქეული სევდა, მთელი დღეები და ღამეები, მუდამ მეყვარები, დედა! შენთან მოვედი და შემეფარე, აღარ დაგმორდები მეტად, ოქრო მუჭა-მუჭა დავარიგე, შენთვის აღარ დამრჩა, დედა... ყველა მეგობარი დამეფანტა, ქარიც აღარ ჩადგა ბედად, სადღა მოვიძიო ფიქრის მოზიარე, ვისლა მივაკითხო, დედა? კვიცი, ვინც კი დედას გადაუხტა, იქცა ფრთამოტეხილ გედად ან მარადისობა რომ არსებობს, რატომ არ მითხარი, დედა? ფიქრთა ღრუბელია მარტოობა, ფიქრმა დამიბნელა მზე და, რატომ არ მასწავლე სიძულვილი? მღუპავს სიყვარული, დედა! P.S. მიყვარხარ, დედა! P.P.S. მკა, გმადლობ! მიყვარხართ შენ და ნაზი ძალიან! მარი, შენც მიყვარხარ! სიყვარულის ბუშტი ამიფეთქდა. ფეშენა.

• მარი, როგორ ხარ? ძალიან მომენატრეთ ყველა. ვერ გწერდით. აბეზარა.

• ლან, დაგვიბრუნდი? როგორ აკლდი „გზას“, რომ იცოდე?! მაგარი ადამიანი ხარ, არ მიგვატოვო. თოლია.

• ს.ვ.თ, მიღებული ხარ, ოლონდ დაგვიკონკრეტე, გოგო ხარ თუ ბიჭი, თორემ ნიკი არაფერს გვეუბნება. კეთილი იყოს შენი მობრძანება. თოლია.

• მარ, ხანდახან როგორი განსაკუთრებული ხარ! ამის გაფიქრების საშუალება კი შენმა დაწერილმა „სიტუაციამ“ მომცა. ძალიან მაგარი იყო. თუმცა, გულისტკივილიც ვიგრძენი იმ ქართველი მამაკაცების გამო, რომლებიც გვერდს უგულისყუროდ გივლიდნენ. ზოგჯერ მგონია, რომ ქართული რაინდული სული გაქრა. ელექტრასა და ლიმონასთვის სასურველ ცოტნე დადიანზე საუბარი ხომ თითქოს ზედმეტად მეჩვენება, მაგრამ საბედნიეროდ, ასეთები უმრავლესობას არ წარმოადგენენ. იმისიც მჯერა, რომ ყველა

მგზავნილი ბიჭი სულით და ცხოვრებით რაინდია. სარვიცა.

• მარიკუნა, როგორ ხარ? მესიჯები რატომ არ დამიბეჭდე, სიხარულო? ეტყობა თურქეთისა და საქართველოს საზღვარზე დააკავეს და შენამდე ვერ მოაღწიეს. მენატრება საქართველო, სიგიჟემდე მენატრება. მენატრება ყველა და ყველაფერი. ალინა.

• პარიჟანკას მესიჯს ვკითხულობდი, „ფრანგულ-ქალურ ხუმრობას“ და ჩემი გიჟი დაქალი გამახსენდა. ისიც საფრანგეთშია და როცა უნდა დაურეკო, არ გაასუბობს. კარგა ხნის შემდეგ თვითონ დაგირეკავს და იცი, რას გეტყვის?! არ მეცალა, ფეხბურთს ვთამაშობდიო(!). არა, ზიდანის ხათრით ფრანგულის სწავლა კიდევ ჰო, მაგრამ 19 წლის გოგო სულ ფეხბურთს თამაშობდეს, გაგონილა სადმე? ძან მენატრება ჩემი პატარა სვანუკა. კავა.

• გაიხარე, ბერბიჭავ. ვიცოდი, რომ მანდილოსნების განსაკუთრებულად დაფასება გეხერხებოდა. დაბრუნებას გილოცაავ... იმედია, შენი ხალიხიანი მესიჯებით „გზის“ ფურცლებიდან არასოდეს გაქრები... სონი, ვიცი, დამესიჯებას აღარ აპირებ, მაგრამ იქნებ გამოწვინის დაუშვა? შენი გაცნობა მინდა. მოკითხვა ლიმონას, მპაჩებით.

• ლიმონასაც მპაჩი, ჩემგან და ჩახუტება. ასევე ყველას. გაკოცეთ უამრავი. უკარება.

• ალბათ არჩევანი რომ მქონოდა, სიყვარულის ცრემლი ვიქნებოდი, თვალებიდან დავეშვებოდი, გრძელი გზით გულამდე ჩავიდოდი და გულში შევძვრებოდი. სიყვარულის ტკივილი ვიქნებოდი და გულს სიყვარულით გატკენდი. ღიმილი ვიქნებოდი და შენს ტუჩებს არ მოვშორდებოდი. ფიქრი ვიქნებოდი და მთელი ღამე არ დაგაძინებდი, დალლა ვიქნებოდი და სიყვარულით დაგლლიდი, ღამე ვიქნებოდი და შენს ოთახში დავბუდდებოდი, სხივი ვიქნებოდი დილას მე გაგაღვიძებდი. მე ვიქნებოდი ყველა... მაგრამ მე ხომ მე ვარ. უკარება.

• ვაღიარებ, სავსებით დავიმსახურე ლანკას მესიჯი (მარტო ის ვერ გავიგე, რას მილოცავს) და მჯლახნელი რატომ ვარ.

• ახლა ვკითხულობდი „თინეიჯერულ პონტებს“ და სალის მესიჯმა გული მატკინა,

უმაღური რომ მიწოდა. შეიძლება მართლა უმაღურივით გამომივიდა, მაგრამ რიგითი პრობლემების გამო ვერ შევძელი თქვენთან დაკავშირება და თუნდაც მადლობის თქმა. იმაზეც გიპასუხებთ, რატომ გამაგდო დედა: მხოლოდ იმიტომ, რომ ბიძაშვილებთან ერთად ეზოში გვიანობამდე ვიყავი. დიდი მადლობა ყველას, ვინც ჩემი ამბავი გულთან მიიტანა. მარი, ძალიან გთხოვ, დამიბეჭდე ეს მესიჯი. ყველასგან მიტოვებული გოგო.

• გამარჯობა, ჩემო კარგო მარი, მაპატიე, მესიჯებს რომ ვერ გწერ. „გზის“ ყოველ ნომერს ვკითხულობ და სულით თქვენთან ვარ. ხშირად სოფელში ვარ და ძალიან დატვირთული დღის რეჟიმი მაქვს. მარი, ალბათ ახლა ზღვაზე ხარ. კარგ დასვენებას გისურვებ, ჩემო კეთილო და ძვირფასო ადამიანო. გოცნით და ძალიან მიყვარხართ, გერასიმე.

• ლიმონ, დაი, მე ფრენის დროს ფრთა მოვიტეხე, გული კი არ გამიტეხავს. ღმერთს ზურგი შევაქციე და მანაც მიმატოვა. მინდა, პატიება ვთხოვო, მაგრამ ძალიან მრცხვენია მისი.

• ისე მომეპარა გრძობა გულში, ნაბიჯების ხმაც არ გამიგია, გული ისე ძლიერ ამიძგერდა, რომლის მსგავსი დღემდე არ მიგრძნია. მაპატიეთ ეს სევდიანი მესიჯი. მიყვარხართ, გაიხარეთ! თოლია.

• როცა დაღამდება, მთვარე ამოდის, შემოაწვება გულზე დარდები, გონებას ავსებს ათასი ფიქრი, ფიქრი იმაზე, რომ მენატრები...

• მარი, იქნებ ენიგმას ნომერი მომწერო? დამაინტერესა მაგ პიროვნებამ. ახლა ვკითხულობ „გზას“. ასეთი სათაურით იყო „მოგიკვდეთ იდიოტი მამა“ და თუ შეიძლება, მისი ავტორის ნომერიც მითხრათ?

• ბერბიჭავ, ცრემლიან თვალებზე ნუ მეფერები, ბაგეები დაგისველდება და ვინ ვარ მე, შენი ბაგე ჩემი ცრემლით დასველდეს? მაგარი ადამიანი ხარ, მიხარია, რომ გახსოვარ. თოლია.

• ჩემო ბერბიჭავ, შენმა რითმებმა ამიყოლია, შენი ლექსები ამ გულს როგორ მონატრებია, ანგელოზი ხარ საყვარელი, გამიგონია, ველარ გმორდები, როგორც შავ ზღვას, თეთრი თოლია.

• აბეზარავ, მე ვარ ცაგერის

რაიონიდან და ძალიან გამიხარდება, თუ შემეხმიანები. სო-ნი.

• ეძღვნება ჩემს მეუღლეს: სევდის ზღვაში ჩამივარდა ნაფერები გული, ვცადე, მაგრამ ვერ ვუშველე, თან წაიღო სული, მხიარული ვიყავ მუდამ, შენ შემყარე დარდი, უდარდელი ქალი ვიყავ, სევდიანი გავხდი. ნეტავ რატომ გამიმეტე, რად ჩამაგდე სევდის ზღვაში? დარდი დარდზე მომეძალა, გასვლა აღარ მინდა ხალხში, გარე-გარე იარები, მოსვლა აღარ გინდა სახლში. სადაც გინდა იქ წასულხარ, ქვა გიხლია, მაგ შტერ თავში! სევდიანი ქალი.

• მარიამულ, მადლობა ლამაზი წუთებისთვის. ქალი ცდუნება ჩემი მეზობელი აღმოჩნდა და შოკში ვარ, სიხარულო, მაგრად გამიხარდა, რომ გავიცანი. ხომ კარგად ხარ? ლუნა.

• მარი, რა ბედნიერი ვარ, რომ იცოდე, ლუნა და გრუზინკა გავიცანი. ლუნა ჩემი „ზემლიაკი“ აღმოჩნდა. ლუნა და გრუზი, გენაცვალეთ ლამაზ გულელებში. ირმა91-ს: ლუნასგან შეგიძლია ჩემი ნომრის გაგება. იდუმალ და სევდიან ქალსაც არ დაუნყვეტ გულს. ყველას გელოდებით და მაგრად მიყვარხართ. ქალი ცდუნება.

• პრივეტ მარ, როგორ ხარ? მე ახალი ვარ და თუ დამიბეჭდავ და მიმიღებთ „გზავნილებში“, მაგრად გამიხარდება. ორი თვის წინ ვიყავი ქობულეთში და გავიცანი გიო. ორი კვირა სულ ერთად ვიყავით, მაგრამ მერე გაქრა ჩემი ცხოვრებიდან. ახლა ისევ გამოჩნდა, მაგრამ არ ვპატიობ. არადა, ისევ ისე მიყვარს! მიყვარს! მიყვარს! სვანი.

• ლიმონას და ბერბიჭას სიტყვებმა ძალიან გამახარა. თან დღევანდელმა დღემ ყველაფერი შეცვალა. ისევ ბედნიერი ვარ. ხომ გითხარი ლიმონ, გული არ გამიტეხავს-მეთქი. მოკითხვა Ashley და გრუზინკას. ძან საყვარლები ხართ, მიყვარხართ. კამი, სად ხარ? თოლია.

• რომ იცოდეთ მეგობრებო/ ვარ ძალიან ბედნიერი/ ორი გოგო გავიცანი/ ლამაზი და მშვენიერი/ გეფერები ჩემო ლუნა/ მე ვარ შენი მადლიერი/ იყოს ჩვენში მუდამ დობა/ მუდამ მრავალჟამიერი/ შემოგველე ჩემო გრუზი/ გულწრფელი ხარ, საყვარელი/ ახლა ერთი დამრჩა ფიქრი/ შეხვედრა მაქვს სანატრელი/ გეფიცებით, მეგობრებო/ ვარ ძალიან ბედნიერი/ ჩემი გრუზი ლამაზია/ ლუნა — ძლიერ გემრიელი/

ქალი ცდუნება.

• ჟურნალებს შორის ყველაზე დიდი საოცრება ხომ შენ ხარ, „გზაო“. შენი 7 საოცრებიდან კი პირველი მარიამულია, თავის „გზავნილებიანად“, მეორე — პროვოკატორია, მესამე — ლიკაა ქაჯაია, მეოთხე — ერუდიტი (ეჰ, როდის ვიქნები ისეთი პოპულარული, რომ მისი სტუმარი გავხდე), მეხუთე ჩვენ ვართ, გზავნილები, მეექვსე — დღეებს შორის უპირველესი და უაღმატებულესი, ხუთშაბათი დღეა. აი, მეშვიდე კი წლის „გზის“ აღმოჩენა, კაცი ბათუმი და ჩემი სიმპათია, ჯაბა ანანიძე! აქ ტაშ(ები)იიი. „გზავ“, მა სი მიორქ. ლიმონა.

• მარ, „ამის პატრონმა რა ქნას“ თამაშით ისე გაგაბრაზეთ, მგონი აქეთ ვრჩებით პატრონმოკითხულები კი არა და, გულგახეთქილნი... რიცას ხომ უთხარი, დაისჯებითოო. ვავა... სვანის რევანშს ეხუმრები, შეეენ? ისე, რა მაგარი თამაში მივეციო არა, ბავშვებო? რა ოინბაზები ვართ რა, ამის გახსენებაზე ახლაც სიცილით ვიჭაჭები. მაიცა, ჩამოვიდე ქობულეთიდან და ფართიზე დავბრუნდეე?! აეე, რაც მაგრები ვართ, გზავნილები ვააართ. Viva La Journale „გზაა“! ლიმონა.

• ახლა ლამის 3 საათია. ჩემი მეუღლე გავაცილე სამსახურში და უკვე მენატრება. თაზო არის ჩემი დაუვიწყარი სიყვარული. ნეტავ თუ ჰყავს ვინმეს ჩემნაირი თბილი ქმარი? ორი კვირა ვერ ვნახავ და ცუდად ვარ, სულ მის ნატვრაში ვცხოვრობ. თაზო, მიყვარხარ სიგიჟემდე. შენი თეა.

• მოწყენილობისგან ადამიანი მომკვდარიყოს, გინახავთ? არა, ხომ? ჰოდა, მე ვიქნებოდი პირველი და ალბათ გინესის რეკორდების წიგნშიც ჩაინერებოდა ჩემი სახელიც, მაგრამ მეგობრებმა სულზე ჩამომისწრეს და ასეთი გიჟუკელა ხალხის გვერდით რალა მომანყენს? ლუკა, გეგიუს, გვანცა, ლაშა, გოგლა, მოგიკითხავთ დიიიდი სიყვარულით... სანგრების გასათხრელად როდის მივდივართ? Sweet-Girl.

• შეწირული დაბრუნდა! გამიხარდა, გენაცვალე. მომენატრე ძან. დუჩი, მენატრები. ოლე, მაგრად მიყვარხარ, Sweet Girl, ჩემი ტკბილი ხარ. Ashley, მომენატრე. სესი.

• იციიი, მარ, ძალიან მინდა, მეც გზავნილი გავხდე... დამრთავთ ნებას გზავნილები? ნინი.

• რაო, გზავნილებმაოოო? მრთავთ ნებას, მეც ვიყო გზავნილი?

• ქალი ცდუნება, თავს დავნატრი. გმადლობ, რომ გიყვარვარ. ამჟამად მხოლოდ ტირიფ73-ს, კამის, ლუნას, გზავრს ვწერ. იცოდეთ, საკუთარი შხამი დაგგესლავთ. მე კი ვარ, ჰუ! გრუზინკა.

• როგორ ხართ, საყვარლებო? იცი, როგორ მომენატრეთ? ძაან! ლუნიტას, ლიმონას, სესის, ბერბიჭას, 9717-ს და ა.შ. მოვიკითხავ. ძან სიფორცხლე ბაიები ხართ. გაკოცეთ. სოფი19.

• ლიზ, შენ და გოჭუნია ჯუდაკას გილოცავთ, ჩვენ რომ ვიცით, იმას. ჩემი სიფორცხლე ბავშვები ხართ. მეც მალე დაგწვოდეთ. :-) მიყვარხართ. გაკოცეთ. სოფი19.

• ბერბიჭავ, ჰო, ძამიკო ხარ ჩემი და მაპატიე. მეგონა, მე მომწერე. ლა-ლოლა, მომწერე სიხარულო, განცხადებაში წერია ჩემი ნომერი. გელი! Crazy Girl, მეც მომენატრე. ლუნა.

• Ashley PCD, ცდები დაი, კამი ძალიან თბილი გოგოა და მარიამული ისე უყვარს, როგორც მე და სხვა დანარჩენებს. მართლა ვიცნობდით ერთმანეთს? გეფიცები, არ მახსოვს. ლუნა.

• ბერბიჭ, ჩემო კარგო, მეც გაკოცე ბევრი, ბევრი... გრძნობის მორევში კი არც კი მახსოვს, რამდენი წლის წინ გადავეში. ახლა კი თანდათან ფსკერისკენ მივექანები, ხოლო და-ძმურ და მეგობრულ გრძნობის მორევში კი ჯერ შუა ადგილზე ვცურავ, მეგობრებისგან შემოთავაზებული ჟანგბადის ბალონით. სამეგობროდ გინვდი ხელს და ჩემს გულსაც.

მადლობას გიხდი ამ დიდი სითბოსთვის. მეც გაკოცე, ბევრზე ბევრი. გაიხარე, ჩემო კარგო... სევდიანი ქალი.

• ქალ ცდუნებას გულში ვეკვრი, ნიჭს ვუფასებ ლიმონას, ბერბიჭ, შენმა ყურადღებამ ეს გული დაიმონა, ჩემო ლუნა, მეც მიყვარხარ, გეხუტები გულში, სიკვდილას კი ჩემს მოკითხვას ჩუმად ვეტყვი ყურში. არც შენ არ დამვიწყებხარ, ტირიფი ცრემლიან თვალით, ყველას გულში გიხუტებთ, მე, სევდიანი ქალი... სევდიანი ქალი.

• მე, მე ვარ ტვინდასეტყვილი, მე ბერბიჭაც ვარ, დაუნიც და მგონი ლესბოსელიც, რადგან შინაბერა შემიყვარდა. ზოგს ეთო ვგონივარ, მე კი ხან სვეტა

მქვია, ხან — ანა. ვაფრეენ. მე.

• დიდი მადლობა ზრუნვისთვის დედოკო, მაგრამ პლატოკი აღარ მჭირდება. ამიტომ დაკეცე, ვაზელინი ნაუსვი და დაღმე უკვე იცი. მიყვარხარ, დეე... მისტერ.

• ინტრიგნებო, პროვოკატორებო და შესაბამისად, უსაქმურებო, თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს და დიდად დამავალბთ, თუ შეასრულებთ. ენის ქავილი თუ განუხებთ, შეეშვით ჩემი ფუმფულა ადგილის კუნა-ლოკვას და „შკურკის“ მეშვეობით დაიკმაყოფილეთ თქვენი უცნაური მოთხოვნილება, რომელიც გველივით დაგესვლასთან არის ასოცირებული. მერნმუნეთ, „შკურკის“ მეთოდი ძალზე ეფექტური საშუალებაა და უკმაყოფილო ნამდვილად არ დარჩებით. P.S. რა სასაცილოები ხართ, თქვენით მაგრად ვხალისობ. მისტერ.

• ეს მისტერა თავს ლაქუცა მესიჯებს თავად წერს, რადგან აქ ასეთი ნიკების მგზავნელები არ გვყავს. უი, მართლა, სად მუშაობ? მინდა, გნახო ეს მაცია ბიჭი და გაგარჩევინო. ლოთი.

• ჰი, ღმერთის მაიმუნი ეშმაკია, „გზაში“ კი ენიგმას ჰყოლია მაიმუნი, რომელიც ცდილობს, მის სტილს მიბაძოს, ოღონდ ჩაფლავებულები სულ სხვაა, მიმბაძველი კი ბოთე. ასტეროიდი.

• პარიუანკა, შენ უნდა იყო „გზის“ დედოფალი, შენ თბილი, გემრიელი და ულამაზესი ხარ, შემოგველე, პატარა დაიკო, გრუზი და ლუნა, მაგარი უაზრობები არიან. აკიმ.

• ურჩო გოგოვ, სწორად იქცევი, როცა ხშირად შენს შეცდომებზე ფიქრობ. მე კი მავინყდება ხოლმე მათზე ფიქრი. ცოტაც და ეგ ყველაფერი ნამლად შეგერგება. სარვიეტა.

• ეეჰ, ლიმონჩიკ, „სალამ ნა მოსტე“ გამახსენდა. მაგრად მიკალს ეგ ფილმი. სერიოზული ფანი ვარ. საიქ ალი ქხანი კი ისეთი სექსია, რომ... ისე, ეგ ფილმი სად ითრიე? მითხარი, ლააა. აუ, მთელი დღეა, მემღერება: „სალამ ნა მოსტეე, სალამ ნა მოსტეე“... Ashley PCD.

• ლიმონ და ელექტრა, კარგი, რააა! რა იმ დაბრედილ ცოტნე დადიანს მისტირით? გაიხედ-გამოიხედეთ, ირგვლივ რამდენი დაკუნთული და დაზაგრული სექსი ბიჭია. Ashley PCD.

• კოზანოსტრა, ანტისასიყ-

ვარულო ნამალმა თუ არ გაამართლა და ჩემი გულის ბროშკაზე უფრო შამივარდა გული, დაგბრიდააავ. მიკალქალ ბრატ. Ashley PCD.

• მისტერ, მაგრად ჩაგიბრატდი, მარა ხომ იცი, უკან არ მიმაქვს ჩემი სიტყვები, პირშიც მოგახალე. „ნო, ვსიორაენო“ იმ ლიბე დიჰ. Ashley PCD.

• სესილიკოოო, ჩემი ულამაზესი და გიჟმაჟი ქალი როგორაა? იტირე გოჭუკ, ლაა! სიკვდილ და დუჩი, მოგიკითხავთ ბარტყებოო. Ashley PCD.

• ეს რა ხდება მარორიტა, გაილექსა მთელი „გზა“ და „მობილი-ზაციაში“, მუზა ყველას ეწვია. შაირობას შეეშვით, იმესიჯეთ პროსტა, თორემ ჩემი პაჩები ყველას გულში მოგხვდათ. Ashley PCD.

• მაიმუნმა თქვა, სიყვარული ტანჯვამ და ზღარბს ჩაეხუტა.

• ტირიფი73, Ashley PCD, სიყვარულს ბუმერანგივით გიბრუნებთ, ჩიორებო. ლიმონ, ცოტნე? ჩემი იყო, ახლა შენია! როცა იპოვი, არ გამოგვაპარო და ნეფე-პატარძალ! ქორნიილ! ელექტრა.

• დუჩი, ხომ იცი, მეც მომიწევს გული შენკენ. აბააა, ნეტავ მემუველება რამე? გაიხარე. მისტერ, რასაც ვფიქრობ, ის ვთქვი. სევდიან ქალს და კამ-კამს მოკითხვაა. სიკვდილა.

• ფეშენ, ჯიგააარ, რა. ნეტავ მოხუცი გამოჩნდება ოდესმე? ოლე, რავა ხარ, ჯიგარო? Ashley და ნიბუ, მელირსება თქვენი გაცნობა? რიცაააა, გენათალე შეენ. სიკვდილა.

• Sweet Girl, გენაცვალე, ჩემკენ გადმოტყორცნილ, თბილ და საყვარელ აურაში. პირადშიც მომწერე. ნილ, ნეტავ დამკავშირებოდით, მაჟორულ დუეტში ვიცინებდით, მამაშ. ენიგმა.

• ჩემო სანატრელო იდუმალო ქალო, მგონი გამიბრაზდი, ხომ? მერწმუნე, შენი გაბრაზება აზრადაც არ მქონია. შენ მართალი იყავი და ბოდიშს გიხდი. შევრიგდით, ხომ?

• სევდიანო ქალო, მოგიკითხავ სიყვარულით და ყველა კაი ხალხს გენაცვალეთ ჯიგარში. სევდიანო, მინდა გაგიცნო და შენს დაქალთან ერთად დაგპატიყო. ტეხასისშტატელი გია.

• მოგესალმებით ყველას. მე არ დამვიწყებხარ თოლია და ნუ მოიწყენ. დიდი სიყვარულით მოვიკითხავ ბერბიჭას, სევდიან ქალს, ქალი ცდუნება, ლიმონა, იასამანი, ლუნა, ტირიფი73, კანიბალკა, დუჩი, კარ-

გი ხარ, გრუზინკა, მომწონხარ, სიკვდილა, კარგი ნიკი გაქვს. ვშიშობ, ვინმე არ გამომრჩეს. მაგრად მიყვარხართ და გეფერებით. მინდა, გაგიცნოთ, მაგრამ როგორ? დამირეკეთ, რააა... ტეხასისშტატელო, შენზე ნაწყენი ვარ და იმედი მაქვს, სხვა დროს უფრო სერიოზული იქნები. იდუმალი-ქალი.

• ფეშენ, რავა ყველას „ბუტირკა“ ევასება? ფუუ, ატანა არ მაქვს! რა დროს „ახ კაკია ოსენ ვ ლაგერახ“ არის, რა ჯობია ახლა თუნდაც Chris Brown-ის მოსმენას? Ashley PCD.

• ლუნ, ანგელოზო, ვიზიარებ! ახლა ნახე, როგორ აგიფეთქდება ტელე! ერთ ანეკდოტშია: მამაკაცი 30 წლის არის Play Men; 40 წლის — Play Off. ჰოოდა, სწორედ Play Men-სა და Play Off-ს შორის ასაკის მქონე მამაკაცები იქნებიან, 90% იმათ შორის, ვინც მოგწერს. დავიჯერო, ახლა დიდ ბიძიებს პატარა გოგონებთან მხოლოდ მეგობრობა სურთ? ეეჰ, ვინ იცის, ვინ იცის... ჩემი სიფორცხლესი არ იყოს, მეტი რა უნდათ, ითრიეს ნაშა 50 თეთრადო. Ashley PCD.

• ეეჰ, ჩემი საკალელი ლურჯი ტუში დამიღრღნა ჩემმა ცუგრიკამ, პუჩიტომ. სად ვიშოვო ახლა. არადა, აფსუს, რაფრა მხატავდაა... :) Ashley PCD.

• ხალხოო, არ ვარ არც მეგრელი, არც იმერელი და არც რაჭველი! „კარინოი“ მთიული ვარ, ჩემი... Ashley PCD.

• შეუგნებელი ხარ მისტერ, თუმცა, ვირისგან წიხლი რა სანყენია? ამიტომ კომენტარს აღარ გიკეთებ. რამდენიც გინდა, წერე და იკითხე. დაე, საზოგადოებამ შეგაფასოს. იკუმპები.

• ტირიფი და ბერბიჭა, გაიხარეთ, ასევე დიდი მადლობა ოლეგარიოს, თანადგომისთვის. ჩემი საყვარელი ნიკოლი სად დამეკარგა? პარიუანკა, უზომოდ მიყვარხარ. გკოცნით. იკუმპები.

• აუ, New Moon, ქალო ცდუნება, ლუნა, მაგარი ნიკები გაქვთ. „გზის“ Girls, Crazy, Green და Sweet, გამეცანით, თქვე მარმელადივით ტკბილებოო. Ashley PCD.

• ჰო და კიდევ რა მინდოდა მეთქვააა... ყველამ თქვენი ნამდვილი სახელი და ასაკი გამოჭიმეთ, ლააა. Please. Ashley PCD.

• როცა იმის ფიქრით ცხოვრობ, რომ შეიძლება, დღევანდელი დაღამებული დღე შენთვის უკანასკნელია, ადამიანების

უჩვეულოდ ძლიერ, მაგრამ ტრადიციულ სიყვარულს სწავლობ. კამი.

• ცხრათვალას: წუხელ სიზმარში მკოცნიდი, რა ცხელი ბაგე გქონია, იმ ტკბილი კოცნის აღმური, ცხადშიაც გადმომყოლია. იქნებ ლაივშიც გვეცადა, ალერსის ანატომია? ბერბიჭა.

• გთხოვ, მოიცვილე მელანქოლია და გაიღიმე, ჩემო თოლია. მეც მომენატრე ქალო ცდუნებავ და შენს ქუჩაზეც გაზაფხულდება. ბერბიჭა ისევ ქალების ტყვეა და შემთავაზეთ გული ან ტყვია.

• მეს: აი, ბიკები ბიკები, რა უშნოდ მეტლიკინები, ვირივით ჯიუტი ჩანხარ, მასავით დაიტლინები, დაუნი იცი, ვინ არის? ვინც მოიპარა ნიკები! ბერბიჭა.

• კამი, როგორ ხარ? არ ვიცი, რა პრობლემა გაქვს, მაგრამ მჯერა, უფალი დაგეხმარება და დაგიფარავს იმიტომ, რომ შენ ძალიან კარგი ადამიანი ხარ. მხნეობას გისურვებ. იასამანი.

• სალამი ბერბიჭ, ლიმონ, კუსკუსულა, ოლე, ჯეჯე, ირმა91, დაცემა ქალები სად მყვანან? სევედიანი ქალი და იდუმალი ქალი. ენიგმა, რა სიტყვებით გაგამხნევო, აღარ ვიცი. იასამანი.

• ლიმონ, „მეგონას თხაზე“ მინდა გკითხო. მე სურათებიდან ვიცნობ მეგონა ლემონჯავას. რაც აღწერე, ისიც ემთხვევა. ერთი პიროვნება თუ არის, მაინტერესებს. ვიცნობ მის შვილებს. იასამანი.

• რაჭა მოვიარე, ახლა სამეგრელოში ვარ და ბათუმსაც მალე ვესტუმრები. ყველანი მომენატრეთ. პარიზის შვილო, შენ — განსაკუთრებით. შენზე კაიფი ხომ ჩემი ჰობია. Green Girl.

• სალამი „გზის“ მთელ კოლექტივს. როგორ ხართ, ხალხო? მეც არა მიშავს, კარგად ვარ. მართალია, დავიკარგები ხოლმე, მაგრამ ბოლოს მაინც ხომ თქვენთან ვარ? ისე, იმდენი ხნით ვიკარგები ხოლმე, რომელიმე მგზავნელი რომ დააცემინებს, ასე ეუბნებიან, ჯეჯეს დაბრუნებამდე კარგად იყავიო. ტელე არ მქონდა და ვერ გწერდით. „ილბლიანი დარტყმის“ ბილეთი ვიყიდე. ჯერ პრიზი გადავფხიკე, მობილური ტელეფონი ეწერა. გამიხარდა, მოვიგებ-თქო, მაგრამ პირიქით მოხდა, წავაგე 1:5. ჰოდა, მაგიტომაც არ მქონდა ტელე. აბა! ჯეჯე.

• ფემენ, ჩემი პილპილა ვინ

არისო? დამავოი, რა კაქი ვინმე ყოფილა. ოსვალდ, პეტრე-პავლოვიჩი მომიკითხე. თოლია, გეხუტე მაგ გულუკაშიი. სიკვდილას ნუ მიჩაგრავთ! ლიმონა.

• სალამი ბავშვებო. ძალიან მინდა, აღარ იკამათოთ. პირველად გწერთ. მარ, გთხოვ, დამიბეჭდე, კარგი? განსაკუთრებით გრუზინკა მიყვარს და მოვიკითხავ.

• გამარჯობა, ჩემო კარგო მგზავნელებო, რას შვრებით, ხომ ხართ მაგრად? ძალიან მინდა თქვენი გაცნობა. ნინი.

• „ინტერესნაია მისლ. სპასიბო ზა სოვეტ, ნო ჩტო ხოტელი ვტიმ სკაზატ?“

• ლანკ, მართლაც კარგი ადამიანი ვარ და გეტყვი: აბორიგენმა მგზავნელებმა მაკოცეთ ერთ ადგილზე. ესეც თქვენ, დამწყები მჯღაბნელისგან და „კემ ვი სებია ვოობრაზილი, ბლიად?“ ეთო.

მ
ი
ლ
ს
ა
ვ



• საბერძნეთში მცხოვრებ ჩემს მამლისცოლს, ნარგიზა არსენიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. უსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, თავის ლამაზ ოჯახთან ერთად და საქართველოში მშვიდობით დაბრუნებას. მზია არსენიძე.

• 19 აგვისტოს ფერისცვალების დღესასწაულს და დაბადების დღეს გილოცავ, გოგა. მრავალი ბედნიერი წელი მოგცეს უფალმა, ჯანმრთელობითა და ყოველივე სიკეთით. მოშენდი, მომრავლდი და იხარე, შენს ოჯახთან ერთად. კარგი ადამიანი ხარ. მარი.

• 12 აგვისტოს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს უსაყვარლეს შვილიშვილს, ნიკა გიას ძე ბირბიჭაძეს, რომელიც ბებოს ტკივილამდე ენატრება და უზომოდ უყვარს. ღმერთმა ჯანმრთელობა და ღვთის წყალობა არ მოგაკლოს, შენი ცხოვრების გზაზე. კარგ სწავლას და ბედნიერ მომავალს გისურვებ. იხარე და იბედნიერე, ჩემო ანგელოზო. გკოცნის და გეფერება შენი ლალი ბებო.

• ვაზიანში მცხოვრებ ლამაზ წყვილს, ბაჩას და თეონას ვულოცავ დაბადების დღეს, 13

აგვისტოს. სიხარულებო, მრავალს დაესწარით. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს. გკოცნით. ნანა.

• მინდა, დაბადების დღე მივულოცო 10 აგვისტოს, ჩემს პირველ სიძეს, ზაზას. ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ, მთელი გულით, შენ და ჩემს დას. იმხელა ბედნიერებას, რომელიც სიტყვებით არ გამოიხატება. მიყვარხართ. თეკლა.

• მინდა, დაბადების დღე მივულოცო 12 აგვისტოს ონში, ეთო მეტრეველს. სიხარულო, მოგწონა ტორტი? მენატრები ძალიან, ძალიან. გკოცნი, შენი თეკლე.

• მინდა, ჩემს მონატრებულ შვილიშვილს, მიშიკო ზარიძეს თამარიანში მივულოცო დაბადების დღე, 17 აგვისტო. სასახელო ბიჭი ყოფილიყავი. შენი თეას, მაკოს, ბებოს, პაპიკოს და მშობლების გასახარად. გკოცნი და გეფერები, ელიკო ბებო.

• გიგუნა ფურცხვანიძე, ჩვენო გვარის გამგრძელებლო, გილოცავთ 10 აგვისტოს, იუბილეს. გაიზარდე, გაგვახარე წარმატებული მომავლით. გვენატრები. მამიდა ეკა, ბიძია ბესო, ბებო ეთერი.

• დაბადების დღეს ვულოცავ თბილისში, მიშიკო შუბითიძეს, 9 აგვისტოს. გისურვებ ცხოვრებაში გამართლებას. დარო, მარინა.

• გურამ და ლანაკო ულენტებს დაბადების დღეს ვულოცავ. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. მრავალი 9 აგვისტო მომელოცოს, ჩემო ტკბილო დისშვილიშვილებო. ღმერთი იყოს მუდამ თქვენი მფარველი. მიყვარხართ და მენატრებით. გულიზა ბებო.

• საყვარელ შვილიშვილებს, ინა, ლანა, გუკა ულენტებს ვულოცავ დაბადების დღეს, 9 აგვისტოს. ბედნიერი ცხოვრება მინდა გისურვოთ, გაიზარდეთ სასახელო შვილები. ემიგრანტი ლია ბებო.

• მინდა, 3 აგვისტოს დაბადების დღე მივულოცო დედოფლისწყაროში, ჩემს საყვარელ მულისშვილს, ვიქტორ ნატროშვილს. უსურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და უფლის მფარველობას. შენი ნათელა ბიცოლა.

• მინდა, დაბადების დღე მივულოცო დათო ბერეკაშვილს. უსურვო მალე სამშობლოში დაბრუნება და ლამაზი ოჯახის შექმნა. ნი-სი.

• ლაგოდესში, სოფელ მშვიდობაში, 14 აგვისტოს დაბა-

დების დღე მინდა მივულოცო მადონა მესხიშვილ-ნარინდოშვილს. მადო, გილოცავ ოქრო, მრავალჯერ მომელოცოს, გისურვებ ყველაფერს კარგს, რაც კი ამქვეყნად არსებობს. გაიხარე და გამრავლდი, შენს ლამაზ ქმარ-შვილთან ერთად. გფარავდეს მუდამ უფალი. გკოცნი, მიყვარხარ, ნიკუშა დამიკოცნე. დალი კოჭლამაზაშვილი.

• ვარდისუბანში მადონა მესხიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ შვილო, ბედნიერებას, ბევრ სიყვარულს, სიხარულს. დაგლოცოს უფალმა, მთისა და ბარისამაო. მზია ბიცოლა.

• მინდა, ჩემს ძმას და რძალს მივულოცო ვაჟკაცის დაბადება. გამეზარდეთ, კობა და საბა, სასახელო ვაჟკაცები. თქვენი მამიდა, ეკა.

• ხონში ოთარ და ლალი ბენიძეებს ვულოცავ შვილიშვილის შექმნას და ვუსურვებ გამრავლებას. გფარავდეთ ღმერთი. ნესტანი.

• ნითელხევეში, ჩემს საყვარელ, ერთადერთ და განუმეორებელ მერაბ ლომიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობა, სიხარული და ბედნიერება არ მოგკლებოდეს. ღმერთს ვთხოვ, წლების მატებასთან ერთად, ჭკუაც მოგმატებოდეს. მაია ლომიძე.

• ჩემს 4 წლის უნახავ შვილს, ინგა არსენიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას და სიხარულს გისურვებ, ახალშექმნილ ოჯახთან და პატარა ბაიასთან ერთად. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. შენი დედიკო.

• ჩემს უსაყვარლეს ქმარს, კახა დევიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, გაიხარე ჩვენი შვილების ბედნიერებით. გფარავდეს უფალი, ყველგან და ყოველთვის. იბადებოდე და ჩემს სიყვარულად გწერდა უფალი, იბადებოდე იმისთვის, რომ მე მიყვარებოდი, შენ მიტომ გაჩნდი, რომ არ ვიყო თავისუფალი, მთელი ცხოვრება შენ რომ მყავდე, ფიქრად და დარდად, მთელი ცხოვრება მუხლზე დაჩოქილს შენთვის მელოცა, იბადებოდე, ჩემს შემშლელად გწერდა განგება, იბადებოდე, ჩემი გიჟური სიყვარულისთვის. მიყვარხარ, წმინდა და სპეტაკი სიყვარულით. ირინა.

• ათენში მყოფ ჩემს მეგობარს, მაია თათარაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 6 აგვისტოს. ვუსურვებ ყოველივე

კარგს. უახლოესი მეგობარი, ნანა ქათამაძე.

• ჩვენს მონატრებულ შვილს, ივრი დოლიაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 7 აგვისტოს. უფალი და ღვთისმშობელი გფარავდეს, დედიკოს ვარსკვლავო. დედიკო და მამიკო.

• დაბადების დღეს ვულოცავ სოფელ ვარდისუბანში, იაკუბოვ ილიკოს, 15 აგვისტოს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ოჯახთან ერთად. დარე.

• დაბადების დღეს ვულოცავ რუსთავეში, ჩემს საყვარელ შვილს, შუბითიძე იურის, 21 აგვისტოს. მინდა გითხრა, მიყვარხარ და მენატრები ძალიან. შენი საყვარელი დედა.

• დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს მონატრებულ სიძეს, სოფელ ქართუბანში, შუბითიძე ვასოს, 30 აგვისტოს. მინდა გითხრა, მიყვარხარ და მენატრები.

• ნათელა ალექსიშვილო, გილოცავ დაბადების დღეს, 13 აგვისტოს. ჯანმრთელობას და წარმატებებს გისურვებ. მიყვარხარ და მინდა, კარგად იყო. გფარავდეს უფალი. გაკოცე. ციური.

• მოხუცს მინდა იუბილე მივულოცო და ვუსურვო ყველაფერი საუკეთესო, რაც ადამიანს უნდა აუხდეს. პირად სასიყვარულო ურთიერთობის გამართლება. მისი ყოფილი პრინცესა, დაიკო.

• ჩემო მოხუცო, ჩემო ძამიკო, ჩემო გულის გამხარებელო, ერთგულო და მზრუნველო ძამია, გილოცავ იუბილეს. სულ ჯანმრთელად და ბედნიერად მეყოლე. მიყვარხარ, შენი ანუ. ლუნა.

• ჩემთვის ძვირფას ადამიანს და სუპერმამაკაცს, გოგო, 18 აგვისტოს ვულოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაგასწროს უფალმა, გისურვებ სიყვარულს, დიდ ადამიანურ ბედნიერებას, ყველაფერს კარგს და ლამაზს, რაც კი არსებობს ცხოვრებაში. გფარავდეს ღმერთი და დედა ღვთისმშობელი. კეთილი სურვილებით, იღუმალი ქალი.

• ჩემს საყვარელ დედიკოს, ლილი ტალახაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. დედიიი, მიყვარხარაა! მარი ჯოჯუა.

• ნათელა ალექსიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 13 აგვისტოს. გაიხარე, გამრავლდი, გამაგრდი. წარმატებას გისურვებთ, ცხოვრებაში. გვიყვარხარ, გკოცნით. ციური, ირმა, ია, ინგა.

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ჩოგორ ეპროდენს ბინებას

XVII საუკუნეში, რუსეთში გინებისა და უხამსი სიტყვების წარმოქმნისთვის „დამნაშავეს“ იქვე, ადგილზე ამათრახებდნენ და როზგავდნენ. ჯალათებს კი ხშირად ცვლიდნენ, რადგან ძალზე იღლებოდნენ. დღის განმავლობაში მათ უამრავი ადამიანის დასჯა უწევდათ.

პეტერბურგელმა ცენზორმა, გედეონოვმა 2 პიესა უხამსობის გამო აკრძალა. თუმცა, ამან თავად ცენზორისთვის ძალზე ცუდი შედეგი გამოიღო, რადგან პიესების ავტორი ეკატერინე II გახლდათ.

პუშკინს ბრალი წაუყენეს იმის გამო, რომ თავისი მეგობრის კაჭკაჭს უხამსი სიტყვები ასწავლა. ფრინველი დააპატიმრეს და ციხის უკანა ეზოში გაამწყვდეს რათა, მისი გინება მთელ ციხეს ესმოდა.

ბრიტანეთის საბავშვო თეატრის დასიდან მსახიობი გაათავისუფლეს იმის გამო, რომ კარგად ვერ იგინებოდა. სხვათა შორის, ის თუთიყუშის როლს თამაშობდა და გინებაც სცენარის მიხედვით ვეალებოდა.

ქალაქ კაუნასის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, დაენესებინა ჯარიმა იმ ადამიანებისთვის, ვინც ქუჩაში უწმანურ სიტყვას იტყოდა. მაგრამ საქმე ის არ გახლავთ, შეიგინებოდა თუ არა, მთავარი იყო, გინება რუსულ ენაზე არ წარმოეთქვა.

გერმანიაში ავტომოყვარულები მოძრაობის წესების დარღვევისთვის უფრო იშვიათად ჯარიმდებიან, ვიდრე პოლიციელების გინებისთვის. ეს სტატისტიკური მონაცემი გახლავთ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩოგბურთს „ჯენტლმენების სპორტს“ უწოდებენ, თამაშის დროს ყველა იგინება. უიმბლდონში იძულებულნი გახდნენ, გინების საწინააღმდეგოდ არალეგალური შტაბი შეექმნათ. „დამნაშავე“ სოლიდურ ჯარიმას იხდის.

1883 წელს, ამერიკაში სასამართლო იხილავდა საკითხს, დასაშვები იყო თუ არა, სატელეფონო საუბრის დროს გინება.




რალა თქმა უნდა, გინება აკრძალეს იმ მიზეზით, რომ სატელეფონო საუბრებს ღირსეული ქალბატონები ემსახურებოდნენ.

ლევ ტოლსტოი „იასნაია პოლიანაში“ მხოლოდ ბავშვებს კი არ ასწავლიდა, არამედ, კავკასიაში — ჯარისკაცებსაც. დიდი ხნის შემდეგ ჯარისკაცები მის გაკვეთილებს შემდეგნაირად იხსენებდნენ: „გრაფი ტოლსტოი? გვახსოვს, როგორ არა. პირველი მაგინებელი იყო. ისე შეიგინებოდა, მასეთი სიტყვები არც კი გაგვეგონა“. საქმე ის გახლდათ, რომ ტოლსტოი ცდილობდა, ჯარისკაცები გინებას გადაეჩვია, მაგრამ ვინაიდან ხანდახან, ცხელ გულზე გინება აუცილებელია, ცდილობდა, უხამსი გამონათქვამები სხვა სიტყვებით ჩაენაცვლებინა. მას არაფერი გამოუვიდა.

ვიეტნამის საზენიტო ქვედანაყოფის მეთაური იგონებდა, რომ როდესაც რუსი ჯარისკაცები ვიეტნამელ გლეხებს საზენიტო დანადგარებთან ურთიერთობას ასწავლიდნენ, ვიეტნამელები ისეთი ბეჯითი მოსწავლეები აღმოჩნდნენ, რომ მათ ნათქვამ ყველა სიტყვას, გინების ჩათვლით იმახსოვრებდნენ. შემონწყების დროს ისინი ამბობდნენ: „დიას, ბატონო გენერალო“ და გინებას მიაყოლებდნენ ხოლმე.

ქოშინდების
სიყვამულოი, ანჯამუბიი
და დაყოიქმუბლად



ოგლოზაში გახრდილი პოეტი,



უფროსი და საშუალო თაობის თბილისელებიდან ვის არ ახსოვს, რუსთაველის პროსპექტზე მოსიერნე, მოლიმარი იოსებ ნონეშვილი?! პოეტი ყველა გამეღელს უღიმოდა და თითოეულს ესალმებოდა... სიკეთისა და კაცთმოყვარეობის განსახიერება გახლდათ, თუმცა პატარაობიდანვე უშიშმეტი სვედრი არგუნა განგებამ. ალბათ სწორედ ამან განაპირობა ამ ქვეყნიდან იოსებ ნონეშვილის ნაადრევად წასვლა — განცდილ-გადატანილი დაგროვდა და გულმა ვეღარ გაუძლო... უამრავი საუცხოო ლექსი დაგვიტოვა, ზოგიც, სიმღერად იქცა და მისი ავტორის სიცოცხლეშივე მთელ ქვეყანას მოედო... იოსებ ნონეშვილს მისი ვაჟი, ბატონი ალექსანდრე ნონეშვილი იგონებს.

ლალო ესათიანის ჭაჭრის უოთოლი ღა ვიხენაშუარის სპირუნიღუნყო უთაშაშაგა

თაშუნა კვიციანი

— ჩემი დედუღეთი ბათუმშია. დედის მხრიდან ჩემი პაპა იყო დავით ფალავა, ბებია კი ლეგენდარული სილამაზის მქონე ქალბატონი — თინათინ კილაძე. მისი გაზრდილი ვარ... მამის მხრიდან ჩემს წინაპარს, მამაჩემის პაპას — ილია ნონეშვილს ერეკლე მეორისგან მამაცობისთვის ხმალი ჰქონდა მიღებული. მაშინ ეს უმადლესი ჯილდო იყო... პაპაჩემი — ელიოზ ნონეშვილი ქიზიყელი კაცი გახლდათ; კარგი მეომარი ყოფილა, მეტსახელად, მერცხალა ერქვა. მისი ნაქონი ხმალი ჩემს სახლში, კედელზე კიდია... მამის მხრიდან ბებია — მანანა ხელაშვილი გახლდათ. სამწუხაროდ, მამაჩემის მშობლები ძალიან ადრე გარდაიცვალნენ და მამა მოხუცი ანა ბებუის ამარა დარჩა. იოსებ ნონეშვილი მეექვსე კლასში იყო, როცა დედამ თბილისში ჩამოიყვანა და მას შემდეგ, აქ ცხოვრობდა. ვერაზე გაიზარდა, ვაჟთა მე-18 სკოლა (დღევანდელი 51-ე საჯარო სკოლა) დაამთავრა. მას არაჩვეულებრივი მასწავლებლები ჰყავდნენ. იოსებ ნონეშვილმა თავისი უბრწყინვალესი ლექსი — „მასწავლებელი“ სწორედ თავის პედაგოგებს მიუძღვნა. განსაკუთრებით უყვარდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვარო ვარდიანი, რომელმაც ფაქტობრივად, აღზარდა. იოსები 3 წლის იყო, როცა მამა გარდაეცვალა; მეცხრე კლასში კი დედაც დაკარგა. 30 დეკემბერს, ახალი წლის წინაღამეს მან საავადმყოფ-

ოდან დედის ცხედარი გამოასვენა... ამის შემდეგ მასწავლებლებმა ითავეს ბიჭის პატრონობა. ლამით სკოლის დარაჯის ჯიხურში ეძინა. მასწავლებლებს ენ. „ნონეშვილის სია“ ჰქონიათ — ფულს უგროვებდნენ, როგორმე თავი რომ გაეტანა. ვარო ვარდიანიშვილმა მას ყალბი ცნობა აუღო — ორი წლით ასაკი მოუმატა, რათა „კომუნისტის“ რედაქციაში მუშად მიეღოთ... მამა თავის მეშუარეში იხსენებდა — როცა უნივერსიტეტში მისალეებ გამოცდებს აბარებდა, გარეთ გამოსულ აბიტურიენტებს მშობლები სვდებოდნენ, მას კი სკოლის მასწავლებლები ელოდნენ... 1941 წელს იოსები საომრად წავიდა; კავკასიის ფრონტზე იბრძოდა, იქ დაიჭრა კიდეც. შემდეგ, თბილისში დაბრუნდა... ჟურნალების — „ნიანგის“ და „დილის“ რედაქტორად მუშაობდა; მერე გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გახლდათ. შოთა რუსთაველის სახელობის პრემია სიკვდილის შემდეგ მიენიჭა... „ნიანგის“ რედაქტორობის დროს, მამას მანქანა — კაბრიოლეტი „ბიუიკი“ ემსახურებოდა. ეს მანქანა არქაულად გამოიყურებოდა. მძღოლად, თითქმის ორმეტრიანი კაცი ჰყავდა, ტარასი ერქვა, რომელიც საქაერე მინის სიმალეს დი-

დად სცილდებოდა; თან, ენ. „ბუდიონის ულვაში“ ამშვენებდა. მამა ტანდაბალი კაცი არ იყო, მაგრამ ტარასთან შედარებით, პატარა ჩანდა. მეგობრები ღიმილით იხსენებენ ხოლმე რუსთაველზე მიმავალ კაბრიოლეტს, რომელშიც ორმეტრიანი მძღოლი და მის გვერდით, ვითომდა ტანმორჩილი იოსებ ნონეშვილი იხსდნენ...

საინტერესოა, ომის წლებზე ფრონტის ამბებზე რას გიყვებოდათ?

— მრისხანე იყო ომის წლები... ლალო ასათიანი, მირზა გელოვანი და მამაჩემი ფრონტზე ერთად წავიდნენ. სამწუხაროდ, უნიჭიერესი პოეტი — მირზა გელოვანი ამ ომში დაიღუპა... იოსების მოგონებებიდან კიდეც ერთ ამბავს მოგიტოხრობთ: მიძიმედ დაავადებული ლალო



სანდრო ნონეშვილი, დედასთან და ცოლ-შვილთან ერთად



შთაშინაველობა



თითქმის მთელი მსოფლიო მოიარეს ერთად...

ასათიანი რუსთაველზე, „ლალიძის წყლებთან“ იოსებ ნონეშვილს შეხვდა. მათი ეს, სამწუხაროდ, უკანასკნელი შეხვედრა იმ ჭადრის ქვეშ მოხდა, რომელსაც ლადომ თავისი სახელი დაარქვა... ლადოს უთქვამს: ახლა აბასთუმანში მივდივარ და აწი შეიძლება, ვერც გნახო. ამ დროს ჭადარს თურმე, ერთი ფოთოლი მოსწყდა და მხარზე დაეცა. პოეტს ეს ფოთოლი აუღია, მეგობრისთვის მიუცია და უთქვამს, — ეს ჩემგან სახსოვრად გაქონდესო. იმ ჭადრის ფოთოლი ახლაც ინახება იოსებ ნონეშვილის არქივში... ეს ამბავი დედაჩემმა გაიხსენა ერთ-ერთ ინტერვიუში; ინტერვიუ ზურაბ წერეთელს ნაუკითხავს და გასჩენია იდეა, რომ იმ ადგილას, სადაც ორი პოეტი ერთმანეთს უკანასკნელად შეხვდა, ლადო ასათიანისა და იოსებ ნონეშვილის ნატურალური ზომის ბრინჯაოს ფიგურები დაედგა... მამაჩემს მხოლოდ ფრონტზე მიღებული რამდენიმე ჯილდო ჰქონდა; სხვა არც ერთი სახელმწიფო ჯილდო, ფაქტობრივად, არ მიუღია. რატომ?.. მაგალითად, გიამბობთ სახელმწიფო პრემიის ამბავს: როდესაც ამ პრემიაზე წარადგინეს, სწორედ მაშინ, დიდი რუსი მწერალი — ბორის პასტერნაკი გარდაიცვალა და იოსებ ნონეშვილი, მეუღლესთან ერთად, თეთრი ვარდების დიდი თაიგულით მის გასვენებაში მივიდა. საბჭოთა რეჟიმისგან შერისხული პასტერნაკის დაკრძალვაზე თითქმის არავინ მისულა, გარდა რამდენიმე ახალგაზრდა პოეტისა, რომლებიც მაშინ არაფერს წარმოადგენდნენ და დასაკარგიც არაფერი ჰქონდათ; ესენი იყვნენ: ანდრეი ვოზნესენსკი, ევგენი ევტუშენკო, ბელა ახმადულინა და მიშა ქვლივიძე; მივიდა აგრეთვე, რამდენიმე უცხოელი ჟურნალისტი. ამის შემდეგ, მამას აბა, რა პრემიას მისცემდნენ, თავად მოგვხსენებთ... 1979 წელს ანდრეი ვოზნესენსკიმ „ლიტერატურაშია გაზეტა-

ში“ დაბეჭდა დიდი სტატია, სადაც წერდა: მე შევიცანი ქართული პოეზია იმ უზარმაზარი თეთრი ვარდების თაიგულით, რომელიც იოსებ ნონეშვილმა ბორის პასტერნაკს მიართვაო... ასე რომ, მას სიცოცხლეში არც ერთი ჯილდო და პრემია არ მიანიჭეს. თუმცა მთავარი, უმაღლესი ჯილდო — ხალხის სიყვარული უხვად მოიხვეჭა...

— იოსებ ნონეშვილის ოჯახში ალბათ, ბევრ ხელოვანს შესვენდრხართ და შთაბეჭდილებებიც შემოგროვობდათ. ამასთანავე, მაინტერესებს — მამათქვენს მეგობრების შვილებთან თუ გაქვთ ურთიერთობა, თუ მეგობრობთ?

— მამას მართლაც, უამრავი მეგობარი ჰყავდა: იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი, ნოდარ დუმბაძე... მისი უახლოესი მეგობარი იყო პოეტი რევაზ მარგიანი. მამა ძალიან არაპუნქტუალური იყო, ყველგან აგვიანებდა. ერთხელ ნონეშვილმა და მარგიანმა თვითმფრინავზეც დაიგვიანეს და ეს ორი დიდი პოეტი სწორედ ამ დაგვიანებამ გადაარჩინა: ის თვითმფრინავი, საუბედუროდ, ავიაკატასტროფაში მოყვა... გულითადი მეგობარი ძალიან ბევრი ჰყავდა, მეგობრობდა მუსიკოსებთან, დირიჟორ ვახტანგ ფალიაშვილთან, კომპოზიტორებთან — დავით თორაძესთან, რევაზ ლალიძესთან. ჩვენთან სტუმრად ხშირად მოდიოდა გალაკტიონი. მაშინ პატარა ვიყავი, რატომღაც, წვერიანი გალაკტიონი თოვლის პაპა მეგონა და ყოველ მოსვლაზე ვთხოვდი, საჩუქარი მიმეცა ჩემთვის... რა თქმა უნდა, ბევრი მათგანის შვილთან მაკავშირებს ურთიერთობა. ნოდარ დუმბაძის, ელგუჯა მალერაძის, ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის შვილები ჩემი მეგობრები არიან. ასევე, ვმეგობრობ დავით თორაძის შვილთან — ლექსოსთან, ჯანსუღ კახიძის ვაჟთან — ვატო (ვახტანგ) კახიძესთან და სხვებთან.



30-მდე ქალბატონს აქვს ჩემთვის ყურში ჩაჩურჩულებული, — ეს ლექსი იოსებმა მე მომიძღვნაო...

— იოსებ ნონეშვილის სატრფიალო ლირიკის მუზა ალბათ, მისი ულამაზესი მეუღლე — ქალბატონი მედეა იყო. გვიამბეთ თქვენი მშობლების ურთიერთობაზე.

— რასაკვირველია, ლირიკული ლექსები იოსებ ნონეშვილმა დედაჩემს მიუძღვნა. დედა მართლაც, ლეგენდარული სილამაზის ქალი იყო. ისინი 1950 წელს დაქორწინდნენ; მაშინ დედაჩემი 16 წლის იყო... ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: 1956 წელს მამა და დედა ინდოეთში გაემგზავრნენ. გაზეთში პირველ გვერდზე, დიდ ფოტოსთან ერთად, გამოქვეყნდა ინტერვიუ დედაჩემთან და ბოლოს, სადღაც, ერთ პნკარში ეწერა, რომ ამ მშვენიერ ქალბატონს თან ახლდა ქართველი პოეტი, იოსებ ნონეშვილი!.. 1960 წელს ამერიკაში იყვნენ ჩასულები. პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერის ხელმოწერით, დედამ მიიღო ოფიციალური წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მას დიდი სიამოვნებით მიიღებდა მუდმივად საცხოვრებლად... ჩემმა მშობლებმა თითქმის მთელი მსოფლიო მოიარეს ერთად... აქვე იმ ცნობილ ფაქტსაც გავიხსენებ, რომ იოსებ ნონეშვილის პოეზიის ერთ-ერთი შედეგური — „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“ — მან მანამდე დანერგა, ვიდრე დედაჩემს გაიცნობდა. მამას ვერაფრით გამოვტყუე — ვის მიუძღვნა ეს ლექსი; როცა ვკითხებოდი, ელიძებოდა. დაახლოებით, 30-მდე ქალბატონს აქვს ჩემთვის ყურში ჩაჩურჩულებული, — ეს ლექსი იოსებმა მე მომიძღვნაო...

— როგორი მამა იყო იოსებ ნონეშვილი? როგორი ურთიერთდამოკიდებულება გქონდათ?

— მამას ჩემთვის, ხმამაღალი სიტყვაც კი არასდროს დასცდენია. მისი მოთხოვნა იყო, მეცხოვრა ისე, როგორც თვითონ ცხოვრობდა. ძალზე მეგობრული ურთიერთობა გვქონდა... მასსოვს, ერთხელ, ფიზიკის მასწავლებელმა კლასში რამდენიმე მოსწავლეს „საშემოდგომო“ გამოგვაყოლა. ჩვენ, პროტესტის ნიშნად, სკოლის ეზოში დიდი მუშაობა გავაჩაღეთ: მოვიტანეთ ხის ძელები, მუყაოს დიდი ფირფიტები, საღებავები... ეზოში პიონერთა ხელმძღვანელი გამოვიდა და გვკითხა, რას აკეთებთო? ვუპასუხეთ, რომ ლენინის 100 წლისთავთან დაკავშირებით, პლაკატებს ვამზადებდით. მასწავლებლებს ძალიან გაუხარდათ, დიდი კმაყოფილება გამოხატეს. ბოლოს და ბოლოს, ეზოში დიდი კონსტრუქცია ავაგეთ, რომელზეც ვებერთელა ასოებით ეწერა: „გაუმარჯოს საბჭოთა ფიზიკის მასწავლებლებს!“ შემდეგ ამ კონსტრუქციას დემონსტრაციულად ცეცხლი წაუკვიდეთ და გარშემო „ხორუმი“ ვიცეკვეთ... ეს პოლიტიკურ დანაშაულად შეგვიფასეს და „გაგვაცი-

მბირებდნენ“, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სკოლაში იოსებ ნონეშვილი რომ არ მოსულიყო. მან 5 წუთში მოავარა ყველაფერი. დატუქსა ისინი, ვინც ჩვენს „გაციმბირებას“ აბირებდნენ... სახლში რომ დავბრუნდი, კმაყოფილ დიმილზე შევატყვე, ჩვენი ეს აქცია მოეწონა... პროფესიის არჩევის დროს მკითხა, — შენ რა გინდა, რომ გამოხვიდეო? მისი ერთი ზარიც კი საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ კომპაგუმირის ცუკას მდივანი ან რალაც მაგდაგვარი გავხდარიყავი, მაგრამ მე ძალიან თავდაჯერებულად ვუპასუხე: — ისტორიის ფაკულტეტზე მინდა ჩაბარება, არქეოლოგი უნდა გამოვიდე-მეთქი. მაშა ჩემი გადაწყვეტილებით ძალიან კმაყოფილი დარჩა.

— მერე, როგორ აენყო თქვენი პროფესიონალური ცხოვრება? აღმოჩენის თვალსაზრისით, თუ გამოარჩევთ რომელიმე არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელშიც მონაწილეობდით და ამჟამად, რას საქმიანობთ?

— მერწმუნეთ, უსახური კერამიკის ფრაგმენტიც კი ისეთივე მნიშვნელოვანია არქეოლოგისთვის, როგორც ძვირფასი ოქროს ნივთი, რომელიც არაერთი ყოფილა ჩემს პრაქტიკაში. ასე რომ, პირადად მე, რომელიმე აღმოჩენას ვერ გამოვყოფ. ბავშვობაში ვამბობდი, — თამარ მეფის საფლავი უნდა ვიპოვო-მეთქი... არც ერთი წუთით არ მოვწყვეტივარ არქეოლოგიას. ჩემს პროფესიას უამრავ სხვა საქმესაც ვუთავსებ. 14 წელი სახელმწიფო სამსახურში ვიყავი. იტალია-საქართველოს მეგობრობისა და თანამშრომლობის ასოციაციის გენერალური დირექტორი გახლავართ. ჩემთვის ქართულ-იტალიური ურთიერთობები განსაკუთრებული პრიორიტეტია. ვარ აგრეთვე, რამდენიმე გამოცემის რედაქტორი და მხარდამჭერი, 50-მდე სამეცნიერო ნაშრომისა და 3 მონოგრაფიის ავტორი. ამჟამად, მე და პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე „კულტუროლოგიის“ ახალ სახელმძღვანელოზე ვმუშაობთ.

— ლექსის დანერა არ გიცდიათ?

— არა. ქართველის ბუნებაში არის ასეთი თვისება — ყველაფერში პირველები უნდა ვიყოთ... მე მამაჩემზე უკეთეს ლექსს ვერ დავწერ და მეორე პლანზე ყოფნა არ მინდა...

— მამათქვენს პოეზიიდან რომელი ლექსები გიყვართ გამოირჩეულად?

— სამი ლექსი მიყვარს განსაკუთრებით: „ათენში, ბაირონის ძეგლთან“, „ვიყოთ გულლია“, „ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი“.

— ცნობილია, რომ ბატონი იოსები საუცხოოდ კითხულობდა საკუთარ ლექსებს, რაც იშვიათობაა. თუ გაქვთ სახლში პოეტის მიერ წაკითხული ლექსების ჩანაწერები?

— 2010 წელი — იოსებ ნონეშვილის საიუბილეო წელია და მინდა, მისი საბავშვო ლექსების კრებული გამოვუშვა, ასევე — საარქივო მასალების პირველი ტომი, რომლის მომზადებაც დედაჩემმა დაიწყო, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ დაასრულა. ჩემს მეგობარ მერაბ სეფაშვილთან ერთად, მინდა გამოვცე კრებული, რომელშიც იოსებ ნონეშვილის ლექსებზე დაწერილი, პოპულარული სიმღერების ნოტები და კომპაქტ-დისკი შევა.

— ახლა ცოტა რამ იოსებ ნონეშვილის შთამომავლებზე — თქვენს ოჯახზეც მოგვიყვით.

— ჩემი ოჯახი მრავალრიცხოვანი არ არის; და-ძმები არ მყავს, დედისერთა ვარ. ჩემი მეუღლე, თამარ კოლუაშვილი წარმოშობით ქუთაისიდანაა და ძალიან ამაყობს ამით. მისი საყვარელი ხუმრობაა: კახელს ჰკითხეს, — რა განათლება გაქვსო? — და მან უპასუხა, — ორჯერ ვარ ქუთაისში ნამყოფიო... თამარი თბილისში დაიბადა და გაიზარდა. ჩემი სტუდენტი იყო. ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობა 15 წელია, ასევე 15 წელი იყო სხვაობა ჩემს მშობლებს შორის... მყავს 2 შვილი — 18 წლის საბა და 12 წლის მარიამი. საბა ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი. ჩვენი სახელგანთქმული კალათ-




მედეა ფაღავა ინდოელ მსახიობ რაჯ კაპურთან და მის მეუღლესთან ერთად

ბურთელის, ნიკოლოზ დერიუგინის გუნდის ცენტრალური თავდამსხმელია, თან — ჯაზმენიცაა, კარგად ხატავს, წერს კინოსცენარებს და ესეც საკმაოდ კარგად გამოსდის... მარიამი ივანე ჯავახიშვილის სახელობის 53-ე სკოლის მონაწილე და მაკა მახარაძის საბალეტო სტუდიის მოცეკვავეა.

— დაბოლოს, პოეტის სახლ-მუზეუმის შესახებ გკითხავთ. ცნობილია, რომ იოსებ ნონეშვილის სახლ-მუზეუმში კარდანახში გამოირჩეულად მოგელლია; ვის უნდა ვუმადლოდეთ ამას?

— როცა მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ, კახეთიდან ჩვენთან ჩამოვიდნენ და პოეტის უკვდავსაყოფად გამიზნული ღონისძიებების გრძელი ნუსხა შემოგვთავაზეს, მე და დედა ამას კატეგორიულად შევეწინააღმდეგეთ; არ გვინდოდა გრანდიოზული სახლ-მუზეუმები, ძეგლები, მემორიალური დაფები... ისტორიკოსი გახლავართ და ვფიქრობ, რომ შემოქმედის სათანადოდ შესაფასებლად, მისი გარდაცვალებიდან მინიმუმ, 25 წელი უნდა გავიდეს და უნდა გაიზარდოს ახალი თაობა, რომელსაც იოსებ ნონეშვილი არ უნახავს, არ იცნობდა და თუ ამ 25 წლის შემდეგ, იოსებ ნონეშვილი იქნება ისევ დაფასებული, ისევ საყვარელი, ისევ მისაღები ქართველი საზოგადოებისთვის, მაშინ უნდა გაკეთდეს ყველაფერი... და იოსებ ნონეშვილის შემთხვევაში ასეც მოხდა... ■



იყიდება აპოსტოს ნომერი

თქვენ სოც გაოვნებიანი აკითხველი ბრკანდავით...

ერთი ვინმე ყაფლანისძე



პაპა გიგაშვილი

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება
შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

ყაფლანისძის „მერსედესი“ შათირიშვილების სახლთან გაჩერდა. ზეინაბმა მიიხედ-მოიხედა, აღმოაჩინა, რომ თავის სახლთანაა და გადმოსასვლელად მოემზადა. რალაც აზრი დაებადა და ღია კარში ფეხგადმოდგმული დარჩა.

— იცი, რას ვფიქრობ? იორამს უნდა ვუთხრა, — სიტყვა განწყვიტა, ამოტივტივებულმა ფიქრმა თავადვე გააკვირვა, თვალი გაუშტერდა...

„ვაი! — ფიქრობდა. — მთელი დღე ისე ვიგრიალე, იორამი ერთხელაც არ გამხსენებია! აზრზე ხარ! აი, ახლა...“ — თავი გადააქნია და სათქმელი გააგრძელა:

— იორამს უნდა ვუთხრა, რომ ეს ფული თქვენში ავიღე!

— ეგ შენი საქმეა, მაგრამ რაში გჭირდება? გადააშენე, ეგ თქვებია თუ რალაცა... იმ სალონის ქალებმა ზილონ, ეგ რა შენი საქმეა?

— მაშ, რა არი ჩემი საქმე?

— თეთრ იახტაზე ჯდომა და ადრიატიკასა და ეგეოსზე გრიალი! დუბროვნიკი! იცი, დუბროვნიკი?

— დუბროვნიკი არ ვიცი... ეგეოსის კუნძულები ვიცი!

დასაწყისი იხ. „გზა“ № 18-32

— რა, ყოფილხარ?

— კი, ოცნებაში! — მწარედ ჩაილაპარაკა ზეინაბმა. — იყო თავის დროზე ეგეთი ცისფერი ოცნება... იორამის წიგნთან დაკავშირებული... მივლინებაში... ერთი თვით მივდიოდით... მამამისმა ჩაუნყო...

— მერე?

— მერე... უცებ კაგებემ უარი გვტყვიცა და დამთავრდა...

დუმილი ჩამოვარდა. ნოდარმა მანქანიდან რალაც პაკეტები გადმოიღო და კარი მიკეტა.

— ეგ რა არი? — იკითხა ზეინაბმა.

— რამერუმე სასუსნავი წამოვიყოლე. რო გაიღვიძებ და რალაც მოგინდება... აახრიგინებ შენს ცარიელ მაცივარს... რა უნდა ქნა?

— ვაა, კაცო, ნაბიჯი ვერ გადაამიდგამს! საითაც ფეხი გადავადგი, ამ კაცის საჩუქრებს წამოვკარი!

— მაგაზე უარესზე ნურაფერზე წამოგვკრას!

უკვე კიბეზე ადიოდნენ. ზეინაბი შედგა, მოიხედა.

— შენ რა, ამოსვლას აპირებ?

— ჰო, რა მოხდა? ერთი ყავა დამალევივინე, მაგარი „მოკა“ წამოვიღე. კიდე ის მაინტერესებს... შენი მამამთილის კაბინეტი... ერთი აზრი გაჩნდა, სახლ-მუზუუმის ვარიანტზე...

— რა დროს ეგვე... — ზეინაბმა წაიფორხილა და სიტყვა გაუნყადა. ნო-

დარმა ხელი შეაშველა, პაკეტები სახელურებით წამოიწვა ცალ მკლავზე, ქალს ორივე ხელი დასტაცა და ერთი მარშით აარბენინა.

— შენ რა, ლიფტობასაც კისრულობ?

— ნაწყვეტებად ლულულელებდა ზეინაბი.

— მაშ, აბა, როგორ!

...ფეხბრეული დაბორილებდა ზეინაბი სამზარეულოში, როგორც იქნა, ჯვრზე აღმოაჩინა, ყავის ჩაყრა დაიწყო, მაგრამ სხვა რალაც გაახსენდა და ყავა მიატოვა.

— ჰო, კაბინეტიო, ხო?

— ჰო, ცალკე შესასვლელი თუ... — ნოდარი მიხვდა, რომ ზეინაბს მისი აღარ ესმოდა, მექანიკურად მიბარბაცებდა. კაბინეტის კართან წამოენია და ორივე ხელით ჩაბლუჯა და ასე ჩაბლუჯული შეიყვანა კაბინეტში.

— მოიცა... — წაილულულა ზეინაბმა, ხელი ჰაერში გაათარა, ელდენის ლილავს ეძებდა ინსტინქტურად.

ნოდარმა ერთი ხელის მოსმით შემოაფტქენა კოფთა და შიშველ მხრებზე დააცხრა ტუჩებით, კბილებით... გადავიდა ყელზე, ტუჩებზე...

— რას... — აღმოხდა ზეინაბს. — რას გაგ... — და სუნთქვა შეეკრა პირში შეჩრილი ნოდარის ენისაგან. ფრჩხილებით ებღღვნა სახეში, ჩამოლადრა, აიძულა, გაერიდებინა ცხვირ-პირი, ჩამოახია პერანგი და სახის დასაცავად თავდალულს აგლეჯდა ტყავის ნაფლეთებს კეფიდან, კისრიდან, ბეჭებიდან, მაგრამ ის ამას თითქოს ვერც გრძნობდა, ისე ბურჯგინდა და გრეხდა ქალის სხეულს, წაშში შემოაფხრინა ქვედატანი ტრუსიანად და შიშველ ლაჯში ამოღებული ხელით ცდილობდა ცალი ფეხის ზემოთ აგრეხას. გადაანგრის გრძელი, დაბალი მაგიდა და უკვე ძირს, ხალიჩაზე მიდიოდა ბრძოლა-სხმარტალი მოფანტულ ყურნალებზე. ზეინაბი ცოფიანი კატასავით იკლავებოდა და იკბინებოდა, კბილებით შემოაფლითა პერანგი და კბენდა, რასაც კბილებით მისწვდებოდა, — მკერდს, კისერს, მხრის-თავებს. ეს კბენა-ფხოჭნა კიდეე უფრო ახელებდა ნოდარს. თავად ქალის გაავებულ-გააფთრებული კბენა ერთიკულ გახელებასაც წააგავდა რალაცით. ნოდარი უკვე ზედ იყო მორგებული ფეხებგადაგრეხილი ქალის სხეულზე. ზეინაბს სასონარკვეთილი — „ააჰ!“ აღმოხდა, თითქოს ყელი გამოსჭრესო და ერთხელ კიდეე წააფრინდა კბილებით ნოდარს ყელის ძირში. ქალის სხეული ისეე იბრძოდა და სხმარტალებდა, მაგრამ ეს ხელს უფრო უწყობდა ნოდარის საქმეს, ვიდრე უშლიდა. გაისმა გრძელი კვილი და ზეინაბი უცებ მოიჩვარა, ეგდო უსიცოცხლოდ. ნოდარმა თავისი გააგრძელა, მერე წამოდგა და ისეე ხარბი სიამოვნებით დაჰყურებდა ქალის შიშველ სხეულს. გაიცინა.

— მაგარი მთვრალია... გაითიშა... თორემ დილაამდე იომებდა... კაი ომი იყო! აუ, რა კატაა, ბიჭო!

ხელი დასტაცა და საძილეში გაიყვანა,

ლოგინი გადმონაგრია და ჩაანვინა. თვი-
თონაც გვერდით გაიშოტა და რამდენიმე
წუთში გაითიშა. გულაღმა ჩაეძინა, ხვრი-
ნავდა და სროტინებდა...

თავისმავ ხროტიწმა გამოაღვიძა, უცებ
წამოჯდა და თავი აქეთ-იქით დაატრია-
ლა. მერე მოიშორა ნახევრად შემოგლე-
ჯილი ტანსაცმელი და მთლად შიშველმა
თავისკენ მისწია გათიშული ქალი.
ამჯერად ნელა, დაგემოვნებით ეაღერსე-
ბოდა ტუჩებით და ხელებით, ყვრი-
მალედიდან ფეხის კოჭებამდე და გან-
საკუთრებით ლაჯებს შორის. ამაზე ზეინ-
აბმა გამოუფხიზლებლად უპასუხა ნელი
მოდრაობით და ნოდარი მამინვე ზედ
მოერგო, ნელა დაიწყო, თანდათან, დაყ-
ოვნებით შედიოდა სიღრმეში. ქალის
სხეულიც პასუხობდა თანაბრ რიტმში.
უცებ ნოდარი გამხეცდა და მთელი ძალით
მისცხო და მისცხო. ქალიც აჰყვა, ორივე
ხელი მაგრად შემოაჭდო მამაკაცს
თეძოთავეზე და უპასუხა და უპასუხა.
ნოდარმა ღმუილით დაამთავრა... ქალ-
მაც... მაგრამ თვალი ახლაც არ გაუხელია,
ისე, ნეტარი სახით გადაბრუნდა გვერ-
დზე, მკლავები რაღაცნაირად, შოლტე-
ბივით გადაიქნია და ისევ ღრმა ძილში
ჩაიძირა. ნოდარი ზედ დასწერებოდა. ქალს
სახეზე ისეთი ნეტარება აღბეჭდვოდა,
როგორც ეს-ესაა ძუძუთი გამაძღარ
ჩვილს. ნოდარი წამოდგა, ისევ ზედ და-
სწერებოდა... ხმაშალდა წაიბურტყუნა:

— ამ ჩემისას ვინმე სხვად ხო არ დავ-
ესიზმრე?!

გატრიალდა და საბაზანოში შევიდა,
შხაპი ააშხრილა. მერე პირსახოცშემოხ-
ვეული გამოვიდა სამზარეულოში და მა-
ცივარს ებღღუნა, შამპანურის ბოთლი გამ-
ოიღო, მოიყუდა და დიდი ხნის მოწ-
ყურებულებით ყლოურნა და ყლოურნა,
ჩაანახევრა... აააჰო, ამოიღმუვლა და მაგ-
იდაზე დაყრილ პაკეტებს ეცა. მთელ-მთელს
ახრამუნებდა შემწვარ თევზს, მერე მინის
ქილას ხუფი მოხსნა, სუფრის კოვზით
ამოიღო ნითელი ხიზილალა, შოთს წვერი
წაატყა, ჩაკბიჩა, პირდაპირ კოვზით შეაყ-
ოლა ხიზილალა. მერე დაჯდა, ზუთხის
დიდ ნაჭრებზე ტუბიდან ჭარხლით შე-
ვარდისფერებულ პირშუშას ასხამდა და
პირში იტენიდა, ხშირ-ხშირად აყოლებ-
და ღვინოს, პირში მუ-
ჭით იყრიდა კურკაგა-
მოცლილ ზეთისხილს.

იჯდა. აბოლებდა სი-
გარეტს, სახე კი კმაყ-
ოფილი, ალგზნებული
და აგრესიული ჰქონ-
და.

— უუჰ, კაია! ათჯერ
გაგხევ, ოღონდ უნდა
გაიღვიძოს! თვალბში
მიყუროს და ისე გაათ-
ავოს! — წაიბურტყუტა
ხმაშალდა. ადგა, სიგა-
რეტიტ პირში წავიდა,
გზაზე პირსახოცი
შემოიხსნა და მიაგდო. ისევ საძილეში
შევიდა.

...დილა იყო, თუ უკვე შუადღეც. თხელ
ხალათში გახვეული, თმაგანწილი ზეინა-
ბი სამზარეულოში დაბორილებდა, სახე
გაფითრებული ჰქონდა, თვალები გაფარ-
თოებული, რაღაცას ეძებდა უჯრებში.
„ციტრამონის“ პაკეტი ამოიღო და ამ დროს
წელამდე შიშველი ყაფლანიშვილი შემოვი-
და, ხელში რაღაც მაისურებს ატრი-
ალებდა, სინჯავდა. ზეინაბი გაშტერებუ-
ლი მიაჩერდა.

— შენ აქ ხარ?!

— აბა, აქ არ ვიყავი, მთელი ღამე?
თუ შენ სხვა გეგონე? — ირონიულად
გაიღრჩხა ნოდარი.

— არა... ჰო... არ ვიცი... — არეულად,
გალიზიანებით ლაპარაკობდა ზეინაბი, პა-
კეტი გახია, აბი პირში ჩაიღო, მაცივარი
გამოაღო. — რა არი... თავი მისკდება...
— მაგას პახმელია ჰქვია...

— რა არი... წყალი არაა? — მაცივარ-
ში ბოთლებს აჭახუნებდა ზეინაბი.

ნოდარი მივარდა, საყინულედან შამ-
პანურის ბოთლი დააძრო, უცებ გახსნა.

— წყალი არ გიშველის... გაყინული
შამპანური! — ფუფერი გაავსო, კოვზით
მოურია და მიაწოდა. — ესაა მაგისი
წამალი!

— ჰოო... — მექანიკურად გამოართვა
ზეინაბმა, პირში ჩადებულ აბს ყლოური დააყ-
ოლა, ეტყობა, ესამოვნა და დიდი ყლო-
ში გააკეთა, ფუფერით ხელში ჩამოჯდა
მაგიდასთან, ნოდარს მიაჩერდა, რომელ-
იც გრძელსახელოებიან მაისურს იზომებ-
და.

— რას შვრები?

— მაისური შევარჩიე, პერანგები არ
ჩამეტია. ჩემი კიდე, აგე! — აჩვენა სკამზე
მიგდებულ, დაფლეთილ პერანგზე. — შენი
კბილეთის ნახელავია! აი! — აჩვენებდა
ნაკბენებს ყელზე, მკერდზე, მხრებზე... ნაფხ-
აჭნებს ყვრიმალზე, შუბლზე...

ზეინაბს სახეზე რაღაც ტკივილისა და
ზიზღისმაგვარმა გადაუარა. შამპანური
მოსვა, თვალები საღლაც გაუშტერდა,
უმისამართოდ. მერე ალაპარაკდა ნაწყვეტ-
ნაწყვეტ, არეულად... კაცი ვერ გაიგებდა,
თავის თავს მიმართავდა თუ ვიღაც სხ-
ვას, იქ არსებულს...

— ჩემი ბრალია ეს ჩაძირვა... ჩაძირვა!
ვერ გავაჩერე... ვიფაფხურე... ვიფაფხურე

უნიჭოდ! არა! არ გამოვიდა... არაფერი...
რატომ? ყველაფერი... ტლაპოში... იგრი-
ბი... იკლავნები... და იძირები...

უცებ სახე გამოუფხიზლდა, თვალები
აენტო და ანუელი გონით, გადაბმულად,
აგრესიულად განაგრძო:

— ყველაფერი! ყველაფერი, რაც მე
მიყვარდა, მომწონდა, მწამდა, პატივს
ვცემდი, მუამყებოდა, — უცებ ტლაპოში!
მერე ნელა-ნელა იძირები... არ გჯერა...
როგორ, რატომ?! შეუძლებელია! მაგრამ
არა, ჩაძირვას ვერ აჩერებ! ისტერიკამდე
მიდიხარ... ვეღარ უძლებ! ნუთუ ეს სწო-
რია? ნუთუ ის ყველაფერი, ის სამყარო,
რასაც ჰქვია იო, უნდა ჩაიძიროს, გაქრეს?
ნუთუ ასეა საჭირო? ვისთვის? რისთვის?
ნუთუ ესაა, ღმერთო, შენი სამართალი?!

— გახსოვს, ერთხელ რო გითხარი, —
მოულოდნელად ჩაერთო ნოდარი, — სა-
მართალი ღომების მხარეზეა! ეგ ღვთის
დანესებული კანონია და ღმერთს ეკითხ-
ები? თუ ღმომბა არ შეგიძლია, შეგჭამენ
და ნურც გაგიკვირდება და ნურც გენყ-
ინება, გესმის?! თვითონ ღომსაც, თუ ღო-
მობა აღარ შეუძლია, გიენები და ტურე-
ბი შეჭამენ! არ გინახავს ტელევიზორში?
დოკუმენტური, ღამის გადაღება... აუჰ,
რა გადაღებულია!

ზეინაბმა მისკენ მოიხედა:

— მაგარი განათლება გაქვს მიღებუ-
ლი „დისქავერიზე“, გეტყობა! აფერუმ
„დისქავერი“! რა მონაფეები ჰყავს!

— „დისქავერი“ რაღა დაგიშავა? —
გაციცინა ნოდარმა.

ზეინაბმა არ უპასუხა. შამპანურს სვამ-
და და ისევ საღლაც იყურებოდა, თითქოს
თავისთვის ლაპარაკობდა:

— შენ რა, ბიოლოგიური იმპულსით
მოქმედებ... გარშემო ყველას დათრგუნ-
ვა, ჯობნა, გაქვლავა... სადაც გაგივა, რა
თქმა უნდა... ბევრგანაც გაგდის! მეც მა-
გში მოვყევი... ჩემი ბრალია! დამიანვალი-
და ამ უმწეობამ და ავიწყვიტე... გავ-
გრიალდი! ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

ნოდარი ყბაჩამოვარდნილი უყურებ-
და. ზეინაბი გაჩუმდა, ყლოუბით სვამდა
შამპანურს, მერე თქვა:

— ახლა რაღა? ყველაფერი საბოლოოდ
ჩაიძირა ტლაპოში... მორჩა... ახლა სუ-
ლერთია... აღარაფერს აღარ აქვს მნიშ-
ვნელობა...

უცებ ნოდარს გახე-
და და კატეგორიულად
განაცხადა:

— მე ნაშინდარში
აღარ ჩავალ!

ნოდარი აფორიაქ-
და.

— ეგ არ შეიძლება!
ახლა არ შეიძლება! არა,
ხვალ და ზეგ კი არ ვამ-
ბობ! გინდაც ორი
კვირის შემდეგ... უნდა
მოახერხო! საქმე რო
დამთავრდეს, — და
საზგასმულად დაამატა:

— იორამისთვის გეუბნები... საქმე რო
დაამთავროს... მერე ბევრი რამის გაკეთება



შეიძლება! სახლ-მუზეუმი! ნიგნის დაფინანსება! საზღვარგარეთ მუშაობა დიდი ხნით! მერე ჩვენს საქმესაც მოვაგვარებ...

ზეინაბი დაკვირვებით უყურებდა სახესი და უთხრა:

— „ჩვენ“ აღარასდროს ახსენო! და შენ გგონია, იორამი შენგან რამეს მიიღებს?

— ვაჰ! — შესძახა ნოდარმა, მერე უცებ მოწვა სიტუაცია და სასწრაფოდ დაუთანხმა: — ვიცი, ვიცი, ეგ მოხერხდება! ეგ ისე გაკეთდება, რო არავითარი... გესმის? ყველაფერს გავაკეთებ!

ზეინაბი იჯდა დაძაბული მზერით, ფიქრობდა... სწონიდა იორამისათვის სასიცოცხლო შანსის შესაძლებლობას... მერე ჩაილაპარაკა:

— კარგი, რალაცა დროის შემდეგ! როგორც მოვახერხებ... არ ვიცი... იორამის საქმისათვის... — და ცივად დაამატა, — მე იმ საწოლში აღარ ჩაწევები... იორამს არ ვაკადრებ...

ნოდარმა უხეშად გადაიხარხარა:

— ჩანვები, თორე იმანაც არ დაგანგრიოს! ვა-ჰა-ჰა!

ზეინაბი ცოფიანივით წამოიჭრა, მზერა გაანჩხლებული ავაზისა გაუხდა.

— შენ მაგ ღორობას შეეშვი! შენი პირუტყვიანი აზრები! აღარ გაბედო, თორემ...

ნოდარი ინერციით განაგრძობდა სიცილს:

— თორემ რა? — მაგრამ ქალის მზერას რომ წაანყდა, უცებ აირია და აწრიალდა. — ბოდიში, ბოდიში, არ მინდოდა, წამომცდა! როგორც შენ იტყვი, ისე იქნება!

ზეინაბმა გაიარა, სიგარეტის კოლოფი მონახა, გააბოლა. თვითონ დაისხა შამპანური დაცლილ ფუფერში და მოყლუპა. ნოდარმა შავ მაისურზე თავისი თხელი პიჯაკი მოიცვა, იარაღი თავის ბუდეიანქამრიანად ცელოფანის დიდ პარკში გაახვია.

— სახლში უნდა შევიარო, მოვწესრიგდე. ერთ ვაჟინ კაცთანა მაქვს შეხვედრა... — თითი ზემოთ ასწია.

— ვინმე ლომთან, ვისთანაც შენ ტურა ხარ?!

— აბა, ეგეთები! — ინსტინქტურად წამოიქოჩრა ნოდარი.

— რა იყო, შენ თვითონ არ აჩვენე თითით? ჰო, კარგი! ისე გადი, არავინ დაგინახოს... აქ აღარ მოხვიდე! არც გამოიხარო მაგ მანქანით...

— სწორი ხარ! — უცებ დაეთანხმა ნოდარი, — არც მე მანქანას... დაგირეკავ! ნოდარი გავიდა. ზეინაბმა დიდი ჯეზუვე გადმოიღო, ყავის ხარშვას შეუდგა, თან



სიგარეტს აბოლებდა, ჩაწყურებდა ყავის ბუშტიუკებს და თავისთვის ლაპარაკობდა:

— იორამს ჩემთან აღარ უნდა! მე რა ვიცი, რატომ! მე შეგვიზოდი, საერთოდ ყველაფერი შეზიზღდა? ეს ცინცხალი, გონებაშეშლილი, ყველაფერში ნიჭიერი კაცი... ყველაფერში მოხდენილი კაცი... სირბილესა და გულისხმიერებაშიაც მოხდენილი... როგორ მოასწრო და როგორ წაიშალა? რატომ? ესე იგი, არ იყო ყველაფერში ნიჭიერი? ვერ აღმოჩნდა გორილობაში ნიჭიერი? ნეტა შვილი რომ გვყოლოდა, როგორ იქნებოდა? უკეთესად? მეტი ბრძოლის უნარი აღმოაჩნდებოდა თუ პირიქით? პატარა, იორამისნაირი ბიჭი რომ გვყოლოდა...

თვალეები ცრემლებით დაბებრა. ყავას ურევდა და ურევდა კოვებით, სანამ არ გადმოუვიდა. გადმოიღო და დიდ ფინჯანში გადმოისხა. ლაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლი, ჩასდიოდა შამპანურიან ფუფერში და მერე ყავიან ფინჯანში.

— ააჰ! — ყვირილივით აღმოხდა ოხვრა. ეცა და სიგარეტს მოუვიდა, თითქოს საშველს მოეჭიდაო. გააბოლა... განაგრძობდა ხმამაღალ ლაპარაკს...

— მაშ გორილებსაა ქვეყანა? ამათ უნდა იხმარონ, დაღეჭონ, დაჭეჭყონ და გადაყარონ ყველაფერი, სხვების ნიჭითა და სიყვარულით გაკეთებული? ვინც აკეთებს, იმას ტაციობისათვის არა სცალია... გორილებს კიდე ტაციობის მეტი საქმე არა აქვთ და ამიტომ მოგებულები რჩებიან... და ესაა ღვთისაგან დაწესებული? მსეცების მაგალითზე? ამის დაჯერება როგორ შეიძლება? არადა, ასე რომ ხდება? ასე ხდება... ასე ხდება... ასე ხდება, საითკენაც გაიხედავ! ლმერთო!

წამინდრის სათავადო ეზოში იორამი

და ბებერი პეტრე შევიდნენ. ცოტა ფეხი ერეოდა ორივეს, კაი ნასვაშები ჩანდნენ...

— მოდი, ერთხელ ჩემთანაც დაგხედეთ სუფრაზე! კარგი ღვინო მაქვს, კახური წარაფი, ნოდარის ჩამოტანილი...

— ეპატიჟებოდა იორამი.

— მე ჩვენს ღვინოზედაც კარგადა ვარ... რა ვი, მაგ წარაფისა!

— მოდი, მოდი! თან რალაცებს გაჩვენებ! იქნებ უფრო გაიხსენო...

...ოთახში შეიყვანა და პირდაპირ თავის სამუშაო მაგიდასთან დასვა. პეტრე დააჩერდა მაგიდაზე გამწვანებულ ძველ გაზეთებს, ქალაღდის დასტებს, ფოტოგრაფიებს და თქვა:

— ვაჰ, ე რანაირი სუფრა გქონია!

— სუფრაც იქნება! აბა, მოდი, ჯერ რალაცებს გაჩვენებ, იქნებ რამე გეცნოს...

დაიწყეს თვალყურება გაზეთებში დაბეჭდილი და ცალკე, მუყაოზე დაწებებული ფოტოებისა. ეს იყო კალენდოსკოპი საუკუნის დასაწყისის, 1900-დან მოყოლებული ყოფა-გარემოსი... თბილისი, გოლოვინის პროსპექტი, მეფისნაცვლის სასახლე, მაიდანო, ფაეტონები, კონკა, სასტუმროები უცხოური, ეგზოტიკური, გაპრანჭული სახელებით („ელდორადო“, „ჩესტერფილდი“), კლუბები, მუშთაიდი, საქველმოქმედო ბალები, სპექტაკლები... თბილისური ბომბი... კნენინები, კნიაჟნები, გენერლები, თავადები, ოფიცრები, ოპერის მომღერლები, პოეტები, დიდმოხელეები, ფაბრიკანტები, დრამის მსახიობები, სოვდაგრები... ფოტოები და ცნობები მუშათა გაფიცვებსა და მიტინგებზე, პოლიციის მიერ წესრიგის დამყარებადარბევებზე... ცნობები ანარქისტ-ტერორისტებზე... გენერალ გრიბუნოვის ეტლში აფეთქება ალექსანდრეს ბაღთან... ტერორისტ ჯორჯიაშვილის ჩამოსწრაობა... ხალხში მოარული სიმღერა (ვითომ ჯორჯიაშვილისა):

„დედავ ნუ სტირი, მამავ ნუ სტირი! მე მოვაშორე სამშობლოს ჭირი!“

...თავადების, მეფისნაცვლისა და გენერლების ნადირობა ყარაიის საუფლისწულო ნაკრძალში... გროვებად დაწყობილი ირმები და ტახები... თავად თეიმურაზ ხევისთავის გაზეთი „კლდე“ და შიგ დაბეჭდილი მისივე მგზნებარე სტატიები თვითმპყრობლობის დამხობის აუცილებლობაზე...

— აი, ეგ უნდა მეკითხა... არაფერი გსმენია ამ თეიმურაზ ხევისთავზე? ყველგან მაგისი სახელი მხვდება და საუკთარი გაზეთიცა ჰქონია... წამინდარში მაგისა არაფერი იცით?

— აბა, რა გითხრა, მე ეგ არაფერი არც მინახავს და არც გამიგონია... ეგეთ

ძველ გაზეთებს პირველად ვხედავ... იორამმა ამოიხსრა:

— ბიჭო! აბა, შეხედე, აი, აქაური საეკლესიო დავთრებიდან ამონაწერი... — წინ დაუწყო ქალაღებში, — ...თავადის ასული მარგარიტა ყაფლანიშვილისა და თავად თეიმურაზ ხევისთავის ჯვრისწერის შესახებ... აი, თარიღი! 1910... ვინ იყო ეს თავადი თეიმურაზი? ზედსიძე იყო შემოსული თუ როგორ იყო?

— აბა, მაგ დროს დაბადებულიც არ ვიყავი და... ორი თუ სამი წლის ბაღლი ვიყავი, რო კნიაზობა სულაც მაისპო და რალა უნდა მცოდნოდა... იმ ბობოლაზედ რო გითხარ, ჯაყოს ეძახდნენ-მეთქი, ეგეც განა მე თვითონ მახსოვს, სხვების ნალაპარაკებითა... მაგას ერთი ვილაც ხიზანი ჰყოლია, „ნაქნიაზარს“ ეძახდნენ, ეგებ ეგეც იყო, რა ვიცო? ჩემზედ ათი წლით უფროსი ჯველებსაგან მსმენია, ერთი ჩანჩურა კაცი იყო, ჩვენს ბიჭობაში ბალახებ გვაგროვებინებდა, ახმობდა, მერე მუზეუმში უნდა წავიღოთო, იცინოდნენ... მაგ დროს კი, საიდანაც მე ეგ ნალაპარაკები ჩამჩა, უკვე აღარავის მაგათი ჭაჭანებაც აღარ იყო ნაშინდარი... —

— ეს ჯაყო ვილა იყო, კაცო? ეგ იყო, ყაფლანიშვილი?

— აკი გითხარ, ბობოლა კაცი იყო, მაგისი ყველას ეშინოდა-მეთქი... ბალღები იმალდებოდნენ-მეთქი... ალბათ, მეც მათთან ერთად ვიმალდებოდი, მაგრამ არ მახსოვს, ორი წლისა ვიყავ-მეთქი, გითხარი...

იორამმა მაგიდის ცალი მხარის მოსუფთავება დაიწყო... აიღებდა გაზეთებს, გადათვალავდა პეტრესთან ერთად, ხან რალაცა ჩაუკითხებოდა, ხანაც თვითონ უხსნიდა მოხუცს ამას თუ იმას, მერე მარცხნივ გადააწყოდა... აი, „კლდის“ ის ნომრები... იორამს ახსოვდა, რომ ამ დროიდან ხევისთავის სტატიების ტონი შეიცვალა: შემოთება და მერე უკვე პანიკური მონოდებებიც, რომ აუცილებელია გამოღვიძებული და აწყვეტილი მხეცის — პროლეტარიატის — დაშორებისა და „პოლიტიკურ კალაპოტში“ ჩადგება... აი, დამოუკიდებლობის გამოცხადება, მენშევიკების მთავრობა, ევროპელთა დელეგაციები, მოლაპარაკებები, ტაშითა და ზარ-ზეიმით მიღება-გაცილებანი, უნუგემო, ორჭოყული ცნობები ერთა ლიგიდან... თბილისში ტრიალი გერმანელების, ფრანგების, ინგლისელების... სხვადასხვა ქვეყნის საჯარისო ნაწილების შემოსვლა-გასვლები... მათ შორის თვალში საცემი ბრიტანეთის ინდოელებისაგან შემდგარი კორპუსი... 21 წელი... ტაბახელას ომი... მარო მყაყვილისა და ტაბახელაზე დაღუპული კადეტების დასაფლავება სობოროს ეზოში... „ტილების ეკლესიად“ ნოდებულ, წითელვარსკვლავიანი, თეისმუზარადიანი, შემოღლებილი მე-11 არმიის შემოსვლა თბილისში, მახინიაშვილის მიერ თურქების გარეკვა ბათუმიდან... —

— შენ გიშველის ღმერთი, ჩემო იორამო! — თქვა პეტრემ. — ამ ხნის კაცი ვარ

და ეგენი არაფერი გამიგია... შენ რომ არა, სამარეში ისე ჩავიდოდი, ვერც გავიგებდი!

ამ დროს კესომ ლანგარი შემოიტანა. იორამმა აჩვენა მაგიდის მოსუფთავებულ მარჯვენა ნახევარზე და კესომაც იქ გადმოალაგა სხვადასხვა საუბზე, გრაფინი ღვინით, ჭიქები და თეფშები.

— თან პირიც გავისვლოთ, — ღვინო ჩამოასხა იორამმა, — მაშ, ეგ ჯაყო არა ყოფილა ყაფლანიშვილი?

— მონაყოლით როგორცა მახსოვს, ისე გამოდის, რო ეგა კნიაზობის ჩამოგდების შემდეგ გათავაკაცებულა... —

— თუ ეგრეა, არა ყოფილა ეგ ყაფლანიშვილი! აბა, კნიაზობის ჩამოგდების დროს კნიაზს ვინლა გაათავაკაცებდა?

— აბა, რა ვიცო, კნიაზიც ეგ იყო და ბოლშევიკიც! ჩამოყვანილი ჰყოლია ნათესავები თუ ძმობილები, სუ იარალში მჯდარან... დაიბეჩავეს თურმე ხალხი, ხმას ვერავინა სცემდა... მერე კიდე, რა იყო, როგორ იყო და კი გაუგდიათ სოფლიდან! ჩამოურთმევიათ, რაცა ჰქონდა, — სხვისი წართმეული გაქვსო! სცემეს კიდევცაო, სუ დედა-ბუდიანად ამოუძირკვავთ აქედან!

— რა გამოდის? რა გვარისა უნდა ყოფილიყო თვითონ?

— სწორედ ვერ ვიცი! აქაური გვარისა რო არა ყოფილა, ეგ კი ნაღვია... თორე ერთი ვინმე ბიძაშვილი ან მოგვარე ხო დარჩებოდა?

— ვაჰ, ამისი რჯული არ იყოს! ეს რა გამოცანაა?! ტვინი გასკდა! ერთი მაგათი დედაც! მოდი, დავლიო! მაგათსას მერე გავარკვევ, სვალეც ხომ ჩვენია!

პეტრეს გაუხარდა:

— მაშ, კაცო, სვალეც ჩვენია და ზეგაც! შენი კიდევ ზეგისზეგაცა! შენ გენაცვალს ბებერი პეტრე, ჩემო კარგო იორამო, მიყვარს შენთან ლაპარაკი!

ჭიქები მიუჭახუნეს, დალიეს... პეტრე ერთი ჩაფიქრდა და მერე შეეკითხა:

— ერთი ეგ მითხარი, ღვინის მოყვარული, მსმელი კაცი ხარ... რატომაა, რო ზოგან, თითქო ალიკაპი ამოგდესო, წვეთს არ გაიკარებ, ჰაა?

— იმიტომ, რომ კაცი თუ არ მომენონა, სულ შარბათი ღვინოც რომ ჰქონდეს, ყელში შხამად ჩადის... მარტოკა დაღვეა მირჩენია...

— გენაცვალე, სვამიადში! რახან ეგრეა, თითოც ჩამასხი და... უნდა ვიმღერო... —

თითოც დალიეს... პეტრემ ხელით გაიწმინდა პირი, მიისვ-მოისვა მოშვებულ წვერზე, თავი ოდნავ გადასწია, როგორღაც გვერდზე მოიდგრა და წამოიწყო ღრმა, რთული, ჩახვეული, გრძელი „ოროველა“... იორამი გაოცებული, მოჯადოებული უსმენდა... სახე სიხარულით გაეხსნა... ამ დროს გარედან მოტორის ხმა და ჯიპ-ჩეროკის სიგნალი მოისმა... პეტრე პაპა წამით შეეყვინა, მაგრამ იორამმა არ დაანება შეჩერება:

— შენი ჭირიმე, არ შეწყვიტო! აუ, რა კარგი ხარ, შე ბებერო!

„ოროველას“ გუგუნე გაგრძელდა...

ოთახში ჯოტო შემოვიდა კოლოფებითა და ჩანთებით ახორხლილი... იორამმა ანიშნა, ხმა არ ამოიღო და ისიც ადგილზე დარჩა, მხოლოდ ბარგი ძირს დაუშვა უხმაურად და უსმენდა გაშვებულს.

პეტრემ ბოლომდე გაიყვანა „ოროველა“ და გაჩუმდა. ერთი წამი სიჩუმე იდგა... მერე იორამი, თვალზე მთვრალი ცრემლებით, მოეხვია პეტრეს, შუბლზე აკოცა.

— აუჰ, რა კარგი იყო!

თავი გადააქნია და სამ ჭიქაში დაასხა. მესამე ჯოტოს გაუწოდდა...

— მაშ, შემოსწრულს გაუმარჯოს! — ჭიქა ასწია პეტრე პაპამ, მაგრამ იორამმა თავი გადააქნია და ხელები გაასავსავა.

— ააპა-პა-პა! უფროსი კი ხარ, მაგრამ სიტყვას გართმევ! — და მთვრალის კატეგორიულობით განაცხადა: — ჯერ ამ „ოროველას“ სადღეროდო! გაუმარჯოს მაგის მომგონებსა და მაგის მომღერლებს! რამდენიც იყვნენ! ათასობით! საუკუნიდან საუკუნიში!

სამივემ დალია. ჯოტოც მოუჯდა მაგიდას, ჩანგლით ახალდამწნილებული კიტრი დაითრია, ლობიო გადაიღო. იორამმა ისევ ჩამოასხა და პეტრეს მიმართა:

— ახლა შენი ნათქვამიც დავლიოთ! შემოსწრებულისა!

— კაი დროს შემოგესწარით, ნამდვილადა! — სიცილით თქვა ჯოტომ. — კაი ხალხი! კაი სიმღერა! გაგიმარჯოთ! გმადლობთ, გმადლობთ!

დალიეს და იორამს ახლადა გაახსენდა, მიიხედა-მოიხედა.

— მარტო ჩამოხვედი, კაცო?

ჯოტომ ზრდილობიანად შეწყვიტა ჭაბა.

— დიას, ბატონო, ნოდარი ფოთში იყო წასული... ახლა ბათუმშია, რიზეში აპირებს გადასვლას...

— ჩემი ცოლი სადაა, კაცო?

— იმ ერისთავის სალონიში ჰქონდა საქმეები... გითხრათ, ალბათ?

— რა მითხრა? ეს ტელეფონი ხან იჭერს, ხან არა... წყდება წამდაუნწამ... წესიერად არც დადგაპარაკებია... აჩვენა სავარძელში მიგდებულ მობილურზე.

ჯოტო წამოხტა, თავისი მოტანილი ყუთების გახსნა დაიწყო, ამოალაგა რალაცები.

— აგერ რალაც საქმელებიც გამომატანა, ბატონო!

— რა საქმელები? აქ რა, შიმშილობაა?! — ბრაზიანად აიქნია ხელი იორამმა.

— არა, ბატონო, სახალისო რამეებია, აქ რომ არ იშოვება... და კიდევ ესენი, ა... — ამოიღო ერთი შეკვრა ფერადი, რბილყდინი ნიგნებია და მოზრდილი დასტა სკანკორდ-შიფრგორდების ჟურნალ-გაზეთებისა.

— აი, ეს მესმის! მალე სხვა საქმე მინც აღარ მექნება და... — რალაც სხვანიარად გაიცინა იორამმა, — გავეფიქრე თითქმის ბოლოში...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჟონჯონ სსპსპიუ

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის (პითხვაბი)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გაცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვაბისაჲ არ გაგაჩხეთ თვალი

1. მატარებლის მემანქანეებს მგზავრობისას ველოსიპედის სკამზე სვამდნენ და ყოველი წუთ-ნახევრის შემდეგ სიგნალს აძლევდნენ, რაზეც მათ სახელურის მობრუნებით უნდა მოეხდინათ რეაგირება. რისთვის იყო საჭირო ეს პროცედურა?

2. სინამდვილეში რა ფერია თვითმფრინავში არსებული საბორტო ჩანაწერებისათვის განკუთვნილი, ეგრეთ წოდებული „შავი ყუთი“, რომელიც 1100 გრადუსამდე სიცხეს უძლებს, წყალქვეშ კი 6 კილომეტრის სიღრმეზეც არაფერი ემართება.

3. ერთხელ დონბასში კომუნისტებისადმი სიმპათიით განწყობილი ფრანგი მემუხტეების ბრიგადა ჩავიდა. სოლიდარობის მიზნით, მათ ერთი ცვლა იმუშავეს ლეგენდარული სტახანოვის მხარდამხარ და „სამინელი ანტისაბჭოური“ საქციელი ჩაიდინეს. კერძოდ?

4. სად და რა იარაღით მოკლეს ფრანგი რევოლუციონერი ჟან პოლ მარატი?

5. როგორ ადამიანს ეძახდნენ საქართველოში „მზებნელს“?

6. ერთ-ერთი მატჩის დანებამდე მიცემულ ინტერვიუში, როდესაც ბრაზილიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს, პელემ განაცხადა: „თამაში ნამდვილად საინტერესო გამოვა. საბჭოთა ნაკრები იმდენ გოლს გაიტანს, რამდენსაც შეძლებს, ბრაზილიის ნაკრები კი იმდენს, — რამდენსაც ...“ დაასრულეთ პელეს სიტყვები.

7. რას საქმიანობს სარაჯი?

8. რას ნიშნავს სიტყვა „ნატყვენავი“?

9. დაასრულეთ რომაელთა გამონათქვამი: „კანონი მკაცრია, მაგრამ...“


10. ვის ეძახდა ხალხი „თავისუფლების კუნძულის ბელადს“?

11. „ქედდალოცვილი“ — იტყვიან ხოლმე სიყვარულით... რაზე?

ანექლოცენი

* * *

ორი ქალი საუბრობს.
— მე სპორტული სექსი მომწონს.
— ეგ როგორ?
— როგორ და სქესობრივი ურთიერთობის შემდეგ პარტნიორს ვუბნები, რომ შიდასი მაქვს.



— მერე, რა შუაშია აქ სპორტი?
— როგორ თუ რა შუაშია? შენ გარბიხარ, ის კი დანით მოგდევს... მერწმუნე, ეს არაჩვეულებრივი ვარჯიშია!

* * *

— რა გაცინებს, ჭიჭიკია?
— ჩემს თავს ანექლოტებს ვუყვები.
— მერე?
— ერთი იმნაირი შემხვდა, სულ რომ არ ვიცოდი!

* * *

რაჟიკო ბაზარში ლორს ყიდის. მივიდა საქონელმცოდნე და ეუბნება:

— კარგი ლორია, რას აჭმევდით ლორს?

— პურზე მყავს გაზრდილი!

— ოოო, ეგ როგორ შეიძლება?! — აღშფოთდა საქონელმცოდნე და რაჟიკო დააჯარიმა. ცოტა ხანში მასთან სანეპიდსადგურის თანამშრომელი მივიდა და ეუბნება:

— კარგი ლორია. ლორს რას აჭმევდით?

— რას ვაჭმევდი და ნაკვლს.

— ეს როგორ შეიძლება?! ჯარიმა უნდა გადაიხადო!

მივიდა მესამე კონტროლიორი.
— რა გემრიელი ლორია! ლორს

რას აჭმევდით?
— არაფერს, ბატონო, ფულს ვაძლევდი და თვითონ ყიდულობდა საჭმელს.

* * *

— მამი, თოვლი საიდან მოდის?
— ეკითხება მიხოს შვილი.
— ღრუბლებიდან, შვილო.
— ღრუბლები საიდანღა მოდის?
— ზღვიდან.
— აბა, ფოთში სულ ზამთარია?

* * *

სვანი მკითხავთან მივიდა. მკითხავმა კარტი გაუშალა და ეუბნება:
— ერთი გოგო გყავს.
— საიდან იცი?! — გაუკვირდა სვანს.

— მე ყველაფერი ვიცი! შენი შვილი 14 წლის რომ გახდება, თითქმის ეკალი შეერჭობა და მოკვდება.

სვანი გადაიარია, გავარდა სახლში, შვილს ხელები კუნძზე დააწყობინა და თითები დააჭრა.

— ეს რა ქენი?! — ლამის ჭკუაზე შეცდა ცოლი.

— რა ვქენი და სიკვდილს გადავარჩინე!

* * *

მიხო და მარო ზღვაზე წავიდნენ დასასვენებლად. მეორე დღეს, „ნაშების“ თვალეგრებით მიხოს ლამის კისერი მოელრიცა. მარო ეუბნება:

— მიდი, მიხო, მიდი, აქ შეგიძლია მადა გაიძლიერო, სულერთია, ჭამა მაინც სახლში მოგიწევს.



გონებას სავსეა

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის

(პასუხები)

1. მემანქანეს მატარებლის მართვისას რომ არ ჩასძინებოდა.
2. ყვითელი ფერის.
3. მოხსნეს ყველა სტანანოფური რეკორდი.
4. თავის დროის უდიდეს ორატორს, საკუთარ სააბაზანოში დანთ მოუღეს ბოლო.
5. უსინათლოს.
6. „მოისურვებს“. (ეს შეხვედრა ბრაზილიელებმა სამით ნული მოიგეს. აქედან ორი გოლი პელებ გაიტანა.)
7. სარაჯი უნაგირისა და ცხენის სხვა ალკაზმულობის მკეთებელია.
8. „ნატყვენავი“ ძველი ქართული სიტყვაა და ნადავლს, ომში ნაშოვარს ნიშნავს.
9. „ის კანონა“.
10. ფიდელ კასტროს.
11. კარგ ხარზე ან კამეჩზე.

* * *

ერთი ქალი მეორეს უყვება:
 — ჩემი ქმარი ისე მღალატობს, ისე მღალატობს, რომ პირდაპირ არ ვიცი, ვისგან მყავს შვილები.

* * *

— ექიმმა მითხრა, ნიორი ჭამე და გრიპი აღარ გადაგედებაო.
 — მერე, მართალია მაგი?
 — რა თქმა უნდა, 20 მეტრის რადიუსით აღარავინ მეკარება და გრიპს ვინლა გადამდებს?!

* * *

ტომი კომპიუტერს აღარ შორდება. შემფოთებული მშობლები ექიმს მიაკითხავენ.
 — თქვენი შვილის მკურნალობა მომიწევს! — ეუბნება მათ ექიმი.
 — რითი ექიმო?
 — ვისკით, სიგარეტით და ქალებით!..

* * *

— რომელი ფრინველია ყველაზე სასარგებლო?
 — შემწვარი წინილა!

* * *

მიხომ ქუჩაში ცხენზე ამხედრებული კინოვარსკვლავი დანახა.
 — ეჰ, ნეტავი მაგის ცხენად მაქცია, — ინატრა მიხომ.
 — ჰკითხე, იქნებ, ვირითაც მოისურვოს გასეირნება, — ურჩია მარომ.

* * *

სომეხს ეკითხებიან:
 — რა გვარი ხართ?
 — კარ-კარ-კარაპეტიანი.
 — თქვენ რა, ენა გებმით?
 — მე არა, ენა მამაჩემს ებმოდა.
 ის კი, ვინც ჩემი დაბადების მოწმობა გამოწერა, ნამდვილი იდიოტი იყო!..

* * *

სიძემ დაბადების დღეზე სიდედრს ოქროს საყურე უყიდა და დღეობაზე წასულმა თოფიც თან წაიღო:
 — თოფი რაღად გინდა? — ეკითხება ცოლი.
 — ყურები უნდა გავუხვრიტო.

* * *

სიდედრი სიძეს ეუბნება:
 — შინაგანი ხმა მეუბნება, რომ წელს დასასვენებლად ზღვაზე უნდა წავიდეთ!
 — აუ, შენ შინაგანი ხმაც გაქვს?!

* * *

მიხო სკოლაში დაიბარეს:
 — თქვენი შვილი არაფერს აკეთებს, ცუდად სწავლობს, ყველაფერში ორიანები აქვს.
 — ყველაფერში ორიანები, კაცო?!
 — მარტო სიმღერაში აქვს ხუთიანი.
 — მერე, თქვენი დედა რო ვატირე, ეგეც მე ვასწავლე და თქვენ რაღას მიკეთებთ?

* * *

— ყოველთვის, როცა იღიმით, სურვილი მიჩნდება, შინ მიგიპატიუოთ.



— დავიჯერო, ასეთი მექალთანე ხართ?
 — როგორ გეკადრებათ, მე კბილის ექიმი ვარ.

ჩვენი ფოსტო მალაია



მბრჯიშები ცელულიტის წინააღმდეგ

როგორ დაუფერებლად არ დასაწყისამდე ცელულიტი არათუ



უნდა მოგეჩვენოთ, XX საუკუნის ქალის სხეულის ნაკლად, არამედ — მისი სექსუალურობის მაჩვენებლადაც კი მიიჩნეოდა. მაგრამ სილამაზის ეტალონები იცვლება და დღესდღეობით მრავალი ქალი ცელულიტისგან სამუდამოდ გათავისუფლებას ცდილობს.

გთავაზობთ ვარჯიშებს ცელულიტის წინააღმდეგ


1. დაჯექით ხალიჩაზე. ზურგი სწორად გეჭიროთ, ხელები კი იდაყვებში მოხარეთ. იმოდრავით დუნდულების საშუალებით — ხან წინ, ხან უკან, ხან ერთ, ხან მეორე მხარეს (10-10 მოძრაობა ორივე მიმართულებით). გაიმეორეთ სამჯერ.
2. დაწექით ზურგზე. მარცხენა ფეხი მოხარეთ და შეეცადეთ ზევით აწე-

ვას. დაადეთ მას მარჯვენა ფეხისგული, ისე, რომ წელი იატაკიდან არ წამოსწიოთ. მარცხენა ფეხი კი მკერდისკენ მისწიეთ. შემდეგ გაიმეორეთ, ოღონდ ფეხები შეანაცვლეთ. ყოველი ფეხით 10-10 მოძრაობა შეასრულეთ. გაიმეორეთ 3-ჯერ.

3. დაწექით მარჯვენა გვერდზე, დაეყრდენით მარცხენა ხელის იდაყვს, მარჯვენა კი გაჭიმეთ. აიქნიეთ მარცხენა ფეხი ზემოთ 25-ჯერ. გადაბრუნდით მარცხენა გვერდზე და გაიმეორეთ. შემდეგ დაისვენეთ და თავიდან გაიმეორეთ ყველაფერი. ნუ ეცდებით ვარჯიშების მთელი კომპლექსის ერთდროულად შესრულებას. დატვირთვა თანდათან გაზარდეთ. შესამჩნევი შედეგის მისაღებად, ეს ვარჯიშები 2-3 თვის განმავლობაში, ყოველდღე უნდა შეასრულოთ. ■

A ვიტამინი ხელებისათვის

ყოველდღიური საოჯახო საქმიანობა დიასახლისის ხელებზე უსიამოვნო კვალს ტოვებს. არადა, არაფერს შეუძლია ქალზე შთაბეჭდილების წახდენა ისე, როგორც მოუვლელ ხელებს: დაკვნეტილ ფრჩხილებს, დახორკლილ კანს თუ ფრჩხილების გარშემო გაჩენილ ნახეთქებს — რაც არა მარტო უსიამოვნო შესახედავია, არამედ მის მიღმა ათასგვარი ინფექციის კერა იმალება.



ყველაზე ხშირად, ფრჩხილების გარშემო კანი იმ ქალებს უსკდებათ, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას არ უთმობენ ხელების მოვლას; ასევე მათ — ვინც გამოუდმებით იყენებენ აგრესიულ სარეცხ საშუალებებს. ამის შედეგად, კანი ჯერ უხემდება, შემდეგ იქერცლება, სკდება და ბოლოს ტყავდება. სამწუხაროდ, ცო-

ტას თუ მოსდის თავში აზრად, რომ გამიზეზებული ადგილები ანტისექტიკური საშუალებებით დაიმუშაოს და შემდეგ სქელ ფენად წაისვას მკვებავი კრემი. ზოგიერთი ამ პრობლემის მოგვარებას საკმაოდ იოლი გზით ცდილობს და გაუხეშებულ ადგილებს მაკრატილით იჭრის (ან კბილებით იკვნეტს). დაუდევრად მოკვნეტილი კანის შემთხვევაში კი სისხლიანი იარები ჩნდება, რომლებიც შესაძლებელია, დაჩირქდეს კიდევ.

ლბობა იყოს. ყველაზე გავრცელებული ვიტამინი, რომელიც მას სიმშრალისგან კურნავს, გახლავთ A ვიტამინი (რუტინოლი). ამიტომ სასურველია, ყოველდღიურ რაციონში ამ ვიტამინის შემცველი პროდუქტები შეიტანოთ.

როგორ მოყვაროთ ფრჩხილების გარშემო გაჩენილ ნახეთქებს

თასი აავსეთ თბილი წყლით და ჩაუმატეთ 5-10 წვეთი მცენარეული ზეთი. ჩაყავით ხელები მასში, გააჩერეთ 10-15 წუთი და რბილი პირსახოციტო შეიმშრალეთ.

თუ ნახეთქი ბევრია, მაშინ მკურნალობის სპეციალური კურსის გავლა მოგიწევთ. სამისოდ, აპრეზილობლოებიანი მაკრატილი დაგჭირდებათ. სანამ მაკრატილს გამოიყენებდეთ, ხელები ორთქლით ან თბილი წყლით უნდა დაირბილოთ, შემდეგ შეიმშრალეთ და სპირტი წაისვათ. გაითვალისწინეთ, მაკრატილი კანის პარალელურად კი არა, პერპენდიკულარულად უნდა გეჭიროთ. თუ გაუხეშებული კანის მოჭრისას სისხლი წაგსკდათ, ჭრილობა დაუყოვნებლივ წყალბადის ზეჟანგით დაიმუშავეთ. ■

გარდა ამისა, თქვენს კოსმეტიკურ მაგიდაზე, ფრჩხილების ლაქის გვერდით, აუცილებლად უნდა იდოს ნუნებისთვის განკუთვნილი კრემი, რომელიც ყოველდღე უნდა წაისვათ ფრჩხილების გარშემო. ■

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
 წიგნები და ჟურნალ-გაზეთები
www.elva.ge

გამოცემის დასახელება	1ჯგ. ფასი	3 თვე
1. ИТОГИ	3.00	39.00
2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА	2.00	117.00
3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА.	32.00	32.00
4. КАРАВАН ИСТОРИЙ	8.00	24.00
5. НОВАЯ ГАЗЕТА	1.50	39.00
6. ВОКРУГ СВЕТА	9.00	27.00

არასოდ და წინააღმდეგობა გააჩვენებთ
სააპონტო „ელვა.ჯი“
 ქ. თბილისი
 თბილისის ქ. 2549
 ტელ: 32-26-73; 38-26-74
 ფაქსი: 38-26-74
 E-mail: elva@kvirispaleta.com

დაფიქრებულხარო ოდესმე, რატომ ხდება, რომ თითქოსდა უნაკლო გარეგნული მონაცემების მქონე ლამაზმანის მიმართ მამაკაცი ხშირად გულგრილი რჩება მაშინ, როცა ერთი შეხედვით არაფრით გამოირჩეულ, უბრალო გარეგნობის ქალს თავყანისმცემლებისგან მოსვენება არა აქვს?!. სწორედ ეს გახლავთ ქალური შარმის საიდუმლო — ის, რასაც, შესაძლებელია, თავად ქალი ვერც კი აცნობიერებდეს, მამაკაცის ყურადღების მიღმა არასოდეს დარჩება.

თუმცა, არსებობენ მამაკაცები, რომელთაც მხოლოდ ერთი, გარკვეული სტილის ქალები მოსწონთ. მაგალითად, მარლონ ბრანდოს მხოლოდ და მხოლოდ ეგზოტიკური სისხლის ქალბატონები ხიბლავდნენ და ვერანაირი ქერა ლამაზმანი მას გემოვნებას ვერ შეუცვლიდა.

თანამედროვე მამაკაცების გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ მათი უმეტესობა უპირატესობას მხიარულ, კარგად მოვლილ, ამავე დროს უშუა-

როგორ მოგსიბულოთ მამაკაცი?!

ლო, გულგრილი ქალებს ანიჭებს. კიდევ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობენ სპორტული, მებრძოლი სულის, მატერიალურად ფეხზე მყარად მდგარი, ოპტიმისტი ქალბატონები, რომელთაც მამაკაცისთვის ღირსეული მეგობრობის განევა შეუძლიათ და მისგან გადამეტებულ ზრუნვას და ყურადღებას არ მოითხოვენ.

საინტერესოა, რომ გამოკითხვისას ერთი, კონკრეტული თმის ფერისა ან ალნაგობისთვის უპირატესობა არავის მიუნიჭებია. ზოგადად კი მამაკაცებს არ მოსწონთ გარეგნულად (განსაკუთრებით ვერ იტანენ თმის ლაკს და „მრავალსართულიან“, მოუხერხებელ ტანსაცმელს) თუ შინაგანად ხელოვნური, ანგარებიანი, ინფანტილური და მენჯრილმანე ქალები.

ქალური მომხიბვლელობა ძალზე ინდივიდუალურია და არანაირ სტანდარტს არ ექვემდებარება. გამოხედვა და ჟესტები, ღიმილი და ხმის ტემბრი — მამაკაცი ამ ყველაფერს ერთიანობაში აღიქვამს და მისთვის სასურველი ქალიც სახეზეა. ალბათ ამიტომაც არის ასე ძნელი, იზოვო ადამიანი, რომელიც ადფრთოვანებული დარჩება შენი მცირედი უცნაურობებით და შენი პატარა ფიზიკური ნაკლიც კი ეყვარება.



ასე რომ, სიყვარული მხოლოდ ლამაზმანთა ხვედრი როდია. ნებისმიერ ქალს შეუძლია ვიღაც ერთისთვის იმაზე უკეთესი იყოს, ვიდრე — სხვისთვის. ამიტომ, არ ღირს სრულყოფილებასთან მიახლოებულ, იდეალურ ქალთან მსგავსებაზე იოცნებოთ და ძირფესვიანად გარდაქმნათ საკუთარი ნატურა. ამგვარი გზით მიღწეული სრულყოფილება წარმატებას ნაკლებად მოგიტანთ. ის ხიბლი კი, რაც სწორედაც რომ თქვენს ინდივიდუალობაშია, შესაძლებელია, სამუდამოდ გაქრეს.

ფლავი კარტოფილითა და კვერცხით

- მასალად საჭიროა:**
 500 გ ბრინჯი;
 4 ცალი კარტოფილი;
 3 სუფრის კოვზე ცხიმი;
 4 ცალი კვერცხი.

მომზადების წესი:
 ბრინჯი მოხარშეთ ჩვეულებრივი წესით, გადაიტანეთ სანურზე და გადაავლეთ წყალი. შეაზავეთ მარილი და ცხიმით.
 ქვების ძირზე დაანყვეთ გათლილი და რგოლებად დაჭრილი კარტოფილი, დააყარეთ მომზადებული ბრინჯი, დაახურეთ თავსახური და შედგით ცეცხლზე. თავსახური ხშირად მოხადეთ, მასზე წარმოქმნილი წვეთების გადასანურად. როდესაც შემეტი სითხე აღარ წარმოიქმნება, თანაბარ ფენად დაასხით ათქვეფილი კვერცხი და ისევ დაახურეთ თავსახური. 3-5 წუთის შემდეგ კერძი მზად იქნება.



სალათა ვაშლით (1 ულუფისთვის)

- მასალად საჭიროა:**
 200 გ კარტოფილი;
 75 გ მწვანე ლობიო;
 ნახევარი შეკვრა მწვანილი;
 1 პატარა ვაშლი;
 1 ჩ/კ ლიმონის წვენი;
 ნახევარი ხახვი;
 1 კონა კამა;
 1 ს/კ ვაშლის ძმარი;
 1 ს/კ მცენარეული ზეთი;
 25 გ შებოლილი ხორცი.

მომზადების წესი:
 მოხარშეთ კარტოფილი კანთანად. შემდეგ ცივი წყალი გადაავლეთ და გაფცქვენით. მწვანე ლობიო მოხარშეთ მარილიან წყალში. ვაშლი გარეცხეთ და 4 ნაწილად გაჭერით. ვაშლი და კარტოფილი თევშზე ლამაზად დაანყვეთ. მოასხით ლიმონის წვენი და მოაყარეთ მწვანილი.
 ხახვი წვრილად დაჭერით, ჩაყარეთ ძმარჩასხმულ ჭურჭელში და მიიყვანეთ ადუღებამდე. მოასხით სალათას ძმარი და ზეთი. შემოუწყვეთ შებოლილი, წვრილად დაჭრილი ხორცი და კამა. მოაყარეთ მარილი. აურიეთ ყველა ინგრედიენტი ერთმანეთში და გაალამაზეთ მწვანილით.





წითალი ფანტაზია

საება კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №23-32

„ის შენი ერთგული არასდროს იქნება, დაიმასხოვრე ეს“, — წარამარა ჩაესმოდა ყურში მაკას ნათქვამი და გული ტყვიასავით უმძიმდებოდა. თუმცა, მეგობრისგან ახალი არც არაფერი მოუსმენია. მან იცოდა, რისთვისაც სჭირდებოდა იგი გიგის და მანაც თანახმა იყო, მიეღო მისი წინადადება. მერე რა, თუ ხანმოკლე აღმოჩნდება მათი ურთიერთობა? რადგან დანიყო, რაც იქნება, იქნება, გაგრძელდეს კიდევ... ცხოვრებაში ყველაფერს აქვს დასასრული და მათ რომანსაც ექნება. ნია ეცდებოდა, აქედანვე შეეგუოს ამ აზრს, რომ გადამწყვეტ მომენტში მშვიდად შეხედეს საბედისწერო განაჩენს. ახლა კი არ ღირს წინასწარ თავის მტვრევა იმაზე, ერთი კვირა გაგრძელდება მათი სასიყვარულო თავგადასავალი, ერთი თვე თუ ერთი წელი. ჯობია, დღევანდელი დღით იცხოვროს და დატკბეს იმით, რაც ამწუთას აქვს. ნაშუადღევს საგულდაგულოდ გამოიბრანჭა. გიგი შეჰპირდა, საუკეთესო საღამოს მოგიწყობო. ალბათ მისი მეგობრებიც იქნებიან, ამიტომ კარგი იქნება, თავისი მომხიბვლელობით თვალს თუ

დაუყენებს ყველას. ამით მანაც გამოირჩეოდეს სხვებისგან.

როცა მძლოლმა იგი გიგის სახლთან მიიყვანა, უკვე ბნელოდა. ჰოლში შესულს სამარისებური სიჩუმე დახვდა, ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ნუთუ მარტო ნია დაპატიჟა? ამიტომ უთხრა, დაუყენიარ საღამოს მოგიწყობო?

— ახლავე ჩამოვალ, ნი, არ მოინყინო, — მოესმა მეორე სართულიდან მამაკაცის ხმა.

სითბო ჩაეღვენთა გულში, გაეღიმა. ჩანთა სავარძელზე მიაგდო და ბუხარს მიუახლოვდა. მოულოდნელად ბუხრის თავზე დადებულმა მისალოცმა ბარათმა მიიპყრო მისი ყურადღება. ცნობისმოყვარეობამ სძლია და დახვდა, რომ ტექსტი წაეკითხა. „ჩვენო საყვარელო გიგი, გილოცავთ დაბადების ოცდამეექვსმეტე წლისთავს, ბედნიერი ყოფილიყავი. საუკეთესო სურვილებით — დათა და თინიკო“.

ლმერთო, მან რომ არაფერი იცოდა? მისთვის რომ არ უთქვამს? უცებ ნაბიჯების ხმა მოესმა. შეშინებულმა ბარათი კვლავ თავის ადგილას დადო და

მოტრიალდა.

ასეთ ფორმაში ნიამ პირველად ნახა იგი — ლურჯ ჯინსის შარვალსა და ამავე ფერის მაისურში გამოწყობილი. ძალიან უხდებოდა სპორტული ფორმა, დაკუნთული მკლავები უფრო ძლიერი მოუჩანდა.

— არ ვიცოდი, დაბადების დღე თუ გქონდა, — შეცბუნებულმა გაუღიმა.

— მე არასდროს აღვნიშნავ მას, ასე რომ, დავიწყე.

— რატომ? — დაინტერესდა ნია.

გიგიმ პასუხი დაუგვიანა, მხრები აიჩეჩა მხოლოდ, მერე სიყვარულით ანთებული მზერა მიაპყრო გოგონას და თვალებით მიეფერა.

— რატომ? იმიტომ, რომ ასე მინდა, მორჩა და გათავდა, — თავადაც არ მოეწონა გიგის, ისე ცივად ჟღერდა მისი ხმა.

— ეს მიზეზი არ არის. ჩემი აზრით, რაც წელი გემატება, მით უფრო წარმატებული ხდები, ეს კი საუკეთესო საბაბია იმისთვის, რომ კარგად იქეიფო. მე ყოველთვის აღვნიშნავ ვინრო წრეში ჩემს დაბადების დღეს. მართალია, ბრწყინვალე სუფრას ვერ ვმლი, მაგრამ ნამცხვარი ყოველთვის მაქვს, გოგოებს მოაქვთ.

— გაგმართლებია.

მის ხმაში გარეულმა სარკამზმა ერთობ შებოჭა გოგონა, მაგრამ გადაწყვიტა, არ გაბრაზებულყო.

— რომ გეთქვა, მეც გამოგიცხობდი ნამცხვარს.

— თუ ასე ძალიან გინდა, გამოაცხვე,

პატარავ, ვინ გიშლის, — თქვა მამაკაცმა, ბართან მივიდა და მარტინი ჩამოიხსხა.

ნიამ იგრძნო, როგორ ეცვებოდა თვალები ცრემლით.

— რატომ მეცქვევი ასე? რამე სისულელე ვთქვი? — რაც შეიძლებოდა, მსუბუქად წარმოთქვა.

— არც მიფიქრია. უბრალოდ, რა საჭიროა ზედმეტი გარჯა, როცა საუკეთესო საკონდიტროში შემიძლია შეკვეთა მივცე და არა მარტო საქართველოში, ლონდონიდან და პარიზიდანაც შემიძლია ჩამოვატანინო.

— ჰო, მაგრამ ეს ერთი და იგივე ხომ არ იქნება! შენ რა, არ გესმის, რომ სიყვარულით მორთმეული საჩუქარი შეკვეთილს ვერასდროს შეედრება?

— მაგრამ რა შუაშია აქ სიყვარული? მას სახის გამომეტყველება არ შესცვლია. ნიას უკვე გაქცევა მოუნდა მისგან.

— მე... მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა... — და მეტი ველარ გააგრძელა, ლანწებზე გადმოგორებულმა ცრემლმა შეუშალა ხელი.

ამის შემხედვარე გიგიმ სასმლიანი ჭიქა ბუხრის თავზე შემოძო, გოგონას მიუახლოვდა, მხარზე ხელი შემოხვია და მკერდზე მიიხუტა.

— რა თქმა უნდა, გამომიცხვე, პატარავ, ძალიან გამიხარდება. დარწმუნებული ვარ, უგემრიელესი გამოგივა, — ხმა დაუთბა გიგის, მაგრამ მიხვდა, რომ დააგვიანდა, ნია უკვე სლუკუნებდა.

არ უნდა მოქცეულიყო ასე. დღეს პრობლემური დღე ჰქონდა, აწნევამი ერთ-ერთ კონტრაქტს ჩაშლა დაემუქრა და ამის გამო დილიდან უხასიათოდ იყო, თუმცა ეს არ ამართლებდა მის საქციელს. ნიამ რა დააშავა, არ უნდა მოჰქცეოდა ასე.

— ჰო, შენ მართალი ხარ. რაში გჭირდება ჩემი ლარიბული საჩუქრები, როცა ნებისმიერ პრესტიჟულ მაღაზიაში შეგიძლია შეიძინო ის, რაც მოგესურვება, — უსაყვედურა თვალცრემლიანმა გოგონამ, — გამიშვი ხელი, შინ უნდა წავიდე.

— მაშაყვამ მაშინვე შეუშვა ხელი. — მე შენ ვახშამზე დაგაპატიჟე, თან იმაზე უნდა ვილაპარაკოთ, როდის გადმოსვალ ჩემთან, — ქალის სიამაყემ ისევ გააღიზიანა ახვლედიანი.

— ვახშობა გადავიფიქრე. ახლა ისეთ ხასიათზე ხარ, უკეთესი იქნება, თუ მარტო დარჩები, — გაიბუტა ნია.

— არ ნახვიდე... ხვალ კვლავ აწნევამი მინევს გამგზავრება. არ ვიცი, რამდენ ხანს დავრჩები იქ, ამიტომ შენი გადმოსვლა ჩემს ჩამოსვლამდე გადაინევს. ისე... არ გინდა, ჩემთან ერთად წამოხვიდე? სანამ მე საქმეებს მოვაგვარებ, შენ ქალაქს დაათვალეიერებ, თანამგზავრს გიპოვი, ნუ გეშინია.

ქალს არ უნდოდა მისი განწყობა, მაგრამ მანაც ჯიუტად გადააქნია თავი.

— არ შემიძლია. სამსახურს ვერ მივატოვებ, ძალიან დაკავებული ვარ.

— შენ რა, დაგაინწყდა, რაზე მოვილაპარაკებთ? ჩემი ინტერესები შენთვის არაფერს ნიშნავს? თუ საკუთარ სამსახურს ყოველთვის ყველაფერზე წინ დააყენებ?!
— მე კომპრომისების წინააღმდეგ არ ვარ, გიგი, მაგრამ სკოლიდან ვერ გავთავისუფლდები. ახლა იქ ვარ საჭირო, ამიტომ...

— ესე იგი, არ წამოხვალ?
— ვერა, ვერ შევძლებ.
— კარგი. მაგრამ როცა დავბრუნდები, სერიოზულად დავლაპარაკებო.

რაო? სერიოზულად? ხომ არ გადაიფიქრა? იქნებ მეტჯერ აღარ სურს მასთან შეხვედრა? არა, ახლავე უნდა გაარკვიოს, რა იგულისხმა სერიოზულ სალაპარაკოში, თორემ მის ჩამოსვლას ვერ დაელოდება, ვერ იტანს ლოდინს.

— რატომ გადავდოთ? არ სჯობია, სათქმელი ახლავე ითქვას?
გიგიმ შეამჩნია, როგორ აუთრთოლდა ნიას ტუჩები და მიხვდა, რაც ანუხებდა. „ეშინია, არ მივატოვო“, — შეუმჩნევლად ჩაიღიმა. რა სისულელეა, წამითაც არ გაუფლია გულში ეს. მხოლოდ წვრილმანებზე უნდოდა ყურადღების გამახვილება, მაგრამ ახლა მაინც არაფერს ეტყვის. დაე, ცოტათი შეშინდეს, ეს სასარგებლოც იქნება ორივესთვის.

— არა, ახლა არა. როცა ჩამოვალ, მერე გეტყვი. აბა, რა გადაწყვიტე, რჩები ვახშამზე?
გულგატეხილმა ქალმა ამაყად გადახედა ბუხართან მდგომ მამაკაცს და თვალი თვალი გაუყარა.
— არ დავრჩები... კეთილ მგზავრობას გისურვებ, — მტკიცე ხმით წარმოთქვა და თავანულო გასასვლელისკენ გაემართა.

ნია დილიდან უხასიათოდ იყო. დღეს უმცროსკლასელები დაითხოვეს სკოლიდან. თავის მოსწავლეებთან ერთად სკოლის ბაღში იჯდა და სევდიანად ისმენდა მათ მონაყოლს, თუმცა ფიქრებით გიგისთან იყო. რატომ არ იხდის დაბადების დღეს? როგორც ჩანს, არც სიმდიდრემ მოუტანა მას ბედნიერება და არც პრივილეგიებმა. მით უმეტეს, ბოლო ხანებში ძალიან ნაღვლიანი ჩანს. მაგრამ მეგობრები მაინც რატომ არ ულოცავენ? მათ წრეში ასე არ არის მიღებული? თუ, უბრალოდ, არ იცინა?

— მასწ., ვილაც ხელს გიქნევთ, — დაუძახა ამ დროს ერთმა მოსწავლემ.
ნია გაკვირვებულმა გაიხედა მარჯვნივ და... ჭიშკართან ატუზული გიგი შეამჩნია. სიხარულისგან წამით თვალი დაუბნელდა, წამოხტა და

მისკენ გაიქცა.

— გიგი! აქ საიდან გაჩნდი? მე უკვე შენევაში მეგონე!

— გადავდე გამგზავრება. გცალია? ნავიღეთ სადმე, ყავა დავლიოთ.

მართალია, ნინა საღამოს იჩხუბეს, მაგრამ ნიას ისე გაუხარდა მისი დანახვა, არაფრის გახსენება არ სურდა.

— ერთ საათში გავთავისუფლდები. დამელოდები?

— არა.
— არა? — სახე შეეცვალა გოგონას.

— არ დავგელოდები, ერთ საათში ისევ შემოვივლი, — ეშმაკურად გაიღიმა მამაკაცმა.

ქალმა შვებით ამოისუნთქა.

ერთი საათის შემდეგ მანქანა უკვე ვაკისკენ მიქროდა. ნია გაოცებული იყურებოდა აქეთ-იქით, ნეტავ, სად უნდა დაეღლიათ ყავა? რატომ შარდენზე არ წაიყვანა? იქ ხომ უამრავი კაფე-ბარია, რატომ მაინცდამაინც აქეთ?

— სად მივდივართ? — ველარ მოითმინა ბოლოს.

— მინდა, რამე სამკაული გიყიდო, რათა ჩვენი მოლაპარაკება უფრო გავამყარო. წინააღმდეგი ხომ არ ხარ?

გოგონა ამას არ ელოდა. რამდენიმე წუთი დასჭირდა, რომ ამ აზრს შეჩვეოდა. გუშინ ისეთი მოქუფრული დახვდა, ეგონა, საერთოდ აღარ გააგრძელებდა მასთან ურთიერთობას, ახლა კი...
— გუშინდელს მერე მეგონა, რომ...
— რა გეგონა? — სვლა შეანელა მამაკაცმა და გვერდულად გახედა.

— აღარ მოისურვებდი ჩემთან ყოფნას.

გიგიმ სიცილი ვერ შეიკავა.

— მაგრამ ჩვენ ხომ მოვილაპარაკეთ! და არ ვაპირებ ამ მოლაპარაკების ჩაშლას. მე ეს არ მინდა.

— იქნებ, სანამ საჩუქარს გამოიკეთებდე, გვესაუბრა ჩვენზე?

— რაზე უნდა ვისაუბროთ, პატარავ? ხომ ვიცით, რომ გვსურს ერთად ყოფნა, ვგრძნობთ ერთმანეთს. მინდა, რომ რაც შეიძლება მალე გადმოსვიდე ჩემთან.

— სწორედ ამაზე გელაპარაკები, გიგი! შენ ისე იღებ გადაწყვეტილებებს, არც მეკითხები, ვარ თუ არა თანახმა. არანაირი ძვირფასეულობა არ მინდა, გვეიცები. ნავიღეთ, ყავა დავლიოთ.


— რა სასწაული ქალი ხარ, რა გჭირს! ვერაფრით შევქედი, რომ გასაიპოვნო! — გაღიზიანებულმა წამოიძახა და მოულოდნელად დაამუხრუჭა.

ნია შეკრთა. ახვლედიანი იმაზე ბრაზდებოდა, რომ ვერ მიიღო ის, რაც სურდა. არადა, რომ ეთქვა, ძალიან მჭირდები, ნია, შენ ჩემთვის სულერთი არ ხარ... მაშინ სიამოვნებით დასთანხმდებოდა. ის კი არა, ერთი პერიოდი ისიც გაიფიქრა, რომ მომავალში გიგი მის შეყვარებას შეძლებდა... თუმცა ამწუთას მის სახეზე მხოლოდ წყენა იკითხებოდა და სხვა არაფერი.

— ნუ მიბრაზდები, გთხოვ... შენ ჩვენს ურთიერთობას ძალიან პრაგმატულად უდგები, გიგი, მე კი ასე არ შემიძლია. მიუხედავად იმისა, რომ სიყვარულში მარცხი ერთხელ უკვე განვიცადე, მაინც ვოცნებობ ჭეშმარიტ გრძობაზე... და ჩემთვის სულერთია, როგორი იქნება ის, ვინც შემიყვარებს — მდიდარი თუ ღარიბი. შეიძლება, ძალზე გულუბრყვილოდ მოგეჩვენოს ჩემი ნათქვამი, მაგრამ ეს ერთადერთია, რაც გულით მინდა. მაკას თუ დავუჯერებთ, ჩემი შემცვლელის პოვნა არ გაგიჭირდება, ძალიან ადვილად შეძლებ, გადაერთო სხვაზე. მე აქ ჩამოვალ, თუ შეიძლება! — და სანამ მამაკაცი გონს მოეგებოდა, გაჩერებული მანქანიდან ელვის უსწრაფესად გადმოხტა.

ახვლედიანმა ღრმად ამოიხვნეშა და თვალი გააყოლა თითქმის სირბილით მიმავალ გოგონას. გონებაში მის სიტყვებს ანალიზებდა. უთხრა, პრაგმატული ხარო... მე სიყვარული მჭირდება და არა აქვს მნიშვნელობა, ჩემი შეყვარებული ღარიბი იქნება თუ მდიდარი... ნიას ბოლო ფრაზამ თითქმის ბოლო მოუღო. მას ძალიან უნდოდა, გოგონას შეეყვარებოდა იგი. ამას ახლავდა მიხვდა, თითქოს ნიას სიტყვებმა აუხილა თვალი. აი, თურმე რა სურს... ნიას სიყვარული... ის დაიღალა მარტოობისგან. მას არ ჰყოფნიდა სითბო და სწორედ ამას ეძებდა მასში.

მაკა რატომ ახსენა? გამოდის, მასზე საუბრობდნენ? საინტერესოა... არა, ნიას



დაკარგავს იგი ვერ შეეგუება, ამას არ დაუშვებს. ახლა ნავა თავის სასტუმროში, ცოტა გულს გადააყოლებს, ნიასაც აცდის, სანამ სიბრაზე გადაუვლის. საღამოს კი, როცა დამშვიდდება, შინ გაუფლის და რესტორანში წაიყვანს. იმედია, გოგონა ამაზე უარს არ ეტყვის.

ექვს საათზე გიგამ დაურეკა ნიას, თბილად მოიკითხა, თითქოს რამდენიმე საათის წინ მათ შორის არაფერი მომხდარიყო და რესტორანში დაბრუნდა, თან დააყოლა, ნახევარ საათში გამოვივლიო. იმდენად მოულოდნელი იყო მამაკაცის ზარიც და შემოთავაზებაც, გოგონამ უარი ვერ შეჰბედა.

ზუსტად ნახევარ საათში გიგი ნიას სადარბაზოსთან იდგა. ქალმა ფანჯრიდან ანიშნა, ცოტა ხნით ამოდო, თავად კი სარკის წინ დაჯდა, რათა მაკიაჟი გაეკეთებინა. გული უტყნაურად უცემდა.

— კიდევ არ ხარ მზად? რას აკეთებდი ამდენ ხანს? — სტაჟიანი ქმარივით უსაყვედურა ახვლედიანმა.

ნიამ სარკიდან ღიმილით გამოხედა.

— თითქმის მოვრჩი, ნუ მაჩქარებ, თორემ წამწამები ტუმით დამეთხანება და მაკიაჟის თავიდან გაკეთება მომიწევს.

— შენ არანაირი მაკიაჟი არ გჭირდება, პატარავ, ისედაც ლამაზი ხარ.

— მაგრამ მაკიაჟი ქალზე გვეხმარება, ხაზი გაუფსკავთ იმას, რაც საუკეთესო გვაქვს და ამავდროულად, ყველა ნაკლი დავშალოთ.

— შენ ნაკლი არა გაქვს, სიხარულო, მაგრამ თუ მიგაჩნია, რომ ეს აუცილებელია, ითხოვნე, რამდენიც გაგიხარდება, — გიგის ხმაში მხიარული ნოტები აშკარად იკვეთებოდა.

— სად მივდივარ?

— სასტუმრო „გოლდ სტარში“, ნომერი უკვე დაგვავსენე.

— შენთან არ ვვინა?

— არა, მინდა უცხო, თან მდიდრულ გარემოში შეგიგროვო... იცოდე, ამაღამ ძილი არ გინერია და აქედანვე შეეგუე ამას.

ნიას ბედნიერების ღიმილმა გადაურბინა სახეზე. რა კარგია; ასეთ ადგილას ადრე არასდროს ყოფილა. არც ისე ცუდი ყოფილა მდიდარი კაცის საყვარლობა თურმე...

აივნის კიდეში მდებარე მაგიდა შეარჩიეს. იქიდან ლამაზად მოჩანდა ლამპიონებით განათებული მეტეორი და ეკლესია, რომელიც მდინარეს გადაჰყურებდა. ის იყო, გიგამ მენიუ გადაათვალიერა და ოფიციალტს ხელით ანიშნა, შევვთა მიიღეო, რომ... წამით სახე გაუქვავდა. ნიამ მის მზერას თვალი გააყოლა და გაფითრდა... რამდენიმე მეტრში, აივნის მეორე ბოლოში, მდიდრულად განყოფილ სუფრასთან, კახა დევიძე იჯდა

მაკასთან და თავის მეგობრებთან ერთად.

— გისმენთ, — ბლოკნოტმომარჯვებული ოფიციალტი მათ მაგიდას მოუახლოვდა.

— იცით? ჩვენ გადავიფიქრეთ, სხვაგან ვამჯობინეთ წასვლა, — თავაზიანად განუცხადა გიგამ ბავთიან მამაკაცს და ნიას ხელი გაუწოდა, ჩვენი წასვლის დროაო.

— ნიაკო! ვერ ვიჯერებ, ნუთუ ეს შენ ხარ? — ქალის წერიალა ხმამ ზედ ყურთან გაუქროლა გიგის. — ძლივს გიცანი!

მაკამ ნია გადაკოცნა და ცნობისმოყვარე მზერა გიგიზე გადაიტანა.

— ეს არის ჩვენი ლეგენდარული ახვლედიანი? არ მიკვირს, უარი რომ არ თქვი მასზე! შეიძლება ითქვას, შენ ჯეკ-პოტი მოიგე, საყვარელო! ჭკვიანი მყავხარ! — კვლავ უტყნაურად შენიშნა მაკამ და მამაკაცს გაუღიმა.

— გამარჯობა! მე მაკა ვარ, ნიას მეგობარი.

— გიგი, — ჩაილაპარაკა მამაკაცმა, წამოდგა და ქალს ხელი გაუწოდა.

ნიას ერჩინა, მინა გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო. აღმურმა გადააჰკრა სახეზე.

— ძალიან მიხარია, ნია რომ თქვენ გვერდითა. ვერ წარმოიდგენთ, რამდენს ვერჩინებოდი, რომ ასეთი ნაბიჯი გადაედგა, მაგრამ ვერ დავითანხმე. ნამდვილი იდიოტივით იქცეოდა. კიდევ კარგი, ჭკუაზე მოვიდა. მიხარია, მართლაც მიხარია. თქვენნაირი მამაკაცი ყველა პრობლემის გადაწყვეტას ნიშნავს!

— განა ნიას პრობლემები აქვს? — ნაძალადევად გაიღიმა გიგამ და მაკას ანიშნა, დაბრძანდითო.

მაკა ისე იყო აღტყინებული, ნიას შეშინებულ თვალებს ვერც ამჩნევდა. არადა, გოგონა მზერით ეშუადრებოდა მეგობარს, გაჩუმებულიყო. გაფითრებული ერთიანად ცახცახებდა. ყოველივე ამას ისიც დემატა, რომ გოგონამ მათკენ მომავალი კახა დევიძე დაინახა. როგორც ჩანს, ბედისწერამ მისი საბოლოოდ დასჯა გადაწყვიტა. თავი დახარა, იქნებ დევიძემ ვერ მიცნოსო... იმ საღამოს მერე ხომ ძალიან გამოიცვალა ნია, სულ სხვანაირი გახდა.

— ბატონო გიგი! — რუსული აქცენტით დაიროხროხა კახამ. — რა შესვენება!

ახვლედიანმა მოსულს მხოლოდ თავი დაუქინა. ერთხანს ორივენი თვალებით ზომავდნენ ერთმანეთს, თითქოს ორთაბრძოლისთვის ემზადებინათ. ნიას ნერვები სიმეხობით დაეჭიმა.

— ახლა მაინც არ ხარ საკუთარ კაზინოში, ძმობილო, — ირონია გაისმა დევიძის ხმაში.

მაკა მხარზე ჩამოეკიდა თავის საყვარელს და აღტაცებული მზერით მიაჩ-

ერდა ახვლედიანს.

— არა, მაგრამ მე ამ რესტორნის მფლობელსაც კარგად ვიცნობ, — ყინულივით ცივი ხმით უპასუხა გიგამ და ორაზროვანი ღიმილი აუთამამდა ტუჩებზე.

კახამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს სწორედ ასეთ პასუხს ელოდაო, მერე ნიასკენ შეტრიალდა და დამცინავად დააშტერდა.

— უმალე კლასის „ნაშა“, ვერაფერს იტყვი, — თავი დააკანტურა დევიძემ და ნიშნის მოგებით გიგისკენ მოატრიალა თავი.

ნია წამით ვერც მიხვდა, რა მოხდა და როცა გაიაზრა, დაინახა, რომ დევიძე იატაკზე ეგდო. ახვლედიანის მუშტი მამაკაცს პირდაპირ ცხვირში მოხვდა და ნოკაუტში ჩააგდო.

მთელ დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა... ათობით წყვილი თვალი მათ მისჩერებოდა. ცოტა ხანიც და... რესტორნის მომსახურე პერსონალი, დიდინ-პატარიანად მათი მაგიდის გასწვრივ ჩამწკრივდა.

— მშვენიერი დარტყმაა, — თქვა ერთმა და იატაკზე გაშოტილ დევიძეს დახედა.

— იქნებ გაიტანოთ ეს კაცი აქედან, — ისე თქვა გიგამ, არავისთვის შეუხედავს.

— მგონი, „სასწრაფო დახმარების“ გამოძახება მოგიწევს, — წამოიძახა ერთმა ახმახმა და სხვებს გადახედა.

— თუ შეიძლება, ახალგაზრდა ლედი ჩემს მანქანამდე მიაცილეთ, — გიგამ იქვე მდგარ პატარა ბიჭს გასალეზი მიაჩქრა, მისი ხმა მბრძანებლურად უღერდა.

ბიჭმა მორჩილად დაუქინა თავი და ნიასთან ერთად გასასვლელისკენ გაემართა.

ამასობაში დევიძეც გაიტანეს. მაგიდასთან მხოლოდ მაკა და გიგი დარჩნენ ერთმანეთის პირისპირ.

— თქვენ კი, ქალბატონო, — მშვიდი ხმით დაიწყო მამაკაცმა, — ერთ კარგ რჩევას მოგცემთ. შეეშით ამ არაკაცს და სადმე ზღვისპირა ქალაქში გადებარგდით დასასვენებლად. იქ აუცილებლად გამოჩნდება ისეთი ვინმე, ვინც თქვენი გულის მონადირებას შეძლებს... — მერე საფულე ამოიღო, გახსნა და ორმოცდაათლარიანი კუპიური იქვე მდგარ ახალგაზრდა ოფიციალტს გაუწოდა.

— ამ ქალბატონისთვის ტაქსი გამოიძახეთ, თუ შეიძლება.

მაკა უფრო ახლოს მივიდა მასთან, მაჯაში ხელი ჩაავლო და უთხრა:

— მიხარია, ნია რომ ასე დაჭკვიანდა და იპოვა ისეთი ადამიანი, როგორც შენ ხარ. ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ თუ მოინდომებდა, აუცილებლად მიზანში გაართყამდა. მისი გარეგნობის პატრონს ნებისმიერი კაცის

გაგიჟება შეუძლია. სიმართლე გითხრა, მშურს კიდევ მისი, ასეთი მამაკაცი რომ იპოვა — მდიდარი და ლამაზი! ვერ წარმოიდგენ, დღევანდლობაში როგორი ძნელი ასეთების მოძებნა! იმაზე ჭკვიანი ყოფილა ნია, ვიდრე მეგონა. თავისი პრობლემების გადასაჭრელად საკმაოდ მსუყე ლუკმისთვის მიუღნია!

გიგის ნაკვთი არ შერხევია სახეზე, იდგა და მდუმარედ უსმენდა ქადაგად დავარდნილ ქალს.

— ისე, თქვენზე რომელი ქალი იტყოდა უარს! — გადაიკისკისა მაკამ.

— ვიმედოვნებ, ეს ჩვენი პირველი და უკანასკნელი შეხვედრა იქნება, ქალბატონო, — თქვა ბოლოს მამაკაცმა, თავი დაუქნია მაკას და მტკიცე ნაბიჯებით გაერიდა...

— ესე იგი, მაკა ის ქალი, რომელმაც შენი თავი კახა დევიძეს შეტენა? — გულგრილად იკითხა, როგორც კი მანქანაში ჩაჯდა და ნიას გამომცდელად შეხედა.

— მე არავისთვის შევუტენივარ. მგონი, უკვე გითხარი, რა როგორ იყო, — იწყინა გოგონამ.

— ჰო, ალბათ ზედმეტად ცუდი შედარება გამოვიყენე, — სარკაზმი იგრძნობოდა მამაკაცის ტონში, — ვეჭვობ, იგი პატივს სცემდეს თავის ბოზებს.

— არ გაქვს ასე ლაპარაკის უფლება! მაკა ბოზი არ არის! — ქალს ნიკაპი აუკანკალდა.

გიგიმ ჩაახველა. ამნუთას იგი გაბოროტებული იყო. გაბოროტებული იმით, რომ იმ არამზადა დევიძემ ნიას დამცირება გაბედა. კიდევ იმით, რომ ნია მაკას თავისი საყვარლის თვალყურის დევნებაში დაეხმარა. ან კი რაში სჭირდება ასეთი მეგობარი? ქალი, რომელიც არაფრით განსხვავდება ცირკის მესვერსგან.

— ის ქუჩაში არ დგას, მაგრამ ეს არ უშლის ხელს, ბოზი იყოს. სხვანაირად რა შეიძლება, მისნაირს უწოდო? — თავს ვერ იკავებდა გიგი.

ნიამ პასუხი არ გასცა, ოდნავ შეაქცია ზურგი. არ უნდოდა, ახლა მაკაზე ეფიქრა, არც კახა დევიძეზე. არაფერზე უნდოდა ეფიქრა, რაც ამ საზიზღარ საღამოს მოაგონებდა. ღმერთო, გიგი მაინც შეწყვეტდეს ამ თემაზე საუბარს.

— აბა! — გააგრძელა ახლედინამა. — შენ როგორ უწოდებდი მას? იქნებ კახპას?

— არ მინდა მაკაზე ლაპარაკი!

— არა? მართლა? არადა, მას როგორ უნდოდა, შენზე ელაპარაკა! — მამაკაცს ხმა შეეცვალა, თითქოს იწვევდა ქალს.

ამნუთას ნიას ის გიგი გაახსენდა, პირველად რომ გაიცნო. მაშინაც სწორედ



ასეთი ტონით ელაპარაკებოდა. მაშინ გოგონას საკმაოდ დრო დასჭირდა იმისთვის, რომ თავისი წესიერება დაემტკიცებინა. ახლა კი არ აპირებდა თავის მართლებას.

— შენ მას, როგორც მეგობარს, დიდი სამსახური გაუწიე და მისი საყვარლის პარტნიორობა იტყირთე.

— არა, ეს ასე არ ყოფილა, გაჩუმდი, თუ ღმერთი განმას!

— ნუთუ არ გაინტერესებს, შენმა ძვირფასმა დაქალმა რა მითხრა შენზე? სხვათა შორის, ძალიან ბევრი საინტერესო რამ.

ნიამ მძიმედ მოაბრუნა თავი და მრისხანე მზერა ესროლა.

— რას გულისხმობ? — უმწეოდ იკითხა.

— ჩემთან რატომ ხარ, ნია?

— რა-ა?

— მშვენივრად გაიგონე, რაც გკითხე. რატომ ხარ-მეთქი ჩემთან. რა გაკავებს, რომ ჩემ გვერდით იყო? — გიგისთვის აუცილებელი იყო, პასუხი მოესმინა. დადგა დრო, გაირკვეს, რას ნიშნავს ეს ქალი მისთვის და თვითონ რას წარმოადგენს ნიასთვის. მას პასუხი სჭირდება და მიიღებს კიდევ.

ქალმა ტუჩი მოიკვნია და ანერვიულებულმა მანქანის დაბურულ მინას მიაღო თავი.

— ამაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს. შენ მშვენივრად იცი, რატომაც ვარ აქ.

— ნუთუ? მე კი მინდოდა, შენგან მომესმინა ეს. მითხარი, რატომ გინდა ჩემთან დარჩენა, გოგონი?

„იმიტომ, რომ მე ის ქალი ვარ, რომელიც შენ გაუღრს“, — გაიფიქრა თავისთვის.

მოულოდნელად რაღაც აზრმა გონება გაუნათა. ნელა შემოტრიალდა მამაკაცისკენ, ერთხანს თვალმოუშორებლად უყურა, მერე მაცდური ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე.

— გამეცი პასუხი, მაჩვენე, რატომ ხარ ჩემთან, — არ ეშვებოდა მამაკაცი.

უეცრად გოგონას გამომეტყველება შეეცვალა, სახის ნაკვთები გაუშვავდა, ღიმილი გაუქვავდა, თვალები დაუნვრილდა... შემდეგ ხელები გადაიჯვარდინა, კაბის ბოლოებს თითები ჩასჭიდა და ერთი მოძრაობით ტანთ გაიხიდა... მთვარის შუქზე მისი სახე მკვრივი კიდევ უფრო თეთრად აქათქათდა.

— აი, ამიტომ, — დაიჩურჩულა ქალმა, — მხოლოდ ამიტომ.

გიგი მიხვდა, მის გამონვევას გოგონამ გამონვევითვე უპასუხა. უნდოდა, ძალიან უნდოდა, თავი შეეკავებინა, მაგრამ ისეთი ძლიერი ცდუნების წინაშე აღმოჩნდა... მიხვდა, ვერ შეძლებდა.

წამიც და ჟინმორეული მამაკაცი მის შიშველ მკერდს დააცხრა...

— ღმერთო, რას მიშვრები, პატარავ, ხვდები მაინც? — ბუტბუტებდა თავისთვის და მოწყურებული კოცნიდა ქალს ყველგან, სადაც მოუხვდებოდა.

ნიას ხმა არ ამოუღია, მან სიტყვების გარეშე დაამტკიცა, რისთვისაც არჩია მის გვერდით ყოფნა...

გონებაგაფანტულმა გიგიმ ძლივს მიაღწია სახლამდე, ვნება ჯერ კიდევ ბობოქრობდა, მის ტუჩებს შემორჩენილი ქალის სურნელი ჯერ კიდევ თავბრუს ახვევდა, მაგრამ... ეჭვები მოსვენებას უკარგავდა. მაინცდამაინც ვერ დააკმაყოფილა ნიას „პასუხმა“, უფრო მეტს ელოდა მისგან.

ერთმანეთისთვის ხმა არ გაუტყიათ, ისე შევიდნენ სახლში. მამაკაცმა ქალს ხელი ჩასჭიდა და ბუხართან მდგარ სავარძელში ჩასვა, თვითონ წინ დაუჯდა და თვალებში ჩააცქერდა.

— ნია! — მისდა უნებურად აღმოხდა, რადგან ახლა ნამდვილად არ აპირებდა მასთან არასასიამოვნო დიალოგის გამართვას, მაგრამ ამავედროულად, არც გაჩუმება შეეძლო.

გოგონა თვალებდახრილი იჯდა, ოდნავაც არ შერხეულა. გიგი მიხვდა, რაოდენ დაძაბული იყო იგი.

— რას გულისხმობდა მაკა, როცა შენს პრობლემებზე ლაპარაკობდა?

ნიამ შეშინებული მზერა მიაპყრო.

— რომელ პრობლემებზე?

— რომელთა გადაჭრაც მე შემძლებია თურმე!

ნიამ იგრძნო, რომ რამდენიმე წამში რეალური ზღაპარი დასასრულს მიუახლოვდებოდა და სასოწარკვეთილმა თვალები დახუჭა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მეგობრული ოჯახი მეგობარ კატარის მოლოდინში



ყვარლის რაიონის სოფელ სანავარდოში კინაძეების ექვსწევლიანი ოჯახი ცხოვრობს, რომელიც ამჟამად მეშვიდე პატარას ელოდება. თათია, ანანო, საბა, პეტრე, გიორგი და იოანე კინაძეებმა ერთმანეთის გატანა ბავშვობიდანვე ისწავლეს. გოგონებს ესმით, რომ ორსული დედის დატვირთვა არ შეიძლება და ოჯახურ საქმეებში შეძლებ-ისდაგვარად ეხმარებიან.

იცინ, როგორ უნდა გაუმკლავდნენ გაჭირვებას. მე არასოდეს მიზრუნია ძმაზე, ჩვენზე დედა ზრუნავდა, ჩემი პატარები კი ყოველდღიურად განიცდიან ერთმანეთის ტყვივლსა და სიხარულს, ურთიერთს უვლიან. როცა მრავალშვილიანი დედა ხდები, სიამაყის გრძობა გეუფლება და ფიქრობ, რომ შვილები შენი განძია, მაგრამ ამავდროულად, მათი აღზრდისას ბევრ პრობლემას აწყდები, რაც კმაყოფილების გრძობას ერთგვარად ამუხრუჭებს.

— **შვილებს შორის ყურადღების განაწილებას როგორ ასწავლებ?**

— ხანდახან ვფიქრობ, რომ უფროსებს სითბოს ვაკლებ, მაგრამ რა ვქნა, მე არ მაქვს სიყვარულის იმხელა უნარი, რომ ის ყველას თანაბრად გაუუნანო. უფრო მეტად პატარაზე ვზრუნავ. ჰოდა, ასეთ დროს პეტრე მოდის, ხან ხელზე, ხანაც — ზურგზე მკოცნის, რათა ჩემი ყურადღება მიიპყროს (ილიმება).

— **მკაცრი დედა ხართ?**

„გვაუბნებია, რომ 6-შვილიანი ოჯახი მრავალშვილიანად არ მიიჩნევა“

ელენე ბასილიაძე

ინფორმაცია:

— მხოლოდ ერთი ძმა მყავს და ყოველთვის მქონდა სურვილი, დაც მყოლოდა. ვამბობდი, რომ დიდი ოჯახი და ბევრი დედამამიშვილი ბედნიერებაა, მაგრამ არასოდეს მიფიქრია, ამდენი შვილი თუ მეყოლებოდა (ილიმება). ჩემი მეუღლის მამა იმ ოჯახშია გაზრდილი, სადაც ახლა ჩვენ ვცხოვრობთ და მას 6 დედამამიშვილი ჰყავდა. უფალმა ინება, რომ ჩვენი ოჯახიც ასე გამრავლებულიყო, თორემ მრავალშვილიანობა მხოლოდ ვინმეს სურვილზე არ არის დამოკიდებული. ყოველთვის უძღური, ვიღაცაზე დამოკიდებული ქალი ვიყავი, მაგრამ უფლის მფარველობას ვგრძნობ და ეს მაძლიერებს. დღეს ჩვენი უფროსი ქალიშვილი, თათია 17 წლისაა, უმცროსი, იოანე კი წლისა და 1 თვის გახლავთ.

— **ვიცი, რომ თქვენი მეუღლე აფხაზეთიდან დევნილია.**

— დიახ, ის წარმოშობით სოხუმიდან გახლავთ. ჩვენ მამის შექმენით ოჯახი, როცა საქართველოში საშინელი გაჭირვება იყო, როცა აფხაზეთი დავკარგეთ და 2 ბავშვით ხელში საშინელ გაურკვევლობაში აღმოვჩნდით. სრულიად მარტონი ვიყავით და ვერ გაგვეგო, საით უნდა წავსულიყავით, როგორ უნდა გვეცხოვრა. კახეთში ჩამოვედით და სტომატოლოგად დავინწყე მუშაობა, მერე კი უფალმა ინება

და ცხოვრება ეკლესიას დავუკავშირეთ. ამის შემდეგ მივხვდით, რომ ცხოვრება არც ისე საშინელი ყოფილა და მრავალშვილიანობის ჯვარიც ვიტვირთეთ. პატარების ყურება დიდი ბედნიერებაა!

— **ეკლესიასთან თქვენი დაახლოება რამ განაპირობა?**

— მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ბავშვობაში უფლის ხსენებაც არ შეიძლებოდა, მისი არსებობის ყოველთვის მწამდა. ჩემი მეუღლეს იხსენებს ხოლმე, რომ მამაოების მიმართ ყოველთვის დიდი მოწინება ჰქონდა. უნდოდა, გვერდით ისეთი ადამიანი ჰყოლოდა, რომელსაც რჩევას ჰკითხავდა და მისგან პასუხსაც მიიღებდა, ასეთი ადამიანი კი ჩვენი მოძღვარი აღმოჩნდა. თავიდან ძალიან გაგვიჭირდა იმის გათავისება, რომ ასეთ გაჭირვებულ დროში ბევრი შვილი უნდა გვყოლოდა, მაგრამ დღეს ბედნიერები ვართ. ჩემს შვილებს ბევრი რამის მოთმენა შეუძლიათ და მჯერა, ისინი ცხოვრებისეულ პრობლემებს თავს არ დაუხრიან, როდესაც დიდი გაჭირვება ეწვევათ, ჩემსავით, სასწონარკვეთილებაში არ ჩაცვივდებიან და არც დაიბნევიან. მათ უკვე

— ზოგჯერ ბავშვებს ძალიან მკაცრად ვექცევი, მოგვიანებით კი ამას ვნანობ. ვფიქრობ, რომ უკეთესი იქნებოდა, პატარების მიმართ ცოტა ლობიერი ყოფილიყავი. ცვდილობ, დესპოტ დედად არ ვიქცე (იციინის).

— **მეშვიდე პატარას როდის ელოდებით?**

— ოქტომბერში ველოდებით. ყველას გვინდა, რომ გოგონა დაიბადოს. ამას წინათ ანანო ამბობდა, — დავილაღე ამ ბიჭების გაზრდით, მაინტერესებს, გოგო როგორ იზრდებაო (იციინის).

— **ქალბატონო ნინო, თუ იცით, როგორია სხვების თვლით დანახული თქვენი ოჯახი?**

— ახლობლებს ვებრალები იმის გამო, რომ ყოველ წელს ორსულად

თათია, გიორგი და პეტრე



უძვირფასესი საქორწინო ბეჭდების ტოპათეული



ვარსკვლავთა პირადი ცხოვრება მუდმივად საზოგადოების ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ხალხს განსაკუთრებით ისეთი რომანტიკული მომენტები აინტერესებს, როგორც ნიშნობა და ქორწილია. საქორწინო ბეჭედი კი, ამ მოვლენათა უმთავრესი ატრიბუტია. ამჯერად ცნობილ ადამიანთა 10 ყველაზე ძვირად ღირებული ბეჭდის შესახებ მოგიხსნებთ. როგორც წესი, ვარსკვლავთა სიმდიდრე და ფუფუნება მათი პოპულარობის მატებასთან ერთად იზრდება. როდესაც საქვეყნოდ ცნობილი მამაკაცი, არანაკლებ ცნობილ სატრფოს გულსა და ხელს სთავაზობს, იგი ცდილობს, საცოლეს ყველაზე უჩვეულო საქორწინო ბეჭედი მიართვას. ამასთან, სამკაულის ფასმა შესაძლოა, ასტრონომიული თანხა შეადგინოს. ხშირად საქმე არათუ ასეულ ათასს, არამედ მილიონობით დოლარს ეხება.

იანი ქონების მემკვიდრემ, ბერძენმა პერის ლატისმა მიართვა. საზოგადოებამ პერისის სამკაული 2005 წლის ნიუ-იორკის მოდის კვირეულზე იხილა. წყვილის ვნებრივი რომანი მხოლოდ 5 თვეს გაგრძელდა. შეყვარებული წყვილი გრძობების დაფარვას საზოგადოებაშიც კი არ ცდილობდა, მაგრამ მათი გრძობა ისევე სწრაფად ჩაიფერვლა, როგორც დაინთო...

ანა კურნიკოვა

დღეისათვის ყველაზე ძვირად ღირებული საქორწინო ბეჭდის მფლობელი, რუსი ჩოგბურთელი ანა კურნიკოვაა, რომლის 14-კარატიანი ვარდისფერი ბრილიანტისთვლიანი ბეჭდის ზუსტი ფასი არ ხმაურდება, მაგრამ პროფესიონალებმა საიუველირო შედეგრი 6 მილიონ დოლარად შეაფასეს. ეს მართლაც მეფური საჩუქარი ანამ 2004 წელს, ქალების სათაყვანებელი ენრიკე იგლესიასისგან მიიღო. მათი სასიყვარულო ურთიერთობა 2002 წელს დაიწყო. მას შემდეგ, რაც ანამ ბოიფრენდისგან უძვირფასესი საჩუქარი მიიღო, მათი პირადი ცხოვრების შესახებ მუდამ ახალ-ახალი ჭორი ვრცელდება. ერთნი ამბობენ, რომ ანა და ენრიკე დღემდე არ დაქორწინებულან, მიუხედავად იმისა, რომ დიდხანს ერთად ცხოვრობდნენ, მეორენი ირწმუნებიან, თითქოს შეყვარებულები შეუღლდნენ, მაგრამ შემდეგ ერთმანეთს გამოირდნენ.



მელანი კნაუსი

პლანეტის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს, დონალდ ტრამპს რჩეულისთვის მოკრძალებული საქორწინო ბეჭდის ჩუქების უფლება უზრალოდ არ ჰქონდა. ამერიკელი ბიზნესმენისა და მწერლის შესაბამე ცოლმა — მელანი კნაუსმა საჩუქრად 3-მილიონიანი ნიშნობის ბეჭედი მიიღო. დონალდ ტრამპმა სატრფოს დაქორწინება 2004 წელს შესთავაზა და ერთგულების ნიშნად, 15-კარატიანი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი მიართვა. 2005 წლის 22 იანვარს, წყვილმა ფლორიდის ეკლესიაში ჯვარი დაიწერა, მეორე საქორწინო ცერემონია კი დონალდ ტრამპის მამულში ჩატარდა, რომელსაც „მარ-ა-ლაგო“ ეწოდება. ამჟამად ტრამპების ოჯახში მათი 3 წლის ვაჟიშვილი ბერონ უილიამ ტრამპი იზრდება.

ბეიონს ნოულზი

ცნობილი მომღერლის ბეიონს ნოულზის ნიშნობის ბეჭედი ანა კურნიკოვას სამკაულზე ოდნავ იაფია. ბეიონსის 18-კარატიანი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი, რომელიც მას მომღერალმა Jay-Z-მ აჩუქა, 5 მლნ დოლარადაა შეფასებული. რეიტინგის ლიდერის, ანა კურნიკოვასგან განსხვავებით, ბეიონსი გულუხვი საჩუქრის მიღებიდან ცოტა ხანში, 2008 წლის აპრილში Jay-Z-ს ცოლად გაჰყვა. მომღერალმა ძვირფასი ბეჭედი სახალხოდ 2008 წლის სექტემბერში მის ერთ-ერთ კონცერტზე გამოაჩინა.

ჯაკობინ კენედი-ონასისი

XX საუკუნის ყველაზე იდუმალი და ამავე დროს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქალი, მოდის კანონმდებელი, სილამაზისა და ქალურობის ეტალონი — ამ ეპითეტებით ბერძენი მილიარდერის, არისტოკრატულ ონასისის ცოლს —



პერის ჰილტონი

რეიტინგში მესამე ადგილი სკანდალებით სახელგანთქმულმა, მაღალი საზოგადოების წარმომადგენელმა, პერის ჰილტონმა დაიკავა. მისი 24-კარატიანი ბრილიანტისთვლიანი საქორწინო ბეჭდის ღირებულება 4,7 მილიონი დოლარია. პერისს ეს ბეჭედი მრავალმილიონ-







და საიუველირო ნაკეთობა პირადად მერაია კერისთვის შექმნა.

კეტრინ ზეტა-ჯონსი

მაიკლ დუგლასმა სატრფოს ცოტა არ იყოს, უჩვეულო საჩუქარი მიართვა. მან კეტრინ ზეტა-ჯონსისთვის თანამედროვე სამკაულის ნაცვლად, ძველებური — 1920-



და კეტი ჰოლმსი 2006 წელს დაქორწინდნენ. ამჟამად ოჯახში 2 წლის გოგონა — სური იზრდება. პრესა იუწყება, რომ კეტი კვლავ ორსულადაა და მალე 2 შვილის დედა გახდება.

ჯენიფერ ლოპესი

ბენ აფლეკმა ჯენიფერ ლოპესს უძვირფასესი 6,1-კარატიანი ბრილიანტით შემკული ბეჭედი აჩუქა. ბენმა ამ საარაკო საჩუქარში 1,2 მლნ დოლარი გადაიხადა. მათი ქორწილი 2003 წლის შემოდგომაზე უნდა შემდგარიყო, მაგრამ ჩაიშალა, რადგან ნყვილი ერთმანეთს დაშორდა....

კამილა ჰარკერ ბოულობი

რეიტინგის ბოლო, მეთექვსმეტი ადგილი კამილა ჰარკერ ბოულობის ბეჭედმა დაიკავა, რომელიც მას ბრიტანეთის სამეფო ტახტის მემკვიდრემ, პრინცმა ჩარლზმა აჩუქა. სწორკუთხა ბრილიანტის თვლიან ლამაზ ბეჭედს სპეცი-ალისტები 1 მლნ დოლარად აფასებენ. პრინცესა დაიანას ყოფილმა ქმარმა ახალ რჩეულსა და ძველ საყვარელს ძვირფასი საჩუქარი 2005 წელს მიართვა.

ჟაკლინ კენედი-ონასის ამკობდნენ. მისმა საქორწინო ბეჭედმა რეიტინგში მეხუთე ადგილი დაიკავა. 1968 წელს არისტოკრატულ ონასისმა ჟაკლინს ხელი და გული შესთავაზა და სიყვარულის ნიშნად, 2,6 მლნ დოლარად ღირებული 40-კარატიანი ბრილიანტით დამშვენებული ბეჭედი მიართვა. 1994 წელს ჟაკლინ კენედის გარდაცვალების შემდეგ, შვილებმა დედის ქონების უდიდესი ნაწილი აუქციონზე გაიტანეს. ამ ნივთებს შორის იყო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული ბეჭედიც...

მერაია კერი


ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული საქორწინო ბეჭედი ცნობილ მომღერალ მერაია კერის ეკუთვნის. 2008 წლის აპრილში საქმრომ, ნიკ კენონმა მერაიას 2,5 მლნ დოლარად ღირებული ბეჭედი მიართვა. პირველი შეხვედრიდან 2 თვეც არ იყო გასული, რომ მერაია და ნიკი დაქორწინდნენ. ქორწილი, ნიშნობის მსგავსად, საიდუმლო ვითარებაში ჩატარდა. მომღერალმა ძვირფასი ბეჭედი სახალხოდ ნიუ-იორკის კინოფესტივალზე Tribeca გაიკეთა. გავრცელდა ჭორი, თითქოს კენონმა მერაიას სწორედ ეს ბეჭედი აჩუქა, რომელიც ყოფილი საყვარლის, მოდელ სელიტ ებანკისთვის შეიძინა, მაგრამ კომპანიის JACOB & CO. იუველირმა ჭორი გააქარწყლა და განაცხადა, რომ ბეჭდის დიზაინზე იგი თავად მუშაობდა

იან წლებში შექმნილი ბეჭედი შეარჩია და ეს საგანგებო საჩუქარი 2 მლნ დოლარი დაუჯდა... ბეჭდის ცენტრალურ ნაწილში ჩასმულ 10-კარატიან ბრილიანტს გარშემო 28 მცირე ზომის ბრილიანტი ამშვენებს. ცოლზე 25 წლით უფროსმა მაიკლ დუგლასმა კეტრინ ზეტა-ჯონსს ხელი 2000 წელს სთხოვა და მასზე იმავე წელს დაქორწინდა. ახლა ვარსკვლავურ ოჯახში 2 ბავშვი იზრდება.



კეტი ჰოლმსი

კეტი ჰოლმსის არათითს ტომ კრუზის საჩუქარი 1,5 მილიონდოლარიანი საქორწინო ბეჭედი ამშვენებს. ინგლისის მეფე ედუარდ VII-ეს ეპოქის (XX საუკუნის დასაწყისი) სტილში შექმნილი ბეჭედი ოვალური ფორმის ბრილიანტით არის შემკული. ტომ კრუზი



„ჩემი ცოცხალი უშვილოებანი და ჩემი „სროკს“ კიდე უშვილო...“

36 წლის მარინა ძარბაზა უკვე იმდენი რამ გადაიტანა, ამბობს: თავი ღრმად მოხუცებული მგონიაო.

ალბათ გახსოვთ, შარშან ნაჩვენები სატელევიზიო სიუჟეტი პატიმარი ქალის შესახებ, რომელიც ციხიდან მაშინ გაათავისუფლეს, როდესაც გორში დაბომბვის შედეგად, შვილი დაეღუპა. ამ ამბავს გულგრილი არავინ დაუტოვებია. თუმცა მარინას ტრაგედია არც ამით დაწყებულია და არც ამით დასრულებულა. ბევრი რამ დარჩა კიდევ კადრს მიღმა...

ელენე ხირსელი

— ალბათ წინაპრების ცოდვების გამო დავისავე, რადგანაც თავად ისეთი არაფერი ჩამიდგინა. თუმცა რა ვიცი, იქნებ ჩავიდინე კიდევ და ვერ ვხვდები... გორში მშობლებთან ერთად, საშუალო შეძლების ოჯახში ვცხოვრობდი. როცა გავთხოვდი, 17 წლისაც არ ვიყავი. ცხინვალის დევილ შურმან კვორმელს გავყვი და მას შემდეგ ვცხოვრობ ამ დაწყველილი ოთახში, კომუნალური ტიპის ე.წ. ბინაში (საერთო ტუალეტითა და სამზარეულოთი). ვერ ბამბულის კომბინატში მუშად ვმუშაობდი, მერე ქუჩაში წვრილმანით ვჭაჭრობდი. მეუღლეს სულ რაღაცას ცდილობდა, მაგრამ მაინც ვერ მოგვრგეტ ამ ცხოვრებას, აილო ვერ ავუღეთ. არადა, ოთხ შვილს რჩენა არ უნდოდა?! ხშირად ცარიელ პურსა და წყალზე გადავსულვართ, ზოგჯერ არც ეს გვეონია... ბავშვებს სასუსნავი ენატრებოდათ. ვფიქრობ, სწორედ ეს გახდა ჩემი უმცროსი ბიჭის დაღუპვის მიზეზიც.

რას გულისხმობთ?

— გიორგი 4 წლის იყო; ბავშვებთან ერთად, სახლის წინ თამაშობდა. მოუსვენარი, ვერცხლისწყალივით ბავშვი იყო, საკმაოდ ლამაზიც. ნაგვის ბუნკერში პლასტმასის ბოთლი იპოვა, რომელშიც რაღაც ფერადი სითხე ესხა. ლიმონათი ეგონა, მოიყუდა და წამებში გამოცალა... პირველად მამი-დამისმა დაინახა, რომ ბავშვი მიწაზე გონებადაკარგული ეგდო, გულში კი ბოთლი ჰქონდა ჩახუტებული... ისე დამძიმდა, ძლივს მივიყვანეთ სახლამდე. მერე გასივდა. საოცარი რამ მოხდა: თითქოს გაიზარდა კიდევ, ზრდასრულ ბიჭს დაემსგავსა და საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

ბოთლში რა ნივთიერება იყო?

— არ ვიცი. ექსპერტიზა არ ჩატარებულა, ბავშვი არ გაუყვითავთ ან რაღა აზრი ჰქონდა?! იმ დღიდან მოსვენება დავკარგე, ყველაფერში საკუთარ თავს ვაძანაშაულებ...
— როგორც ვიცი, ამ ამბავს მალე თქვენი დაპატიმრებაც მოჰყვა, არა?

— ბავშვის დაღუპვიდან სულ რამდენიმე თვე იყო გასული. 2006 წლის 10 აგვისტოს, მე და ჩემი მეზობელი ქალი, ხათუნა თეთრუაშვილი ქალაქგარეთ მაყვლის საკრეფად წავიდით. გორის შპალსაჟღენთი ქარხნის ტერიტორია ფაქტობრივად, მიტოვებულია ითვლება. იქ მრავლადაა ხილკენ-

კრა. იმ დღეს ორი ვედრო მაყვალი და ცოტაოდენი ჭანჭური დაგვრჩევთ. წამოსვლისას, ჩემმა თანამგზავრმა თავმოკრული ტომარა შენიშნა, რომელსაც ზემოდან ცარიელი ტომარა ჰქონდა გადაფარებული; შიგლითონის ნაწილები ეყარა. ვაგონიდან მოხსნილი და წასაღებად გამზადებული ნაწილები იყო. იმ პერიოდში ორივეს განსაკუთრებულად გვიჭირდა. ხათუნამ იფიქრა: ამ ჯართს წამოვიღებ, ჩავაბარებ თანხა გავინაწილოთო. საღამო ხანი იყო. მეგობარმა მითხრა: შენ აქ დაშვლოდე, მე გზაზე გავალ და მანქანას გაფაჩერებ; სანამ არ განიშნებ, არ გამოხვიდეო. მან მანქანა გააჩერა და მძღოლს სთხოვა (მანქანაში რამდენიმე კაცი იჯდა), ამ მგზავრებს რომ მიიყვან, მობრუნდი და ჯართი წამაღებინეო. ამის თქმა იყო და მძღოლი მანქანიდან გადმოსტა: თურმე პოლიციელი ყოფილა. მაშინვე ტელეფონით სადღაც დარეკა და დამხმარე ძალა გამოიძახა. სირენებით რამდენიმე მანქანა მოვარდა. ისეთი ამბავი ატყდა, თითქოს ერთი სუსტი ქალის კი არა, შეიარაღებული ზანდის დაკავებას აპირებდნენ. დავინახე, როგორ ჩასვეს მანქანაში ჩემი მეგობარი; სამალავიდან ინსტინქტურად მეც გამოვედი. მაშინვე შემიშნეს და თვალის დახამამებაში მანქანაში აღმოვჩნდი. ხათუნა მთელი გზა უმტკიცებდა, რომ მე მასთან არ ვიყავი.

სად წავიყვანეს?

— გორის პოლიციის სამმართველოში, რომელიც ჩემი სახლიდან რამდენიმე ნაბიჯშია. აბსოლუტურად ყველა თანამშრომელი მიცნობდა. თან ძაძებში ვიყავი და იცოდნენ, რომ არანაირ საეჭუო საქმეში არ ვიყავი შემჩნეული. ჩემი ბავშვის დაღუპვის ამბავიც კარგად ახსოვდათ. მიუხედავად ამისა, მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ ჩვენთვის საქმე გაერთულებინათ და დაემძიმებინათ. ჩაგვიწერეს, თითქოს ის დეტალები ჩვენ თვითონ შევსენით ვაგონს. არადა, მათი მოხსნა თურმე იმდენად რთული და რუსეთიკურია, რომ ამას სპეციალისტის გარდა ვერავინ შეძლებს. თანაც, ამისთვის შესაბამისი ხელსაწყოებია საჭირო, რომელიც მხოლოდ რკინიგზის მომსახურე პერსონალს აქვს. ამასთან, დეტალები რომ ჩახსნა, ამისთვის იარაღის გამოყენებით, ვაგონი უნდა ასწიო, რაც საკმაოდ ღონისძივ მოითხოვს... შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, როგორ ავწნევდით მე და ხათუნა ვაგონს?!

ოქმში რა ჩაგინერეს?



მარინა ქარელი შვილებთან ერთად

— დაკავებისთანავე შედგენილი ოქმი რადიკალურად გამსხვავდება სასამართლოზე წაკითხული ოქმისგან. პირველში, რომელიც ძალიან სასაცილოდ ჟღერს და რომელზეც ციხეში ბევრს იცინოდნენ გოგოები, წერია: „ქ. გორის შპალსაჟღენთი ქარხნის ტერიტორიაზე გაჩერებული შპს „საქართველოს რკინიგზის“ კუთვნილი ვაგონიდან მარინა ქარელმა და ხათუნა თეთრუაშვილმა შეხსნეს ერთი ცალი „ბუქსი“, ავტოგადაბმულობის სოლი, თავისივე სამაგრი ჭანჭიკითა და ქანჩით, ორი ცალი რკინის „შაიბა“ და ორი ცალი „ჟესტის შაიბა“, რითაც ხაშურის სავაგონო დეპოს სერიოზული ზარალი მიყენეს. ასეთი ქმედებით მათ ჩაიდინეს დანაშაული, გათვალისწინებული...“ — შემდეგ ჩამოთვლილია მუხლები. ეს დანაშაული 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას და 4.000-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს.

რამდენს იწონდა ჯართი მთლიანად?

— 20 კილოგრამს არ აღემატებოდა. ალბათ ეს რაოდენობა საკმარისი არ იყო და სასამართლოზე უეცრად, 4 ტონად იქცა. ვინც დაგვაკავა და გაგვასამართლა — ყველამ კარგად იცოდა, რომ ეს დეტალები ვაგონისთვის ჩვენ არ შეგვისხნია. ის ტომარა იქნებ, სატყუარაც კი იყო, გაუბედურებული და მშვიერი ადამიანების მახეში გასაბმელად...

სასამართლოზე თავის მართლება არ გიცდით?

— 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა გვეწონდა მისჯილი, სასამართლო კი მხოლოდ 7 თვის შემდეგ გაიმართა. ჩემმა მენეჯერმა ყველაფერი საკუთარ თავზე აიღო. მოსამართლემ დამნაშავედ ცნო და განაჩენიც გამოუტანა. მე კი დარბაზიდან მიშვებდნენ. რა დამემართა, მე თვითონაც არ ვიცი, თითქოს უხერხულად ვიგრძენი თავი. პროცესი უკვე დამთავრებული იყო და უეცრად წამოვიძახე: პატივცემულო მოსამართლე, მე

გეგმვით სიმაღლეს — ამონაგები თანაბრად უნდა გაგვეწილებინა-მეთქი... მოსამართლე შეცბა, მგონი, გაუხარდა კიდევ: ახლა მე გაგინაწილებთ წლებსო, — და თითოეულს 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა და ასევე 4-4 ათასი ლარი ჯარიმა დაგვაკისრა. პროცესის დამთავრების შემდეგაც არ მომცეს შვილებთან შეხვედრის უფლება. როცა უკვე მანქანაში მსვამდნენ, 2 წლის ლიკუნამ დამინახა, ჩემკენ გამოეყინა და კისერზე ჩამომევიდა. ორივე ვლრალებდით. არ წახვიდე, დედა, არ წახვიდე! — მთხოვდა. ამ სცენის მომსწრე, შემთხვევითი ადამიანებიც ჩვენთან ერთად ქვითინებდნენ...

— ციხეს როგორ შეგეუთ?

— მეტი რა გზაა? ადამიანი ყველაფერს ეგუება. ზოგს ძალიან უჭირს. მაგალითად, ერთმა გოგომ, თავის მოკვლის მიზნით, ყელში ბრიტვა გამოისვა... თუ გარედან განვიძიან საქმელს ან გაქვს თანხა, რომ ციხეში პროდუქტი შეიძინო (ყველაფერი ოთხჯერ და ხუთჯერ ძვირია), კიდევ კარგია, ხოლო ვინც მხოლოდ ციხის საქმელს, ე.წ. „ბალანდას“ ჭამს, გარანტირებული აქვს კუჭ-ნაწლავის სერიოზული დაავადებები.

— ძირითადად, რა დანაშაულების გამო „ისხდნენ“ ქალები?

— იყვნენ ნარკოტიკებით მოვაჭრე ქალები (მეტწილად, აზერბაიჯანელები), რამდენიმე მკვლეელი, მაგრამ უმრავლესობა, წვრილმანი დანაშაულისთვის იხდის სასჯელს. კონკრეტულ ფაქტებს გეტყვით და გავცდებით: ერთ ქალს ოთხწლიანი პატიმრობა და 4 ათასი ლარი ჯარიმა მხოლოდ იმიტომ

ატიმრებიდან 7 თვის შემდეგ, ხათუნას ერთადერთი, 19 წლის ვაჟი, რომელიც სრულიად მარტო დარჩა, იძულებული გახდა, ჯართის შეგროვებით ერჩინა თავი. ზუსტად არ ვიცი, რა მოუხდა, მაგრამ ფაქტია, რომ ჯართის გამო ბავშვი, რომელზეც აუგი არავის უთქვამს, დაიჭირეს და 9 წელი პატიმრობა მიუსაჯეს.

— თქვენთვის კიდევ ერთ მტკივნეულ თემას შეგეხება: აგვისტოს ომი უშუალოდ თქვენი ოჯახისთვის დიდ ტრაგედიად იქცა—

— სანამ ომი დაიწყებოდა, საშინელი წინათგრძნობა მექონდა. მესიზმრებოდა, თითქოს ცეცხლის ალში ვინვოდი... მერე, ტელეეკრანზე ჩემი დანგრეული, განადგურებული სახლი რომ დავინახე, თითქოს არც გამკვირვებია. ხოლო მაშინ, როცა ნანგრევებში ჩემი შვილის სათამაშო ვიცანი, ტვინში სისხლი მომანვა. ნარმოიდგინეთ, რა განცდაა, როცა არ იცი, შენი საყვარელი ადამიანები ცოცხლები არიან თუ — არა, თავად კი 4 კედელში ხარ გამომწყვდეული და სრულიად უძლური, ვერაფერს აკეთებ!.. ტელეფონითაც ვერავის ვუკავშირდებოდი. ხათუნა მამშვიდებდა.

— როგორ მოხდა ყველაფერი?

— იმ დროს (2008 წლის 9 აგვისტოს) სახლში მუუღლის ბებია, ჩემი უფროსი ბიჭი — 12 წლის მერაბი და უმცროსი გოგონა — 4 წლის ლიკუნა იყვნენ. შუათანა ბავშვი — დათო სახლთან ახლოს, სკოლის ეზოში თამაშობდა. სწორედ იმ სკოლაზე, სადაც ჩვენი ჯარისკაცები იყვნენ განთავსებული,

და კაცს, დაბნეულს, არანორმალური გამომეტყველებით; ეს ჩემი მეუღლეა... მან ინფარქტი გადაიტანა, ახლა ისეთ დღეში აქვს წერვები, ადამიანს არ ჰგავს. ამხელა კაცი დღე და ღამე ტირის, გაღიმებულს ვეღარ ნახავ.

— როგორ ბავშვი იყო მერაბი?

— უზომოდ თბილი და ამასთან, ძალზე ბავშვური... მერაბი ჩემი პირველი შვილი იყო. ამ სახლში დაიბადა და საუბედუროდ, ამავე სახლში დარჩა სამუდამოდ. შურმანის ბებიას გამოჩეულად უყვარდა მერაბი, სულ კუდში დასდევდა. არც ერთ ბავშვთან არ ჰქონდა ასეთი დამოკიდებულება; ცოტაც რომ შეაგვიანდებოდა, ვეღარ ისვენებდა, ნერვიულობდა... იმ დროს, როდესაც აფეთქება მოხდა, ბებია და ბავშვები სადილობდნენ; აფეთქებამდე რამდენიმე წუთით ადრე დათო გარეთ გასულა (გოგონა საძინებელში იყო), მერაბიც წამომდგარა, მაგრამ ბებია არ გაუშვა, — შენი ულუფა დაამთავრეო. მის გარეშე ვერ ძლებდა და სამარეშიც თან ჩაიყოლა.

— თქვენი გათავისუფლება როგორ მოხდა?

— გიორგი თარგამაძე (ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი) გორში იყო ჩამოსული. მან ჩვენი ოჯახის ტრაგედიის ამბავი გაიგო და აღძრა შუამდგომლობა, ვადამდე ჩემი გათავისუფლების შესახებ. გამოსვლის წინ მახსოვს, ერთ-ერთმა ოფიციალურმა იურიდიულმა პირმა ტელევიზიით ჩემზე თქვა: საწყალი ქალი, 20 კილო ჯართისთვის ზისო!.. ჩემი გათავისუფლებიდან რამდენიმე თვეში, ჩემი მეგობარი — ხათუნა თეთრუაშვილიც გათავისუფლეს. მაღლობელი ვარ, მაგრამ ნეტავ, ჩემები ცოცხლები ყოფილიყვნენ და რამდენიმე „სროკს“ კიდევ მოვიხდიდი.

— ახლა რას აკეთებთ, როგორ ცხოვრობთ?

— ვცხოვრობ ისევ ჩემს სახლში, რომელიც ალაღვინეს და გაარემონტეს, ფასადიც ლამაზად შელბეს, თუმცა კედლები ისევ დასკდა და გაიბზარა, მეშინია, მცირე ბიძგისას თავზე არ ჩამოგვეგრეს... როგორ ვცხოვრობთ?.. ვარსებობთ, კი არ ვცხოვრობთ. გაჭირვება და სიღატაკე მთელი ცხოვრება თან მდევს. გოგონას პენსია დაენიშნა; ერთჯერადი ფულადი დახმარებაც მოგვცეს — ეს არის და ეს. სტაბილური შემოსავალი არ გვაქვს — უშუშევრები ვართ. მეუღლე ადრე ფიზიკურად შრომობდა, ახლა კი, ამხელა სტრესისა და ინფარქტის შემდეგ, აღარ შეუძლია. დათო სკოლაში არ დადის — ჩვენ არც წიგნების ყიდვის საშუალება გვაქვს და არც იმის წერვები, რომ წიგნებს მიფასდეთ. ომის შემდეგ ბავშვები ძალიან გაღიზიანებული არიან. არადა, გული მწყდება, დათო რომ არ სწავლობს, რადგან გონიერი ბიჭია. შიში დამჩქედა: ბავშვები გარეთ რომ არიან, ვერ ვისვენებ; სულ მგონია, რაღაც დაემართებათ... სხვა რა გითხრათ?.. — მინდა, ჩემს შვილებს არ შიოდეთ, არ სციოდეთ, სკოლაში დადიოდნენ, სტუდენტები გახდნენ... ისინი მაინც იყვნენ ბედნიერები, არ ენახათ ის, რაც მე გამოვიარე...



დაეკისრა, რომ მშვიერმა მალაზიის დახლ-იდან ჩუმად ოცთერთიანი ფუნთუშა აიღო და იქვე შეჭამა. ზუსტად ასეთივე სასჯელი ჰქონდა ქალს, რომელმაც ერთი ალუმინის ქვაბი მოიპარა; ერთი ტომარა ლობიოს მოპარვისთვის კი 7 წელი მიუსაჯეს... ვინც მართლა დასაჭერია, ის გარეთ, განცხრომასა და ფუფუნებაში ცხოვრობს... ერთმა ქალმა, რომელიც საკმაოდ შეძლებული ოჯახიდან იყო, საკუთარი რძალი მოკლა, მერე ტომარაში ჩადო და გადაგდებას რომ აპირებდა, სწორედ იმ დროს დააკავეს. მას 13 წელი მიუსაჯეს, მაგრამ ერთ წელიწადში გაათავისუფლეს. ნათქვამია, — გაჭირვებულს ქვა აღმართში დაენევაო: ჩვენი დაბ-

რუსებმა საპაერო იერიში მიიტანეს. დაბობ-ბვის შედეგად, ბებია და მერაბი სულ დაიფლიტნენ; მათი ცხედრები ვერ იპოვეს, მხოლოდ ბავშვის ფეხის ნახვა მოხერხდა და ის დავერძაღეთ... გოგონას გადარჩენა ნამდვილი სასწაული იყო. უკვე წასვლას აპირებდნენ, მაშველებს ნანგრევებიდან ბავშვის გირილი რომ შემოესმათ; პატარა შევლას ითხოვდა და დიდი წვალებით, ნანგრევებიდან მისი ამოყვანა შეძლეს. სულ დამწვარი იყო, სახესა და მუცელზე ახლაც ამჩნევია ნაიარევი. ცალ თვალში „ოსკოლაკა“ მოხვდა და მხედველობა დაკარგა. ტელევიზიით ხშირად აჩვენებენ კადრს — სახლის ნანგრევებთან, ნელში მოხრილ ახალგაზრ-

მკითხველი მკითხველს მიუხედავად დაეხმარება თუ არა „კომპაზი“ და სარედაქციო, რომელიმე კომპანიის ხელში გადასვლა

ქეთი ორჯონიკიძის ჩაცმისა და ვარცხნილობის სტილი ახლაც ბევრს აოცებს, მაგრამ თურმე, თინეიჯერობაში ხალხს მეტად აოცებდა. ის იმიჯს სწორად იცვლიდა და მასწავლებლებს ხან მატრიცად ევლინებოდა, ხან — როკერად, ხანაც — ძალიან ნაზ გოგოდ. ქეთის მხოლოდ სიმღერა და ფორტეპიანოზე დაკვრა კი არა, თურმე, „ბომბების“ დამზადებაც შეუძლია და წლების წინ, „საქმეების გარჩევისას“, ბიჭებსაც ედგა მხარში.

„ადამიანს უხეშობას ვერაფრით ვაპაციებ“

ლიპა ქაჩაია

— ქეთი, მას შემდეგ, რაც „ვარსკვლავების აკადემიაში“ წარმატებას მიაღწიე, შენს ცხოვრებაში რა შეიცვალა?

— ჩემი კარიერა ბევრად პერსპექტიული გახდა და დღეს, თუ რაიმე ღონისძიება ტარდება, თითქმის ყველგან მეპატიჟებიან, ეს კი მომღერლისთვის დიდი ბედნიერებაა. ამასთანავე, გამიჩნდა ბენდი, ბატონი გია ზაალიშვილის ხელმძღვანელობით. ჩვენ ვმუშაობთ ალბომზე, რომელშიც 12 სიმღერა შევა და თითოეული მათგანის ტექსტი ჩემი დანერვილია. ასევე, ვმზადებთ ჩემი სოლო კონცერტისათვის.

— წარმატებებს გისურვებ! ვიცი, რომ 20 წლის ხარ ანუ თინეიჯერი ული ასაკიდან ეს-ესაა, გამოსვდი.

— ასაკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კი, მაგრამ ჩემი აზრით, ჯერ კიდევ თინეიჯერი ვარ და უფრო მეტიც, დედაჩემიც იმას გაიძახის: მე თინეიჯერის დედა ვარო... სხვათა შორის, რაც უფრო ახალი თაობა მოდის, მით მეტად ჭკვიანი, ყველაფერში გათვითცნობიერებული, ერუდირებული არიან. მაგალითად, ახლახან, 3 წლის ბავშვმა დამოუკიდებლად გააკეთა თავისი საიტი, რამაც ძალიან გამაოცა.

— მაგრამ ამ ნიჭიერ თაობას მაინც, ბევრი უნივერსალად მოიხსენიებს... — შეიძლება, წიგნი არ წაიკითხო, მისი


ფურცლები არ გადაშალონ, მაგრამ ლიტერატურას კომპიუტერში გაეცნობიან. მთავარია, განათლება მიიღონ და ამას რა გზით მიაღწევენ, რა მნიშვნელობა აქვს?! შესაძლოა, ვიღაცამ ბევრი წიგნი წაიკითხო, მაგრამ თავში არაფერი დარჩეს, არ იყოს ინტელექტუალური. ჩემი აზრით, ინტელექტს მხოლოდ წიგნები ვერ აგვიმალებს. პირველ რიგში, ამ ყველაფერს საფუძველი ოჯახში უნდა ჩაყაროს. ჩვენს ოჯახში ძალიან ბევრი თემა განიხილებოდა. მაგალითად, ბებია სწორად მელაპარაკებოდა ისტორიანზე, განსაკუთრებით, შუა საუკუნეების ისტორიანზე.

— შენ რომელი ჟანრის ლიტერატურას ანიჭებდი უპირატესობას?

— დეტექტივი მიტაცებდა, ფანტასტიკა... მშობლები გადმომილაგებდნენ ხოლმე წიგნებს და მეუბნებოდნენ: ეს ამაზეა, ის — იმაზე. რომელიც გინდა, აირჩიე და წაიკითხო. ერთადერთი, რისი წაკითხვაც დამაძალეს, ეს იყო „ბიძია თომას ქოხი“. დღემდე მასსოვს, როგორ ვახტებოდი ფურცლებს და როგორც იქნა, „წაკითხე“ (იცინის).

— როგორი მოსწავლე იყავი?

— პრინციპში, კარგი მოსწავლე ვიყავი, მაგრამ ერთხელ, მათემატიკაში ორიანი მივიღე. ძალიან მიყვარდა ქიმია, ფიზიკა და ეს ბებიის დამსახურებაა, რადგანაც მან სახლში პატარა ლაბორატორია მომიწყო, სადაც ცდებს ვატარებდით. ამ ყველაფერმა



ვმუშაობთ ალბომზე, რომელშიც 12 სიმღერა შევა და თითოეული მათგანის ტექსტი ჩემი დანერვილია

კი ძალიან გამიტაცა. მათემატიკა არ მიყვარდა, მაგრამ მაგალითების ამოხსნა კარგად გამომიდიოდა — დედაჩემი მათემატიკოსია და ალბათ, მისი ნიჭი გამომეცა. ძალიან მიყვარდა ისტორია, მაგრამ წლებთან დაკავშირებით „გარღვევა“ მქონდა.

— კი, მაგრამ თუ მათემატიკაში ყველაფერი ფრიალზე გამოგდიოდა, ორიანი როგორღა დამისახურებ?

— მაშინ მეორე კლასში ვიყავი. მეგობარს ვკარნახობდი რაღაცას, მაგრამ ვერ გაიგო. ჰოდა, ავდექი და დემონსტრაციულად, ხმაზე ვუთხარი. მეგონა, მასწავლებელი საკლასო ოთახიდან გასული იყო, ის კი კართან მდგარა. მან ორიანი დამსაჯა და მეც, ტირილით გავსკდი. გამომართლა, რომ ჩემი მშობლები კარგ ნიშანზე გაგიჟებული არ იყვნენ... მოგესხენებათ, ფორტეპიანოზე პატარაობიდანვე ვუკრავდი, ვმღეროდი და საზღვარგარეთ ფესტივალებზეც დავდიოდი. ამის გამო, გაკვეთილები კი მიცდებოდა, მაგრამ მასწავლებლები ანგარიშს მინევდნენ და მათი დამსახურებაცაა, რაღაცას რომ მივალწიე.

— მეგობრებს „დათურ სამსახურს“ სწორად უწევდი?

— კი და ახლაც რომ დამსვან საკონტროლოს დასანერად, ვილაცას კვლავ დავეხმარები, მაგრამ ახლა, ყველაფერს ისე გავაკეთებ, რომ მასწავლებელი მოტყუვდეს, ვერაფერს მიხვდეს. იცი, რას ვაკეთებდით? — მერხებს შორის ძაფი გვექონდა გაბმული, რომელზეც ასანთის კოლოფი იყო დამაგრებული. საკონტროლოს წერილს ვილაცას რამე რომ დასჭირდებოდა, ფურცელზე წერდა, თუ რა უჭირდა და გვიგზავნიდა. ჩვენ ძაფს მოგქაჩავდით, ჩვენამდე მოვიტანდით და მერე, წერილის ავტორს



ბებია სწორად მელაპარაკებოდა ისტორიანზე, განსაკუთრებით, შუა საუკუნეების ისტორიანზე



ფორტეპიანოზე პატარაობიდანვე ვუკრავდი, ვმღეროდი და საზღვარგარეთ ფესტივალებზეც დავდიოდი

პასუხს ამავე გზით ვუბრუნებდით.

— მასწავლებლებს სწორად ანვალელებდი?

— ამისთვის ბევრს არაფერს ვაკეთებდი, უბრალოდ, ლუმელში „ბომბების“ შეყრა მიყვარდა და...

— რა „ბომბების“?

— ფიზიკა-ქიმიის გადამკვიდე, მათ თავად ვამზადებდი. ასაფეთქებელ ნივთიერებას ბებიაჩემის წამლის კაფსულაში ვყრიდი, მერე კი ვამატებდი საღებავს. მოკლედ, რა ფერის საღებავსაც დავამატებდი, „ბომბის“ აფეთქებისას ისეთივე შეფერილობის ბოლი ამოდიოდა და იყო ბათქაბუთქი, ნაირ-ნაირი ფერით ივსებოდა ჩვენი საკლასო ოთახი (იცინის).

— „შატალოზე“ სწორად მიდიოდი?

— სხვათა შორის, „შატალოზე“ წასვლა არ მიყვარდა, მაგრამ თუ ბავშვები გაკვეთილის გაცდენას გადაწყვეტდნენ, კლასში მართო ხომ არ დავრჩებოდი და ამიტომაც, სახლში მოვდიოდი.

— და სახლში რას აკეთებდი?

— გაკვეთილებს ვამზადებდი და მერე, გასართობად მეტი დრო მრჩებოდა.

— ალბათ, სამეზობლოში მეტი მეგობარი გყავდა, ვიდრე კლასში...

— პრინციპში, სამეზობლოში ბევრი მეგობარი არ მყავდა. რაც შეეხება სკოლის მეგობრებს, მათ სწორად ვიცვლიდი. მოგესვენებთ, ბავშვები „სასტავებად“ იყოფიან ხოლმე — ხან ერთთან მეგობრობენ, ხან — მეორესთან და მეც მათსავით, ყველას მოდებული ვიყავი. დღესდღეობით, სკოლის ისეთი მეგობრებიც მყავს, რომელთაც თუ დაჭირდი, მხარში ყველანიარად ამოფუდებო, მაგრამ მათთან ყოველდღიური ურთიერთობა არ მაქვს. სკოლიდან მხოლოდ 2 ისეთი ძმაცაქცევი შემომჩნა, რომლებთანაც დღემდე ძალიან ვახლოვლობ.

— მეგობრებს რის მიხედვით ირჩევდი?

— კარგი ნიშნების გამო ადამიანთან მეგობრობა არასდროს მომსვლია აზრად, მთელი ცხოვრება ვიყავი ხუთოსანი და ვიჯექი ოროსნებთან. უბრალოდ, თუ ადამი-



სერიომულად
15 წლის
ასაკში
შემიყვარდა

ანის აურა მომეწონებოდა, მასთან ურთიერთობის სურვილი მიჩნდებოდა.

— „შატალოზე“ რომ არ მიდიოდი, ამის გამო მშობლები არ გაჯილდოებდნენ?

— უი, რას ამბობ, ასეთი რამ არ მახსოვს. ერთადერთი, იმის გამო მაჯილდოებდნენ (სათამაშოებით), თუ ფორტებიანოზე დაკვრაში დიდხანს ვივარჯიშებდი. როცა წამოვიზარდე, მათ სათამაშოების ნაცვლად, ფულს ვთხოვდი.

— რამდენს ითხოვდი?

— 2 საათ-ნახევარში 5 ლარს ვითხოვდი, მაგრამ ფულს იშვიათად მაძლევდნენ.

— როცა სკოლაში ექსკურსიას აწყობდნენ, არც იქ მიდიოდი?

— როგორ არა, ექსკურსიებზე დავდიოდი. მახსოვს, ვარძიაში ვიყავით, სადაც ერთი მიტოვებული სახლი ვნახეთ და თავზე დავიმხეთ. მერე ბამბუკის ჯოხებზე შემოვჯექით და დავბობდით. ბოლოს, ჭაობში ჩავცვივდით, იქიდან ამოსულები კი მდინარეში „გაგვრეცხეს“ და გასაშრობად მზეზე დავგაყენეს (იცინის)... მაშინ არც „დაჭეროზანას“ თამაში მეზარებოდა და არც — „დახუჭობანასი“, ახლა კი ასე ვერაფრით მოვიქცევი, დამეზარება.

— და ასე ერთობლივად ამთავრებულ კლასში ყოფნისას?

— არა, ასე ცოტა უფრო ადრე ვერთობოდით, ხოლო როცა წამოვიზარდეთ, კლუბებში დავინწყეთ სიარული. მაშინ მოდაში „16 რაუნდი“ იყო, სადაც ყოველდღე მივდიოდი სამღერად: თან საქმეს ვაკეთებდი და თან, მეგობრებთან ერთად ვერთობოდი. ახლა კლუბებში გასართობად წასვლაც დამეზარება. ეჰ, კარგი დრო მაქვს გატარებული...

— შენი აზრით, უკვე „დაღვინდი“?

— სიმაართლე გითხრა, კლუბებში სიარული დიდად არასდროს მომწონდა, მაგრამ საჭირო იყო და მივდიოდი. როგორც სცენაზე ვარ, ცხოვრებაშიც ისეთი გიჟი არ გეგონოთ, პირიქით, ძალიან წყნარი გახლავართ.

— მშობლები რაიმეს არ გიკრძალებდნენ?

— მათგან არასდროს არანაირი შეზღუდვა არ მქონია.

— ანუ გენდობიან?

— იცი, საქმე რაშია? — მირჩევნია, მშობელს სიმაართლე ვუთხრა და მათთან ვიჩხუბო, ვიდრე მოვატყუო და არ იცოდნენ, სინამდვილეში რას ვაკეთებ. ზოგჯერ შეიძლება, ერთმანეთი დავხოცოთ, მაგრამ ბოლოს, მაინც იმას ვაკეთებ, რაც მინდა. ყოველთვის ასეთი ჯიუტი ვიყავი და ამას შეეჩვივნენ. თუ ვიგრძნობ, რომ ეჭვის თვალთ მიყურებ, შენს ჯიბრზე ისეთ რალაცასაც კი გავაკეთებ, რაც პირადად მე დამაზიანებს... თუმცა, ახლა ცოტა აზრზე მოვედი და ვცდილობ, ყველაფერი შედარებით მშვიდად მოვაგვარო. იცი, ბავშვობაში ძალიან აქტიური ვიყავი და ბიჭებთან ერთად ფეხბურთსაც კი ვთამაშობდი.

— და მათ ჩაგრავდი კიდეც არა?

— (იცინის) პრინციპში, ჩვენ ერთად ჩაგრავდით სხვა კლასელებს ანუ ჩხუბში აუცილებლად ვერეოდი ხოლმე და ამის გამო, ერთი პერიოდი, ჩემს კლასს „ორჯონიკიძის კლასი“ ერქვა, მაგრამ მერე, როცა




დავდიოდი თვალეჩამავებული, ყველაფერზე ჯაჭვები, ჯაჭვები, ჯაჭვები მქონდა ჩამოკიდებული

მესუთე კლასში გადავედი, გაპრანჭვა დავინწყე, ქვედაბოლოებს ვიცვამდი და თვალის ფანქრის წასმაც მოვინდომე. წავისვი კიდეც, მაგრამ ისე, რომ ლამის თვალი ამოვიგდე და ამიტომაც, მეორედ ამის სურვილი აღარ გამიჩნდა. ამავე პერიოდში ცოტათი დავსერიოზულდი, ჩხუბებში აღარ ვერეოდი... სხვათა შორის, ბავშვობიდან დღემდე გამომიყვ ერთი თვისება — ადამიანს უხეშობას ვერაფრით ვაპატიებ, ამაზე საშინელი რეაქცია მაქვს, ვლიზანდები და ასეთ დროს შესაძლოა, ვილაღ „ჩაველა“ კიდევ.

— იმიჯს სწორად იცვლიდი?

— რაც შეეხება იმიჯს, ის ათასჯერ მაინც შევიცვალე. ერთი პერიოდი მძიმე როკერის იმიჯი მოვირგე და დავდიოდი თვალეჩამავებული, ყველაფერზე ჯაჭვები, ჯაჭვები, ჯაჭვები მქონდა ჩამოკიდებული; მერე თმა მოკოლადისფრად შევიღებე, „ფრენჩიკები“, ელასტიკები, „ბალეტკები“ მოვიხდინე. ამავე პერიოდში მოდაში გახლდათ თმაში ჩამაგრებული ყვავილები და ეს



თუ ვიგრძნობ, რომ ეჭვის თვალთ მიყურებ, შენს ჯიბრზე ისეთ რალაცასაც კი გავაკეთებ, რაც პირადად მე დამაზიანებს...

მეც ძალიან მომწონდა. ერთი პერიოდი მქონდა მატრიცას სტილი — მეცვა ძალიან გრძელი შავი პლაშჩი, შავი ფეხსაცმელი და როცა ქუჩაში მივდიოდი, გეგონებოდა, სული მინარნარებდა. ამავე დროს თეთრ რაღაცას ვისვამდი სახეზე, გოთის სტილი-ისკენაც ვიხრებოდი. ისედაც თეთრი კანი



მაქვს და კიდევ უფრო გათეთრებული საოცრება ვიყავი (იციანის). ამის გამო მთელი სამეგობრო დღემდე მესუმრება.

— მასწავლებლებს ამაზე არანაირი რეაქცია არ ჰქონდათ?

— ჩემგან უცნაურობებს მიჩვეულნი იყვნენ...

— პირსინგი და სვირინგი არასდროს გქონდა?

— მათი გაკეთების სურვილი მქონდა, მაგრამ რატომღაც, რამდენჯერაც სალონში წასვლა დავაპირე, იმდენჯერვე ბოლო წუთას გადავიფიქრე. არ გეგონოთ, რომ რაიმეს კომპლექსი მაქვს, უბრალოდ, ვფიქრობ იმაზე, რომ ოდესღაც, ეს ყველაფერი აღარ მომეწონება, აღარ მომიწონება და უკან ამიტომაც ვიხევი. ვიცი, ეს რაღაცაში აუცილებლად შემიშლის ხელს.

— ვთქვათ, შენს მეგობარზე,

რომელსაც პირსინგი აქვს, ქუჩაში გამვლელმა რაღაც ცუდი თქვა...

— არავის საქმე არაა, საკუთარ თავზე ვინ რა ექსპერიმენტს ჩაიტარებს, რას ჩაიცვამს და ა.შ. მთავარია, შენ არ შეგეხონ ცუდად და სხვა რაღაცები რაში გაინტერესებს?!

— ვისი ფანი იყავი?

— კრისტინა აგილერასა და მაიკლ ჯექსონის. სამწუხაროდ, ჯექსონი ხელიდან გამოგვეცალა.

— ამაზე როგორი რეაქცია გქონდა?

— მეგობარმა დამირეკა და მითხრა, ჯექსონი მოკვდაო. მეგონა, ხუმრობდა, მაგრამ როცა მივხვდი, ეს სიმართლე იყო, ცრემლები წამომივიდა. მას ძალიან დიდ პატივს ვცემდი. პირველ კასეტაზე, რომელიც მშობლებმა მიყიდეს, ჯექსონის სიმღერები

იყო ჩანერილი. ის გახლდათ ადამიანი, რომელმაც ჩამოაყალიბა სტილი „ჯექსონი“... რაც შეეხება იმას, რომ ამბობენ: თავისი კანის ფერი არ მოსწონდა და ოპერაციებს მის გასათეთრებლად იკეთებდაო, ეს აბსურდია! მას კანის პიგმენტური დაავადება ჰქონია, თეთრი ლაქები უჩნდებოდა და ექიმებმა გადაწყვიტეს, მისთვის კანი მთლიანად შეეცვალათ.

— მას ერთი პერიოდი პედოფილიაში სდებდნენ ბრალს...

— არა მგონია, ეს სიმართლე იყოს. მასზე გავრცელებული ამ ჭორის შემდეგ კიდევ ერთხელ დაფრწუნდი, რომ ზედმეტი პატივისცემაც არ ვარგა. გადაჰყვა ამ ბავშვებს და ბოლოს, ეჭვი გაუჩნდათ — ასე რატომ იქცევა, თუ სხვა მიზეზი არ ამოძრავებსო? ეჭვიანობა საშინელი თვისებაა!..

— რაში გამოიხატებოდა შენი ფანობა?

— მათ შესახებ ყველა ინფორმაციას ვაგროვებდი, კედელზე პლაკატებს ვაკრავდი. ჯექსონი გაფეტიშებული იყავდა, აგილერას სურათებით კი კედლები მქონდა აჭრელებული. აგილერას რომ ვეთაყვანებოდი, ეს ყველამ იცოდა, ჯექსონი კი ჩემს გულში იყო (იციანის)... მასხოვს, სახლს ვალაგებდი, თან, კრისტინას სიმღერას ვუსმენდი და გადავწყვიტე, რომ მეც უნდა მემღერა! მართალია, მას არაფრით ვგავარ და არც მის სტილში ვმღერი, მაგრამ ასე მოხდა, მან მიზიძგა სიმღერისკენ. ყოველთვის იმის მულაში მქონდა, რომ კარგ მომღერლად ჩამოვყალიბებულიყავი და მერე, მასთან ერთად დეუტი ჩამეწერა.

— ახლა გადაიფიქრე?

— ახლა ჩვენი გზები გაიყო და... ვინ მესვენება, თორემ...

— შენ დაურეკე, რა პრობლემაა?..

— (იციანის) იცი, ამ ბოლო დროს ძალიან „გაფუჭდა“, ტელეფონსაც კი არ იღებს. ეტყობა, თავში აუვარდა...

— შეყვარებულს სწორად იცვლიდი?

— კი. ჯერ პირველ კლასში მყავდა შეყ-

ვარებული, მერე — მეოთხეში, მეშვიდეში, მერვეში... სერიოზულად 15 წლის ასაკში შემიყვარდა.

— მერე, რა მოხდა თქვენ შორის?

— ისეთი არაფერი, ერთი წლის შემდეგ ურთიერთს გამოვვემშვიდობეთ.

— ეჭვი მაქვს, რომ „დაზარეულ“ და მიატოვე.

— არა, არ დამინაგრავს, მაგრამ იცი, ჩემი მეორე ნახევარი ძალიან ძლიერი პიროვნება უნდა იყოს. ისეთი ხასიათი მაქვს, საშუალოს ვერ შევეგუებები (და მაინც, თუ ასეთ ადამიანს დავუკავშირე ცხოვრება, მერე ვერ გაარკვევ; ვინაა ოჯახში ქალი და ვინ — კაცი).

— შენაირებზე ამბობენ, გათხოვება გაუჭირდებათ.

— ნუ, რა ვქნა. ჩემი აზრით, ცოლქმარს შორის ურთიერთობა დაბალანსებული უნდა იყოს. თუ ცოლი ურტყამს ქმარს თავში ან პირიქით — ქმარი ცოლს ყოველდღე სცემს, ოდესმე, აუცილებლად დაშორდებიან.

— სოციალურში ქალმა უნდა იაქტიუროს?

— პირველი ნაბიჯი მე არასდროს გადამიდგამს. ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, ძალიანაც რომ მინდოდა, ამას ვერ შევძლებ. სამაგიეროდ, ვაგრძობინებ ფლირტის დონეზე. მსიამოვინებს, როცა ყურადღებას თავად მაქცევენ და ინიციატივასაც იჩენენ.

— მას შემდეგ, რაც პოპულარული გახდი, ალბათ, თაყვანისმცემლების რიცხვმაც იმატა...

— მათგან ვარდები, საჩუქრები ნამდვილად არ მაკლია და თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რამდენი საჩუქარი მხვდება კართან, გამოდის, რომ ბევრნი არიან. ზოგიერთი მათგანი კედელზე წარწერასაც მიტოვებს.

— ამ ყველაფერზე მეზობლებს როგორი რეაქცია აქვთ?

— ამას უკვე მიეჩვივნენ და თუ სადარბაზოში რაიმე პარკში შეხვეული ნახეს, ჩემთან მოაქვთ (იციანის). ერთხელ, ჩემი ერთ-ერთი თაყვანისმცემელი, რომელიც კედელზე სამხსოვრო წარწერას მიკეთებდა, მეზობელმა ისე გამოიჩინა და ისეთი სიტყვები უთხრა, რომ მთელი 2 დღე ვლოცულობდი, მის დამწერი არაფერი მოსვლოდა.

— ყველაზე მეტად რომელი საჩუქარი დაგამახსოვრდა?

— ერთხელ ასეთი საჩუქარი მეგობრებმა გამიკეთეს და თუ შეიძლება, იმას გავისვენებ. დაბადების დღე მქონდა. მეგობრებმა ოთახიდან გამიყვანეს, კედლიდან კრისტინას ყველა პლაკატი ჩამოხსნეს და ერთი დიდი პლაკატი გააკრეს. მასხოვს, ის იმდენად ეფექტური იყო, რომ ოთახში შესვლისთანავე სიხარულისგან ცრემლები წამომცვივდა... მინდა აღვნიშნო, რომ თაყვანისმცემლებისგან მორთმეულ ყველა ვარდის ფურცელს ვინახავ.

— დაბოლოს, რას ურჩევთ თინეიჯერებს?

— ისე მოახერხონ, რომ თან გაერთონ და თან, საქმე აკეთონ!..

„გური მტკივა, რეოისნიეხ საქმეს გურგხირაჲ ხომ ექყობიან“



დაახლოებით, 15 წელია, რაც თამაზ ციბაძე ბზაში წმინდანების ხატებს კვეთს. წელიწად-ნახევრის წინ, 13 ასურელი მამის მიერ დაარსებული მონასტრები ველოსიპედით მოიარა და ხეზე ამოკვეთილი, წმინდა მამების ხატი თითოეულის საფლავზე, თითო დლით დაასვენა... ახლა თამაზ ციბაძე ჯუშმბერ ლეჟავასთან ერთად, სირიაში ველოსიპედით გამგზავრებას და იმ მონასტრის (უფრო ზუსტად — მონასტრის ნანგრევების) მოლოცვას აპირებს, საიდანაც საუკუნეების წინ, 13 ასურელი წმინდა მამა საქართველოსკენ გამოემართა.

რძანებული?

— ჩემს სახლში. — ზოგჯერ, ახლობლები, მეგობრები მეხვენიან, ხატი გვათხოვეო და მათ

ბები, ოჯახს ვარჩენ — 2 შვილი მყავს... როცა უწმინდესის, ილია II-ის გამოსახულება ბზაში ამოკვეთეთ და ის პატრიარქს გადავეცი, გახარებულმა დამლოცა. გარდა ამისა, ბზაში ხატე-

ეთო ყორღანაშვილი

— წლების წინ ჩემი ძმა სტიქაროსანი იყო და თან, სანთლის საამქროში მუშაობდა. მისგან რალაც-რალაცები მეც ვისწავლე და ბათუმში, მეუფე იობთან გავემგზავრეთ. მეუფემ გვთხოვა, მასთან დავრჩენილიყავით და სანთლები დაგვემზადებინა. მე და ჩემმა ძმამ ნებართვა დედისგან ავიღეთ და ბათუმში დავრჩით. სწორედ იქ გავიცანი მომავალი მეუღლე, რომელიც სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. მეუფე იობი ძალიან დაგვეზმარა, როგორც მატერიალურად, ისე — სულიერადაც და ოჯახი შევქმენით. მალე ხეზე ხატების კვეთა დავიწყე და მუშაობის ტექნიკა თანდათან დაფხვეწე. მართალია, ხატვა არ ვიცი, მაგრამ ღვთის წყალობით, კარგი ნამუშევრები გამომდის.

სულ რამდენი ნამუშევარი გაქვთ?

— ამჟამად, ოცდამეორეს ვკვეთ. მინდა, ბზაში თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი და ვახტანგ გორგასალი გამოვსახო.

ხატებს მხოლოდ ბზაში კვეთთ?


— დიას. მართლმადიდებლური ეკლესია ბზობის დღესასწაულს აღნიშნავს, ის წმინდა მცენარედ მიიჩნევა და თან — სამუშაოდ ძალიან კარგი მასალაა.

თქვენ მიერ შექმნილი ხატები სადაა დაბ-

ამაზე უარს ვერ ვუბნები. შესაბამისად, ჩემი ნამუშევრები დროებით, მათი სახლის სამლოცველო კუთხეებს იკავებენ. შარშან ქობულეთში ოთახი ვიქირავე — მსურდა, გამოფენა მომეწყო, მაგრამ 5 დღის მერე გულდანყვეტილმა დაგხურე — ომი დაიწყო... 5 წელია, რაც „არტ-გენის“ ფესტივალის მონაწილე ვარ. ჩემი ნამუშევრები ყველას მოწონებას იმსახურებს. უცხოელი და ქართველი ბიზნესმენები თითოეულ მათგანში საკმაოდ დიდ თანხას მთავაზობენ, მაგრამ ხატებს არ ვყიდი. ჩემი ნამუშევრები ყველა ქართველის საკუთრებაა!

თავს რითი ირჩენთ?

— თავდაპირველად, ქირით ვცხოვრობდი და მატერიალურად ძალიან მიჭირდა, მაგრამ ხატის გაყიდვის სურვილი არასდროს გამიჩენია. 14 წელია, რაც ჩემი შემოსავლის წყარო ის ჯვრებია, რომლებსაც თავად ვამზადებ და ტაძრებში ვაბარებ. ამ ფულით ვიკვე-



როცა უწმინდესის, ილია II-ის გამოსახულება ბზაში ამოკვეთეთ და ის პატრიარქს გადავეცი, გახარებულმა დამლოცა



მართალია, ხატვა არ ვიცი, მაგრამ ღვთის წყალობით, კარგი ნამუშევრები გამომდის

ბის კვეთის კურთხევაც მივიღე. დაახლოებით, წელიწად-ნახევრის წინ, ჩემ მიერ ნაკვეთი, 13 ასურელი წმინდა მამის ხატი მათ მიერვე დაარსებული მონასტრები და მათივე საფლავები მოვილოცე, შემდეგ კი ისტორიკოსებს — ზაზა აბაშიძეს, ზაზა სხირტლაძეს ვესაუბრე და გავარკვიე, რომ თურმე, ასურელი მამები სირიიდან, წმინდა სვიმეონ მესვეტის მონასტრიდან წამოსულან საქართველოში. სურვილი გამიჩნდა, სვიმეონ მესვეტის მონასტერი მომელოცა და მეგზურობა ბატონ ჯუმბერ ლეჟავას ვთხოვე. ის სიამოვნებით დამთანხმდა. უწმინდესმა გზა დაგვილოცა, 2 სანთელი მოგვცა და გვითხრა: სვეტთან რომ მიხვალთ, დაანთეთო.

სვეტთან?

— დიას, რადგან იქ მონასტერი აღარაა — მხოლოდ ნანგრევები და სვეტია. დიდი ხანი, იმ ადგილას წირვა-ლოცვა აღარ ჩატარებულა — მაღლიანი მინა მიტოვებულია. გვსურს, სირიაში ჩვენს მოლოცვასთან დაკავშირებით დოკუმენტური ფილმიც გადავიღოთ. ამ საქმეში დახმარებას მხატვრული ფილმის — „მონანიები“ ერთ-ერთი მონაწილე, მსახიობი დათო გიორგობიანი დაგვირდა. ის ამჟამად რუსეთში მოღვაწეობს და კარგ, მართლმადიდებლურ ფილმებს იღებს. სხვათა შორის, მას რუსეთის საპატრიარქომ წმინდა გიორგის შესახებ ფილმის გადაღება სთხოვა.

ეი. თქვენ და ბატონ ჯუმბერს მესამე თანამგზავრაც გეყოლებათ...

— ალბათ, პერიოდულად შემოგვიერთდება ხოლმე. დაახლოებით, 2500 კმ გვაქვს გასავლელი. როცა სირიაში ჩავალთ, კარავს გავშლით და შევეცდები, წმინდა სვიმეონის ხატის ნაწილი იქ ყოფნისას ამოვკვეთო. რა თქმა უნდა, ნამუშევარს საქართველოში წამოვიღებ.

გამგზავრებას როდის აპირებთ?

— როგორც კი წასასვლელად სავმარისი თანხა გვექნება, ვიზებს მეორე დღესვე ავიღებთ.

ვიზებთან დაკავშირებით პრობლემა რომ შეგექმნათ?

— არა მგონია: ჯუმბერ ლეჟავას მთელი მსოფლიო აქვს მოვლილი და ასეთ ადამიანს ვიზაზე უარს არ ეტყვიან. თუმცა, მოგეხსენებათ, სირიაში მუსლიმანები ცხოვრობენ და მართლმადიდებლობის გამო რომ არ „დაგვბლოკონ“, ვიტყვი, — ტურისტულ მოგზაურობაში მივდივართ-თქო.

გასამგზავრებლად რა თანხა გჭირდებათ?

— დაახლოებით, 5.000 დოლარი. ბევრ კომპანიას მივაკითხე და ამ საქმეში დახმარება ვთხოვე, მაგრამ 100 ლარითაც არავინ დამეხმარა. ასეთ ღვთის-

წინერ საქმეს გულგრილად რომ ეპყრობიან, გული მტკივა. ბოლოს, როგორც იქნა, ერთ-ერთი კომპანია ველოსიპედების (თავისი ალჭურვილობით) შეძენას შეგვიპირდა. გადაწყვიტე, სირიიდან დაბრუნების მერე მორწმუნეებს მოვუწოდო, რომ ველოსიპედები შეიძინონ და ყველა ტაძარში ჩამოაყალიბონ მომლოცველთა ჯგუფები, რომლებიც მონასტრებში ივლიან, ბერებს დაეხმარებიან. ასე სულიერადაც გავძლიერდებით და ფიზიკურადაც. მინდა, ყველა იმ „ტკბილ“ ქართველს გადავუხადო მადლობა, რომელიც ჩვენ მიერ შექმნილ საქველმოქმედო ნომრებზე გამოგვეხმაურა ან მომავალში გამოგვეხმაურება. წმინდა სვიმეონ მესვეტის მონასტრის მოლოცვას მათი შემნობით შევძლებთ.



უწმინდესმა გზა დაგვილოცა, 2 სანთელი მოგვცა და გვითხრა: სვეტთან რომ მიხვალთ, დაანთეთო

P.S. თუ გაგიჩნდებათ სურვილი, ბატონ თამაზ ციბაძეს ჩანაფიქრის განხორციელებაში დაეხმაროთ, შეგიძლიათ დარეკოთ: „ჯეოსელიდან“ — 700 604; „მაგთიდან“ — 700 604; „ბილაინიდან“ — 700 399. ზარის ღირებულებაა 1 ლარი ან გადარიცხოთ თანხა „საქართველოს ბანკში“, შემდეგ ანგარიშზე: 134 241 000.

შახვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმირ ჩარკოვის ნიგნიდან „გენერალისიგნა“



ზარბი ჩაველი დანა

სტალინი, თანამოაზრეებთან ერთად, მავზოლეუმის ტრიბუნაზე იდგა. მისმა მეუღლემ — ნადეჟდა ალილუევამ, სამრეწველო აკადემიის კოლონაში, ტრიბუნას ჩაუარა. ის დღესასწაულისთვის შესაფერის, მხიარულ გუნებაზე იყო; ტრიბუნასთან მიახლოებისას, ქმარს ხელი დაუქნია, სხვებთან ერთად, „ვაშა!“ დაიძახა, შემდგომ კი, ამხანაგებს დაემშვიდობა, მავზოლეუმს მოუარა და უკანა მხრიდან, სტუმრებისთვის განკუთვნილი ტრიბუნისკენ აიღო გეზი.

ყველანი მხიარულ, საზეიმო განწყობილებაზე იყვნენ. საღამოს კრემლში ოფიციალური წვეულება გაიმართა, შესაფერისი სადღეგრძელოებისა და ცნობილ მსახიობთა კონცერტის თანხლებით. ნადეჟდა გვერდს უმშვენებდა მეუღლეს, დროდადრო კი დგებოდა, მეგობრებისკენ გაემშურებოდა, ესაუბრებოდა. უბედურებას არაფერი მოასწავებდა...

მეორე დღეს ვოროშილოვმა უახლოესი მეგობრები თავისთან დაპატიჟა. მათ შორის, სტალინი-

1932 წლის 7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის მე-15 წლისთავზე, ტრადიციისამებრ, ნოთელ მოედანზე სამხედრო აღლუმი და მშრომელთა დემონსტრაცია იმართებოდა. ალბათ, ბედის ირონიაც იყო ის, რომ სულ მალე ბელადს თავის ცხოვრებაში უმძიმესი წუთები დაუდგებოდა...

დასაწყისი იხ. „გზა“, №27-32

იც მოვიდა, მეუღლითურთ. სწორედ იქ მოხდა გამოუსწორებელი უბედურება.

ამ ამბავთან დაკავშირებით უამრავი ჭორ-მართალი გავრცელდა, მათ შორის ისიც, რაც არაკუთილმოსურნეებმა საგანგებოდ შეთხზეს. ვფიქრობ, სიმართლესთან ყველაზე ახლოს ის დგას, რომელიც სტალინის ქალიშვილმა სვეტლანამ შემოგვთავაზა.

„ანა სერგეევანა (დედაჩემის და) ამბობს, რომ უკანასკნელი კვირების მანძილზე, დედა ამბობდა, რომ აკადემიის დამთავრების შემდეგ, თავის დასთან, ხარკოვში წასვლას აპირებდა; უნდოდა, იქ მოწყობილიყო სამსახურში, თავისი სპეციალობით და იქვე დარჩენილიყო... ანა გამუდმებით იმეორებს, რომ დედას ეს მტკიცედ ჰქონდა

გადანწყვეტილი, რადგან სურდა, თავი დაეღწია საკუთარი „მაღალი მდგომარეობისთვის“, რომელიც თრგუნავდა. ეს ძალზე ჰგავს სიმართლეს: დედაჩემი არ მიეკუთვნებოდა პრაქტიკულ ადამიანთა რიგს და ის, რასაც მას „მდგომარეობა“ სძენდა, მისთვის ფასეულობას არ წარმოადგენდა.

დედას ერიდებოდა აკადემიის შენობასთან ავტომანქანით გამოჩენა, იმის გამჟღავნება, თუ ვისი ცოლი იყო (მის გვერდით მყოფმა ბევრმა ადამიანმა არც იცოდა ამის შესახებ). ამასთან, იმ წლებში ცხოვრებაც გაცილებით სადა იყო: მამაჩემი ხშირად დადიოდა ფეხით, ჩვეულებრივი მოქალაქისავით (თუმცა, მანქანა მეტად უყვარდა)... დედას მართლა სწამდა პარტიული მორალის ნორმებისა და წესების, რომლებიც კომუნისტს ცხოვრების მოკრძალებულ სტილს სთხოვდა. თავად ცდილობდა, ამ მორალით ეცხოვრა, რადგან ის მისი ოჯახიდან, მშობლები-სგან, მისი აღზრდისგან გამომდინარეობდა... მისთვის მიუღებელი იყო კომპრომისი. ის რევოლუციონერთა ახალგაზრდა თაობას მიეკუთვნებოდა — იმ ენთუზიასტ-მშრომელთა რიგს, რომლებიც პირველ ხუთწლედებს „ქმნიდნენ“, მტკიცედ სჯეროდათ, რომ „ახალი ცხოვრების“ მშენებლები იყვნენ, საკუთარი თავიც „ახალ ადამიანებად“ მიაჩნდათ, სწამდათ ახალი იდეალების, რომლებიც რევოლუციის შედეგად მეშჩანობისგან გათავისუფლებულ ადამიანს უნდა ეტარებინა. ამ ყველაფერს დედა მის გარშემო მყოფ ადამიანებში, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, მამაჩემში ხედავდა. ასეთი იყო იოსები ნორჩი გიმნაზიელი გოგონას წარმოდგენით და ასეთად რჩებოდა მისთვის დიდხანს, მაგრამ — არა ბოლომდე...



ნადეჟდა და სვეტლანა

ნადეჟდა გვერდს უმშვენებდა მეუღლეს

ვფიქრობ, იმის წყალობით, რომ ბუნებით ჭკვიანი და შინაგანად წესიერი იყო, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ მამაჩემი არ აღმოჩნდა ის „ახალი ადამიანი“, როგორც ადრე ეგონა და ამან მასში უდიდესი იმედგაცრუება გამოიწვია...

სამრეწველო აკადემიაში, პროფესორებს შორის, ტროცკის ბევრი მომხრე და თანამოაზრე მუშაობდა. ისინი გამუდმებით გამოთქვამდნენ კრიტიკასა და პროტესტს სტალინის პოლიტიკის გამო, მას დიქტატორობაში ადანაშაულებდნენ. 1927 წლის ნოემბერში, დიპლომატმა იოფემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ის განუყურნებელი სენით იყო დაავადებული და ტანჯვის ატანა აღარ შეეძლო, მაგრამ რადგანაც აქტიური ტროცკისტი გახლდათ, თანამოაზრეებმა მისი ტრაგიკული დაღუპვა გამოიყენეს და ამბობდნენ, რომ იოფემ სტალინის პოლიტიკის პროტესტის ნიშნად მოიკლა თავი. შესაბამისად, მისი დაკრძალვა ოპოზიციურ მიტინგად გადააქციეს, სადაც სიტყვით გამოსულმა ტროცკიმ, კამენევმა, ზინოვიევმა სტალინს პირდაპირ დასდეს ბრალი დიპლომატის სიკვდილიც და საერთოდ, ყველა სხვა უბედურებაშიც. სტალინის ცოლი დაკრძალვას ესწრებოდა და ეს ყოველივე საკუთარი ყურით მოისმინა. ბუნებრივია, მასზე დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა ორატორთა გამოსვლებმა. მსგავს მოვლენებს თან ერთვოდა ნადეჟდას ახლო მეგობრის, ბუხარინის მიერ პირად საუბრებში გამოთქმული მხამიანი გამონათქვამები...

სამრეწველო აკადემიაში სწავლის წლებში, სტალინის ცოლის გარემოცვაში გაქნილმა გლეხუჭამ — აკადემიის პარტიული უჯრედის მდივანმა, ნიკიტა ხრუშჩოვმა შეაღწია. ალილუევამ ის თავის ოჯახშიც შემოიყვანა. მუდამ მხიარულმა და მკვირცხლმა ნიკიტამ სტალინს თავი დაამახსოვრა. ცოლის დაღუპვის შემდეგ, მის წინაშე დანაშაულის გრძნობის კარნახით, ის ხრუშჩოვს, როგორც ნადიას ამხანაგს, მფარველობდა და ჯერ რაიონული, შემდგომ კი საქალაქო მასშტაბით მის წინსვლას უწყობდა ხელს.

ახლა უნ კვლავ სვეტლანას მოგონებებს დავუბრუნდეთ:

„ჩემი ძიძა მეუბნებოდა, რომ სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე, დედა ძალზე სევდიანი და გაღიზიანებული იყო.



სევტლანა მამასთან ერთად

ერთხელ მასთან სტუმრად, გიმნაზიის დროინდელი მეგობარი, პოლინა სემიონოვნა პერლი ჩამოვიდა, იგივე — ჟემჩუჟინა (მოლოტოვის ცოლი). ისინი ჩემს ოთახში საუბრობდნენ (იქ ყოველთვის, დედაჩემის „სასტუმრო ოთახი“ იყო) და ძიძამ გაიგონა, დედამ რომ თქვა, — ყველაფერი მომზებრდა, ყველაფერი ყელში ამოვივიდა, არაფერი მახარებსო, — მეგობარმა კი უპასუხა: როგორ? შვილებიცო?! — შვილებიცო, — უპასუხა დედამ...

სამწუხაროდ, ამ დროს მოსკოვში მისი არც ერთი ახლობელი არ იმყოფებოდა. დედა აკადემიას ამთავრებდა და ძალიან გადაღლილი იყო.

მას ასაკისთვის შეუფერებლად მკაცრ და სერიოზულ ადამიანად მიიჩნევდ-

ნენ, ის ყოველთვის რეალურზე უფრო ასაკოვან ადამიანად გამოიყურებოდა. ვფიქრობ, იმიტომ, რომ მეტისმეტად თავდაჭერილი, საქმიანი იყო და საკუთარ თავს მოდუნების უფლებას არ აძლევდა. საკუთარი თავისადმი უკომპრომისო დამოკიდებულება, თვითდისციპლინა და დაძაბულობა, რომელსაც გამუდმებით გულში იხვევდა, ბოლოს და ბოლოს, დაჭიმული ზამბარასავით უნდა გაშლილიყო და აფეთქება გამოეწვია...

სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე, დედა ძალზე სევდიანი და გაღიზიანებული იყო



ასეც მოხდა. არადა, საბაბი სულაც არ იყო სერიოზული და შესაბამისად, არც მოუხდენია შთაბეჭდილება დამსწრეებზე. ძალზე ჩვეულებრივი შეკამათება მოხდა სუფრასთან, რომელიც ოქტომბრის იუბილეს აღსანიშნავად გაიშალა. მამამ მოულოდნელად შესძახა: „შენ ეი, დალიე!“ დედამ კი უპასუხა: „მე „ეი“ არა ვარ!“ — მერე ადგა და დემონსტრაციულად მიატოვა იქაურობა“.

ნადიას მისი მეგობარი, პოლინა ჟემჩუჟინა მიჰყვა. ისინი დიდხანს სეირნობდნენ კრემლის ეზოში. მოლოტოვის ცოლი ალილუევას უახლოესი მეგობარი იყო, რევოლუციის შემდგომ ისინი წლების მანძილზე ერთ ბინაში ცხოვრობდნენ... პოლინა ამჟღავნებდა ნადიას, მერე სახლამდე გააცილა, მაგრამ როგორც ჩანს, დაგროვილი განცდები — ის ზამბარა, რომლის შესახებაც სვეტლანა წერს, — აღარ გაიფანტა, ფიალა გადაეხსო და, ნადეჟდა ალილუევამ ტყვია დაიხალა...



ტრიბუნასთან მიახლოებისას, ქმარს ხელი დაუქნია, სხვებთან ერთად „ვამა“ ლაიხის

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნერონის მიერ დევნილი ქრისტიანები, გაძლიერებული ეკლესია და კატაკომბებში აღსრულებული მსახურებები

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დანყებულ საუბარს ქრისტიანული ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებით. გვესაუბრება არქიმანდრიტი ჯაპარი (აბაისაძე).

მორენა მერკვილაძე

— ქრისტიანთა პირველი მასობრივი დევნა დაიწყო იმპერატორ ნერონის დროს, როდესაც თვით რომის იმპერიაში მიჰყო ხელი დევნას ქრისტეს მიმდევრებისა და ამას თავად იმპერატორმა ჩაუდგა სათავე. ამ დრომდე, როგორც ვთქვით, ქრისტიანებს იუდეველები დევნიდნენ, ეს იყო კერძო პირთაგან დევნა. თანაც, იუდეველები წარმართობიდან მოქცეულ ქრისტიანებს კი არ დევნიდნენ, არამედ მხოლოდ ებრაელ ქრისტიანებს — ვინც მათი გაგებით, მოსეს სჯულს არღვევდა.

რაც შეეხება რომის იმპერატორის — ნერონის დროს ქრისტიანთა მასობრივ დევნას, I საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო: 64 წელს რომში გაჩნდა ხანძარი, რომელმაც ქალაქის დიდი ნაწილი გაანადგურა. იმპერატორმა ხანძრის გაჩენაში ქრისტიანები დაადანაშაულა, თუმცა მეცნიერთა უდიდესი ნაწილი ვარაუდობს, რომ ის თავად ნერონმა გააჩინა, რათა ქრისტეს მიმდევართა სიძულვილით ანთებულს, მათთვის დაედო ბრალი. ეს დევნა ეკლესიის ისტორიაში პირველი მასშტაბური დევნის სახელითაა ცნობილი. დევნას იმპერატორები ედგნენ სათავეში, ქრისტიანები ყოველთვის მასობრივად იდევნებოდნენ. ასეთ დროს დევნის კანონიც კი გამოდიოდა ანუ — იმპერიის მოხელეების მოვალეობაშიც შედიოდა, რომ დაესაჯათ ქრისტიანები, რადგან მათი აღმსარებლობა დანაშაულად მიიჩნეოდა.

ცხადია, ეს დევნა სისასტიკით გამოირჩეოდა. ქრისტიანებს სხვადასხვა ხერხით აწამებდნენ, მათი ტანჯვით, სასტიკ სანახაობებს მიჩვეული წარმართებიც კი ძრწოდნენ. იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი წერს: „ქრისტიანები დაისჯნენ არა იმდენად ხანძრის გაჩენისთვის, რამდენადაც კაცობრიობის სიძულვილისთვის. ისინი საშინელი წაშებით დახოცნენ, წამებას ღანძლავდა და დაცინვაც ემატებოდა. ზოგი ჯვარზე გააკრეს, ზოგიც ნადირის ტყავში ჩააკრეს და დასაგლეჯად ძაღლებს მიუგდეს; ზოგიერთს ტანი გაუფისეს და ლამპართა ნაცვლად ანათებდნენ ნერონის ბაღებს“...

სწორედ ქრისტიანთა ამგვარი დაუნ-

დობელი და სასტიკი დევნის დროს ჩავიდნენ რომში პეტრე და პავლე მოციქულები და უშიშრად ქადაგებდნენ „სახარებას“. პავლე მოციქულმა, ქრისტიანულ სჯულზე ნერონის ერთ-ერთი ცოლის მოქცევაც კი მოახერხა. იმ პერიოდში რომში ცნობილი მაგი, სვიმონ მოგვი იმყოფებოდა, რომელიც პეტრე მოციქულმა ჯერ კიდევ სამარიაში ქადაგების დროს აშხილა. სვიმონს ძალზე სძულდა ქრისტიანები. ის თავს ხან ღმერთად, ხანაც სამყაროს შემქმნელ ღვთაებრივ ძალად აცხადებდა. თავისი ცრუსწავლებებითა და სასწაულებით მრავალი რომაელი აცდუნა და თავად იმპერატორ ნერონზეც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა. ამიტომაც შეიძულა იმპერატორმა ქრისტიანები. იმდროინდელ ისტორიკოსთა მოწმობით, სვიმონ მოგვსა და პეტრე მოციქულს შორის პაექრობა გაიმართა. სვიმონმა განაცხადა, რომ ყველას თვალწინ ამაღლდებოდა ზეცად. ამ „სასწაულის“ საწინააღმდეგო უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. პეტრე და პავლე მოციქულებიც მათ შორის იყვნენ და მხურვალედ ლოცულობდნენ უფლის მიმართ; ევედრებოდნენ, დაემხო უწმინდური ძალა, რომელიც სვიმონს ეხმარებოდა. იგი თავიდან მართლაც, ამაღლდა ჰაერში, მაგრამ შემდეგ ჩამოვარდა და ფეხი მოიტეხა. სვიმონმა საჯაროდ შერცხვენა ვერ აიტანა და თავი მოიკლა. წარმართებმა მისი დამარცხება მოციქულთა იქ ყოფნას მიაწერეს და ამის გამო ქრისტიანთა დევნა კიდევ უფრო გააძლიერეს... ნერონის სიკვდილის შემდეგ დევნა შეწყდა...

— რადგან ქრისტიანთა ტანჯვანამებას შევენეთ, მონამებრივ, მარტივლებრივ ღვანლზეც ვისაუბროთ... უფლისთვის მარტივლებრივი, მონამებრივი ღვანლით თავგანწირვა უმეტესად, ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ხდებოდა, დღეს კი ღმერთი ასეთ ღვანლს აღარ უშვებს... საერთოდ, არის თუ არა განსხვავება სიტყვებს — „მონამება“ და „მარტივლ“ შორის?

— სიტყვა „მონამეობა“ ძველქართულად დამოწმებას ნიშნავს ანუ როდესაც ადამიანი უფლისთვის სხვადასხვაგვარი თავგანწირვით — ცხოვრების წესით, მოღვაწეობის სახით ან კონკრეტული ქმედებით ამოწმებს, რომ ქრისტეს მონამე, ჭეშმარიტი მიმდევარია. მონამეობის ერთ-ერთი გამოხატულებაა მარტივლობა — ტანჯვით აღსრულება ღვთისთვის. მარტივი უფლისთვის მონამეობას, ჭეშმარიტ რწმენას სისხლით ამოწმებს. ქრის-



სწორედ ქრისტიანთა ამგვარი დაუნდობელი და სასტიკი დევნის დროს ჩავიდნენ რომში პეტრე და პავლე მოციქულები და უშიშრად ქადაგებდნენ „სახარებას“

ტიანობის შუა საუკუნეებიდან მონამეობის ცნებამ მნიშვნელობა შეიცვალა — „მონამე“ და „მარტივლმა“ ერთი და იგივე დატვირთვა მიიღო.

პირველ საუკუნეებში, როდესაც ქრისტიანებს წარმართები და იუდეველები დევნიდნენ, უფალმა ეკლესია მარტივლებითი ღვანლით გააძლიერა. როდესაც მარტივლთა სიმტივესა და სიმამაცეს, მათ თავგანწირვას ხედავდნენ, სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი მოექცეოდა ქრისტეს სჯულზე. ყოველი ახალი მონამეობა ასობით და ათასობით ადამიანს ხდიდა ეკლესიის წევრად. შემდგომ საუკუნეებში, როცა ქრისტიანთა დევნა შეწყდა, უკვე ბერმონაზვნობა გახდა მონამეობის, ქრისტიანული ღვანლის ის სახე, რომლის მეშვეობითაც ადამიანები რწმენაში უნდა გაძლიერებულიყვნენ. თანამედროვე მსოფლიოსთვის მიუღებელია სარწმუნოების გამო დევნა. დღევანდელი სარწმუნოებრივი სწავლება უფრო საჭიროა, ვიდრე მარტივლობა, რათა ადამიანებმა შეიმეცნონ, ჩასწვდნენ ქრისტიანობის ნამდვილ არსს. ამიტომაც, უფალი ნაკლებად გვაძლევს მარტივლებრივ ღვანლს, მისთვის ამ გზით თავგანწირვის საშუალებას.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში მარტივლობის ძიებამ, უფლისთვის სისხლის დათხევით თავგანწირვის სურვილმა მასობრივი ხასიათი მიიღო. იყვნენ ადამიანები, რომლებიც მისწრაფოდნენ, ეძიებდნენ ტანჯვანამებას, სიკვდილს ქრისტესთვის, რადგან იცოდნენ, რა ექოდათ ამის სანაცვლოდ, სურდათ, სწრაფად დამკვიდრებულიყვნენ უფალთან, მასთან სა-

მარადისო დიდებაში ყოფილიყვნენ; მაგრამ როდესაც ამან მასობრივი ხასიათი მიიღო, ერთ-ერთ საეკლესიო კრებაზე წმინდა მამებმა მიიღეს გადაწყვეტილება, აეკრძალათ მარტილობის ძიება, მარტივ-ლებრივი აღსასრულისკენ სწრაფვა, არა იმის გამო, რომ მარტივობა ცოდვია, არამედ იმიტომ, რომ ამან მასობრივი ხასიათი მიიღო. ამგვარად, თუ ადამიანი ისეთ ვითარებაში არ აღმოჩნდებოდა, რომ სისხლით უნდა დაემონებინა ქრისტიანობა, მარტივობა აკრძალული იყო.

— პირველ ხანებში, პირველ წლებსა და საუკუნეებში ქრისტიანები უმეტესად წარმართთაგან, კერძოთაგანისმცემლებისგან იდევნებოდნენ. რატომ სძულდათ, რატომ ვერ ეგუებოდნენ წარმართები ქრისტიანებს, რომლებიც წარმართობიდან ექცოდნენ ქრისტეს სჯულზე?

— წარმართები რომელიმე კერპს სცემდნენ თავყვანს, მაგრამ ისინი ადვილად იღებდნენ სხვა კერპებსაც, ამიტომაც წარმართებს ჰყავდათ მრავალი კერპი და სხვადასხვა კერპის თავყვანისმცემლებს ერთმანეთთან რელიგიური კონფლიქტი და უთანხმოება არ მოსდიოდათ, რადგან ყველა სახის სიცრუე ადვილად ეგუება ერთმანეთს, ქრისტიანობა კი არის ჭეშმარიტი რელიგია, ამიტომ ვერ ეგუება და არ შეინჯნარებს სიცრუეს. ქრისტიანობა არ იღებდა არაფერს წარმართობისგან — მათ წეს-ჩვეულებებს, სწავლებებს; ქრისტიანები ამხელდნენ მათ სიცრუეს (ოლონდ, არა სიძულვილით, არამედ იმისთვის, რათა წარმართები სიცრუისგან გამოეხსნათ). სწორედ ამის გამო დევნიდნენ ქრისტიანებს წარმართები.

— წარმართობის გარდა, ქრისტიანობის პირველ ხანებში სხვა რელიგიური მიმდინარეობები — ერესი და მწვალებლობაც ხომ ჩამოყალიბდა? ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევრები მათი მხრიდანაც განიცდიდნენ დევნას?

— მწვალებლობა, ერესი — ეკლესიის დოგმების წინააღმდეგ მიმართული მოძღვრებაა, როდესაც ადამიანის მიერ

მოგონილი, ცრუსწავლება-მოძღვრებით ღვთივამოცხადებული ჭეშმარიტება მახინჯდება. მწვალებლები თავიანთ თავს ქრისტეს მიმდევრებს უწოდებენ, მაგრამ ისინი საღმრთო დოგმებსა და მცნებებს არღვევენ. ასეთი მიმდინარეობები მოციქულთა ხანაშიც გაჩნდა, ერთ-ერთი პირველმწვალებლური სწავლება-მოძღვრება ჩამოყალიბდა პირველ შვიდ დიაკონთაგანმა ნიკოლაუსმა, რომელიც ნიკოლაელთა მწვალებლობის სახელითა ცნობილი. მამები ბრძანებენ, რომ როგორც იუდა მოციქულთა შორის, ასევე იყო ნიკოლაუსი დიაკონთა შორის. ასევე, არსებობდა სვიმონ მოგვის მწვალებლური მოძღვრება და კიდევ რამდენიმე ერესი; მაგრამ ეს მწვალებლობები იმდენად ვიწრო დანიშნულების იყო, იმდენად მცირე მიმდევრები ჰყავდათ, რომ ვერ მოიპოვეს გავრცელება, როგორც დაგუშვით, მოგვიანებით, არიოზის მწვალებლობამ ქრისტიანთა დევნის დასრულების შემდეგ მათი მხრიდან ქრისტიანთა დევნა არ ხდებოდა, რადგან არავითარი ზეგავლენა არ ჰქონდათ არც ხელისუფლებებზე და არც სხვა უპირატესობით სარგებლობდნენ. რამდენიმე კაცს რომ დაეწყო ქრისტიანთა დევნა, ამით უკვე საკუთარ თავზე მოიწვედნენ მსჯავრს — ხელისუფლებიდან, იმპერიიდან — როგორც მკვლელები; თუმცა, როდესაც იმპერიაში ქრისტიანთა დევნა იწყებოდა, მწვალებლურ დაჯგუფებებსაც ხელ-ფეხი ეხსნებოდათ: ქრისტეს მიმდევრებს ხელისუფლების წარმომადგენლებთან აბუზღებდნენ და ქრისტიანთა დევნაში ამ სახით მონაწილეობდნენ.

— სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ, მოციქულები ერთხანს, კვლავ იერუსალიმში დარჩნენ და იქ ქადაგებდნენ. დაახლოებით, რამდენი წელი დაყვეს მოციქულებმა იერუსალიმში?

— დაახლოებით, 10 წელი. შემდგომში, როდესაც მოციქულები იერუსალიმიდან წავიდნენ, სხვადასხვა ქალაქში შედიოდნენ, იქ იწყებდნენ ქადაგებას და შეიქმნებოდა ეკლესია, ქრისტიანთა თემი, კრებული — ეკლესია; დაუდგენდნენ სუცესს, დიაკონს და ამის შემდეგ იმ ადგილსაც

ტოვებდნენ. ეს უპირველესად, გასაკეთებელი იყო იერუსალიმში, რადგან მსხენლს ყველაზე მეტად მოელოდნენ ებრაელები. ამის გამო, ყველაზე დიდხანს იქადაგეს იერუსალიმსა და ისრაელის ტერიტორიაზე. ბევრი ადამიანი ექცეოდა ქრისტიანულ სჯულზე: ისინი მოციქულებს უნდა განესწავლათ, რადგან ჭეშმარიტი სწავლება ღმერთის შესახებ თავიდან მხოლოდ მოციქულებს ჰქონდათ — ლიტურგიკული მსახურებები და სხვა საეკლესიო წესებიც იერუსალიმში ჩამოყალიბდა, სადაც შეიქმნა პირველი ქრისტიანული კრებული. როდესაც იქაურ ეკლესიას მღვდლები და მღვდელმთავარი დაუდგინეს, ამის შემდეგ გავიდნენ სხვა ადგილებში საქადაგებლად ანუ — როდესაც განმტკიცდა იერუსალიმის ეკლესია. თუმცა, 2-3 წელიწადში ერთხელ კვლავ იკრიბებოდნენ იერუსალიმში და ერთმანეთში ამონებდნენ თავიანთ ნაქადაგებს. იერუსალიმი ხომ ღვთის სახლია, სადაც ჯვარს ეცვა და მკვდრეთით აღდგა უფალი; იქვე იყო მაცხოვრის და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საფლავებიც; იქ გაიარეს მოციქულებმა ყოველი ნაბიჯი, მაცხოვართან ერთად და მინიერადაც რომ შეეგრძნოთ უფალთან კავშირი, ყოველთვის მეტად ისწრაფოდნენ იერუსალიმისკენ.

— ვიცით, რომ ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში არსებობდა კატაკომბები — გამოქვაბულთა სისტემის, ქრისტიანთა მინისქვეშა შესაკრებლები. სად ჩაეყარა საფუძველი კატაკომბურ ეკლესიას?

— კატაკომბური ეკლესიები რომიდან მომდინარეობს. პირველი საუკუნიდან, როდესაც რომში ქრისტიანობის ქადაგება დაიწყო, საფუძველი ჩაეყარა კატაკომბებს, სადაც ქრისტიანები დევნის დროს იკრიბებოდნენ და საღვთო მსახურებებს აღასრულებდნენ. კატაკომბები უამრავ ადამიანს იტევდა. თანაც, მინისქვეშა შესაკრებელი გაცილებით უსაფრთხო იყო, ქრისტიანთათვის კარგ თავშესაფარს წარმოადგენდა. რომში კატაკომბურმა ეკლესიამ 3 საუკუნის განმავლობაში იარსება; იმ პერიოდშიც კი, როდესაც იმპერიაში შეწყდებოდა სოლმე ქრისტიანთა დევნა და ფარული მოღვაწეობა აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა, მაინც კატაკომბებში იკრიბებოდნენ. კატაკომბური ეკლესიები თანამედროვე პერიოდადღა შემორჩენილი.

იქ ქრისტიანული გამოსახულებებიც იქმნებოდა, თუმცა კატაკომბური ხატწერა სიმბოლიზებული გახლდათ. მაგალითად, გამოსახავდნენ თევზს, მწყემსს, რომელიც ცხვრებს მწყემსავდა და მტრედს. თევზი და მწყემსი მაცხოვარს განასახიერებდა, მტრედი — სულიწმიდას. კატაკომბების კედლებზე სიმბოლოებით გამოხატვაც უსაფრთხოების გამო ხდებოდა. გამოსახული სიმბოლოების მნიშვნელობა მხოლოდ ქრისტიანებმა იცოდნენ და თუ იქ სხვა აღმსარებლობის ადამიანები მოხვდებოდნენ, ვერ მიხვდებოდნენ, რომ ეს ქრისტიანთა თავშესაფარის საიდუმლო ადგილი იყო.



კატაკომბური ეკლესიები თანამედროვე პერიოდადღა შემორჩენილი

ქალის ცყავში...

ინგა ჩაყელი

არც კი ვიცი, რა ვუნოდო ლევანს — ზარმაცი თუ მეოცნებე?! გაუჭირდა საცოდავს ოჯახის რჩენა და ამაში გასაკვირი არაფერი იქნებოდა, რომ არა ერთი უცნაურობა: სხვას რომ აქვს (ყოველ შემთხვევაში, საშუალო შეძლების ოჯახებს), მის ოჯახსაც ყოველთვის ჰქონდა იმდენი... არა, ეს მთლად მისი დამსახურება ნამდვილად, არ იყო: სიდედრი საკმაოდ წარმატებული ვაჭარია, ცოლისდას კი საკუთარი სილამაზის სალონი აქვს და მის ცოლ-შვილს არაფერს უჭირვებენ, მაგრამ... პრობლემაც ისაა, რომ ლამის ცოლთან დააშორონ „კაცთმოძულე“ ქალებმა (სიდედრმა კარგა ხნის წინ გააგდო ქმარი ოჯახიდან, ცოლისდას კი გათხოვებას ვერ უსხენებ):

— რად გინდა ეს მუქთახორა და პარაზიტი, შინ პურის ფულიც რომ არ მოაქვს, ჭამას კი მანამ არ ანებებს თავს, სანამ ქვავს ძირს არ გამოუჩენს!..

ლევანს მუშაობა არც არასოდეს უყვარდა და არც ცოლს შეირთავდა ნებით, მამამისს რომ არ ეაქტიურა: ე, ბიჭო, მოათრიე ვინცხა და სანამ ცოცხალი ვარ, არც სასმელ-საჭმელს გამოგიღევ და შვილებსაც გაგაზრდევინებო!..

კარგა ხანს ასეც იყო, მაგრამ მოკვდა მამამისი და შეატოვა ხელში „გამხეცებულ ქალებს“, რომლებმაც მამის დანატოვარი სახლ-კარი გააყიდვინეს და რომ გამოაჭამეს ბოლო კაპიკიც, სახლიდან გაგდებით დაემუქრნენ, ზედსიძედ მოყვანილს: ან ღირსეული კაცივით მოიქცევი და ფულს შემოიტან სახლში, ან არა და, ჯანდაბამდის გზა გქონია; დაივინე, რომ ცოლ-შვილი გაყავსო!..

შეტი გზა რომ არ დაუტოვეს, საზღვარგარეთ წასვლა დააპირა. თან, ძმაცაც შეუჩნდა: — ოლონდ აქედან გავაღწიოთ და შვილებს რაღა მივატოვებთ, მარა ცოლებისკენ, ჩვენდა თავად, გამომხედავების ასე და ისეო! — დაიგინეს მწარედ...

სწორედ ამან გააბედვინა ვალის ალეზა: საქმე აუნყო და ისევ სიდედრთან დაბრუნდებოდა?! ისე, დედის ჭკუაზე მოსიარულე ცოლიც არ მიაჩნდა უკვე სიყვარულისა და პატივისცემის ღირსად...

ვალი, რა თქმა უნდა, პროცენტებიანი აილო, მაგრამ არა იმდენი, რომ საზღვარგარეთ ლეგალურად გასამგზავრებლად ყოფილიყო საკმარისი — საზღვარზე საბარგულში ჩამალული უნდა

გადაეყვანა ვილაც აფერისტს...

მისმა ძმაცაცმა გააღწია, ლევანი კი დაიჭირეს და ფული ფულად რომ დაკარგა, ლამის ციხეშიც უჭერს თავი. ბოლო მომენტში შეებრალა(!) მოსამართლეს: გოუშვით ეგ მათხოვარი, ხეირი მისგან არაფერი იქნება და ციხეში ისედაც გვიჭირს ადგილებიო... ნეტავ, არ გამოეშვათ!..

თვის თავზე მოადგა ჯერ ერთი და მერე მეორე მოვალე — პროცენტები მოსთხოვეს... რომ ვერ გადაიხადა (რა ჯანდაბოთ?!), „ძველი ბიჭები“ მოაყენეს საქმის გასარჩევად, ერთი-ორი ნაუთაქეს და, ვალის გასასტუმრებლად, ორი კვირის ვადა დაუთქვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოკვლით დაემუქრნენ ან სახლ-კარის წართმევით — რაც სიკვდილის ტოლფასი იყო ისევე. აბა, სიდედრი ამას აპატიებდა და ამის შემდეგ აცოცხლებდა?!

ამიტომაც, გაქცევა გადაწყვიტა — ჯერ სახლიდან და მერე — ქვეყნიდან. რაც არცთუ ისე იოლი იყო: ქალაქში ყოველი მეორე კაცი მისი ნაცნობი გახლდათ და ვის ან სად დაემალებოდა?!

ალბათ სასონარკვეთამ მოაფიქრებინა ქალად გადაცმა: ცოლისდას სალონის მარაგიდან პარიკი და კოსმეტიკური საშუალებები, ზონზროხა სიდედრს კი — კაბა და 43 ზომა „ფრანცუზუკები“ მოჰპარა...

ჩაიცვა, გაიპრანჭა, „გაიკრასკა“ და, სარკეში რომ ჩაიხედა, კმაყოფილიც დარჩა: მართალია, ცოტა ფულგარული, მაგრამ საკმაოდ ფერხორციანი, გემრიელი „ქალი“ დადგა — სხვას თუ ვერ დაინტერესებდა, თურქ მძღოლებს მაინც მოადენდა ნერწყვს და ვინ იცის, იქნებ, საზღვარზეც მოენდომებინათ მისი გადაყვანა — ამისთვის კი თუნდაც ტრაილერის მაცივარში დამალვაზე არ იტყოდა უარს...

შელამებულზე გამოვიდა სახლიდან და სანამ მოიფიქრებდა, საით აელო გეზი, ახალთახალმა ჯიშმა ფეხებთან გაუჩერა — და იქიდან ღიპიანმა მელოტმა შემოსცინა:

— შენს გამჩენს ჩავეკონე, ანგელოზი ხარ! წამოდი და არ ინანებ, საათში 100 დოლარს ვისდი!..

100 დოლარის სხენებზე, დაუფიქრებლად გაადაგა ნაბიჯი წინ, მაგრამ უცებ გაიზარა, თუ სად და რისთვის ეპატიჟებოდა ეს კაცი და შეეშინდა:

— რას მკადრებ, თუ იცი?! — შეუბღვირა და ქუჩას გაუყვა.

— გკადრებ თუ არა წინკვი ქალწუ-



ლი მყავხარ!.. — შეაგინა იმ უნამუსომ და ჯიპი ადგილიდან მოსწყვიტა...

გასივებული გული რომ გაეგრძობინა, ახლომდებარე ბარში ჩავიდა, ლუდის დასალევად. სულ აღარ გახსენებია, რომ იქ ქალი არასოდეს უნახავს. ჩამოჯდა ბართან და... მეზობელმა, სანტე-ქნიკოსმა ვიტამაც ვერ იცნო, საჯდომზე უჩქმიტა.

— ნამომყევი ამაღამ შინ და მე ვიცოდე შენი პატივისცემა! — არადა, სად მიჰყავდა, ნეტავ? შინ ცოლიც ჰყავს და 3 გაუთხოვარი ქალიშვილიც!..

გაუქანა მუშტი და ისე ხეთქა ყბაში, კარგა ხანს ეგდო დარეტიანებული ვიტია იატაკზე, რითაც საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოხვდა. სასმელით ტვინგახსურებულმა კაცებმა პირდაპირ თვალწინ მოაწყვეს აუქციონი, მის დასასაკუთრებლად: 10 ლარით დაიწყეს და 120-მდე ასწიეს ფასი...

„აუ-უ, რა ადვილი ყოფილა გაბოზება და რას უძლებენ თურმე ჩვენი ქალები!“ — გაიფიქრა და სასწრაფოდ გაცალა იქაურობას. არც იცოდა, სად წავიდოდა, ვილაცას რომ არ დაეძახებინა დამტვრეული ქართულით. მიიხედა და ტარაკანასავით შავი „ნანატრი“ თურქი არ შერჩა ხელთ?!

ბევრი ფიქრის დრო არც ჰქონდა — ჩაუჯდა მანქანაში და... რაც ამის შემდეგ მოხდა, ამას ლევანი ცოცხალი თავით, არ ამხელს: ფაქტია, რომ ის თურქეთში გადავიდა და ცოტა ხანში ფულის გამოგზავნაც დაიწყო... არავინ იცის, რას აკეთებს იქ. ბიზნესი მაქვსო! — მოჭრის ხოლმე მოკლედ და — მორჩა!..

„მერსედესი“ ახალ E-Class გამოუშვებს



„მერსედესმა“ ახალი თაობის უნივერსალის — E-Class — პირველი ოფიციალური ფოტოები გამოაქვეყნა, რომელსაც ფართო საზოგადოებას ფრანკფურტის მოტორშოუზე, სექტემბერში წარუდგენენ. წინამორბედთან შედარებით, სიახლე 50 მმ-ით დაგრძელდა, ხოლო მეორე რიგის სავარძლების დაკეცვის შემთხვევაში, საბარგულის მოცულობა 1950 ლ გახდება. თავდაპირველად, მანქანა 5 მოტორით იქნება ხელმისაწვდომი: 170 და 231 ცხ.დ. სიმძლავრის 3 დიზელისა და 2 ბენზინის — 3,5-ლიტრიანი, 292 ცხ.დ. სიმძლავრის V6-ით და 5,5-ლიტრიანი, 388 ცხ.დ. სიმძლავრის V8 ძრავით. მოგვიანებით, მოტორების გამას სხვა აგრეგატებიც შეემატება. Mercedes-Benz E-

Class-ის ახალი უნივერსალის პირველი ეგზემპლარები კლიენტებისთვის ევროპაში, მიმდინარე წლის ნოემბერში გამოჩნდება. გერმანიაში ამ მანქანის ფასი 44.804-დან 54.200 ევრომდე იქნება. ■



BMW-ს ახალი კუპე და კაბრიოლეტი

კომპანია BMW 3-Series-ის კუპესა და კაბრიოლეტის განახლებული ვერსიების ტესტირებას ასრულებს. ამ ავტომობილების მსოფლიო პრემიერა სექტემბერში, ფრანკფურტის მოტორშოუზე შედგება. არაოფიციალური ფოტოების მიხედვით, BMW 3-Series-ის განახლებული კუპესა და კაბრიოლეტს მოდერნიზებული წინა და უკანა ბამპერი, განსხვავებული ფორმის შუქფარები და უკანა დიოდური ფარები, აგრეთვე, შეცვლილი დიზაინის ბორბლების დისკები, საჭე და დახვეწილი iDrive-ს სისტემა ექნება. ავტომობილის ტექნიკური მაჩვენებლები არ შეიცვლება. ეს მოდელები კვლავაც 170-306 ცხ.დ. სიმძლავრის რვა მოტორით გამოვა. BMW 3-Series-ის სედანი და უნივერსალი უკვე განახლეს და ისინი გასული წლის ოქტომბერში, პარიზის მოტორშოუზე წარადგინეს. ავტომობილებს ძარას წინა და უკანა ნაწილები განსხვავებულად აქვთ გაფორმებული, შეცვლილია ინტერიერიც. ■



„მაზდას“ სპიდსტერი

light, რომელიც გერმანულ დიზაინ-სტუდიაშია შემუშავებული, ზემსუბუქი კონსტრუქციის იქნება, რაც მფლობელს მართვას გაუადვილებს და სანავის ეკონომიის შესაძლებლობასაც მისცემს. აგრეთვე, ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვებიც შემცირდება. მანქანის ტექნიკური მაჩვენებლების შესახებ ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი. თუმცა, ჟურნალი Car იუწყება, რომ სიახლის კაპოტქვეშ 1,8 ან 2-ლიტრიანი მოტორები იქნება დამონტაჟებული, რომლებიც ჩვეულებრივ როდსტერზე — MX-5 — აყვინია. ამ მომენტისათვის სპიდსტერი მხოლოდ შოუ-ავტომობილია და სავარაუდოდ, მას სერიულ წარმოებაში არ ჩაუშვებენ. იაპონურ ბაზარზე, MX-5-ის გამოშვებიდან 20 წლის გასვლის აღსანიშნავად, ამ მოდელის სპეციალური მოდიფიკაციაც გამოჩნდა, რომელიც სტანდარტული მანქანისგან მხოლოდ წარწერით — „20 Anniversary“, ნისლის საწინააღმდეგო შუქფარების ქრომირებული რგოლებით, 17-დუიმიანი ბორბლების დისკებითა და Recaro-ს სპორტული სავარძლებით განსხვავდება. ■

კომპანია „მაზდა“ ფრანკფურტში, სექტემბრის მოტორშოუზე სპიდსტერის ძარაზე აწყობილი ავტომობილის — MX-5 — კონცეპტუალურ ვერსიას წარადგენს. სიახლეს Superlight ეწოდა და იაპონურმა ავტომწარმოებელმა ის მოდელის — MX-5 — 20 წლისთავთან დაკავშირებით გამოუშვა. ამ მომენტისათვის ეს მანქანა მთელ მსოფლიოში, 860-ათასიანი ტირაჟითაა გასაღებული — ამის შესახებ „მაზდას“ ოფიციალურ პრესრელიზშია ნათქვამი. სპიდსტერი Mazda MX-5 Super-

„ნისანის“ სახანძრო სუპერავტომობილი

მალე სახელგანთქმული ნიურბურგრინგის „ჩრდილო მარყუჟზე“ სპორტული სახანძრო ავტომობილი გამოჩნდება, რომელიც სუპერავტოს — Nissan GT-R — ბაზაზეა აწყობილი. მანქანა იმ მძღოლებს დასახმარებლად იქნება განკუთვნილი, რომლებიც ამ 20 კმ-იან სარბოლო ტრასაზე ავტოკატასტროფაში მოყვებიან. სახანძრო Nissan GT-R-ის უკანა სავარძლების ადგილზე წყლისა და სპეციალური ქაფისთვის განკუთვნილი ავზებია ჩამონტაჟებული, ხოლო საბარგულში ყოველგვარი ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებაა მო-

თავსებული. გარდა ამისა, ავტომობილს ძარაზე სპეციალური ამოსაცნობი ნიშნები, უსაფრთხოების კარკასი და Recado-ს კარბონის სპორტული სავარძლები აქვს. სახანძრო სუპერავტოს ფასი არ სახელდება. მიმდინარე წლის მაისში იუნეშვოდნენ, რომ კუპემ — Nissan GT-R — ბოლო წლებში მეოთხედ გააუმჯობესესა საკუთარი რეკორდი ნიურბურგრინგის „ჩრდილო მარყუჟზე“. „ნისანის“ საჭესთან მჯდომმა ტესტ-პილოტმა, ტოჩინო სუჟუკიმ ტრეკი 7 წუთსა და 26,70 წამში დაფარა. ■



					1 კინოჟანრი	2 კაკლის გულის ნახევარი		3 ქვეყანა ევროპაში		4 დაუდღარი ღვინო	5 ერთგვარი თოფი	
					6 ძღვენი			7 მდინარე საქართვე- ლოში				
										8 ... კობერიძე		
								9 ბრძოლული ფეხბურთელი	10 ლუსი ...	11 შებოლილი ღორის ხორცი		
12 სირიის დედაქალაქი								13 იაპონური ფორმა				
14 რისაჟე დასლა მრავალგვარ ნაწილებად					15 ღმერთი	16 იგეგა, რაც ტუზი	17 დანის არამჭურელი მხარე				18 კოლუმბის ერთ-ერთი გემი	
19 მოჭიდავე								20 ერთგვარი კანფეტი			21 კმეღელში ნასმული ნატეხი	22 მოძიერალი ... მარტინი
						23 შუამავალი ვაჭრობაში						
24 ათი დღე		25 ძველი თბილისის უბანი	26 „ტიოლოტას“ მოღველი	27 ფიცარი ცარციით საწერად				28 გაერთიანე- ბა, კავშირი				
						29 მუღმევი ქალაქი	30 აკაკი წერეთლის ლექსი					
31 გარეული მტრული											32 ნაცვალ- სახელი	
33 ნაოსნობა												
35 გეამი		36 იაპონური ავტომობილი										
						37 რუსი ილუსტი- ონისტი						
38 ძაღლის ჯიში		39 პარკოსანი კულტურა										
41 წამლის ფორმა					42 პარფუმერ- ული სითხე	43 კომში						



წინა ნომრის სკანოკრილის პასუხები 1. კვიპროსი; 2. ლილიპუტი; 3. ხაბაზი; 4. კოზაკი; 5. იდეალი; 6. დეზაბილიე; 7. კუმისი; 8. მი; 9. არაქისი; 10. ვია; 11. კარიბატი; 12. კორიდა; 13. კალათა; 14. კდემამოსილეზა; 15. უზბეკეთი; 16. არილი; 17. დეფოლტი; 18. კაბარე; 19. ტონა; 20. ალი; 21. სავე; 22. ბოი; 23. შაგვდითი; 24. ყოლო; 25. კორეა; 26. ეზო; 27. აბორიგენი; 28. ტოსკა; 29. ძე; 30. ლაბაძე; 31. კირხე; 32. ესე; 33. ისლამი; 34. ცელი; 35. აჯიკა; 36. ჯუნგლი; 37. რეა; 38. გაბაშვილი; 39. კლანჭი.
სურათები: 1. კეიტ ბლანშეტი; 2. ბილი ზენინი.

შორისკობი

(13 - 19 აგვისტო)

ფაჩი:

ნუ გაუსწრებთ მოვლენებს. ეს პერიოდი დატვირთული იქნება შეხვედრებითა და მოლაპარაკებით. კვირის მეორე ნახევარში მეგობრებთან და საყვარელ ადამიანთან ერთად გართობა გელით.

კაჩო:

კარგი პერიოდია მოგზაურობის დასაწყებად. სიფრთხილე გამოიჩინეთ ახალგაზრდობილი ადამიანების მიმართ. სანიტარულდევო სქესის წარმომადგენელთათვის განსაკუთრებით მიმზიდველი იქნებით.

ტყუპი:

ყველა საქმეს ერთდროულად ნუ შეეჭიდებით. შესასრულებელი დავალებების სია ჩამოწერეთ და თანამიმდევრულად იმოქმედეთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გარკვევას ნუ შეეცდებით.

კიჩხობა:

ყური დაუგდეთ გამოცდილი ადამიანების რჩევებს. კარგი პერიოდია ახალი ნივთების შესაძენად. დასვენების დღეები საკუთარ თავს დაუთმეთ, დაისვენეთ და კოსმეტიკური პროცედურები ჩაიტარეთ.

ღიმი:

ამ კვირაში ყველასთან გულახდილობას არ გირჩევთ. იმ ადამიანებმა, რომელთაც თქვენი წამოწყების წარმატებაში ეჭვი ეპარებოდათ, შესაძლოა, აზრი შეიცვალოს. კვირის ბოლოს მეგობრები არ მოგაწყენენ.

ქაჩხუმი:

მეგობრებთან ურთიერთობაში ჰარმონია დაისადგურებს და თუ მათთან ერთად დასასვენებლად გაემგზავრებით, დადებითი ენერგიით აივსებით. ფულადი დაბანდება მატერიალურ კეთილდღეობას გიქადით.

სახსნი:

კარგი პერიოდია ცოდნის მისაღებად. მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დამატებითი სამუშაოს შესრულება მოგიწევთ. იბრძოლეთ დასახული მიზნის მისაღწევად და წარმატებას მიაღწევთ.

ფიქრი:

ახალი გეგმებისა და იდეების განხორციელების დრო არაა. იზრუნეთ პირადი პრობლემების მოსაგვარებლად. კვირის ბოლოს ბუნებაში დაისვენეთ, საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობით დატკბით.

ფიქრი:

ოცნებებში ფრენის დრო დასრულდა და დასახული მიზნების მიღწევის დრო დადგა! მოერიდეთ კოლეგებთან კონფლიქტურ სიტუაციებს. მეგობრები თქვენი განწყობილების გაუმჯობესებაზე იზრუნენ.

ოხის ჩქა:

კარგი პერიოდია დიეტისა და პროფილაქტიკური მკურნალობის კურსის ჩასატარებლად. გამყარდება თქვენი სასიყვარულო ურთიერთობა. მარტოხელებს საშუალება ექვლევთ, ახალი რომანი გააჩალონ.

ფაჩხუმი:

პირად ცხოვრებასა და კარიერაში დაშვებული შეცდომების განალიზების დროა. კარგი პერიოდია შემოქმედებითი საქმიანობისთვის. შეეხმანეთ ძველ მეგობრებს და უქმე დღეები მათთან ერთად გაატარეთ.

ღიფი:

კარგია, თუ მთელ დროსა და ენერგიას საოჯახო საქმეების მოგვარებას დაუთმობთ, მაგრამ ეცადეთ, არც საყვარელი ადამიანი დაივიწყოთ. სტრესმა და გადაღლილობამ შესაძლოა, იმუნიტეტი დაგიქვეითოთ.

პატარა ბენიოსოკან

გაზეთი „კვირის პალიტრის“ არქივიდან

ღედა პატარა ლუკას აიძულებს, წამალი დალიოს:

- საყვარელო, შენს თავს შეუძახე: „წამალი გემრიელია, წამალი გემრიელია“ და უფრო ადვილად დალევ.
- დედიკო, არ ჯობია, ვიძახო, — უკვე დავლიე, უკვე დავლიე?!

პირველკლასელი გიორგი ბებიასთან ერთად, რუსთაველზე მიაბიჯებს.

- რატომ არ მიესალმე მასწავლებელს?
- ეკითხება ბებია.
- ახლა ხომ არ დადეგებია, — უპასუხა ბავშვმა.

3,5 წლის გვანცა ბლიაძემ დედიკოს ვაშლი მიურბენინა, რომელსაც წითელი

წერტილები ჰქონდა:

- დედიკო, დედიკო, ნახე, ამ ვაშლს ბატონები ჰყავს და უნდა გავრეცხო?..

5 წლის ლაშა დოდაშვილს ბებია ეუბნება:

- მე შენზე იმხელა ამაგი მაქვს, რომ გაიზრდები, ხელისგულზე უნდა მატარო.
- ლაშა კი პასუხობს:
- ბებო, რატომ ხელისგულზე? როცა გავიზრდები, BMW-თი გატარებ.

ძლიერმა ქარმა ოთახში კარი მიაბრაზუნა და მაგიდიდან ფურცლები გადამოყარა. პატარა გვანცა დედას ეუბნება:

— დედიკო, ნახე, კარი და ქარი ჩხუბობს და რამხელა ზაურ-აურია...

4 წლის თიკუნა იაკობაშვილს ეკლესიაში მამამ უთხრა:

- პირველადი გადინერე და გულში ღმერთს შესთხოვე ის, რაც გინდა.
- წამოსვლისას მამამ ჰკითხა:
- რა ქენი, შვილო, შესთხოვე?
- კი, კანფეტი, — ჩაიჭურჭულა თიკუნამ.

პატარა მანანა კობახიძე უმცროს, ცისფერთვალა მამას ეკითხება:

- თემო, შენ ახლა ყველაფერს ცისფრად ხედავ, არა?



იტალიელი სუბარისტების ოცნება

კურორტ ფორტე დეი მარმიზე დასასვენებლად ჩასული რუსი ოლიგარქი, რომელიც მანქანის საჭეს უჯდა, შემთხვევით, ადგილობრივ სკუტერისტს შეეჯახა და ეს ამბავი უკვე მთელ იტალიას მოედო. „სპეციალურად ჩავალ ფორტეში და თვალყურს მივადევნებ, რომ იქნებ, რომელიმე ნასვამი რუსი ოლიგარქი ავტომობილის საჭეს მიუჯდეს, რის შემდეგაც, პირდაპირ ბორბლებქვეშ ჩავუვარდები“, — ეს სიტყვები საკმაოდ სოლიდურ მამაკაცს, 43 წლის მილანელ არქიტექტორს ეკუთვნის. თუმცა, რუსი ოლიგარქების მანქანების ბორბლებქვეშ მოხვედრაზე მარტო ის როდი ოცნებობს. რუსული „რულეტკის“ თამაში ბევრ სხვა იტალიელსაც სურს, მაგრამ ალბათ, არც ის უნდა დაავინწყდეთ, რომ ფორტე დეი მარმიზე სკუტერისტს უბრალოდ, ძალიან გაუმართლა. ჯერ ერთი, ოლიგარქი ძალიან კეთილი აღმოჩნდა, მისი კოლეგები კი სწირად, სულ სხვაგვარად იქცევიან; მეორეც: საკუთარი თავის პატივისმცემელი ოლიგარქი, როგორც წესი, თანმხლებ პირებთან და თარჯიმანთან ერთად გადაადგილდება და მისი მანქანა საკმაოდ ფრთხილად მოძრაობს; მესამე: ყველამ კარგად ვიცით, რომ მოტოროლერი არცთუ ისე უსაფრთხო გადაადგილების საშუალებად



ბაა და ალბათ, თითოეულ სკუტერისტს ჰყავდა ისეთი ნაცნობ-მეგობარი, რომელიც ერთხელაც, შინ ვეღარ დაბრუნდა — იტალიაში ხომ ყოველწლიურად, დაახლოებით, ათასი სკუტერისტი იღუპება. მოტოროლერების მძღოლები რუსული „რულეტკის“ თამაშს ყოველთვის ყველაზე წამგებიან პოზიციაში იწყებენ. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ის მაინც ხომ უნდა ახსოვდეთ, რომ კრიზისი მდიდრების ჯიბესაც საგრძნობ-

ლად დაეტყო. თან, ოლიგარქის მანქანის ბორბლებქვეშ ჩავარდნა, შესაძლო კომპენსაციის მიღების მიზნით, ძალზე დამამცირებელიცაა.

საერთოდ, იტალიელებზე ამბობენ, — ღარიბი, მაგრამ კარგი ადამიანები არიანო. ჰოდა, ნუთუ არ ჯობია, რომ დავრჩეთ ღარიბებად, მაგრამ ჯანმრთელებად და ვიცოცხლოთ?!

Corriere della Sera

მოამზადა რუსულან ლეონიკო

იაპონური სენსაცია

სუდოკუ

„გზის“ №32-ში გამომქვეყნებული სუდოკუს პასუხები

6	1	9	8	2	5	7	4	3
5	7	4	6	3	9	1	8	2
2	3	8	1	4	7	6	9	5
4	8	5	9	6	1	3	2	7
3	9	7	4	5	2	8	6	1
1	6	2	3	7	8	9	5	4
7	2	3	5	8	6	4	1	9
9	5	6	7	1	4	2	3	8
8	4	1	2	9	3	5	7	6
2	3	9	1	4	8	7	6	5
1	6	5	7	9	3	4	8	2
4	8	7	2	6	5	3	1	9
8	9	4	5	3	1	6	2	7
5	2	1	8	7	6	9	4	3
6	7	3	4	2	9	1	5	8
3	5	8	9	1	4	2	7	6
9	1	2	6	5	7	8	3	4
7	4	6	3	8	2	5	9	1
6	8	4	2	7	3	1	5	9
1	2	3	8	9	5	7	6	4
9	5	7	6	1	4	8	2	3
9	5	7	6	1	4	8	2	3
5	7	6	1	4	8	2	3	
4	3	2	1	6	9	5	7	8
8	6	9	5	4	7	3	1	2
5	7	1	3	2	8	4	9	6
2	9	8	4	5	1	6	3	7
3	1	6	7	8	2	9	4	5
7	4	5	9	3	6	2	8	1

* მარტივი

	6			7	8			
9			3		5	6		
	3			2		1		
		1	7			9		
		4	5			6		
		2	1	9		4		
		5		8			9	
		2	6			9		7
			9	2				8

** საშუალო

9				8	5			
		3	4	6				9
		7			1		6	
			5		4	3		
			7					
			8			1		
		5		6		9		
3				4	7	8		
			6	9				2

*** რთული

		9			3			6
		1		7				
6					9	5		
			5	3		1		9
			8		5		4	
		6		4			2	
			4	9				8
						5		4
3				6				7

ეთოტოკუჲიოზეზი





"მის თინეიჯერი"



გაფხულის სეზონი

ბერისბელი კომპანია „ჩემოდანი“
 მისა: ლესელიძის 53
 ტელ: 72 01 10

იმისათვის, რომ ხმა მისცეთ თქვენს რჩეულს, იხილეთ ფოტოები ჟურნალ „ოსკარიში“, SMS ვებში აკრიფეთ სასურველი კონკურსანტის კოდი და გააგზავნეთ ნომერზე: 8888. კონკურსანტთა შეფასება ასევე შეგიძლიათ ინტერნეტპორტალზე:

WWW.AMBEBI.GE

პორტალზე შემოსული ხმების მიხედვით, „მის თინეიჯერი“ გამოვლინდება.

„მის თინეიჯერის“ ზაფხულის სეზონის გამარჯვებულს ტურისტული კომპანია „ჩემოდანისაგან“ გადაეცემა:

ორკაციანი საგზური ევროპაში, შარველში, 5 პარსკვლავიან სასტუმროში

ბრილიანტის სამკაული საიუველირო გადაზიან „დელფოსისგან“ კონტრაქტი საშოფეო სააგენტოსთან, სპარტატი ბარათი საფეხბურთო და მთავარი ცენტრ „მედიანაგან“ და სამხატვრო სკოლაში კონკურსის სერტიფიკატისგან



დახვარე უნდა რჩება გახალსებული სეზონის შეპირებული!

+ 20 ნომინაცია



„მის თინეიჯერი“
 (7-)ცემბრის ბოლომდე
 ვებ-საიტზე გაეგზავნება

ხმის მიცემა 10 სექტემბერს შეწყდება!



SMS-ის მიხედვით

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იკითხე ჟურნალი „ოსკარი“.